# თბილისელები®


საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი - შიგ ჩასმული ბადახში

tbiliselebi.ge

23-29 დეკემბერი №52 (678) 1,50 ლარი




გვ. 23
რა ფერის ტანსაცმელი უნდა ჩავიცვათ ახალი წლის ღამეს და რომელი რიტუალის შესრულებაა საჭირო 12 საათამდე რამდენიმე წუთით ადრე

გვ. 75
რატომ იყო თანახმა საკუთარი სახლიდან გაქცევაზე თიკო მოსემღვდლიშვილი და რა ასწავლა მას წლების წინ ცხოვრებამ

გვ. 18
რატომ ეძახიან თემო ლოლაძეს „ძევიშნიკებზე“ და სად დატოვა მან მთელი ტანი

გვ. 22
ვის მიმართ ვერ გამოხატავს ანი მამულაშვილი სითბოსა და სიყვარულს

გვ. 74
რას ინახავს ქეთი ორჯონიკიძე ახალი წლის ღამეს საიდუმლო სეიფში და რატომ იცვლის ის სქესს წელიწადში ერთხელ


რესტორანი მთელი ოჯახისთვის!


საქველმოქმედო აქცია „მაკდონალდსში“ გვ. 11



გვ. 71
ვინ არის პირველი ქართველი ლიცენზირებული პარაშუტისტი გოგონა



საიდან წამოვიდა გულნატკენი თაკო დოლაბერიძე და მოსწონს თუ არა მას 75 კილოგრამის დაკლების შემდეგ საკუთარი თავი

გვ. 19

გვ. 14
რა უხერხულობა შეუქმნა ქურდებთან დაახლოებულ ადვოკატს კორტავას საქმემ



გვ. 11
საგავშვო სტუდია „გვირილა“ 2013 წლის საუკეთესო სტუდიად და გამარჯვებულად დასახელდა

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

**მეტრო მარტ**

**ტექნიკის ჰიპერმარკეტების ქსელი მეტრომარტი უკვე 1 წლისაა!**
**გეპატიჟებით დაბადების დღის კვირეულზე! ჯერ არნახული**
**შემოთავაზებები და ფასდაკლებები, უამრავი**
**საჩუქარი და ყველაზე დიდი არჩევანი მეტრომარტში**

**მეტრომარტი – საუკეთესო ადგილი**
**საახალწლო საჩუქრებისთვის!**



**დიდი**
**სიურპრიზები...**

მისამართი: თბილისი, ვაგზლის 2,
თბილისი ცენტრალი.
ქუთაისი, სამტრედიის ხიდის მიმდებარედ

**ტელეფონი: 2 000 555**









**HAIRLINE**
**INTERNATIONAL**

**თმის გადანერგვის კლინიკა**
**HAIR TRANSPLANTATION CENTRE**

**გადანერგილია**
**ჰეალაინში**

**230 00 30**

**ქავთარაძის ქუჩა 16**
**www.hairline.ge**









$m^2$ უძრავი ქონება REAL ESTATE

# დეველოპერულმა კომპანიამ – „$m^2$ უძრავი ქონება“ – ორი ახალი პროექტის განხორციელება დაიწყო

*კომპანიას „$m^2$ უძრავი ქონება“ დაარსებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარზე. კომპანიის მიზანია, გახდეს ცხოვრების უკეთესი ხარისხის შემქმნელი საქართველოში, შესთავაზოს საზოგადოებას მეტი სიახლე, ასოცირდებოდეს კომფორტულ და თანამედროვე ცხოვრების წესთან და, ამასთან, ეს ყველაფერი იყოს მაღალხარისხიანი, ხელმისაწვდომი და აკმაყოფილებდეს ყველა გემოვნების მომხმარებელს. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავს კომპანიისადმი ნდობას. „$m^2$ უძრავი ქონების“ წარმომადგენლებმა ორი ახალი პროექტის დაწყების შესახებ აუწყეს ჟურნალისტებსა და დამსწრე საზოგადოებას.*

**ირაკლი ბურდილაძე** ***(კომპანია „$m^2$ უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე):*** ორი სამშენებლო კომპლექსი, რომელსაც ავაშენებთ, ნუცუბიძის ქუჩასა და ყაზბეგის გამზირზე მდებარეობს. ორივე პროექტი დაფინანსებულია საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFc) და კანადის მთავრობის მიერ. აღსანიშნავია ისიც, რომ დაფინანსების საერთო მოცულობა 14 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს, საიდანაც 4 მილიონი ამერიკული დოლარი კანადის მთავრობამ გამოყო უშუალოდ ენერგოეფექტური სახლების მშენებლობის მიზნობრიობით. პირველად საქართველოში, ორივე კომპლექსი ენერგოეფექტური იქნება, რაც მცხოვრებლებს კომუნალურ ხარჯებს 20-23 პროცენტამდე შემცირების საშუალებას მისცემს. მობინადრეებს, რომლებიც აირჩევენ საცხოვრებელ ფართს როგორც ნუცუბიძის ქუჩაზე, ისე ყაზბეგის გამზირზე, ბინები დასრულებული რემონტით დახვდებათ. რაც შეეხება „$m^2$ ნუცუბიძეზე“, მისი ჩაბარება 2015 წლის ნოემბერში იგეგმება. საცხოვრებელ კომპლექსს აქვს მოსახერხებელი მდებარეობა, ის მეტრო „ვაჟა-ფშაველადან” 300 მეტრ მანძილზეა, სამივე მხრიდან გააჩნია საავტომობილო მისასვლელი, აქვს ორდონიანი ავტოსადგომი, ეზოში იქნება სპორტული მოედანი და სარეკრეაციო ზონა. რაც შეეხება ბინის ფართს, ის 45 კვადრატული მეტრიდან დაიწყება.

„$m^2$ ყაზბეგის” საცხოვრებელი კომპლექსის ჩაბარება კი 2016 წლის თებერვალში მოხდება. ის ქალაქის ორ ცენტრალურ გამზირს შორის მდებარეობს, ორივე მხრიდან აქვს საავტომობილო მისასვლელი, გააჩნია სარეკრიაციო ზონა, გამწვანებითა და მიწისქვეშა ავტოსადგომით. ბინები დასრულებული რემონტით 42 კვადრატული მეტრიდან იწყება. ყაზბეგის კომპლექსის ინფრასტრუქტურა მოიცავს 3.500 კვადრატულ მეტრს.




**შორენა დარჩიაშვილი** ***(კომპანია „$m^2$ უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე გაყიდვებისა და მარკეტინგის მიმართულებით):*** თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ ამ ორი ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის დაწყება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი კომპანიისთვის. „$m^2$“ ზრუნავს მომხმარებელთა კომფორტზე და ამით დღითი დღე მკვიდრდება ისეთ დეველოპერულ კომპანიად, რომელზეც უდავოდ შეიძლება არჩევნის გაკეთება. ნუცუბიძის ქუჩაზე და ყაზბეგის გამზირზე საცხოვრებელ კომპლექსებში ბინები დასრულებული რემონტით ბარდება. მობინადრეები შეძლებენ, პირდაპირ შევიდნენ და იცხოვრონ საკუთარ ბინებში, სადაც მათ დახვდებათ იტალიური სამზარეულო, ჩაშენებული გაზქურითა და გამწოვით, რომლებიც ასევე იტალიური წარმოების იქნება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბინის დაგეგმარება, ინტერიერის დიზაინი და სარემონტო მასალები მობინადრის მოთხოვნებისა და გემოვნების მიხედვით შეირჩევა, მასალების არჩევანი კი დიდი და მრავალფეროვანია. კომპანიის ხელმძღვანელობა აქცენტს აკეთებს, ასევე, უსაფრთხოებაზეც: კომპლექსის მომსახურება მოიცავს 24-საათიან დაცვას, სადარბაზოების დასუფთავებასა და ეზოს მოვლას. კომპლექსი აღჭურვილი იქნება საერთაშორისო სტანდარტების მქონე ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. ასე რომ, კომპანია „$m^2$ უძრავი ქონების“ პროექტებში ბინის შეძენის, მსურველებს შეუძლიათ, ისარგებლონ როგორც იპოთეკური სესხით, ისე შიდა განვადებით. შიდა განვადების შემთხვევაში, მინიმალური თანამონაწილეობა შეადგენს ბინის ღირებულების 20 პროცენტს. აღსანიშნავია, რომ განვადების ვადა მშენებლობის ბოლომდე გრძელდება, ხოლო უზრუნველყოფას მხოლოდ შესაძენი უძრავი ქონება შეადგენს. „$m^2$ ნუცუბიძეზე“ 2015 წლის ნოემბერში, ხოლო „$m^2$ ყაზბეგზე“ – 2016 წლის თებერვალში – დასრულდება.

**სოფი ლორია**

## სარჩევი

რას ნიშნავს ოპერაცია „ბრიტვა“, როდის აპირებს მის ამოქმედებას რუსეთი და რამდენ ნაწილად გულისხმობს საქართველოს დაშლას ............ 6

რატომ ქმნის საცობს ახლად შექმნილი გზაჯვარედინები და სერპანტინები და რატომ გააუარესებს უფრო მეტად საგზაო მოძრაობას მართვის მოწმობების ეგრეთ წოდებულ „ავტომატიკაზე“ გაცემა ............ 8

რამდენი საცხოვრებელი ბინა და მიწის ნაკვეთი აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე გიორგი ზედელაშვილს ............ 9

რა შემთხვევაში არ არის დისკრიმინაცია თანამშრომლებისთვის დაქორწინების აკრძალვა და რა ტიპის დისკრიმინაციული ქმედების გამო შეიძლება, დააჯარიმოს ინსპექტორმა ფიზიკური პირები 100-დან 500 ლარამდე ............ 10

რა აკავშირებს უფლისწულ გიორგის ესპანეთის მეფე ხუან კარლოსთან ............ 12

იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებული ბავშვები ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას და დახმარებას დღემდე ელიან ............ 13

რა უხერხულობა შეუქმნა ქურდებთან დაახლოებულ ადვოკატს კორტავას საქმემ ............ 14

ადვოკატი გირჩევთ ............ 16

ინტიმური საუბრები ............ 17

უნდა დაივიწყოს თუ არა ქალმა ქმრის ერთჯერადი ღალატი და აქვს თუ არა მას „უკუჩვენება“ ............ 20

როგორ იპოვეს დედმამიშვილებმა ერთმანეთი და რატომ დააგვიანდა რუსეთში მცხოვრებ შვილს მამის პოვნა საქართველოში ............ 21

რა ფერის ტანსაცმელი უნდა ჩაიცვათ ახალი წლის ღამეს და რომელი რიტუალის შესრულებაა საჭირო 12 საათამდე რამდენიმე წუთით ადრე ............ 23

საიდან ჩნდება ადამიანში სხვადასხვა საცდური და როდის იკვებება მისი სული ღმერთით ............ 24

მოძღვარი გვირჩევს ............ 25

მსოფლიო ფეხბურთის ტატუირებული ვარსკვლავები ............ 26

აფრიკელი მილიარდერების ტოპ-ათეული ............ 27

10 ფაქტი ბარაკ ობამას შესახებ ............ 27

საინტერესო ცნობები ფილმის – „მარტო სახლში“ ვარსკვლავზე, ჯო პეშიზე ............ 27

ექიმის რჩევები ............ 29

რატომ აღიკვეცა ბერად ჭაბუა ამირეჯიბი და რა ორგანიზაციაში ამოყო მან თავი ............ 30

როდის გვიმზადებს ბედისწერა სიურპრიზს უიღბლობით და როგორ შევცვალოთ ბედი უკეთესობისკენ ............ 32

კოსმეტოლოგის რჩევები ............ 34

რა არ სიამოვნებდა ბერიას და რატომ ჩხრეკდა მას სტალინთან ვიზიტისას დაცვა ............ 35

შეკითხვა ასტროლოგს ............ 36

როგორი ტიპის ადამიანებთან ურთიერთობა გვაცლის სასიცოცხლო ენერგიებს ............ 36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ............ 45

რატომ არ უნდოდა მიხეილ წულუკიძეს „ფეისობა“ ............ 47

ვინ იყო ცნობილი ქართველი თაღლითი, რომელმაც მსხვილი ამერიკული კომპანია 3 მილიონ დოლარში „გადააგდო“ ............ 48

რა დანაშაულებრივ ეპიზოდებზე მოაწერინა ხელი რძალმა დედამთილს და როგორ დააჭერინა ის ............ 49

ვეტერინარის რჩევები ............ 50

ფლორის სამყაროში ............ 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ............ 51

მკვლელი სცენაზე ............ 57

ქურდული ცხოვრება ............ 64

როგორ იძია შური ყაჩაღმა „მგელმა“ ორსული ცოლის სიკვდილის გამო ............ 69

რისთვის უბოძა ირანის შაჰმა გიორგი მეთერთმეტეს 500 თუმანი, ხალათი და ოქროთი შეკაზმული ცხენი ............ 72

რატომ დაარქვეს მეგრელებმა ბავშვს „დენ ტრაურა“ ............ 78

# საფინანსო პარადოქსი

## ანუ, ფული – ბნელ ოთახში

**თუმცა საქართველოს მოქალაქეების უმ-ეტესობას ჯიბეებში ბამბა უჩხრიალებს, ფრიად ყვავის მიკროსაფინანსო ბიზნესი.** სახელდობრ, **2006 წლიდან დღემდე** მათი რაოდენობა 62-მდე გაიზარდა. მეტიც, **არა მხოლოდ იბარტყეს, მათი ფინანსური მაჩვენებლებიც იმატებს და იმატებს!**



სპეციალისტები გვატყობინებენ, რომ **დღიდან დაარსებისა** (2006 წელი) **2012-მდე მიკროსაფინანსოთა აქტივები 261-ჯერ გაზრდილა**, წმინდა **სესხები – 256-ჯერ**, ხოლო, **წმინდა მოგება**, დაახლოებით, **50-ჯერ, რაც,** თურმე, არც მეტი, არც ნაკლები, **იმას ნიშნავს, რომ 5 000-პროცენტიანი მოგება მიუღიათ.**

უფრო მეტიც, **2008 წელსაც** კი, როდესაც **ჩვენ აქეთ – ომი გვქონდა,** მათ, **იქით – მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი**, მიკროსაფინანსო სექტორის **აქტივები 2007 წელთან შედარებით 100 პროცენტით გაზრდილა**, გაუნაწილებელი **მოგება კი – თითქმის 8-ჯერ**.

იმის გათვალისწინებით, რომ **ამ სფეროს კლიენტურა,** ძირითადად, **ბანკების მიერ დაწუნებული მომხმარებელია** (რომელმაც ვერ შეძლო საბანკო კრედიტის დაფარვა და „შავ სიაში" გაამწესეს), **„გაჭირვებულს" თავისი წილი ქვა არც მიკროსაფინანსოებმა დაამადლეს** – ამიტომაც **მათი საპროცენტო განაკვეთი (**სხვადასხვა პროდუქტზე) **ზოგჯერ წლიურ 100 პროცენტსაც უკაკუნებს** (თუ უფრო მეტს, არა) **ან – აჭარბებს.**

ჩვენ, ბუნებრივია, **კერძო ბიზნესს ვერ დავუშლით მუშაობას,** თუმცა, თუ **ჩვენი თანამოქალაქეები დაცარიელებულ ჯიბეებს ზემომოყვანილ ციფრებს შევუდარებთ**, გამოდის, რომ ეს **ჩვენი მიკროსაფინანსოები მაშინაც კი** დაიჭერენ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **ამოგაცლიან**) კატას (ანუ **ფულს**) ბნელ ოთახში (ანუ **გახვრეტილი ჯიბიდან**), **როდესაც ის იქ არ არის**!

# იმედგაცრუებული

მართალია, **ჩვენ ჩვენს პირველ ვერსიაზე ვართ – ევროკავშირთან ვახლოვდებით** და **არც ჩვენს ოკუპანტ მეზობელ რფ-ს შეუცვლია ნირ-ფერი – საბჭოთა კავშირისთვის ყიდულობს თანამოაზრეებს,** თუმცა, **ჟენევაში საერთაშორისო მოლაპარაკებები, ჩვეულებისამებრ, გრძელდება** და, **არანაკლებ ჩვეულებისამებრ – უშედეგოდ**.



გასულ კვირას მორიგი **26-ე რაუნდიც გასრულდა, ოღონდ, მთლად ისეც ვერა, შოთა რომ ამბობდა, „ვითა სიზმარი ღამისა",** რადგან, მხარეებმა ძალის გამოუყენებლობის შეთანხმება ვერ გააფორმეს.

ან კი როგორ გააფორმებდნენ, როდესაც, რფ-ს აზრით, **ეს ჩვენი სეპარატისტული რეგიონები სრულფასოვანი სუბიექტები ბრძანდებიან** და **თბილისი მათ უნდა დაჰპირდეს ძალის გამოუყენებლობას.** ხოლო, რადგან იცის, რომ **ოკუპანტთა ტანკებია ჩვენებური სეპარატ-**

## შენ რომ ჩემთვის აღიარების ფურცელი არ მოგიტანიაო

**ისტებისთვის ძალისა და ღონის მიმცემი, თბილისი მოსკოვისგან ითხოვს ამ გარანტიის მიღებას.**

ამ უშედეგო რაუნდს ბ-ნი **კარასინიც ესწრებოდა** (აი, ის კარასინი, ვახტანგ აბაშიძესთან ერთად რფ-საქართველოს შორის ვითარებას რომ არეგულირებს) **და ფრიად გულდაწყვეტილიც დარჩენილა** (მოვიხმობ ციტატას): „ჟენევის მოლაპარაკებათა ეს რაუნდი არის პირველი მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალ პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილი აირჩიეს, მაგრამ, **ჯერჯერობით ქართული მხარის პოზიციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა"** – ვითომ ელოდნენ, **რომ თბილისიდან თვალცრემლიანები აღიარების ფურცლებს ჩაუტანდნენ?!**

# უფროსუმცროსობის ხიბლი

ის **არც პრეზიდენტობისას გვაკლებდა ორშაბათობით რადიოეთერებს** და **არც ექსპრეზიდენტობისას გვაკლებს შეფასებებს**. შესაბამისად, ბ-ნი **შევარდნაძეც მუდმივ საქმის კურსშია ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების და ჩვენც ზუსტად ვიცით, რაზე რას ფიქრობს.**

თითქოს **იმ ერთს თავისი გასაჭირი არ ეყოფოდა, გასულ კვირას ერთმა ექსპრეზიდენტმა მეორე ექსი შეაფასა**. იმის გათვალისწინებით, რომ **მეორე პირველს მუდმივად აფასებდა** (ჩვეულებისამებრ, უარყოფით კონტექსტში) და **ლამის იმასაც კი ითვლიდა**, რომელმა **უფრო მეტი ტერიტორია დაკარგა**, ვინ **ვისზე მეტი დევნილი მოახერხა** და **რომელი წაგებული ომის ომის შემდეგ იხევდა უკან ჩვენი ჯარი უფრო სწრაფად.**

როგორც უნდა იყოს, გასულ კვირას, ბ-ნმა **შევარდნაძემ** ბ-ნ **სააკაშვილს 2008 წლის ომი გაუხსენა**: „შეიძლება ითქვას, რომ **მაი-**

## ექსების შერკინება

**ლსმა სააკაშვილი აგვისტოს ომთან დაკავშრებით, ფაქტობრივად, დამნაშავედ გამოაცხადა.** დიპლომატის მხრიდან ასეთი რიტორიკა ცოტა გასაოცარია. როგორც ჩანს, **ნელნელა ყველა ეგუება და უფრო მეტიც, აღიარებს იმ ფაქტს, რომ სააკაშვილი დამნაშავეა და მისი პასუხისგებაში მიცემა აუცილებელია."**

აშშ-ს **ყოფილი ელჩის მოწმედ მოხმობა** კი, როგორც ჩანს, **ერთ ექსს დღევანდელი ხელისუფლების შემოსაძახებლად დასჭირდა**: „ყველა აღიარებს, რომ სააკაშვილი დამნაშავეა და მისი პასუხისგებაში მიცემა აუცილებელია! **საქართველოს ხელისუფლებას, მგონი, შეუძლია თამამად იმოქმედოს,"**

ჩვენ **არ ვიცით, გაითვალისწინებს თუ არა ხელისუფლება ძველთაძველის რჩევას**, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ვფიქრობ, **რიგითობის დაცვა აუცილებელია და, იქნებ – უფროს-უმცროსობისაც**.


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეიმურაზ კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი



ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53



დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"



ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „შასძლეს“!

რაკი, **სულაც, ყალყზე შემდგარი თმის წვერებზე რომ გევლო, ვერაფერს შეიტყობდი იმ საბიუჯეტო ხვავსა და ბარაქაზე, რასაც წინა ხელისუფლება დედის რძესავით ირგებდა**, საქართველოს **მოკვდავი მოქალაქეები მხოლოდ საკუთარი ფანტაზიის წყალობით თუ მიხვდებოდნენ** (კიდევ, ჩინოვნიკთა ნაპატივები ჰაბიტუსებით), თუ **რარიგ საამო იყო იქ, ზემოთ ყოფნა**.



აწ კი, **რადგან ინფორმაცია გათავისუფლდა, სახმოხელეთა პრემია-ხელფასების ოდენობაც სულ დაწვრილებით შევიტყვეთ** და **ისედაც გამსკდარი გულები კიდევ უფრო დაგვესერა**. კიდევ უფრო, იმიტომ რომ **უკვე საკუთარ ტყავზე ვიცით, რა შედეგიც მოაქვს ზემოთ მყოფთა წრეგადასულ ნაყროვანებას.**

ასეა თუ ისე, IDFI-მა გვაცნობა, რომ ქალაქ **თბილისის საკრებულოს 210 თანამშრომლის შრომის ანაზღაურებისთვის წლიურად ოთხ-ნახევარი ლარია გამოყოფილი**. ხოლო ამა წლის **10 თვის განმავლობაში საკრებულოს წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს, ერთობლივად, პრემიებად მილიონ 700 ათასი ლარი მიუღიათ**.

სახელდობრ, **საკრებულოს 10 თვის თავმჯდომარეს პრემიად 18 000 ლარი აუღია**, ბ-ნ **სამუშიას – 1 000 ლარით მეტი**, მას **არც ზურაბ ტყემალაძის ვაჟი,** გიორგი ტყემალაძე **ჩამორჩენია** (პრემიის ოდენობით).

# „მიყვარს სმა და მიყვარს ჭამა“

თავის მხრივ, გავრცელებულ ინფორმაციას დედაქალაქელი საკრებულოელები გამოეხმაურნენ და შეგვახსენეს, რომ **„ნაცმოძრაობის“ უმრავლესობაში ყოფნის პერიოდში, მივლინებებსა და სხვა ამოცანებისთვის 3-4-ჯერ მეტი თანხა იხარჯებოდა** (გვჯერა!). მაგალითად, აი, ბ-ნ **ახვლედიანს საკრებულოს ბიუჯეტიდან მხოლოდ მივლინებებისათვის 160 000-ზე მეტი ლარი განუკარგავს** (ესეც გვჯერა!).

ერთი სიტყვით, დედაქალაქის **საკრებულო გვარწმუნებს, რომ მზად არიან**, „მომავალშიც ვითანამშრომლოთ აღნიშნულ და ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან თუ საზოგადოებრივ ჯგუფთან, იმისათვის, რომ **თბილისის საკრებულოს ბიუჯეტიდან ხარჯვითი პროცესი იყოს გამჭვირვალე და დასაბუთებული.**“

ჩვენ, ცხადია, **მივესალმებით ამ მზადყოფნას,** სხვათა შორის, **იმასაც, რომ აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გადაიფიქრა** (თუ გადააფიქრებინეს) **2014 წლის 83 000-ლარიანი „ჯიპის“ ყიდვა** (აწ უკვე 2012 წლისაზეც ყაბულსაა) **და სხვა სახჩინოვნიკებმაც გააუქმეს ტენდერები ძვირად ღირებული ავტომანქანების შესყიდვაზე,** მაგრამ, მაინც უპასუხოდ რჩება კითხვა: **რატომ ვერ სცდებიან ჩვენი მმართველები** (ყველა არა) **სტერეოტიპს: „შასძლებ თავმჯომარეობას“?!**

# „იმუშავეთ, ვირებო“

## ანუ „მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი“

მას შემდეგ, რაც საქართველოს უმაღლეს **საკანონმდებლო ორგანოში, თუ მთლად ისეც ვერ განვითარდა მოვლენები, „შეიბნეს ვეფხი მოყმეი“** და მხოლოდ იმას **დავჯერდით, „არ შემოჰკრა, აფრასიონ, არ დამლუპო, კოწია“,** საპარლამენტო **უმცირესობამ სხდომათა დარბაზიც დატოვა** პროტესტის ნიშნად და **საპარლამენტო მუშაობასაც უგანა** (სანამ ბოდიშს არ მოგვიხდიან, **ჩვენი ფეხი არ იქნება, თუ მთლად ამ ორგანოში არა, ამ ორგანოს სხდომათა დარბაზშიო**!) და მერე რა, რომ თავად **უმრავლესობაში ყოფნისას იმდენს უბრაგუნებდნენ ოპოზიციის წარმომადგენლებს, ლამის რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია** (თუმცა, ეს ჩვენ არ მოგვწონდა – არც მაშინ, არც ახლა).

მეორე მხრივ, **უმრავლესობა უმცირესოელ კოლეგებს კვლავაც ეპატიჟება** (ერთად ვიშრომოთ, რადგან, **„ვიხუმრეთ, არისტოფანო“),** თუმცა, **ეს უკანასკნელნი მტკიცედ დგანან არშესვლაზე და სხვაგვარად არც ძალუძთ**! ბ-ნმა **უსუფაშვილმა კოლეგებს** ბიუროს სხდომაზე (რომლებსაც, ბუნებრივია, მოპროტესტე უმცირესოელები არ ესწრებოდნენ) **გაუმხილა, რომ დავით ბაქრაძეს შეხვდა და შეეაჯა, დაგვიბრუნდითო, მაგრამ ამაოდ** (ჩვენ დაბრუნებით ტკივილებს არ წავშლითო!)...

მეორე მხრივ, **იმდენი რამ აქვს გასაპროტესტებელი უმცირესობას, აბა, სად სცალია პარლამენტში კანონებზე სამუშაოდ**?! ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ **სახელფასო ანგარიშებზე სამნულიანი ხელფასები მაინც ჩაერიცხებათ**, სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებლად **დანამატსაც მიიღებენ**, **ავტოტრანსპორტის ხარჯიც აუნაზღაურდებათ** და კიდევ სხვა **ამგვარი საბიუჯეტო ნუგბრებიც**, მართლაცდა, **ასეთ ფონზე, რა ჯობია „ბრეგვაძეებში ქეიფს“** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პროტესტს)?!

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# მონეტებათამაშებულები

## ანუ „ფულები არის სეპარატისტის გამხარებელი“

თუკი **„იუჟნაია ოსეტიას“ „პრ.“ თიბილოვი კომუნისტურ პარტიაზე ამყარებს მომავლის იმედებს**, სეპარატისტმა **„პარლამენტარებმა“ მორიგი კანონი გამოაცხვეს.** კერძოდ, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ „გამარჯვების“ მეხუთე წლისთავს **სამახსოვრო და საინვესტიციო მონეტების მიმოქცევის შესახებ გადაწყვეტილება მიუძღვნეს.**

**სეპარატისტული ვალუტის სიმყარეს რუბლზე გაასწორებენ – 1 ერთეული 10 რუბლს გაუტოლდებაო**. თუმცა, იქვე დასძენენ, რომ ეს **სამახსოვროები და საინვესტიციოები ანგარიშგებისთვის არ გამოდგება** (საინვესტიციო პროცესში ხომ სულ კრამიტებს აუტეხს რაკი-რუკს).




სხვათა შორის, **რუსეთის ბიუჯეტზე 100 პროცენტით აკიდებულ ამ ჩვენს „იუჟნაია ოსეტიას“ ეროვნული ბანკიც ჰქონია.** ჰოდა, მისმა თავკაცმა, ვინმე ზასეევმა, გვამცნო, თუმცა, ჩვენ რა, სეპარატისტ პარლამენტარებს ამცნო, რომ **სულ ოქროს 350 მონეტას გამოუშვებენ, ხოლო ვერცხლისების რაოდენობა კი 650-ს მიუკაკუნებს.** ოქროს მონეტები 35 000 რუბლი ეღირება (დაახლოებით, 1 000 აშშ დოლარი), ვერცხლის – უფრო მოკრძალებული (3 000 რუბლი); **სახელად კი „ზაერინი“ დაერქმევათ** და **ამ მიზნისთვის 13 მილიონ რუბლსაც დახარჯავენ** (რა ენაღვლებათ, მუქთა იყოს, კუბო იყოს, არათუ ოქრო-ვერცხლის მონეტები).

ხოლო, **ვიდრე ეს ჩვენებური სეპარატისტები მონეტებს ათამაშებენ,** პოლიტოლოგი ვინმე ბატ. **ჩერნოვი ავითარებს აზრებს,** რომ, **რაკი „ოკუპანტ“ ქართველებს „იუჟნაია ოსეტიას“ სრული ტერიტორია ჯერაც არ გაუთავისუფლებიათ** – „თრიალეთის ოსეთი“ და ყაზბეგის რაიონისა – **აუცილებელია „იუჟნაია ოსეტიას“ „საზღვრების“ „სამართლიანად“ დადგენა** და, შესაბამისად, **პირდაპირი გზის დამყარება მტარვალ ქართველთ მიერ გაყრილ სომხეთსა და რფ-ს შორის.**

სავსებით ცხადია, რომ **მოვლენები ჯერჯერობით ჩვეული მოტივით – „აგრე ვიცის ჯაყომა“, ვითარდება**, თუმცა ისიცაა, რომ საბოლოო შედეგი მაინც იმაზეა დამოკიდებული, **„იმედნაკრავ ნაკაცრებად“ დავრჩებით თუ მაინც რამეს გავახერხებთ?!**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

# რას ნიშნავს ოპერაცია „ბრიტვა“, როდის აპირებს მის ამოქმედებას რუსეთი და რამდენ ნაწილად გულისხმობს საქართველოს დაშლას

**აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამიდან ევროკავშირს ექვსიდან ორნი შემოვრჩით: საქართველო და მოლდოვა. სომხეთმა საბაჟო კავშირში გაწევრიანება ინება, ბელორუსიას ისედაც ნანებები ჰქონდა, აზერბაიჯანმა ევროკავშირთან დაახლოებისგან თავი, საერთოდაც, შეიკავა, უკრაინის პრეზიდენტმა კი, მართალია, ფსონი საბაჟო კავშირზე დადო და ევროკავშირს ცივი უარი სტკიცა, მაგრამ პრობლემამ მაიდანზე გადაინაცვლა და დღის წესრიგში ახლა უკვე უკრაინის (დღეს არსებულ საზღვრებში) ყოფნა-არყოფნის საკითხი დააყენა. საქართველოს ევროკავშირთან იმ მიჯნის გადალახვა, რომელზეც უკრაინამ საბაჟო კავშირის სასარგებლოდ თქვა უარი, მომავალი წლის ნოემბერში ელის. შესაბამისად, თითქმის 100-პროცენტიანი ალბათობითაა მოსალოდნელი რფ-ს მხრიდან ვითარების კრიტიკულ ზღვრამდე დაძაბვა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ოპერაცია „ბრიტვა“ აამოქმედა, რის საბოლოო მიზანიც, საქართველოსთვის ევროკაშირისკენ მიმავალი გზის გადაკეტვაა და არა მხოლოდ ეს. ექსპერტ მამუკა არეშიძესთან ერთად მიმოვიხილავთ იმ საფრთხეებს, რის წინაშეც ჩვენი ქვეყანა მომავალი წლის განმავლობაში დადგება, უფრო ზუსტად, მას რუსეთი დააყენებს.**



**82 000 სომეხი ცხოვრობს თბილისში, ძირითადად, კანონმორჩილი და პატრიოტი ადამიანები, მაგრამ „შეძახილმა ხე გაახმოო“ და თუ რუსეთმა აამუშავა შესაბამისი მექანიზმი, სიტუაციის არევა შეუძლია**

**– ის, რაც ხდება მაიდანზე, შეგვიძლია, განვიხილოთ, როგორც საქართველოში მოვლენების შესაძლო განვითარების სცენარი?**

– მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ უკრაინამ პირველად რუსეთს დახმარება სთხოვა მეჩვიდმეტე საუკუნის 40-იანი წლებიდან და იმ პერიოდიდან მოყოლებული უკრაინაში მუდმივად არსებობდა მარცხენა და მარჯვენა ნაპირის პრობლემა. მარჯვენა ნაპირი ყოველთვის ცდილობდა პოლონეთისკენ გადახრას, მარცხენა – უფრო დამოუკიდებლობაზე იყო ორინეტირებული. დღემდე ეს პრობლემა დგას, ისევე, როგორც ყირიმის პრობლემა. ასე რომ, რუსეთს, გარდა ეკონომიკისა, უკრაინაზე ზემოქმედების სხვა საფუძველიც აქვს. დღეს ბევრი რუსი ნაციონალისტი სტალინს აკრიტიკებს იმის გამო, რომ მან თავის დროზე უკრაინას გადასცა დონბასი და ზოგიერთი სხვა რეგიონი. ეს საბჭოთა ხელისუფლებამ იმავე მოტივით გააკეთა, რა მოტივითაც კავკასიაში შექმნა ავტონომიური წარმონაქმნები, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო რუსულენოვანი რეგიონებით დატვირთული უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და ამით მას ახალი პრობლემა დამატებოდა.

**– იოლად მართვის მიზნით.**

– დიახ. დღესაც იგივე პრობლემა დგას. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით რუსეთი მხოლოდ ეკონომიკური ბერკეტებით მოქმედებს, ის აუცილებლად გადავა პოლიტიკურ ბერკეტებზე. პირველი ასეთი ნიშანი ჩანს იმით, რომ ამა წლის 27 დეკემბერს რუსეთის საზღვაო ფლოტი, რომელიც სევასტოპოლშია განლაგებული, სამხედრო წვრთნებს ატარებს, რომელიც მოიცავს საზღვაო ქვეითთა ანტიტერორისტულ ოპერაციას სანაპიროზე.

**– 2008 წლის სცენარს იმეორებს?**

– მივაქციოთ ყურადღება, რომ ყირიმის ავტონომიური წარმონაქმნის პარლამენტის რამდენიმე ფრაქციამ უკვე მიმართა რუსეთის კონსულს ყირიმში თხოვნით, რომ რუსეთმა უკან დაიბრუნოს ყირიმი, რომელიც 1956 წლამდე რუსეთის შემადგენლობაში იყო. მე არ ვიცი, ითვალისწინებს თუ არა უკრაინის ოპოზიცია ამ საშიშროებას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს უკრაინას უპრეცედენტო მხარდაჭერა აქვს როგორც ევროკავშირისგან, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისგან. ასეთივე მხარდაჭერა რომ გვქონოდა ჩვენ 2007 წლის 7 ნოემბერს, არც 26 მაისი იქნებოდა და ძალიან ბევრ რამეს გადავრჩებოდით, მათ შორის, 2008 წლის სირცხვილს.

**– ჩვენზე ზემოქმედების რა ბერკეტები აქვს რუსეთს?**

– ეკონომიკური ბერკეტები, მაინცდამაინც, არ აქვს. თუ ღვინოს არ დააბრუნებს უკან და არ მოახდენს შავი ზღვის აკვატორიის ბლოკირებას.

**– თუმცა ჩვენს მეღვინეებს დიდი რაოდენობით ღვინო არც შეუტანიათ რუსულ ბაზარზე.**

– სხვა რამეც არის: ქართული ღვინის რამდენიმე ბრენდი უკვე შეისყიდეს რუსმა ოლიგარქებმა და, ამდენად, ეს უკვე აღარ არის ქართული პროდუქტი და თვითონ მიხედონ თავიანთ თავს.

**– ისევე, როგორც „ბორჯომი“ შეისყიდეს.**

– დიახ. სამწუხაროდ, უკვე „ბორჯომიც“ მათია. რაც შეეხება სხვა ტიპის ეკონომიკურ ბერკეტებს. მოგახსენეთ შავი ზღვის აკვატორიის ბლოკირებაზე: რუსეთს შეუძლია სხვადასხვა მეთოდით ხელი შეუშალოს ნაოსნობას ნეიტრალური წყლებიდან საქართველოსკენ. მაგრამ ეს მაინც პასიური ქმედებებია, რადგან აქტიური ქმედება მაინც პოლიტიკური შინაარსისაა. რუსეთს პოლიტიკური აქტივობის უამრავი ბერკეტი აქვს – იმდენად, რომ საგონებელშია ჩავარდნილი, რომელი ერთი აარჩიოს. ყველაზე მარტივია მავთულხლართების გაბმის გაგრძელება: რამდენიმე ადგილას ის სახიფათოდ გამოდის საქართველოს გულში.

**თუ გაკონტროლდება იმ ფორმით, რომ იარსებებს სომხეთი, აზერბაიჯანი და დაქუცმაცებული საქართველო, თუნდაც, ორად გაყოფილი, ლიხს იქით და აქეთ, ესეც საქმეა რუსეთისთვის**

**– ცენტრალურ ტრასისკენ?**

– დიახ და ენერგომატარებლების მარშრუტის ტრასაზე, სარკინიგზო ტრასაზე და ასე შემდეგ. წარმოიდგინეთ, იქ რომ დააყენოს თავისი მესაზღვრეები, როგორ იმოქმედებს ეს საქართველოს პრესტიჟსა და სახელმწიფოებრიობაზე?! მაგრამ, გარდა ამისა, არის ნაციონალური კუთხეების არევის საფრთხეც. იმ საფრთხის შესახებ, რომ რუსეთმა შეიძლება, ეს ბერკეტი აამუშაოს, მაცნობეს ჯავახელმა სომხებმა, შემდეგ – თბილისელმა სომხებმა და აღმოსავლეთ ევროპაში სომხეთის წარმომადგენლობის ერთ-ერთმა თანამშრომელმა. ამას დაემთხვა პუბლიკაციების გაჩენა ინტერნეტსივრცეში, რის უკანაც დგას რუსეთის სომხური დიასპორა. ხაზგასმით ვამბობ – ეს არ არის „ჯავახკი“. ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებულ მასალებში ტყუილ-მართალი არეულია ერთმანეთში და ორინეტირებულია როგორც თბილისელ, ისე ჯავახელ სომხობაზე.

**– ნიშანდობლივია, რომ პირველად გაჩნდა პრეცედენტი, როდესაც ამ საკითხში ჩართეს თბილისელი სომხები.**

– 82 000 სომეხი ცხოვრობს თბილისში, ძირითადად, კანონმორჩილი და პატრიოტი ადამიანები, მაგრამ „შეძახილმა ხე გაახმოო“ და თუ რუსეთმა აამუშავა შესაბამისი მექანიზმი, სიტუაციის არევა შეუძლია. მათზე უფრო კანონმორჩილი ადამიანებიც გაუგიჟებიათ – გვქონია ასეთი შემთხვევები საქართველოს ისტორიაში. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. იგივე შეიძლება, მოხდეს ქვემო ქართლში. აზერბაიჯანელების ძალიან სერიოზული ჯგუფი ზის მოსკოვში: მათ შორის არიან საქართველოდან წასული აზერბაიჯანელებიც. ბევრი მათგანი ძალიან მდიდარი ადამიანია. ალბათ, გახსოვთ, მათ ლამის ალიევს შეუქმნეს პრობლემა, როდესაც მოსკოვში ჩამოაყალიბეს მილიარდერთა კლუბი და ორიენტირებულნი იყვნენ აზერბაიჯანში ხელისუფლების შეცვლით. მეორე მხრივ, საქართველოს აზერბაიჯანელები ისედაც გაურკვეველ მდგომარეობაში არიან საქართველოს ხელისუფლების პასიური პოლიტიკით და იმ აქტიურობით, რასაც იჩენენ სხვა ქვეყნების რელიგიური ორგანიზაციები. ქვემო ქართლში არის შიიტური, სუნიტური, ვაჰაბიტური ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყნებიდან სხვადასხვა პოლიტიკური მიზნებით. ჯერჯერობით ერთმანეთს ებრძვიან, მაგრამ, როდესაც ერთმანეთთან ბრძოლას დაამთავრებენ, მაშინ ჩვენ შეგვექმნება ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა. იმის თქმა მინდა, რომ, თუ რუსეთს მოუნდა, ამასაც გამოიყენებს სათავისოდ, რადგან რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომელთა კვალიფიკაცია, მათი მომზადების დონე და აგენტურა საქართველოში ბევრად მაღალი დონისაა, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

**– რას მიაღწევს ამით: ვთქვათ, ქაოსს, კიდევ?**

– ქაოსს და რეგიონების მიხედვით დაშლას. როდესაც ჟირინოვსკი ამბობს, რომ საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა და ის უნდა დაიშალოს რეგიონებად, ის იმ გეგმას ახმოვანებს, რომელიც არსებობს კრემლში და მის რეალიზაციას არ ჩქარობს. ელიან შესაბამის მომენტს და არავინ იცის, როდის დადგება ეს შესაფერისი მომენტი.

**– მათი გეგმა-მაქსიმუმი რა არის?**

– რუსეთისთვის ყველაზე მთავარია, არ მოხდეს შუააზიური ენერგომატარებლების დივერსიფიკაცია და მათი კონტროლის გარეშე გატანა ევროპაში; ასევე, არ მოხდეს აზერბაიჯანის ენერგორესურსის გატანა ევროპაში თურქეთის მეშვეობით და გამოიყენოს შავი ზღვის გაუყინავი პორტები. ამიტომ უნდა აკონტროლონ მთლიანად სამხრეთ კავკასია და, თუ გაკონტროლდ-

# საქველმოქმედო აქცია „მაკდონალდსში“

რესტორანი მთელი ოჯახისთვის!

20 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე „მაკდონალდსმა“ ჩაატარა აქცია – „ბედნიერი დღეები „მაკდონალდსში“. „მაკდონალდსის“ ყველა რესტორანში დაიდგა ცოცხალი ნაძვის ხე და სპეციალური ყუთები ნაძვის ხის სათამაშოებით.

„მაკდონალდსის“ ნებისმიერ მომხმარებელს ჰქონდა შესაძლებლობა, შეეძინა ნაძვის ხის სათამაშო სიმბოლურ ფასად.

მყიდველები შეძენილ ნაძვის ხის ბურთს აწერდნენ თავიანთ სახელებს, სურვილებსა თუ გზავნილებს და სათამაშოებს კიდებდნენ რესტორნებში დადგმულ ნაძვის ხეებზე.

მსგავს საქველმოქმედო აქციებს „მაკდონალდსი“ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მუდმივად აწყობს მათთვის, ვისაც დახმარება ძალიან სჭირდება.

საქართველოს მასშტაბით ჩატარებული 3-კვირიანი აქციის შედეგად შეგროვდა თანხა, რომელიც მთლიანად გადაირიცხა „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ ბავშვთა განყოფილებაში სასუნთქი აპარატის შესაძენად.

17 დეკემბერს „მაკდონალდსმა“ კლინიკაში მიიტანა მორთული ნაძვის ხეები, რომლებიც „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ ეზოში დარგეს. კომპანია ასევე გაუმასპინძლდა ბავშვებს „ჰეფი მილით“.

---

ება იმ ფორმით, რომ იარსებებს სომხეთი, აზერბაიჯანი და დაქუცმაცებული საქართველო, თუნდაც, ორად გაყოფილი, ლიხს იქით და აქეთ, ესეც საქმეა რუსეთისთვის.

**– ის აღარ ჰყოფნის, რაც წაგვართვა და ახლა შუაზე გაყოფა უნდა?**

– ორ ნაწილად უნდა თუ სამ-ოთხად, რთული სათქმელია, მაგრამ ორიენტირებულია იმაზე, რომ საქართველო ან ამ ფორმით არ იყოს, ან აქ იყოს ხელისუფლება, რომელიც მის ნებას დაჰყვება. რუსეთის მთავარი ამოცანაა სამხრეთ კავკასიის კონტროლი.

**– არ მგონია, მკვეთრი მოძრაობა გააკეთოს სომხეთმა და უკან წაიღოს საბაჟო კავშირში გაწევრიანების სურვილი, შესაბამისად, თუ რუსეთი აზერბაიჯანთან მოაგვარებს ენერგომატარებლების პრობლემას, ჩვენი დაქუცმაცება რატომ იქნება აქტუალური? რაღას გავატარებთ, თუ აზერბაიჯანმა არ მოგვაწოდა?**

– აზერბაიჯანთან ამ პრობლემის მოგვარება ძალიან გაუჭირდება რუსეთს და ეს იცის, რადგან აზერბაიჯანის უკან მყარ ბასტიონად დგას თურქეთი. თურქეთი ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ აზერბაიჯანზე გიჟდება, არამედ იმიტომ, რომ მას აქვს თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები და მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია აზერბაიჯანი.

**– როგორც ვხედავ, ჩვენ თავდაცვის ერთადერთი საშუალება გვაქვს: დასავლეთის მიერ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა. ამით გავალთ ფონს?**

– ეს არ არის იმ დონის მხარდაჭერა, რა თქმა უნდა. ვინმეს თუ ჰგონია, რომ მაკკეინის მაიდანზე გავლა-გამოვლა სიტუაციას შეცვლის, ძალიან ცდება. სიტუაციას სხვა რამ შეცვლის, ის, რაც ახლახან გააკეთეს ევროკავშირის ქვეყნების წარმომადგენლებმა. დაიბარეს რამდენიმე უკრაინელი ოლიგარქი და პირდაპირ უთხრეს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მაიდანს მხარს არ დაუჭერდნენ, აქტივებს გაუყინავდნენ. ძალიან საინტერესო ფორმულირება იყო ახმეტოვთან მიმართებაში: რადგან მისი ოჯახის წევრები არიან ბრიტანეთის მოქალაქეები, ამდენად, პასუხისმგებლები არიან ბრიტანეთის საგადასახადო სისტემის წინაშე.

**– როგორი ნაცნობი მეთოდებია.**

– ერთი მხრივ, მას 225-მილიონიანი სახლის წინ მიტინგი მოუწყვეს და, მეორე მხრივ, აი, ეს უთხრეს. ახმეტოვიც გამოვიდა და კაცმა, რომელმაც იანუკოვიჩი მოიყვანა ხელისუფლებაში, ნეიტრალური განცხადება გააკეთა. მეორე ოლიგარქმა ტელეკომპანია დაუთმო მაიდანს, მესამე – საერთოდაც გვერდით დაუდგა ოპოზიციის წარმომადგენლებს. აი, ეს არის ქმედითი მექანიზმი.

**– ჩვენგან ვინ უნდა დაიბარონ? ჩვენებურების ოცნების მწვერვალი 83 000-ლარიანი „ჯიპია”.**

– ჩვენგან არა. რუსეთიდან უნდა დაიბარონ. ალბათ, მივა აქამდეც ევროკავშირი, მაგრამ ჯერჯერობით სხვა ქმედით რეაქციას ვერ ვხედავთ პოსტაბჭოთა ქვეყნების მიმართ. რაც მთავარია, ამერიკის შეერთებულ შტატებსაც შეუძლია მსგავსი ნაბიჯების გადადგმა. რუსეთი არის ოლიგარქიული სახელმწიფო, რომელიც დგას ოლიგარქების ინტერესებზე, ოლიგარქების ფინასური რესურსი კი მთლიანად დასავლეთშია. რუსეთის სახელმწიფო სარეზერვო ფონდი ამ წუთას იმყოფება ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამერიკის ეკონომიკაშია ჩადებული. ამდენად, შეერთებულ შტატებს მართლაც შეუძლია, ძალიან ქმედითი ბერკეტები აამუშაოს რუსეთის წინააღმდეგ როგორც ეკონომიკური, ისე პირადი, მაგრამ, ეტყობა, იქ სხვა ინტერესებიცაა და, ამდენად, მხოლოდ განცხადებების დონეზე ვართ გაჩერებული.

**– ჩვენ შეგვიძლია, მოვანდომოთ, ჩვენს პარტნიორებს აქტიურად დაიცვან ჩვენი ინტერესები? შეგვიძლია, შევცვალოთ მოსალოდნელი საფრთხეები?**

– როგორ არ შეგვიძლია?! თვითონ საქართველოს ბევრი რამის შეცვლა შეუძლია შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით. გასაგებია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ეს არის განუწყვეტელი აქტივობა, მაგრამ შიდა პოლიტიკაშიც შეგვიძლია ეფექტიანად მოქმედება. აქტივობების ნაწილს გეტყვით: არაერთხელ მითქვამს მხოლოდ უშიშროების ძალებით, რომელთა დონე ხშირად კრიტიკულია, ამ პრობლემის მოგვარება ქვემო ქართლსა თუ ჯავახეთში, შეუძლებელია. საჭიროა ძალიან სერიოზული ანალიტიკური ცენტრების შექმნა, რომლებიც არსებობს სომხეთსა და აზერბაიჯანში, მაგრამ არ არსებობს საქართველოში. ერთადერთი, არსებობს ანალიტიკური ცენტრები უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემებში, ისიც ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. ექსპერტები და პროფესიონალები ამ საქმეს მოწყვეტილები არიან. არადა, აუცილებელია ამ ხალხის კონსოლიდირება, ტვინების შეკრება და ცენტრის შექმნა ამ საფრთხეების ლიკვიდაციისთვის: ეს უნდა იყოს უშიშროების ძალებს პლუს პროფესიონალები. მით უმეტეს, რომ დღეს უშიშროების საბჭო, ფაქტობრივად, პარალიზებულია.

მეორეა სერიოზული ლობისტური ჯგუფების შექმნა უცხოეთში – არა მხოლოდ ლობისტურ ორგანიზაციებთან, არამედ დიასპორებთან თანამშრომლობით. მსოფლიოში ძალიან ბევრი ქართული დიასპორაა და მათ მობილიზებასა და სწორად ამოქმედებას ძალიან კარგი ეფექტი შეიძლება, მოჰყვეს, რაც დაამტკიცა პირველი ოქტომბრის არჩევნებმა. ყველაფერს ფული არ წყვეტს, საჭიროა: კავშირები, სურვილი, ორგანიზებულობა და დავალების სწორად ფორმულირება. ამას გარდა, სხვა ნაბიჯებიცაა გადასადგმელი, ყველაფერს არ მოვყვები პრესის ფურცლებზე. აღარაფერს ვამბობ დიალოგზე რუსეთთან და მსგავს აქტივობებზე. მთავარია, რომ ამით საკმაოდ შევამცირებთ მოსალოდნელ ხიფათს.

**ნინო ხაჩიძე**

**მართალია, ეს ჩვენი დედაქალაქი მოასფალტებულიცაა, გზაგაფართოებულიც, ფეხითმოსიარულეთა კუნძულებით აღჭურვილიც და, ზედაც, ავტობანებდამშვენებულიც, მაგრამ საცობები მაინც ჩვენი საავტომობილო ცხოვრების თანამდევი პრობლემაა. თბილისის ცენტრალური ქუჩები გაუვალია დროის თითქმის ნებისმიერ მონაკვეთში – მიუხედავად შემოვლითი გზის არსებობისა. უფრო მეტიც, განსაკუთრებით, იმ ადგილებში, სადაც ავტობანებია, თუმცა, მათი მშენებლობა სწორედ მოძრაობის განმუხტვას ემსახურებოდა, ოღონდ მცდელობამ საპირისპირო შედეგი გამოიღო. ბუნებრივად ისმის კითხვა, არის თუ არა ამის მიზეზი დედაქალაქში ავტომანქანების რაოდენობის ზრდა? შსს-ს მონაცემებით, საქართველოს ავტოპარკი ყოველწლიურად 9-პროცენტიანი მატებით ხასიათდება და ისიცაა, რომ თბილისის ვიწრო ქუჩებში „ჯიპები”, მაინცდამაინც, კომფორტულად ვერ ეტევიან. ამას ემატება ისიც, რომ ყველა ისე აჩერებს ავტომანქანას, როდესაც და სადაც მოესურვილება. რაც ყველაზე საინტერესოა, საცობებია მარჯვენა სანაპიროზე, სადაც გზა გაფართოვდა და აწ უკვე სამ ხაზში შეუძლიათ სრიალი ავტოებს. რატომ გახდა მოუნელებელი პრობლემა საცობები, არის თუ არა ამის ერთადერთი მიზეზი ავტომანქანების ჭარბი რაოდენობა და არსებობს თუ არა ამის თავიდან აცილების საშუალება, – თემას საქართველოს საავტომობილო სპორტის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესიონალი მრბოლელი, მევლუდ მელაძე განგვიმარტავს.**

# რატომ ქმნის საცობს ახლად შექმნილი გზაჯვარედინები და სერპანტინები და რატომ გააუარესებს უფრო მეტად საგზაო მოძრაობას მართვის მოწმობების ეგრეთ წოდებულ „ავტომატიკაზე“ გაცემა

**– თბილისის ქუჩებში თითქმის ყოველთვის პიკის საათია. რა მიზეზით: შუქნიშნებია არასწორად დამონტაჟებული, ქუჩების გამტარიანობაა არასაკმარისი თუ ავტომანქანების რაოდენობაა ზომაზე მეტი?**

– მიუხედავად იმისა, რომ თბილისს დაემატა გადასასვლელები და გაფართოვდა გზები, პრობლემები მაინც იქმნება, რადგან, როდესაც გაუაზრებლად აკეთებ რამეს, ის, როგორც წესი, ვითარებას აუარესებს, იმიტომ რომ, შეჩვეული ჭირი, ნებისმიერ შემთხვევაში, ჯობია. მთავარი შეცდომებია დაშვებული გზაჯვარედინების გაკეთებაში, თუმცა ამის გამოსწორება შესაძლებელია, უბრალოდ ერთმანეთთან დამაკავშირებელ გზებს მცირეოდენი კორექტირება სჭირდება, რომ ერთმანეთს არ კვეთდეს.

**– ალბათ, არსებობს რაღაც ზოგადი კრიტერიუმები, რაც იწვევს საცობს?**

– ზოგადად, საცობს იწვევს შემდეგი ძირითადი პარამეტრები: პირველია, შუქნიშანი, მით უმეტეს, აზიური ტიპის ქვეყნებში, იმიტომ რომ, მწვანის ანთების შემთხვევაში, ერთიანად არ იწყება ინტენსიური მოძრაობა: ვიღაც დაიძვრება, ვიღაც – არა, ანუ ბევრი შუქნიშანი ნიშნავს კატასტროფას მოძრაობაში. ამდენად, სწორი სვლა იყო, რომ შუქნიშნები არ დაუმატებიათ, მაგრამ საჭირო იყო გზების ისეთი კვეთა, რომ ერთმანეთს არ აფერხებდეს მანქანების ნაკადები. ანუ არც ერთი გზა არ უნდა კრავდეს სამკუთხედს ან ჩაკეტილ ოთხკუთხედს.

**– კონკრეტული მაგალითით ავხსნათ, რას ნიშნავს ეს?**

– ავიღოთ ყოფილ ელბაქიძის ქუჩაზე ასასვლელი: აქვე ვიტყვი, რომ იმ ადგილას არასდროს არაფერი ხდებოდა კატასტროფული, საცობი არ იქმნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი ჩასასვლელი და ამოსასვლელი იყო და დაბლა იდგა ერთი შუქნიშანი. ახლა კი, თუმცა ბევრი ჩასასვლელ-ამოსასვლელია და იმ გათვლით, რომ უფრო მოქნილი გახდებოდა მოძრაობა, გზაჯვარედინიც გაკეთდა, მაგრამ მაინც კატასტროფა გამოიწვია და რატომ – ყოფილი ელბაქიძის ქუჩიდან ჩამომსვლელ მანქანას შეუძლია, წავიდეს, მარჯვნივ, პირდაპირ, პირდაპირ წრეზე და მარცხნივ, რომ სანაპიროზე ჩავიდეს და წრეზე მოტრიალდეს და ისევ ზემოთ, ელბაქიძის ქუჩაზე ავიდეს. ახლა ავიღოთ ამომსვლელი მანქანა: შეუძლია, ავიდეს ელბაქიძეზე; შეუძლია, მოუხვიოს და მარცხნივ წავიდეს ან ისევ ჩავიდეს სანაპიროზე. ახლა ავიღოთ მარჯანიშვილიდან წამოსული მანქანა: მას შეუძლია, წავიდეს მარჯვნივ, პირდაპირ ავიდეს ელბაქიძეზე, შეუძლია, დატრიალდეს წრეზე და მარცხნივ წავიდეს ან მოტრიალდეს წრეზე და ისევ მარჯანიშვილზე გავიდეს. წარმოიდგინეთ, რამდენი კვეთა და მოძრაობის სურვილია: იქმნება ოთხკუთხედი და, რადგან ჩვენ დათმობა არ ვიცით და ყველას უნდა, პირველი გავიდეს, წინ ვდგავართ და არ ვატარებთ არავის. ამდენად, რაკი მოძრაობის კულტურაა ყველაზე დიდი პრობლემა, ამიტომ ჩვენს კულტურას უნდა მოვარგოთ გზები, როდესაც მათ ვაპროექტებთ. მაგალითად, ევროპასა თუ ამერიკაში ამაზე ძალიან ბევრს ფიქრობენ და ჭკვიანურად აკეთებენ. მართალია, ყველგან არის ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზები და სერპანტინები, მაგრამ ისეთები, რომლებიც ერთმანეთს არ კვეთს. ანუ ერთი გზა ადის და მარჯვნივ მიდის, მეორე გზა ადის და მარცხნივ მიდის, მესამე გზა ადის და პირდაპირ მიდის. ისე უნდა იყოს დაგეგმარებული გზები და სერპანტინები, რომ შეუჩერებლად შეგეძლოს გავლა.



**ოთხი ინერტული მძღოლი წინ და პლუს კიდევ ოთხი ინერტული მძღოლი შუაში, ნიშნავს საცობს. რასაც ემატება არასწორი მართვა: არ შეიძლება ერთი და იმავე სიჩქარით მოძრაობა სამივე ზოლში**

ჩვენ გვაქვს ნახაზები, თუ როგორი უნდა იყოს თბილისში ნებისმიერი ადგილი, რომ არ შეიქმნას საცობები და არ შეფერხდეს მოძრაობა. ადრე არ ითვალისწინებდნენ არანაირ აზრს, უცხოელეს უკვეთავდნენ პროექტებს. დღეს არ კი ვიცი, გაითვალისწინებენ თუ არა ჩვენს შენიშვნებს ან ვის უნდა მივმართო ამ თემაზე. ისრაელიდან ჩამოჰყავდათ ექსპერტები და ბევრ მილიონს ხარჯავდნენ, რაც საერთოდ ზედმეტი იყო, საჭიროა მცირე ჯგუფი, რომელიც დაითვლის ყველაფერს არსებული ნორმატივებით და ძალიან მარტივად განიტვირთება მოძრაობა.

**– გზა კი დაითვლება ნორმატივებით, მაგრამ მოძრაობის კულტურას რა ეშველება?**

– ამაზე უნდა ვიმუშაოთ სკოლებიდანვე. ამიტომაც ვაპირებთ, გავაკეთოთ ბავშვთა პატარა ქალაქი, პირველი სეგმენტი იქნება ნულიდან 12 წლამდე, მეორე – 12-დან 18 წლამდე, რომ მოძრაობის წესები ძალიან კარგად ვასწავლოთ, რადგან 15 წლის განმავლობაში არაფერი გვეშველება, სანამ ახალი თაობა, რომლებსაც ახლა დავუწყებთ სწავლებას, არ წამოგვეწევა.

**– სანაპიროზე, იუსტიციის სახლიდან თითქოს გზა გაფართოვდა, სამხაზიანია, მაგრამ მაინც საცობია დღის თითქმის ნებისმიერ მონაკვეთში, იმ დროს, როდესაც, იმავდროულად, საპირისპირო მოძრაობის ორხაზიან გზაზე საცობი არ არის დღე. ეს როგორ ხერხდება?**

– ისევ ჩვენი მართვის კულტურის პრობლემაა, რაც კიდევ უფრო გაუარესდება იმის გამო, რომ უკვე ნებადართულია მართვის მოწმობის აღება ავტომატიკიან მანქანებზე. თუ აქამდეც არაფერი იცოდნენ, ახლა საერთოდ არაფერი ეცოდინებათ. კარგად რომ ამეცადინო, ავტომატიკის გამოცდის ჩაბარება ერთი წლის ბავშვსაც კი შეეძლება, დააჭერ მუხრუჭს, გადაადგილდები, აუშვებ – იმოძრავებ, არადა, როდესაც ნულოვანი სიჩქარით ჩააბარებ გამოცდას, ვერაფრით მოხვალ იმ დინამიკაში, რაც საჭიროა ქალაქებსა და ტრასებზე მოძრაობისას. ამის დამატებაც გაართულებს მოძრაობას.

არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენზოლიანია გზა, 17-ზოლიანიც რომ იყოს, საცობი მაინც შეიქმნება, თუ მანქანები არასწორად მოძრაობენ. ავიღოთ სამზოლიანი გზა, როდესაც სამივე ზოლში ერთი და იმავე სიჩქარით მოძრაობს სამი ნელი მძღოლი. ვერც ასწრებ ან საავარიო სიტუაციას ქმნი, რომ გაასწრო, ამიტომ მათ იძულების წესით მისდევს მასა, რომელიც უფრო სწრაფად მოძრაობს. ამას ემატება, რომ სადღაც შუაში კიდევ სამი ნელა მოძრავი მძღოლი აღმოჩნდება და უკვე საცობია. ოთხი ინერტული მძღოლი წინ და პლუს კიდევ ოთხი ინერტული მძღოლი შუაში, ნიშნავს საცობს. რასაც ემატება არასწორი მართვა: არ შეიძლება ერთი და იმავე სიჩქარით მოძრაობა სამივე ზოლში. მაგალითად, დაბალი სიჩქარით მოძრაობისთვის გერმანიაში 150 ევროთი დაგვაჯარიმეს. ჩემი მეგობარი იჯდა საჭესთან, ვსაუბრობდით და ნელა ვმოძრაობდით. პოლიციამ გაგვაჩერა, შენიშვნა მოგვცა ნელა მოძრაობის გამო და დაგვაჯარიმეს, რადგან მოძრაობას ვაფერხებდით. სანამ ჩვენთანაც არ დადგება საკითხი, რომ ზოლებში შესაბამისი სიჩქარით უნდა იმოძრაოს ავტოსატრანსპორტო საშუალებებმა და ამის გამო პატრული მათ არ დააჯარიმებს, მუდმივად იქნება საცობები. ამას გარდა, პატრულიც ჩვენი საზოგადოების ნაწილია და მათაც უნდა ჩამოიყალიბონ მოძრაობის კულტურა. თუ ყველა წესისამებრ იმოძრავებს, მოძრაობა განიმუხტება. ანუ სამუშაოები ყველა მიმართულებითაა ჩასატარებელი, გარდა იმისა, რომ გზების კვეთებია მოსაწესრიგებელი.

**– მუდმივი საცობია ავტობანზე, თან, ნებისმიერი მხრიდან, განსაკუთრებით, თამარ მეფის ხიდიდან როდესაც მოძრაობ. ახლა უკვე შემოვლით გზაზე შემხვდა მერამდენედ საცობი, ოღონდ გმირთა მოედნისკენ შემოსვლისას. იქ რა ხდება?**

– იქაც შეცდომა იყო დაშვებული. როდესაც დაიდო იმ მონაკვეთის ნახაზი, დავითვალე გზების გამტარუნარიანობა, მაშინვე ვთქვი, რომ ეს საცობს გამოიწვევდა და ჯობდა, რაც იყო,

# რამდენი საცხოვრებელი ბინა და მიწის ნაკვეთი აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილე გიორგი ზედელაშვილს

შს მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ზედელაშვილი 1969 წელსაა დაბადებული თბილისში. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. მას სამი პროფესია აქვს: კერძოდ, 1987-1993 წლებში თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა, რის წყალობითაც მსოფლიო ისტორიის სპეციალისტი გახდა; თითქმის იმავე წლებში, ანუ 1989-დან 1993 წლამდე თსუ-ის სპეცფაკულტეტზე – „ბიზნესის უმაღლეს სკოლაშიც“ სწავლობდა და ბიზნესის ორგანიზაციასა და მენეჯმენტს დაეუფლა; ხოლო 1994 წლიდან თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე ეუფლებოდა იურისპრუდენციას 1999 წლამდე.

მისი პროფესიული გამოცდილება 1994 წელს იწყება, მაშინ მისი პროფესიისთვის ცოტათი შეუფერებელ სტრუქტურაში. კერძოდ, სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თბილისის სამმართველოს ვაკის რაიონულ განყოფილებაში, სადაც ოპერატიულ თანამშრომლად 1996 წლამდე იმუშავა. იმავე წელს სპეციალური დაცვის სამსახურში გადავიდა და სამსახურის უფროსის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების კონსულტანტი გახდა, მოგვიანებით, სამსახურის უფროსის თანაშემწეც; 1997-1998 წლებში სახელმწიფო სპეციალური დაცვის სამსახურის ოპერატიული სამმართველოს I განყოფილების I მიმართულების უფროსადაც დაინიშნა. 1998 წელს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში გადავიდა და თბილისის სამსახურის ვაკის რაიონული განყოფილების უფროსად 2003 წლამდე იმუშავა.

2003-დან 2004-მდე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამმართველოს უფროსი იყო. 2004 წელს ისევ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურს დაუბრუნდა და 2006 წლამდე პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების და ინსპექტირების სამმართველოს უფროსის თანამდებობა ეკავა. 2006-2010 წლებში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გენერალური ინსპექციის უფროსად დაწინაურდა. 2010-ში იმავე სამსახურის კადრების სამმართველოს უფროსად გადაიყვანეს; 2011-ში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციის ოპერატიული დაგეგმვის სამმართველოს უფროსად დაინიშნა. 2012 წელს შსს-ში გადაიყვანეს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორის მოადგილედ. 2013 წლის თებერვლიდან სააგენტოს დირექტორი გახდა, ხოლო 2013 წლის ნოემბრიდან კი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეა.



მართალია, სახელმწიფო თანამდებობებზე წლების განმავლობაში მუშაობდა, თუმცა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო დეკლარაცია მხოლოდ 2013 წლის თებერვალში შეავსო. ბ-ნი ზედელაშვილი ოჯახის წევრებად მიუთითებს: 1969 წელს დაბადებულ მეუღლეს – ნატო ჩიქოვანს და შვილებს: 1990 წელს დაბადებულ გივის, 1997 წელს დაბადებულ თამარს და 2005 წელს დაბადებულ მარიამს.

გიორგი ზედელაშვილის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე (140 კვადრატული მეტრი ფართობის), იქვე მდებარე 40 კვადრატული მეტრი ფართობის ავტოფარეხი, მიწის ნაკვეთი თბილისში (928 კვადრატული მეტრი ფართობის) და 2008 წლის ავტომანქანა NISSAN QASHQAI. ნატო ჩიქოვანის საკუთრებაა მიწის ნაკვეთი ბეთანიაში – 1 340 კვადრატული მეტრი ფართობის.

დეკლარაციის შევსების დროს ნაღდი ფული მხოლოდ ოჯახის უფროსს ჰქონდა – 8 000 ლარი. 2012 წლის განმავლობაში გიორგი ზედელაშვილმა, როგორც სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამმართველოს უფროსმა, 1 756 ლარი აიღო, ხოლო, როგორც შსს-ს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ 5 229 ლარი. თუ სახელმწიფო მოხელეთა ხელფასებს გავიხსენებთ, ბ-ნი ზედელაშვილის მიერ 2012 წლის განმავლობაში არცთუ დაბალ თანამდებობებზე მუშაობისას გამომუშავებული თანხა არაადეკვატურად დაბალია.

**ნინო ხაჩიძე**

---

ის დაეტოვებინათ. კიდევ კარგი, ფილარმონიიდან ჩამოსასვლელ გზას შემდეგ დაამატეს ასასვლელი ვაკისკენ. გმირთა მოედანზე მოხდა ის, რომ მანქანების ნაკადი გაიზარდა ერთი მხრიდან, როდესაც დაამატეს შემოსასვლელი შემოვლითი გზიდან და არ იანგარიშეს, რომ იქიდან წამოსული ნაკადი შეუერთდებოდა ცენტრალურ ძარღვს. ანუ, თუ ერთი ნაკადი იყო, გახდა სამი და ის გზა არ ჰყოფნის. თუ დააკვირვებიხართ, ავტობანებზე არის ტროტუარი, იქ, სადაც საჭირო არ არის, არადა, ის ფართობი რომ გზისთვის დაემატებინათ, მოძრაობა ორზოლიანი გახდებოდა და საცობები არ იქნებოდა. სამ ზოლად მოძრაობენ მანქანები და უცებ ერთ ზოლში უნდა აღმოჩნდეს ყველა. ვიღაც ნელი მძღოლიც ამოჩნდება სათავეში და უკვე საცობია. ძაბრში წყალს თუ დიდი ნაკადით ჩაასხამთ, ვერ გაივლის და დაგროვებას დაიწყებს. იგივე ხდება გმირთა მოედანზეც.

**– მუდმივი საცობია ლაგუნა ვერესთანაც.**

– ახალი სერპანტინი რომ დააყენეს, არავის უფიქრია ხიდების ისე გაკეთებაზე, რომ ფილარმონიიდან წამოსული ნაკადი პირდაპირ გადასულიყო დიღმისკენ მიმავალ ავტობანზე. ახლა კი ფილარმონიიდან მოძრავი მანქანა უნდა გავიდეს მარცხნივ, რომ დიღმისკენ იმოძრაოს, გმირთა მოედნიდან წამოსული კი უნდა გადმოვიდეს მარჯვნივ, რომ სანაპიროსკენ გავიდეს. არადა, ფილარმონიის გადასასვლელი ერთი პატარა ხიდით უნდა დაკავშირებოდა დიღმისკენ მიმავალ სერპანტინს და განიმუხტებოდა მოძრაობა. ყველგან პატარა „პერემიჩკებია“ დასამატებელი და მოძრაობა განიმუხტება.

**– ფეხით მოსიარულეების კუნძულებმა შეაფერხა თუ გააუმჯობესა მოძრაობა?**

– კუნძულები ცუდი არ არის, კარგად ახერხებს ნაკადების სეპარაციას, უბრალოდ, როდესაც თავიდან ჩაატარეს ექსპერიმენტი ვაგზლისკენ მიმავალ გზაზე და ნახეს, რომ კუნძულები კარგად მუშაობდა, ადგნენ და ყველგან გააკეთეს, იქაც, სადაც არ იყო საჭირო ამხელა კუნძულები. ამ კუნძულებით გზა შეავიწროეს. მხოლოდ გამყოფ ზოლად რომ გაეკეთებინათ ფეხით მოსიარულეთა კუნძულები, ამ შემთხვევაში, წაადგებოდა მოძრაობის რეგულაციას.

**– „ისნის” მეტროსთან უამრავი კუნძულია და მუდმივად საცობიც.**

– იმიტომ რომ დიდი ზომის კუნძულები გააკეთეს, ლამის ჩიხია.

**– როგორც მივხვდი, თბილისში საცობის მიზეზი არ არის ავტომანქანების ჭარბი რაოდენობა?**

– გეთანხმებით, მართალია, იმატა ავტომანქანების რაოდენობამ, მაგრამ ეს გადამწყვეტ როლს არ ასრულებს. ვთქვათ, გერმანიაში ამავე რაოდენობის მანქანებით და მათ მიერ კარგად დაგეგმილი გზებით, არათუ საცობი არ იქნებოდა, ვერც კი მივხვდებოდი, რომ გზა დატვირთულია.

**– დავაზუსტებ, ჩვენთან მანქანების ისეთი რაოდენობაა, რომ გზები შესაძლოა, მუდმივად თავისუფალი იყოს მოძრაობისთვის?**

– დიახ.

**– შესაბამისად, ის მეთოდები, რომლებსაც იყენებენ ავტომანქანებით გადატვირთულ ქალაქებში საცობების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ არ გამოგვადგება. იმიტომ რომ მაინც არ გვეშველება არაფერი?**

– სამი პრობლემაა: გზების დაგეგმარება, მართვის კულტურა და მძღოლების გამოუცდელობა. მართვის მოწმობას აძლევენ ადამიანს, რომელსაც არსად უვლია. მოძრაობის კულტურას ბავშვობიდან უნდა ჩავუყაროთ საფუძველი, მართვის მოწმობა კი უნდა მივცეთ ადამიანს, რომელმაც მართლაც იცის ავტომანქანის მართვა. ევროპაში დიდი ხანია, დაასკვნეს, რომ საჭიროა სავალდებულო გაკვეთილების რაოდენობა და სანამ ინსტრუქტორი არ გაძლევს დასტურს, რომ ქალაქში, ტრასაზე კარგად ატარებ მანქანას, არ გაძლევს უფლებას, გახვიდე გამოცდაზე. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც და ამას გარდა, მცირე კორექციაა საჭირო დაგეგმარებაში.

**– რიგ შემთხვევაში ეს ხარჯთანაა დაკავშირებული, რიგ შემთხვევაში ხარჯების გარეშეც მოგვარდება?**

– არის ადგილები, სადაც ხარჯის გარეშეცაა შესაძლებელი საცობის პრობლემის მოგვარება: რომელიღაც ერთი მიმართულება უნდა გაუქმდეს, ერთი კვეთა და ალტერანტიული გზა გაკეთდეს. მთავარია, როგორც გითხარით, ჩაკეტილი სამკუთხედი და ოთხკუთხედი არ შეიქმნას. როდესაც საცობში მოვხვდები, ვიცი, რა ხდება, ამიტომ მაშინვე გადმოვდივარ მანქანიდან, მივდივარ იქ, სადაც საცობი იწყება, განვმუხტავ მოძრაობას და საცობიც მთავრდება.

**– ყოველ შემთხვევაში, თქვენ ეს ნახაზები გაქვთ და, თუ ვინმე დაინეტერესდება, მიაწვდით?**

– რა თქმა უნდა, თუ ვინმე დაინტერესდება, ნებისმიერ დროს თავიდან დავუხაზავ, უკვე იმდენჯერ მაქვს გათვლილი ეს ყველაფერი.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**იმ მარტივი მიზეზით, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების პარაფირება მოხდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასოცირების პროცესი კიდევ უფრო ინტენსიურ ფაზაში გადავიდა, იუსტიციის სამინისტრო ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე მუშაობს და ახალ – ინსპექტორის ინსტიტუტს გვთავაზობს. სამუშაო პროექტი გასულ კვირას საზოგადოებასაც წარუდგინეს: ჯერ ერთი, გაცნობის და, სავარაუდოდ, შენიშვნების მოსმენის მიზნითაც. საიას იურისტი გიორგი გოცირიძე ესწრებოდა განხილვას და სწორედ მას ვთხოვეთ, აეხსნა ჩვენი რეალობისთვის ახალი კანონპროექტის არსი, მიზნები და ისიც, თუ რით შეუმსუბუქებს თუ, პირიქით, შეუზღუდავს მოქალაქეებს მდგომარეობას ხსენებული კანონპროექტი, ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც ის კანონად იქცევა.**

# რა შემთხვევაში არ არის დისკრიმინაცია თანამშრომლებისთვის დაქორწინების აკრძალვა და რა ტიპის დისკრიმინაციული ქმედების გამო შეიძლება, დააჯარიმოს ინსპექტორმა ფიზიკური პირები 100-დან 500 ლარამდე

**– მხოლოდ ევროკავშირთან ასოცირების პროცესია ამ ტიპის კანონმდებლობაზე მუშაობის მიზეზი?**

– უპირველესად, ეს არის ევროკავშირთან ასოცირების შემადგენელი ნაწილი, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობდეს დისკრიმინაციასთან ბრძოლის კონკრეტული მექანიზმები და, გარდა ამისა, ასოცირებაც რომ არც ყოფილიყო, აუცილებელია, ქვეყანაში არსებობდეს გაუმართლებელი არათანაბრობის აღმოფხვრის საშუალებები და არ არის აუცილებელი, რომ ეს მხოლოდ უმცირესობებს ეხებოდეს. არსებობს უმრავლესობის დისკრიმინაციის ფაქტებიც, მაგალითად, როდესაც ეთნიკურად ქართველ მამაკაცებს არ უშვებდნენ ამა თუ იმ ბარში. ასე რომ, უმრავლესობამაც გამოსცადა დისკრიმინაციის სიმწარე.

**– და, ძალიან ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას ჩვენს ქვეყანაში ქალები.**

– რა თქმა უნდა, უმრავლესობის წარმომადგენლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ არათანაბარი მოპყრობის მსხვერპლნი. ეს კანონპროექტი არაფერს ადგენს ახალს, რაც მანამდე არ მოქმედებდა და არ იყო ასახული სხვადასხვა კანონში, საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომელთა მონაწილეც არის საქართველო და, ბოლოს და ბოლოს, გვაქვს საქართველოს კონსტიტუციის მეთოთხმეტე მუხლი, რომელიც პირდაპირ კრძალავს დისკრიმინაციას. ასევე, არსებობს საკონსტიტუციო სასამართლოს უამრავი გადაწყვეტილება დისკრიმინაციის შესახებ, თუმცა, ეს კანონპროექტი სიახლესაც გვთავაზობს. კერძოდ, შემოდის ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელიც გააკონტროლებს დისკრიმინაციას არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, არამედ, კერძო დაწესებულებებში, რომლებიც საჯარო სერვისს ახორციელებენ, მაგალითად, რამეს ყიდიან ან მომსახურებას ეწევიან. თუკი ისინი ამ სერვისებს დისკრიმინაციულად გასცემენ, იარსებებს მექანიზმი, რომელიც რეაგირებას მოახდენს მსგავს საკითხებზე. როდესაც დამიკავშირდნენ ჟურნალისტები და არაბულ ბარებში ეთნიკურად ქართველი მამაკაცების არშეშვების ფაქტის შეფასება მთხოვეს, მე ვუპასუხე, რომ ეს იყო დისკრიმინაცია, მაგრამ, კანონმდებლობაში არ არსებობდა მექანიზმი, რომელიც დაადგენდა, თუ რა შეიძლებოდა, მოჰყოლოდა ასეთ ქმედებას სანქციის სახით. მართალია, სახელმწიფო სტრუქტურებთან მიმართებაში სხვა კანონმდებლობა მოქმედებს, მაგრამ, არსად წერია, რა მოჰყება კერძო ტიპის დისკრიმინაციას; არ არსებობდა რეაგირების მექანიზმი, რის საშუალებასაც ახლა უკვე ეს კანონპროექტი იძლევა.



**თუ დამსაქმებელმა ქალებსა და მამაკაცებს თანაბრად ჩამოართვა დაქორწინების უფლება, ეს დისკრიმინაცია არ არის, პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა და ასეთი საკითხები არ შედის ინსპექტორის მანდატში**

**– სანამ რეაგირების მექანიზმებზე გადავალთ, დავაზუსტებ: მხოლოდ ის კერძო დაწესებულებები მოხვდებიან ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის არეალში, რომლებსაც რაღაც ფორმით აქვთ შეხება საზოგადოებასთან? თუ, შიგნით, კერძო სტრუქტურაში ხდება თანამშრომლების დისკრიმინაცია?**

– ეს დაკონკრეტებული არ არის კანონში, მაგრამ, რადგან შრომის ბაზარზე ყველას თანაბარი წვდომა უნდა ჰქონდეს, ესეც საზოგადოებისთვის სასარგებლო სერვისის მიწოდებაა. თუმცა, არსებობს რაღაც ტიპის დაწესებულებები, სადაც ბოლომდე ვერ გააკონტროლებ ამ პროცესს. მაგალითად, პოლიტიკურ პარტიას ვერ მოსთხოვ განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ადამიანის წევრად მიღებას.

**– წერია ეს პროექტში?**

– არა და ჩემი შენიშვნაც ეს არის. ამას გარდა, არის სხვა ინტერესთა ჯგუფებიც, რომლებშიც ყველა ადამიანი ვერ მოხვდება. მაგალითად, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას აქვს რაღაც კრიტერიუმი, რის მიხედვითაც ჩვენ ვიღებთ წევრებს – ის აუცილებლად უნდა იყოს იურისტი. შესაძლოა, ეს არის განსხვავებული მოპყრობა, მაგრამ, ეს ვერ იქნება კანონით აკრძალული დისკრიმინაცია. „შრომის კოდექსი“ ისედაც კრძალავდა დისკრიმინაციას, მაგალითად, დისკრიმინაცია იყო და არის, თუ სამსახურში არ მივიღე ფეხმძიმე ქალბატონი, რაც აკრძალულია „შრომის კოდექსით“, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც არ არსებობდა მექანიზმი, როგორ უნდა ემოქმედა ამგვარი დისკრიმინაციის მსხვერპლს კერძო დამსაქმებელთან მიმართებაში. ახლა ეს კანონი გვთავაზობს მექანიზმს; ფაქტობრივად, ეს არის მექანიზმის კანონი და არა დისკრიმინაციის ამკრძალავი საშუალება.

**– როგორ დაისჯება დისკრიმინაციის ჩამდენი და ვინ დასჯის მას?**

– შემოთავაზებულია მექანიზმი – ინსპექტორი, რომელსაც საქართველოს პარლამენტი 4 წლის ვადით აირჩევს. მართალია, ჩვენ გვყავს სახალხო დამცველი, მაგრამ მისი ფუნქცია შეზღუდულია მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებით. თანაც, ომბუდსმენი მხოლოდ რეკომენდაციებით შემოიფარგლება, რომელთა შესრულება არ არის სავალდებულო და რამე იძულებითი მექანიზმი მას არ გააჩნია. მაშინ, როდესაც ინსპექტორის იურისდიქცია არ შემოიფარგლება სახელმწიფო დაწესებულებებით, მას აქვს იურისდიქცია კერძო ტიპის დაწესებულებებზეც და აქვს იძულების ფუნქციაც. თუკი ინსპექტორი დაადგენს, რომ კონკრეტულმა სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებამ ჩაიდინა დისკრიმინაცია, მას აქვს დაჯარიმების მექანიზმი.

**– ანუ, აპარატი ეყოლება?**

– ეყოლება მოადგილე და, ბუნებრივია, აპარატი. იმავდროულად, ისინი გარკვეული გარანტიებით ისარგებლებენ: მათ არ შეიძლება, იძულებითი ჩვენება მისცენ იმ ინფორმაციის შესახებ, რაც მათ გაანდეს როგორც ინსპექტორს ან ინსპექტორის აპარატის თანამშრომელს. თუკი დადგინდება, რომ დისკრიმინაცია მოხდა, ინსპექტორი სთხოვს შესაბამის უწყებას, აღმოფხვრას დისკრიმინაციული ქმედება და აკისრებს ჯარიმას. თუ ჯარიმის გადახდა არ მოხდა, მისი ოდენობა სამმაგდება. ანუ, მართალია, ინსპექტორი თვითონ ვერ შეცვლის კონკრეტულ გადაწყვეტილებას, მაგრამ, აქვს საშუალება, აიძულოს კონკრეტული დაწესებულება, შეცვალოს ეს დისკრიმინაციული პრაქტიკა კონკრეტულ პირთან მიმართებაში.

**– ჯარიმის ოდენობა რამდენია?**

– ჯარიმის ოდენობა განსხვავებულია ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მიმართებაში. ფიზიკური პირი პირველ ჯერზე ჯარიმდება 100-დან 500 ლარამდე, ხოლო იურიდიული პირი, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანო – 500-დან 2 000 ლარამდე: თუკი არ გადაიხდის დაკისრებულ ჯარიმას, მისი ოდენობა სამმაგდება.

**– ფიზიკურმა პირმა რით შეიძლება, გამოიწვიოს დისკრიმინაცია?**

– მაგალითად, ეს, შეიძლება, იყოს ინდმეწარმე, ან, ფიზიკური პირი იყოს დამქირავებელი და მოახდინოს დაქირავებული პირის დისკრიმინაცია.

**– თეორიულად, ქუჩაში გამვლელმა მეორე გამვლელის მიმართ, შეიძლება, ჩაიდინოს დისკრიმინაცია? ან სამეზობლოში?**

– შესაძლოა, ფიზიკურმა პირმაც ჩაიდინოს დისკრიმინაცია და ის დაჯარიმდება ამის გამო.

**– მაინც შევახსენოთ მკითხველს, რა არის დისკრიმინაცია?**

– დისკრიმინაცია არის განსაზღვრული ნიშნით თანაბარ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების მიმართ განსხვავებული მოპყრობა ან განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების მიმართ თანაბარი მოპყრობა, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანისადმი და ასეთი პრობლემის არმქონე ადამიანისადმი ერთნაირი მიდგომა. იგივე ხდება რწმენის შემთხვევაშიც: შესაძლოა, კონკრეტული რწმენა არ უკრძალავდეს ადამიანს სამხედრო სამსახურს, მაგალითად, მართლმადიდებლებს არ ეკრძალებათ სამხედრო სამსახური, თუმცა, არიან სხვა რელიგიური ჯგუფები, რომელთა წარმომადგენლებსაც ეს ეკრძალებათ.

**– მაგრამ, მათთვის ხომ არსებობს ალტერნატიული – შრომითი სამსახური?**

– არსებობს, მაგრამ, ალტერნატიული სამსახურის შესახებ კანონი რომ არ არსებობდეს, ეს იქნებოდა დისკრიმინაცია. სხვათა შორის, რეზერვთან მიმართებაში იყო პრობლემები: მაგალითად, სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან, მართალია, თავისუფლდებოდნენ და მიდიოდნენ ალტერნატიულ სამსახურში, მაგრამ, პაციფისტები, იეღოვას მოწმეები, კვაკერები და სხვა რელიგიური ჯგუფები არ თავისუფლდებოდნენ რეზერვისგან, რადგან, სახელმწიფო ყველას მიმართ ერთნაირ მოთხოვნას ახორციელებდა: ყველას სთხოვდა სარეზერვო სამსახურში წასვლას. ეს იყო დისკრიმინაცია და საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება – კონკრეტული ნორმა, რომელიც არ აძლევდა რეზერვს დაქვემდებარებულ ადამიანს ალტერნატიული სამსახურის მოთხოვნის საშუალებას, არაკონსტიტუციურად ცნო, რადგან, დისკრიმინაციული იყო.

# საბავშვო სტუდია „გვირილა“ 2013 წლის საუკეთესო სტუდიად და გამარჯვებულად დასახელდა

*საბავშვო სტუდია „გვირილა” ხშირად ახარებს თავის გულშემატკივარს და არაერთხელ მოუპოვებია გამარჯვება ამა თუ იმ კონკურსსა თუ დაჯილდოებაზე. დეკემბერში „გვირილამ” კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა. კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში ჩატარდა, საქართველოს მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალი – „მეგა 2013”. „მეგას” დაჯილდოებას ყოველწლიური სახე აქვს და უკვე 14 წელია, აქტიურად იმართება.*



*2013 წლის გამარჯვებულებს შორის საუკეთესო საბავშვო სტუდიად „გვირილა” დასახელდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდია „გვირილა” უკვე ორი „მეგას” მფლობელია. პირველი „მეგა” „გვირილამ” 2008 წელს აიღო, ნომინაციაში „წლის საუკეთესო დუეტი,” სიმღერით ანიმაციური ფილმიდან – „ურჩხული და მზეთუნახავი,” რომელიც სტუდია „გვირილას” სოლისტებმა, თათია ბააკაშვილმა და გიორგი ღოღობერიძემ შეასრულეს.*

*საბავშვო სტუდია „გვირილას” გამარჯვება ცნობილმა ადამიანებმაც მიულოცეს.*

**გივი სიხარულიძე** *(მსახიობი)*: ვულოცავ „გვირილას” ამ გამარჯვებას. ეს არის საბავშვო სტუდია, რომელსაც აქვს დიდი ნდობა და რეპუტაცია.

**ნუგზარ კვაშალი** *(მომღერალი)*: სტუდია „გვირილა” გამოირჩევა ნამდვილად მაღალი პროფესიონალიზმითა და დახვეწილი გემოვნებით.

**ერნა წიფურია** *(სტუდია „გვირილას” ხელმძღვანელი)*: 2013 წელი ფეხბედნიერი აღმოჩნდა „გვირილასათვის:” დიდი გამარჯვება ბულგარეთში, აღებული გრანპრი და შემდგომ გამარჯვება ნომინაციაში – „2013 წლის საუკეთესო საბავშვო სტუდია.”

**ნინო ჩიხლაძე** *(სტუდიის პროექტების მენეჯერი)*: ძალიან მიხარია სტუდიის წარმატებები. ახლა სტუდიაში საახალწლო მზადების პერიოდია, მზად-




დება ახალი საახალწლო პროგრამა. მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ ცეზარ ჩოჩელს, გენერალურ სპონსორს კომპანია „მიქსორს,” კომპანია „ზედაზენსა” და კომპანია „ფრუტო ნიანიას” თანადგომისთვის. პროექტი შეიცავს ინტეგრაციული ხასიათის შინაარსს. ღონისძიებაში მონაწილეობენ ქალბატონი ნინელი ჭანკვეტაძის ფონდის – „ჩემი სახლის” ბავშვები, რომლებიც სტუდია „გვირილას” ბავშვებთან ერთად წარდგებიან მაყურებლის წინაშე საახალწლო პროგრამით. პროგრამაზე, ჩაცმულობასა და მათ ვოკალურ-ქორეოგრაფიულ ტრენინგზე სრულიად უანგაროდ ზრუნავს სტუდია „გვირილა”.



**ნათია ასათიანი** *(სტუდია „გვირილას” ვოკალის პედაგოგი)*: კმაყოფილი ვარ ჩემი აღსაზრდელებით. სულ მალე კონცერტები გველის გორში, მცხეთაში და მთაწმინდის პარკში. ბავშვებს ელოდებათ ბევრი სიურპრიზი და საახალწლო საჩუქრები.

საბავშვო სტუდია „გვირილა” ამჯერად კიდევ ერთი კონცერტისთვის ემზადება: 28 დეკემბერს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „გვირილა” საქველმოქმედო კონცერტს ჩაატარებს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „გვირილას” ახალი თაობის წარმომადგენლებიც.

---

აქვე ვიტყვი, რომ ეს არ არის სიახლე, უბრალოდ, ახალ კანონპროექტში მოცემულია პროცესუალური და ინსტიტუციური სიახლე ინსპექტორის სახით, რომელიც უზრუნველყოფს, რომ დისკრიმინაციის არც ერთი ფაქტი რეაგირებისა და დასჯის გარეშე არ დარჩეს.

**– როგორ ვამტკიცებ დისკრიმინაციას? რით ხელმძღვანელობს ინსპექტორი ასეთ დროს, არის ეს გაწერილი კანონპროექტში?**

– რადგან დისკრიმინაციის კრიტერიუმები ამომწურავად ვერ იქნება ჩამოთვლილი, პირდაპირი დისკრიმინაციაა ეს თუ ირიბი, შევთავაზეთ ამ კანონპროექტის ავტორს, იუსტიციის სამინისტროს, რომ კანონპროექტში ჩაწერილიყო დებულებები, თუ რა შეიძლება, ყოფილიყო ინსპექტორისთვის სახელმძღვანელო იმის დასადგენად, მოხდა თუ არა დისკრიმინაცია. ეს უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუცია, ევროპული ხელშეკრულებები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რაც უნდა გახდეს სამართლებრივი ბაზა, რითაც უნდა იხელმძღვანელოს ინსპექტორმა იმის დასადგენად, მოხდა თუ არა დისკრიმინაცია.

**– კანონში ეს არ არის გაწერილი?**

– არა.

**– აბა, რის მიხედვით გამოვლინდება დისკრიმინაციის ფაქტი?**

– იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ ეს თავისთავად იგულისხმება, თუმცა, მაინც სასურველია, რომ ჩაიწეროს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: შესაძლოა, გარკვეული დისკრიმინაციის აკრძალვა წინააღმდეგობაში მოვიდეს სხვა უფლებასთან, მაგალითად, რელიგიის თავისუფლებასთან. საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განაწესის მიხედვით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეთნიკურად ქართველი უნდა იყოს. ეს არის განსხვავებული მოპყრობა, მაგრამ, უნდა ჩაითვალოს თუ არა დისკრიმიანციად? ამიტომ, კანონპროექტში გაჩნდა სპეციალური ჩანაწერი, რომ, არ შეიძლება ეს კანონი, იმგვარად იყოს განმარტებული, რომ ხელი შეუშალოს კონკრეტულ ჯგუფს, განახორციელოს თავისი რელიგიური რიტუალი, შეასრულოს თავისი წესები, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ ეს საჯარო წესრიგს არ დაარღვევს.

**– ეს განმარტება თუ არ იქნა, მაშინ, ისიც დისკრიმინაციად შეიძლება, ჩაითვალოს, რომ არ შეიძლება, სასულიერო პირი იყოს ქალი.**

– იმ ქმედების დისკრიმინაციულად შესაფასებლად, რომელიც ეკლესიის ან რომელიმე რელიგიური ჯგუფის ფარგლებს არ სცილდება, ხორციელდება ეკლესიის ან სხვა რელიგიური ჯგუფის შიგნით, ეს კანონი, ბუნებრივია, არ იქნება გამოყენებული. სხვათა შორის, იგივე შეიძლება ითქვას არასამთავრობო ორგანიზაციებზე. სამწუხაროდ, მართალია, ეს კანონში არ წერია, მაგრამ, არასამთავრობო ორგანიზაციის შიდა ორგანიზაციულ საქმეებსა და შიდა წევრობის კრიტერიუმებზე არ უნდა ვრცელდებოდეს ეს კანონი. მათ უნდა ჰქონდეთ წევრთა სელექციის საშუალება, რაც ისეთი ტიპის ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ღირებულებებს ეფუძნება, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ამ კანონის ხარვეზია და მიმაჩნია, რომ უნდა ჩაიწეროს. თუმცა, გასაგებია, რომ კანონში ყველაფერი ვერ ჩაიწერება, რადგან, დისკრიმინაცია ამოუწურავი თემაა. კანონის იდეაა არა იმის თქმა, რა არის და არ არის დისკრიმინაცია, არამედ, მისი მიზანია, აღმოფხვრას დისკრიმინაცია, თუკი ის იქნება.

**– კერძო სტრუქტურებში გავრცელებული პრაქტიკაა, დასაქირავებლებმა პირობა დადონ, რომ არ დაოჯახდებიან. არის ეს დისკრიმინაცია?**

– დისკრიმინაცია არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ, არის სხვა უფლების შელახვა. მაგრამ, თუ მამაკაც თანამშრომლებს ამგვარ პირობას არ ართმევენ და მხოლოდ ქალებს სთხოვენ, მაშინ ეს დისკრიმინაცია იქნება. ერთი სიტყვით, თუ ორივე ჯგუფს ჩამოართვეს ეს უფლება, მაშინ ეს არის არა დისკრიმინაცია, არამედ, პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა და ასეთი საკითხები არ შედის ინსპექტორის მანდატში. ეს ომბუდსმენს ეხება, თუმცა, ომბუდსმენი კერძო კომპანიებთან მიმართებაში ვერაფერს გააწყობს.

**– დისკრიმინაციაში ინსპექტორის ჩარევის შემდეგ როგორ წარმოგიდგენიათ დაჯარიმებული დისკრიმინატორი ხელმძღვანელისა და დისკრიმინებული თანამშრომლის ურთიერთობა? მეორე თვეს სხვა რამით მოსდებს შარს.**

– თუ ის კონკრეტული პირი ვერ განაგრძობს თანამშრომლობას, უკვე სხვასთან მიმართებაში ხელმძღვანელს ეცოდინება, რომ ამ საფუძვლით არ უნდა დაძაბოს ურთიერთობა. ზოგადად, სასამართლოს დავაც კი არ გამორიცხავს, რომ ადამიანებმა საერთო ენა ვერ გამონახონ.

**– ერთსქესიანი ქორწინებების არარსებობა შეიძლება, განვიხილოთ, როგორც დისკრიმინაცია?**

– ეს არის კონკრეტული უფლება და, როგორც გითხარით, ეს კანონი რამე ახალ უფლებას არ ამატებს, არც ადრე არსებულ უფლებას კრძალავს, უბრალოდ, დისკრიმინაციისგან დაცვის მექანიზმი იქმნება. ერთსქესიანი ქორწინება არ არსებობდა ამ კანონის მიღებამდე და, შესაბამისად, ამ კანონსაც არ შემოაქვს. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი და ამ კუთხით არაფერი იცვლება. რა თქმა უნდა, სექსუალური ნიშნით დისკრიმინაცია ახლაც აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით კი იქმნება მექანიზი, თუ როგორ უნდა მოახდინოს სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელმა რეაგირება, თუ მას სამსახურიდან გაათავისუფლებენ, ქირავნობის უფლებას შეუწყვეტენ ან სხვა რამე სიკეთეზე ეტყვიან უარს, მაგრამ, ეს არ ეხება ერთსქესიანი ქორწინების უფლებას.

**ნინო ხაჩიძე**

# რა აკავშირებს უფლისწულ გიორგის ესპანეთის მეფე ხუან კარლოსთან

ერთიანი საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფე იყო ალექსანდრე I დიდი (1412-1442). მის მერე გამეფდა მისი უფროსი ვაჟი – ვახტანგ IV (1442-1446). ოთხ წელიწადში იგი უძეოდ გარდაიცვალა. შემდეგ საქართველოს ტახტზე ავიდა ალექსანდრე I დიდის მესამე ვაჟი, გიორგი VIII, იგი ზრდიდა თავისი უფროსი ძმის, უკვე გარდაცვლილი დემეტრე უფლისწულის მცირეწლოვან ვაჟს, უფლისწულ კონსტანტინეს.

გიორგი VIII-ს ტახტისთვის ებრძოდა თავისი ბიძაშვილი, ალექსანდრე დიდის ძმის, გიორგის ძე – ბაგრატი, რომელმაც 1463 წელს დაამარცხა კიდეც და იმერეთის მეფედ გამოაცხადა თავი (იმერეთში – ბაგრატ II). მან სათავე დაუდო იმერეთის ბაგრატიონთა დინასტიას.

ბიძა-ძმისწული, გიორგი VIII და უფლისწული კონსტანტინე, 1465 წელს ასევე დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო სამცხის ათაბაგმა ყვარყვარე II-მ. ამით ისარგებლა ბაგრატმა და თავი უკვე საქართველოს მეფედ გამოაცხადა (ტფილისის ტახტზე – ბაგრატ VI).

ტყვეობიდან დაბრუნებულმა გიორგი მერვემ ვერ შეძლო ბაგრატ მეექვსის დამარცხება, ვერ დაიბრუნა ტფილისის ტახტი და კახეთში გამეფდა 1466 წელს (კახეთში – გიორგი I). მან დაუდო სათავე კახეთის ბაგრატიონთა დინასტიას.

ბაგრატ VI ქართლსა და იმერეთს განაგებდა 1466-1478 წლებში. ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ, უფლისწულმა კონსტანტინემ შეძლო ტახტის დაბრუნება და ცოტა ხანს აკონტროლებდა ქართლსა და იმერეთს, მაგრამ, შემდეგ, 1484 წელს, ალექსანდრე ბაგრატის ძემ მოახერხა და გამეფდა იმერეთში, ქართლი კი დარჩა კონსტანტინე II-ს. მან დაუდო სათავე ქართლის ბაგრატიონთა დინასტიას.

დაახლოებით 1512 წელს კონსტანტინე II-ის ვაჟმა, ბაგრატმა, თავის ძმას, მეფე დავით X-ს გამოსთხოვა მუხრანის ტერიტორია საუფლისწულოდ და „არაგვისა და ქსნის-ხევნი მთიულ-მოხევითურთ თვისსა მორჩილებასა ქვეშე" მოაქცია – მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილი.

@ბაგრატ ალაშენა ციხე მტვერისა" – ქსნის ციხე. ამავე ბაგრატმა დაატყვევა ქსნის ციხეში კახეთის მეფე გიორგი II (ავ-გიორგი), რომელიც ქართლს არბევდა. ავ-გიორგი იქვე გარდაიცვალა.

ასე დაარსდა მუხრანელ ბაგრატიონთა საუფლიწულო-საბატონო; ასევე, სათავე დაედო ქართლის დინასტიის უმცროს განშტოებას – მუხრანბატონთა დინასტიას.

საუფლისწულოს საზღვრები დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისათვის მასში სამოცამდე სოფელი შედიოდა.

მუხრანელ ბაგრატიონთა სახლის უფროსს მუხრანბატონი ეწოდებოდა, სახლიკაცებს – მუხრანბატონიშვილები. ქართლის



სამეფოში შიდა ქართლის სადროშოს სარდლობა მუხრანბატონებმა მიიღეს.

მუხრანის საუფლისწულო შეგვიძლია შევადაროთ ევროპულ საჰერცოგოს, თანაც, სამეფო საგვარეულოსგან გამოყოფილ ჰერცოგთა დინასტიას. ხანდახან, თუ სამეფო შტო შეწყდებოდა, ვითარცა მონათესავე შტო დინასტიისა, ადიოდა სამეფო ტახტზე. საქართველოშიც იყო ასეთი პრეცედენტი (ბაგრატ III ავიდა დავით III კურაპალატის ტახტზე და საქართველოს კუთხეების სხვა ტახტებზე). ისტორიამ გაიმეორა მაგალითი 1658 წელს, თუმცა, მივყვეთ ქრონოლოგიურად.

ბაგრატ უფლისწულის გარდაცვალების მერე, 1540 წელს, მისი ვაჟი – ვახტანგი (I მუხრანბატონობის ნუმერაციით) გახდა მუხრანბატონი. 1580 წელს, ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ, მისი ძე – თეიმურაზი (I) გახდა მუხრანბატონი. თეიმურაზი დაიღუპა მარაბდის ბრძოლაში.

თეიმურაზის უფროსი ვაჟი, ვახტანგი, იშვილა ქართლის უძეო მეფე როსტომმა. როსტომის გარდაცვალებით წყდებოდა ქართლის მეფეთა შტო. ქართული კანონების მიხედვით, როცა წყდება სამეფო შტოს მამაკაცური ხაზი, მემკვიდრეობა გადადის ყველაზე ახლო ნათესავებზე, მაგრამ, აუცილებლად ბაგრატიონებზე.

როსტომ მეფის სიკვდილის მერე, 1658 წელს, ვახტანგ V (ქართლის, ტფილისის მეფეთა ნუმერაციით) ავიდა ქართლის ტახტზე, ხოლო ვახტანგის ძმა – კონსტანტინე (I მუხრანბატონობის ნუმერაციით) გახდა მუხრანბატონი.

1668 წელს, კონსტანტინეს სიკვდილის მერე, მუხრანბატონი გახდა მისი ძე – თეიმურაზი (II მუხრანბატონობის ნუმერაციით).

თეიმურაზ მუხრანბატონის შვილი იყო კონსტანტინე (II) მუხრანბატონი. იგი გარდაიცვალა 1716 წელს. მისი შვილი იყო კონსტანტინე (III) მუხრანბატონი.

კონსტანტინე (III) მუხრანბატონის ვაჟი იყო ივანე (იოანე) მუხრანბატონი, რომელსაც ერეკლე II-მ მიათხოვა თავისი ქალიშვილი – ქეთევანი.

1801 წელს დაიღუპა იოანე მუხრანბატონი და მუხრანბატონი გახდა მისი ვაჟი – კონსტანტინე (IV).

თუმცა, მალე რუსეთის იმპერიამ მუხრანის საუფლისწულო-საბატონო გააუქმა.

კონსტანტინე (IV) მუხრანბატონის უფროსი ვაჟი იყო ივანე (II), დაბადებული 1812 წელს. იგი გახდა მუხრანბატონთა დინასტიის უფროსი. 1895 წელს გარდაიცვალა ივანე მუხრანბატონი და შტოს მეთაური გახდა მისი ვაჟი – კონსტანტინე (V).

მუხრანბატონობა ამ შტოს წარმომადგენლებს გაუუგვარდათ. რუსეთის იმპერიაში მათ მოიხსენიებდნენ რუსული ფორმით, როგორც მუხრანსკებს.

„მუხრანსკი" ნიშნავს მუხრანის მფლობელს, ბატონს. ამ შტოს ყველა წარმომადგენელი ბაგრატიონ-მუხრანსკის გვარს ატარებდა. სინამდვილეში კი, ლეგიტიმური უფროსი შეიძლებოდა მხოლოდ ერთი მუხრანბატონი ყოფილიყო, სხვები კი – მუხრანბატონიშვილები.

ქართულად წერისას ასე უფრო უპრიანია.

კონსტანტინე მუხრანბატონი გარდაიცვალა უძეოდ, 1903 წელს და შტოს უფროსი, მუხრანბატონი, მუხრანის უფლისწული გახდა მისი ბიძაშვილი – ალექსანდრე (I) ერეკლეს ძე. ალექსანდრე ბაგრატიონი იყო გენერალი.

1918 წელს ალექსანდრე ბაგრატიონი ბოლშევიკებმა მოკლეს და მუხრანის უფლისწული, მუხრანბატონი გახდა მისი ვაჟი – გიორგი (I).

1919 წელს უძეოდ გარდაიცვალა ბაგრატიონ-მუხრანელთა სამეფო შტოს უკანასკნელი წარმომადგენელი, ქართლის მეფის, ვახტანგ V-ის შთამომავალი, დიმიტრი პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი.

მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში გი-

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებული ბავშვები ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას და დახმარებას დღემდე ელიან

***რამდენი ბავშვია საქართველოში დაავადებული ამ სენით? როგორ და რა პირობებში მიმდინარეობს მათი მკურნალობა და რაც უმთავრესია, რას აკეთებს და როგორ ზრუნავს მათზე სახელმწიფო? როგორც ირკვევა, იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებული ბავშვები სახელმწიფოს გადაწყვეტილებას და დახმარებას დღემდე ელიან!***

ცნობისთვის, იუვენილური ართრიტი იშვიათი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც 6 თვიდან 16 წლამდე ასაკის ბავშვებში ვითარდება. ის უპირატესად სახსრებისა და თვალის დაზიანებით მიმდინარეობს. საქართველოში დაავადებულია დაახლოებით 700 ბავშვი. ბავშვების დიდ ნაწილს აღენიშნება მნიშვნელოვანი შრომისუუნარობა და შეზღუდული შესაძლებლობები. პაციენტთა ნახევარზე მეტი, განსაკუთრებით მძიმე ფორმების დროს 5-10 წლის განმავლობაში III-IV ჯგუფის ინვალიდი ხდება. დაავადების მიზეზი უცნობია. სპეციალისტთან დაგვიანებული მიმართვა და არაადეკვატური მკურნალობა, აუარესებს დაავადების პროგნოზს.

და მაინც, რატომ არის ეს დაავადება ასეთი საშიში და რა შეიძლება გამოიწვიოს მან, თუ დროული და ადეკვატური მკურნალობა არ მოხდა?

დაავადების დროს იცვლება სახსრის სტრუქტურა. სახსარი კარგავს ფუნქციას, რისთვისაც ის არსებობს – მოძრაობის უნარს, ვითარდება ამოვარდნილობები, ქვეამოვარდნილობები. ბავშვი კარგავს, მოძრაობის, გადაადგილების, თვითმომსახურების, ზოგჯერ კვების მიღების უნარსაც კი, ვინაიდან, სახსარი, რომელიც უზრუნველყოფს საკვების ღეჭვას, აღარ ფუნქციონირებს. გაცილებით მძიმეა სურათი სისტემური ფორმის დროს, როცა ართრიტს თან ახლავს ცხელება და შინაგანი ორგანოების დაზიანება: პლევრიტი, პერიკარდიტი, ენდოკარდიტი, ნეფრიტი და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, საუბარია არა მხოლოდ სიცოცხლის ხარისხზე. ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენება ამ პრობლემას გარკვეულწილად ხსნის, - განმარტავს რევმატოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, მთავარი ექიმი, ასოცირებული პროფესორი მაკა იოსელიანი.

ევროპის მონაცემებით, ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენების დაწყებამ, შეცვალა იუვენილური ართრიტის პროგნოზი. არაადეკვატური, არადროული მკურნალობის შემთხვევაში კი, პროგნოზი მძიმეა: ამ პათოლოგიის მქონე ბავშვთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 10 წლით მცირდება და დაავადებულთა 50 პროცენტი 10 წლის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის ხდება.

რა ბედი ელით იშვიათი დაავადებით – იუვენილური რევმატოიდული ართრიტით დაავადებულ ბავშვებს? როგორ გადაწყვეტს სახელმწიფო მათ მომავალს და რა კომენტარებს აკეთებს ამ თემასთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრო?



როგორც გაირკვა, ამ საკითხზე კონკრეტული პოზიცია ჯანდაცვის სამინისტროს ჯერჯერობით არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო ჯგუფი უკვე შეიქმნა და ამ საკითხის შესწავლა მიმდინარეობს, მთავარი ფაქტორი მაინც პრობლემის დროულად გადაჭრაა, რადგან საქმე ეხება ბავშვებს. დაავადება, რომელზედაც საუბარი გვაქვს, სიცოცხლისთვის სახიფათოა.

„2011 წლიდან ჩვენი კავშირი მუდმივად ცდილობს, კომუნიკაციას ჯანდაცვის სამინისტროსთან. სამწუხაროდ, ეს მსოლოდ 2013 წელს, თებერვალში მოხერხდა. კერძოდ, ჩატარდა დახურული ტიპის შეხვედრა, რომელსაც სამედიცინო პერსონალის გარდა, ესწრებოდნენ ჯანდაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. შემუშავდა ჯანდაცვის სამინისტროსადმი ერთობლივი მიმართვა, რომელშიც ნათლად იყო გაშუქებული არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ჩვენეული ხედვა. ამასათანავე, სამინისტროს მივაწოდეთ იმ 14 ბავშვის სია, რომელთაც დაუყოვნებლივ ესაჭიროებათ მკურნალობა ბიოლოგიური პრეპარატებით და ვთხოვდით მათ დაფინანსებას. საპასუხოდ მივიღეთ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის მიერ ხელმოწერილი წერილი, რომელშიც აფიქსირებდნენ, რომ აღნიშნულ პრობლემაზე მიმდინარეობდა მუშაობა. თუმცა, მდგომარეობა დღესაც უცვლელია, – აცხადებს მშობელთა კავშირის თავმჯდომარე ანა ბოქოლიშვილი

განიხილა თუ არა ჯანდაცვის სამინისტრომ აღნიშნული საკითხი და რა გადაწყვეტილება მიიღო, დღემდე ბუნდოვანი რჩება.

იშვიათი დაავადებები უნდა ფინანსდებოდეს სახელმწიფოს მიერ, მაგრამ საქართველოში იშვიათი დაავადებების ჩამონათვალის სრულყოფილი ნუსხაც კი არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით 2001 წელს დამტკიცებულ იშვიათ დაავადებათა ჩამონათვალს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ სიის განახლება. განახლებული სიის საფუძველზე, უნდა მოხდეს დაავადებების სამართავად გამოყოფილი თანხების რაციონალური გადანაწილება.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, იშვიათი დაავადებების მართვა წარმოადგენს სახელმწიფო პრეროგატივას. ეს ევროპულ ქვეყანათა უმრავლესობის კანონმდებლობაშია ასახული. 2000 წელს მიღებული კანონის „საქართველოს პაციენტის უფლებების შესახებ”, ერთ-ერთ მუხლში აღნიშნულია იშვიათი დაავადებები და დეკლარირებულია სახელმწიფოს ვალდებულებები იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების მიმართ. უკანასკნელი წლების განმავლობაში, აგრეთვე, მიღებულ იქნა რიგი რეგულაციებისა. ყველა ქვეყანაში არსებობს მათთვის პრიორიტეტულ იშვიათ დაავადებათა ნუსხა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სამედიცინო მომსახურება ასეთ პაციენტთათვის. ბუნებრივია, რომ ამ ნუსხაში შემავალ დაავადებათა რაოდენობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირდაპირ პროპორციულია: რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, მით უფრო გრძელია ეს ნუსხა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ 2001 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ოფიციალურად დამტკიცებული ნუსხა არ ასახავს ჩვენს ქვეყანაში იშვიათ დაავადებათა გავრცელების რეალურ სურათს. სამწუხაროდ, მასში შეტანილი არ არის საქართველოსთვის მართლაც პრიორიტეტულ დაავადებათა მთელი რიგი, თუმცა, ამასთანავე, ჩართულია ისეთი დაავადებები, რომლებიც დღეს არა მარტო არ რეგისტრირდება, არამედ არ შეესაბამება იშვიათი დაავადების კრიტერიუმებს, – განმარტავს „გენეტიკური და იშვიათი დაავადებების საქართველოს ფონდის” აღმასრულებელი დირექტორი, პროფესორი ოლეგ ქვლივიძე.

---

ორგი ბაგრატიონ-მუხრანბატონს ოჯახთან ერთად მოუწია ემიგრაციაში წასვლა. უკვე ემიგრაციაში, მუხრანბატონებმა გამოაცხადეს პრეტენზია ქართლის დინასტიის, ქართლელი გრუზინსკების (მუხრანული შტოს უფროსი განშტოების), ვახტანგ V-ის შთამომავლების მემკვიდრეობაზე, ანუ, ტფილისისა და მთელი საქართველოს ტახტზე, - ისე, ტფილისის ტახტის მფლობელობა აგრძელებს ერთიანი სამეფოს მეფეთა ნუმერაციას, რაც მათ დაუმტკიცა რუსეთის ტახტის მემკვიდრემ, ვლადიმირ კირილის ძემ (რომელიც მერე მისი სიძეც გახდა). ამგვარად, ემიგრაციაში გიორგი ალექსანდრეს ძე გამოცხადდა დინასტიის მეთაურად.

როგორც ადრე ვუამბეთ მკითხველს, 1940 წელს, ემიგრაციაში ყოფნისას, მისი ვაჟი, ირაკლი, დაქორწინდა იტალიელი გრაფის, უგო პასქუინის ასულ მარია ანტუანეტაზე. მათ 1944 წლის 22 თებერვალს შეეძინათ ვაჟიშვილი – გიორგი, რომელსაც ქართველები ვიცნობდით ლეგენდარული ქართველი ავტომრბოლელი პრინცის – გიორგის, ესპანურად – ხორხეს სახელით.

1946 წელს ირაკლი ბაგრატიონმა კვლავ იქორწინა, ამჯერად ბავარიის პრინცის ასულზე, ინფანტა მერსედესზე, რომელიც დედის მხრიდან იყო ესპანეთის მეფის შვილიშვილი. ირაკლი ბაგრატიონსა და ინფანტა მერსედესს შეეძინათ ორი შვილი: 1947 წელს – მარია დე ლას პასი და 1949 წელს – ბაგრატ ჟან მარი.

მარიამ და ბაგრატ ბაგრატიონები საკმაოდ ახლო ნათესავები არიან ესპანეთის ახლანდელი მეფის – ხუან კარლოსისა. მათი ბებია, მარია ტერეზია ბურბონი ჰაბსბურგი იყო ხუან კარლოსის პაპის, ესპანეთის მეფის, ალფონსო XIII-ის და.

1957 წელს გარდაიცვალა გიორგი ალექსანდრეს ძე მუხრანბატონი და შტოს უფროსი გახდა ირაკლი ბაგრატიონი.

1977 წელს გარდაიცვალა ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანბატონი. უფლისწული გახდა გიორგი (ხორხე) ბაგრატიონ-მუხრანბატონი. საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, როგორც კი შეძლო, გიორგი ბაგრატიონმა მიატოვა აყვავებული ესპანეთი, თუმცა ძალიან უყვარდა და სამშობლოში დაბრუნდა. „მე უნდა ვემსახურო ჩემს ხალხს... მე სამშობლოში უნდა დავიმარხო“ – ამბობდა ის. იგი 2008 წელს გარდაიცვალა და დაკრძალეს სვეტიცხოველში.

გიორგი ბაგრატიონს დარჩა ოთხი შვილი: უფროსი – მარიამი (რომელიც დაქორწინებულია და ჰყავს ვაჟი), ირაკლი, დავითი და გურამი (უგო).

2009 წელს, ერთიანი საქართველოს მეფის, ალექსანდრე I დიდის მეორე შვილის შთამომავლმა, დავით ბაგრატიონ-მუხრანბატონმა იქორწინა ალექსანდრე I დიდის მესამე შვილის შთამომავალზე, ანა ნუგზარის ასულ ბაგრატიონ-გრუზინსკიზე. 2011 წლის 27 სექტემბერს მათ შეეძინათ ვაჟი – გიორგი.

პატარა უფლისწული, რომელიც ახლა 2 წლისაა, 3 ნოემბერს მოინათლა სვეტიცხოველში.

**გიორგი მახოზეშვილი**

**ადვოკატ ლედი ტუკვაძეზე ლეგენდები დადის. ის კრიმინალური ავტორიტეტების ადვოკატადაა ცნობილი, თუმცა მხოლოდ ეგრეთ წოდებულ ქურდებს არ იცავს. ყველაზე საინტერესო ეპიზოდი ტუკვაძის ბიოგრაფიიდან ერთი „კრიმინალური" პასაჟია: ლედი ტუკვაძე ტარიელ ონიანის „კრიმინალურ ოჯახთან" დაახლოებულ პერსონად აღიქმება, თუმცა წელს მან ეს მითი დაამსხვრია: ციხეებში საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი პატიმრების ინტერესებს იცავს და მათი ოჯახების ადვოკატია. მათ შორის წლის გახმაურებული – კორტავასა და ძველაიას საქმეებიცაა. მათი სკანდალური ადვოკატი ამ საკითხებზე გვესაუბრება.**

# რა უხერხულობა შეუქმნა ქურდებთან დაახლოებულ ადვოკატს კორტავას საქმემ

**– ქალბატონო ლედი, თქვენს წლის გახმაურებული საქმეებიდან კორტავას საქმეს გამოვყოფდით. იმდენი ქენით, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს მაღალჩინოსნები დაიჭირა პროკურატურამ. რა ხდება, ვისზე გავა კიდევ გამოძიება?**

– ლევან კორტავას საქმე იყო ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული და რთული. დღესაც მიმაჩნია, რომ ამ ტრაგედიის თავი ციხის ადმინისტრაცია იყო. მათ ვერ უზრუნველყვეს ლევანის უსაფრთხოება, რაც ასეთი ცუდი შედეგით დამთავრდა. უკვე დადგა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხი, ახლახან ბრალი რამდენიმე პატიმარსაც წაუყენეს. ჩემი სურვილია, პროკურატურა ძალიან ფრთხილად მოეკიდოს ამ საქმის გამოძიებას. დაზარალებულს რეალური სურათი სჭირდება: ის, ვინც დამნაშავეა ლევანის სიცოცხლის მოსპობაში და არა სანახაობრივად, მხოლოდ ვინმეს დასჯაა თვითმიზანი.



**– გოგა ძველაიას საქმე არანაკლებ სკანდალური იყო, არასრულწლოვანი ბავშვის გარდაცვალებამ ბევრი კითხვა გააჩინა. ბევრმა პოლიტიკოსმა საკუთარი პოლიტიკური ქულების დასაწერადაც გამოიყენა ეს საქმე. ჩვენ გვახსოვს თქვენი ობიექტური კომენტარები აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, რეალურად რა მოხდა?**

– თქვენ როგორ მიგაჩნიათ, მე რომ ოდნავ რაიმე საეჭვო დამენახა, რაც არასრულწლოვანი ბავშვის სიცოცხლის ხელყოფასთან იყო დაკავშირებული, რა ძალა შემაჩერებდა, სიმართლე არ მეთქვა?! მე არ ვარ პოლიტიკოსი და არ მაინტერესებს არანაირი პოლიტიკური განცხადებები. ჩემთვის მთავარია ობიექტურ შედეგამდე მისვლა და დადასტურებულია, რომ გოგა ძველაიაზე არ განხორციელებულა ფიზიკური ზემოქმედება. იყო თუ არა ფსიქოლოგიური, რამაც გოგა ძველაიას თვითმკვლელობა გამოიწვია, გამოძიება ამაზე უახლოეს დღეებში დადებს დასკვნას.

**– ნათია გიორგიძე – გოგონა, რომელსაც 3 წელიწადია ეძებენ. ეს არის ძალიან რეზონანსული საქმე. რამდენიმე დღის წინ თქვენ კომენტარები გააკეთეთ, რომ ახალი დეტალები გახდა ცნობილი ამ საქმეზე. რა დეტალებზეა საუბარი?**

– არ ვაპირებდი ამ თემის გახმაურებას, მაგრამ დავინახე, რომ შესაძლებელია, ისევ ჩემი ოჯახი დადგეს საფრთხის ქვეშ. გამოიკვეთა ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც არ უნდა აკლდეს მფარველები სახელმწიფო სტრუქტურებში. ყველას ვაფრთხილებ, ვინც რაიმე იცის და ჩემთვის ცნობილია, რომ მათ იციან სიმართლე – ითანამშრომლონ სამართალდამცავ სტრუქტურებთან. თქვან ის, რასაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ ან არ ამბობდნენ. ნათია გიორგიძის საქმისადმი მე მაქვს ძალიან პრინციპული დამოკიდებულება. ყველა დედამ წარმოიდგინოს: 19 წლის შვილი დაკარგული ჰყავს და მის დედას 3 წელია ლოგინში არ სძინავს. უბრალოდ, შეგძრავთ მისი ნახვა. ამიტომ, როგორც ადვოკატისთვის, ეს საქმე ძალიან პრინციპულია. ზოგადად, საქმეში იმდენად პრინციპული ვარ, რომ ახსოვს, ალბათ, თქვენს მკითხველს, როგორ ამიფეთქეს მანქანა, მაგრამ მაინც ვერ გამაჩერეს.

**– ამ ბოლო დროს კრიმინალური ავტორიტეტები ძლიერდებიან ციხეებში, ლევან კორტავაც ხომ ეგრეთ წოდებულმა „მაყურებლებმა" მოკლეს. თქვენ, როგორც მათთან დაახლოებულ ადვოკატს, უხერხულობა არ შეგიქმნათ ამ საქმემ?**

– მე არ ვიცი, ვინ სად ძლიერდება. ციხეში 90 პროცენტი კრიმინალი ზის. მე ჩემს მაგალითზე ვიტყვი, როცა აკეთებენ განცხადებას, რომ ეგრეთ წოდებულ კრიმინალურ ავტორიტეტებს პრივილეგიები აქვს სხვებთან შედარებით. უბრალოდ, პატიმრის გვარის დასახელებისგან თავს შევიკავებ – ამ ადამიანის გვარს და სახელს ხშირად ახსენებენ პოლიტიკოსები, რომ ის განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობს ციხეში. სინამდვილეში, ის უმძიმესი ავადმყოფია, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც რემონტი მიდიოდა, ჰყავდათ მტვერში ეს კისერგამოღადრული კაცი და ლამის 200 განცხადება შევიტანეთ და ერთი ომი დაგვჭირდა სუბარის უწყებასთან მის ონკოლოგიურ საავადმყოფოში გადაყვანაზე. რაც შეეხება კორტავას საქმეში ჩემს უხერხულობას – ერთადერთი, ეს ჩემი შვილის მიმართ შემექმნა, როცა კორტავას საქმეზე ბრალი ჩემი შვილის მეგობრის მამას წაუყენეს. ჩემი გოგონა მიიჩნევს, რომ მისი მეგობრის მამა უდანაშაულოა. ეს ჩემთვის ძალიან მძიმეა, რამაც ცოტა დამაფიქრა. ისე, ერთი კია, ლიდერი რომ იყო ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა – შენი ამბიციები ცოტა გვერდზე უნდა გადადო, რომ შენი ქმედებით ბევრი ადამიანი საფრთხის ქვეშ არ დააყენო. გამგები გამიგებს, ამით რისი თქმა მინდა.

**– ტარიელ ფოცხვერიას, იგივე „ტარასას" გულისხმობთ, რომელიც ონკოლოგიურში მძიმე პირობებში ჰყავდათ?**

– კი, ის ძალიან მძიმედაა ავად, ციხეში დაავადდა. სააკაშვილის პერიოდის სასჯელაღსრულების სისტემა მალავდა მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას. რატომღაც აღმოჩნდა, რომ ტარიელ ფოცხვერია ყოველთვის სპეკულაციის საგანი იყო და არა მხოლოდ იმ მთავრობისთვის. კაცს, რომელსაც აქვს ხორხის კიბო, ციროზი და შენ ექიმთან ხელბორკილებით მიგყავს, ცოტა არ იყოს, უკვე ადამიანურ ჩარჩოებს ცდება.

**– ამბობენ თავის დროზე, ტარიელ ონიანმაც გისახსოვრათ საათი. ახლა რომ გიკეთიათ საათი, რომელიც ასევე ძვირად ღირებული ჩანს, ესეც კრიმინალურმა ავტორიტეტებმა გაჩუქეს?**

– ჰო, ამაზეც ბევრი ჭორები დადის. მაგრამ, ეს საათი მე შევიძინე კერძო პირისგან. ჩემს გარშემო ყველამ იცის, რომ „საათომანი" ანუ საათების განსაკუთრებული მოყვარული ვარ.

**– მოდი, ისევ ხელისუფლებას დავუბრუნდეთ. პროკურატურაში განხორციელებული ცვლილებების შემდგომ, როგორი სამართლებრივი პოლიტიკა ტარდება?**

– ძალიან დიდი იმედებით ვუყურებდით არა მარტო მე, არამედ მთელი საზოგადოება ამ ცვლილებებს. მე, მგონი, არაფერი შეცვლილა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდა გენახათ, როგორი კეთილშობილური სახეები ჰქონდათ ძალოვან სტრუქტურებში – სამაგიეროდ, ახლა ნახეთ, რა დღეში არიან... მე ვისურვებდი, რომ ამათთვისაც სულერთი არ გახდეს ადამიანის ბედი და სიცოცხლე, როგორც 9 წლის განმავლობაში იყო. ახლა კი ცოტა შეიცვალა სიტუაცია, მაგრამ ძირითადად, ისევ იგივეა. ხომ იცით, სკოლის მოსწავლეს სულ „იგივე" რომ აქვს სასწავლი, მისი შეფასების ბოლო – ორია, შემდეგ ჩარჩენა და ბოლოს სკოლიდან გაგდება!

**– ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენს საადვოკატო ბიუროში ახალი სამსახური ყალიბდება, რომელიც ძლიერი პროფესიონალებით იქნება დაკომპლექტებული. რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსანი და ცნობილი ექსპერტებიც გამოთქვამენ თანამშრომლობის სურვილს. შეგიძლიათ, გვითხრათ რა სამსახური იქმნება?**

– ეს იქნება ალტერნატიული გამოძიების სამსახური, რომელიც დაკომპლექტებდა საქართველოში ყველაზე ძლიერი სპეციალისტებით. ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვისაც სურვილი ექნება, რომ შევუგროვოთ მტკიცებულებები კონკრეტულ საქმეებზე. ეს იქნება მობილური ჯგუფი, რომელიც გავა შემთხვევის ადგილზე და დაიწყებს მუშაობას. აღნიშნული ადამიანები ჩემთან ერთად უკვე მუშაობენ სხვადასხვა საქმეზე. ეს ჯგუფი დაკავდება მხოლოდ რთული კატეგორიის საქმეებით. ძალიან მალე ოფიციალურად გაიხსნება ოფისი თბილისში და დავიწყებთ რეზონანსული საქმეების კვლევას, მათ შორის სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ჩატარებული გახმაურებული სპეცოპერაციების ხელახალ გამოძიებას.

**ეკა ნაკაიძე**


რადიო ჰოლდინგი "ფორტუნა" და საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოგიდგენთ მუსიკალური დაჯილდოვების ცერემონიალს
ოქროს ფარი
31 დეკემბერს 23 სთ-ზე უყურეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის და მოუსმინეთ რადიო "ფორტუნას" ეთერში.
TV.GE
106,9 FM FORTUNA
103.4 FM FORTUNA PLUS
ავტორადიო FM 95.1 თბილისი
MUSIC BOX
FM 102.4

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სად ხდება მოძრავ ნივთებზე უფლების წარმოშობის რეგისტრაცია და კონკრეტულად, რის საფუძველზე წარმოებს მოძრავი ნივთის რეგისტრაცია?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების წარმოშობის, უფლებაში ცვლილების, ანდა უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია, წარმოებს მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში. რეგისტრაცია ხორციელდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეტყობინების ან ინსტრუქციით განსაზღვრული სხვა ინფორმაციის, ანდა დოკუმენტის საფუძველზე. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია, მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის შესახებ, განცხადების რეგისტრაციისთანავე, დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. რაც შეეხება რეგისტრაციის საფუძვლად წარსადგენი მონაცემების წარდგენის წესს, ის განისაზღვრება ინსტრუქციით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ვის შეუძლია გაასაჩივროს უძრავი ქონების მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილოება და როგორია გასაჩივრების წესი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს მისი ოფიციალურად გაცნობისთანავე, ხოლო გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემთხვევაში – გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. რეგისტრაციაზე უარის თქმის, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებისა, საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლო წესით. რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს რეგისტრირებული მონაცემების მოქმედებას და არ კრძალავს ამ მონაცემების საფუძველზე ამონაწერის თუ სხვა სამართლებრივი აქტის გაცემას, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული. სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება, ასევე არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, სისხლის სამართლის საქმის განხილვის რომელ ეტაპზე და როგორ ხდება კონკრეტულად საქმეში არსებული სხვადასხვა სახის ნივთმტკიცების ბედის განსაზღვრა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ განაჩენში, სისხლისსამართლებრივი დევნის, ანდა გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში, ნივთიერი მტკიცებულების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: თუ დანაშაულის იარაღს ან საგანს ღირებულება არა აქვს, ის ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია; თუ ბრუნვიდან ამოღებულ ნივთს აქვს რაიმე ღირებულება, ის გადაეცემა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო თუ მას ღირებულება არა აქვს, – ნადგურდება; სხვა ნივთი, რომელსაც ღირებულება არა აქვს, დაინტერესებული პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს შუამდგომლობით, მას გადაეცემა, ხოლო თუ ასეთი პირი ან ორგანო არ აღმოჩნდა – ნადგურდება; დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავალი ან ქონება ხმარდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ზიანის ანაზღაურების შემდეგ – საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას, ხოლო თუ ცნობილი არ არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა – გადაეცემა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს; დაზარალებულის, გამართლებულის, ან სხვა პირის კუთვნილი ყველა ნივთი და დოკუმენტი, ბრალდებულისა და იმ პირის გარდა, რომელსაც მათზე ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, უბრუნდება მესაკუთრეს ან მფლობელს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ გადაწყდება საკითხი იმ შემთხვევაში, როცა პირისაგან ამოღებული იქნა ძვირფასი ნივთი როგორც ნივთმტკიცება, მაგრამ შემდეგ ეს ნივთი უკვალოდ დაიკარგა და ამის გამო წარმოშობილია დავა ნივთის მესაკუთრესა და საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელ ორგანოს შორის?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ზოგადად, დავა ნივთიერი მტკიცებულების გამო წყდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში კი, მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას. ამასთან, ეს წესი არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება საპროცესო კონფისკაციას, განადგურებას და საპროცესო ხარჯების ანაზღაურებას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს ადვოკატის მიერ ბრალდების მხარისთვის წინასწარი გამოძიების პროცესში მტკიცებულებათა გადმოცემის თაობაზე დაყენებული შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ, იმ მომენტისთვის არსებული მასალის მხარისთვის, კონკრეტულად კი, დაცვის მხარისთვის სრული მოცულობით გადაუცემლობა, იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, გამოძიების რა ეტაპზე შეუძლია, მოსთხოვოს ადვოკატმა პროკურორს იმ დროისთვის მის ხელთ არსებული მტკიცებულებების გადაცემა?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ამგვარი მოთხოვნის უფლება ადვოკატს აქვს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. ამასთან, დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა სისხლის სამართლის საქმეზე საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღდგენა და დადებით შემთხვევაში, როგორ ხორციელდება ეს პროცედურა?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა, თუ ეს არ იწვევს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას. გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობა სასამართლოში წერილობით უნდა შევიდეს საპატიო მიზეზის აღმოფხვრიდან 1 კვირის განმავლობაში. სასამართლო ამ საკითხს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე 10 დღეში. ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს. სასამართლოს გადაწყვეტილება გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ინტიმური საუბრები

### ახალ წელს ათი წლის უნახავი შეყვარებული მიბრუნდება

ახალი წელი ახლოვდება და ძალიან ბედნიერი ვარ. ჯერ ერთი, ყველაზე მეტად საერო დღესასწაულებიდან ეს დღე მიყვარს და, მეორეც, ათწლიანი განშორების შემდეგ საქართველოში ბრუნდება ჩემი შეყვარებული და ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით. შეიძლება, ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ, მთელი ეს ათი წელი ველოდი მის ჩამოსვლას. სხვა კაცისკენ არც კი გამოხედავს, თუმცა, მომწონებელიც და ხელის მთხოვნელიც ბევრი მყავდა. სხვათა შორის, ბევრი ახლობელი ცდილობდა ჩემს „გამოფხიზლებას“ და მეუბნებოდა: ის რა ღირსია, შენისთანა ქალმა ასე უერთგულოს, როცა, ქორწილამდე ნახევარი წლით ადრე წავიდა ამერიკაში, ვითომდა სამუშაოდ და ბინის ფულის ჩამოსატანად, მაგრამ, ათი წელი ისე გავიდა, ერთი საჩუქარიც არ გამოუგზავნია შენთვისო. ის იქ ქალებს არ იკლებს, შენ კი ლამის მონაზვნად ალიკვეცოო. თავიდან ეს „შეგონებები“ მართლაც ცუდად მოქმედებდა ჩემზე, მაგრამ, მერე და მერე, რომ დავფიქრდი, უფრო რეალურად შევხედე ამ ყველაფერს, კონკრეტულად კი – ქალების თემას. ჯერ ერთი, აქედან ვინ დაუთვალა ამერიკაში ავთოს საყვარლების რაოდენობა და, მეორეც, ახალგაზრდა, ჯანმრთელი კაცი ათი წლის განმავლობაში უქალოდ როგორ გაძლებდა? ჩემთვის მთავარი ის იყო, ცოლი არ შეირთო. სხვათა შორის, ეს რომ გაეკეთებინა, მოქალაქეობასაც ადვილად მიიღებდა, მაგრამ არ გააკეთა, რადგან, ისევ მე ვუყვარდი და ჩემთან დაოჯახებაზე ფიქრობდა. მართალია, ნახევარი წლით წავიდა და ძალიან დიდხანს მოუწია დარჩენა, მაგრამ, ესეც ხომ მასზე არ იყო დამოკიდებული – განა, ასე ადვილია ცხრა მთას იქით სამსახურის შოვნა? რაც შეეხება ერთგულებას, ამას ვერავინ აიძულებს თავს, თუ ეს მისი სურვილი არ არის. ჩემი აზრით, როცა მართლა ძალიან გიყვარს, არც ერთგულებაა რთული და შეუძლებელი. ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, საახალწლოდ ავთო ჩამოდის და მთელი არსებით ვემზადები მის შესახვედრად და დასახვედრად. რა თქმა უნდა, ასეთი ბედნიერი არ ვიქნებოდი, თვითონ რომ არ მოეწერა ჩემთვის: მიყვარხარ და მენატრები. თუ მაპატიებ და შენც თუ ისევ გიყვარვარ, 31 დეკემბერს, დილით აეროპორტში დამხვდიო. ცხადია, დავხვდები. ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ ჩემს უსაყვარლეს ადამიანს. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს აღარასოდეს დავშორდებით და მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით.

**მარინა, 33 წლის.**

### მამა დაგვიბრუნდა

ამ რამდენიმე ხნის წინ თქვენს რუბრიკაში წერილი გამოვგზავნეთ მე და ჩემმა დამ (იმ წერილის დაწერაში ჩვენი უფროსი დეიდაშვილი დაგვეხმარა და ახლაც ის გვეხმარება), რომლითაც ვთხოვდით ჩვენგან წასულ მამას, სახლში დაბრუნებულიყო, რადგან დედა ძალიან ცუდად გვყავდა. ეტყობა, ღმერთის სურვილი იყო, რომ ვილაც ახლობელს წაუკითხავს ის წერილი და მამაჩვენისთვის მიუტანია – შენი შვილები ხომ არ წერენო. აღმოჩნდა, რომ მამას თვითონაც ჰქონია სურვილი, ოჯახში დაბრუნებულიყო, მაგრამ, ვერ ბედავდა. თავს დამნაშავედ გრძნობდა და ეშინოდა, ვაითუ არ მიმიღონ და გამომაგდონო. ჩვენი წერილის წაკითხვის შემდეგ კი კარზე მოგვადგა საჩუქრებით დატვირთული. ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა ჩვენს სახლში – ვინ იცინოდა და ვინ ტიროდა, ვერ გაიგებდით. დედამ ძალიან განიცადა ეს ამბავი და გვეშინოდა, უარესად არ გამხდარიყო, მაგრამ, პირიქით მოხდა – რამდენიმე დღეში ფეხზეც კი წამოდგა. მამამ საუკეთესო კლინიკაში დააწვინა და ჯერჯერობით იქ მკურნალობენ. ახალი წლის შემდეგ კი გერმანიაში უნდა წაიყვანოს.

ექიმმა ნება დაგვრთო, რომ 31-ში, სულ ერთი დღით, დედა სახლში წავიყვანოთ – გვინდა, მთელი ოჯახი ერთად შევხვდეთ ახალ წელს. აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვიყავით ყველანი ერთად.

ახლა ერთადერთი ნატვრა გვაქვს მე და ჩემს დას (და მამასაც), რომ დედიკო გამოჯანმრთელდეს. მერე კი მართლაც უბედნიერესი ბავშვები ვიქნებით მთელ დედამიწაზე.

მადლობას ვუხდით „თბილისელებს“, რომ თქვენი მეშვეობით მოხდა ჩვენი ოჯახის გამთლიანება და ყველას წინასწარ გილოცავთ ახალ წელს!

**ბედნიერი ოჯახი**

### დარეჯან, დაურეკე ბებიას!

დიდი ხანია, ვფიქრობ, მოგწეროთ ერთი პატარა ისტორია და, როგორც იქნა გადავწყვიტე.

დაახლოებით, სამი-ოთხი წელია, პერიოდულად მირეკავს მოხუცი ქალბატონი და ვილაც დარეჯანს კითხულობს. ყოველ დარეკვაზე ვეუბნებით, რომ ნომერი არასწორად აქვს ჩაწერილი და ამ ნომერზე ნუღარ დარეკავს, მაგრამ, გადის ორი-სამი თვე და ისევ რეკავს. ერთხელ ისიც კი ვუთხარი ხუმრობით, უნდა გაგიცნოთ, რომ დარწმუნდეთ, დარეჯანი არ ვარ-მეთქი. ამას წინათ კი დამირეკა მამაკაცმა და ისევ დარეჯანი იკითხა. ვუთხარი, რამდენი წელი უნდა მირეკოთ, რით ვერ დაადგინეთ იმ დარეჯანის ნომერი-მეთქი. ის კი მეუბნება: რა ვქნა, ქალბატონო, ერთმა მოხუცმა ქალმა მთხოვა, დამირეკა სხვა ნომრიდან, თავის შვილიშვილთან უნდა დაკავშირებაო. მაშინ კი მივხვდი, რაც ხდება და დარწმუნებული ვარ, არ ვცდები. როგორც ჩანს, იმ დარეჯანმა სპეციალურად არასწორად ჩააწერინა მოხუც ბებიას მობილურის ნომერი (რომელიც, შემთხვევით, ჩემსას დაემთხვა) და ამით მოიშორა თავიდან. ცხადია, თვითონ საერთოდ არ ურეკავს, საწყალი ბებო კი ვერა და ვერ უკავშირდება შვილიშვილს.

თქვენი რუბრიკის მეშვეობით მინდა მივმართო დარეჯანს:

დარეჯან! არ ვიცი, რამდენი წლის ხართ ან რატომ ექცევით ასე ბებიას. ოდესმე თქვენც მოხუცდებით და თქვენი საქციელი ბუმერანგივით დაგიბრუნდებათ უკან. როგორი წყენაც არ უნდა გახსოვდეთ მისგან, დალაპარაკებასა და მოკითხვას რა უდგას წინ. იქნებ როგორ უჭირს, იქნებ როგორ სჭირდება თუნდაც თქვენი ხმის გაგონება. ღმერთის წინაშე მაინც ხომ უნდა იყოთ მართალი! თუ შვილები გყავთ, რა მაგალითს აძლევთ ასეთი საქციელით, თქვენი გულქვაობის შემხედვარე, როგორი ადამიანები უნდა გაიზარდონ?

მე უკვე იმ ასაკში ვართ, რომ განსაკუთრებით მტკივნეულად განვიცდი, როცა უფროს და უმცროს თაობებს შორის ურთიერთობის პრობლემები ჩნდება. მართალია, არც ერთს არ გიცნობთ, მაგრამ, ძალიან მეცოდება მოხუცი ქალბატონი, რომელიც აგერ უკვე ამდენი წელია, შვილიშვილს ურეკავს, რომ მისი ხმა მაინც გაიგონოს, მაგრამ, ამაოდ.

რა თქმა უნდა, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ, თუ გყავთ მოძღვარი, აღსარებაში თუ ეუბნებით თქვენი საქციელის შესახებ?

ბოდიშს გიხდით, რომ თქვენს საქმეში ჩარევა გამომივიდა, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს თქვენმა საქციელმა მაიძულა.

ჩემი უმორჩილესი თხოვნაა (რა თქმა უნდა, თუ ამ წერილს წაიკითხავთ), ამ ახალ წელს მაინც დაურეკოთ თქვენი ნახვის მონატრებულ ბებიას და მოიკითხოთ. რა იცით, რისი თქმა უნდა. თუ მოინახულებთ, კიდევ უკეთესი იქნება. დამიჯერეთ, დიდი სიმძიმე მოგეხსნებათ გულიდან. თუნდაც ნაწყენი იყოთ მისგან, თუ ამ წყენაზე მაღლა დადგებით, საოცარ შვებას იგრძნობთ. ამიტომ, ნუღარ გადადებთ, დაურეკეთ მოხუც ბებოს და მიულოცეთ ახალი წელი!

**თამარი, 60 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**„ნიჭიერში“ თემო ლოლაძის ყოველი გამოჩენა, იმ დღესვე სოციალურ ქსელებსა და არა მხოლოდ იქ, განხილვის თემა ხდება. თუმცა, იმისთვის, რაც მან „ნიჭიერის“ სცენაზე გააკეთა, ვგულისხმობ, გამოცლილი სკამის ნომერს, ბევრი იშრომა, ივარჯიშა. ამიტომაც, ცოტათი გული სწყდება, როდესაც მის რთულ ნომერს ბევრი ადამიანი არასერიოზულად და ეჭვის თვალით უყურებს. თემო ცხოვრებაში, პირად ურთიერთობაში იმდენად პოზიტიური ადამიანია, რომ არ შეიძლება, მან თავისი დადებითი ემოციები უცებ არ გადმოგდოს და მისი მისამართით კარგად არ განგაწყოს.**

# რატომ ეძახიან თემო ლოლაძეს „ძევიშნიკებზე“ და სად დატოვა მან მთელი ტანი

**თემო ლოლაძე**: იმედი მქონდა, ამირჩევდნენ, რადგან ყველასგან გასხვავებული შოუ იყო. თუმცა, რეალურად ამ ყველაფერს ბევრი დამცინავად უყურებს. ალბათ, ეს ჩემი იმიჯის გამო ხდება, რადგან სულ ვიცინი, ვხუმრობ. ის, რაც გავაკეთე, ყველას მარტივი ჰგონია, არადა ძალიან რთულია შესასრულებლად. ამ ილეთში ყველაზე მთავარია ფიზიკური ძალა, მომზადება. ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი, დღე და ღამე – ახლა ზურგიც მტკივა. კარგად ჩანს, რომ მაისურის ქვეშ არაფერი მქონდა. ვიღაცამ თქვა, სარკის ეფექტი იყოო. თუ სარკის ეფექტი იყო, მაშინ წაქცევის დროს, გატყდებოდა. ჟიურისაც არ სჯეროდა ჩემი, სახეებზე შეეტყოთ, რომ გაუკვირდათ. პირველად სწორედ ამიტომ დავეცი, მინდოდა, ისეთი ეფექტი შემექმნა – ვითომ არ გამომდიოდა, ვერ გავჩერდებოდი. ხუმრობა იყო „ნიჭიერში“ პირველი გამოსვლაც, მაგრამ მერე ნახევარფინალში რომ გადავედი, დავიწყე იმაზე ფიქრი: რა და როგორ უნდა გამეკეთებინა და დავიწყე სერიოზული ვარჯიში.

**– რის გაკეთება იყო შენთვის ყველაზე რთული?**

– პრომოვიდეოში ყინულზე რომ გადავხტი, იქ დავტოვე ნახევარი ტანი. რამე გიჟური უნდა გამეკეთებინა, ჩემი იმიჯიდან გამომდინარე და გავაკეთე. ის არის ცუდი, რომ ხალხს ჰგონია: ყველაფერი გიჟური მარტივია, არადა, არ არის მარტივი. ამიტომ, ხანდახან გული მწყდება, რომ ამ ყველაფერს დამცინავად უყურებენ. ყველაზე მეტად გეგას კომენტარი მესიამოვნა, სხვანაირად უყურებს ბევრ რამეს და ხვდება, რომ ეს ის იუმორია, რაც საქართველოს აკლია და ევროპაში არის. ამიტომაც მინდა, ევროპაში წავიდე, ან აქ ხალხი მიეჩვიოს და ცოტა გამოვიდეთ დეპრესიიდან – ერთი და იგივეობიდან. ვინც მიცნობს, მათ იციან, რომ გიჟური რაღაცების გარდა, კიდევ ბევრი რამის გაკეთება შემიძლია. სპორტულ ღონისძიებებში ყოველთვის კარგი შედეგები მაქვს, მარათონებიც მომიგია, მაგისტრატურაზე ვსწავლობ, ადრე მათემატიკური კონკურსებიც მაქვს მოგებული და არ შემოვიფარგლები მხოლოდ გიჟობით.


ჩემები ახლაც ვერ ხვდებიან, რას ვაკეთებ, მაგრამ მიეჩვივნენ. იციან, რომ სხვა გზა არ აქვთ

**– ბავშვობაშიც ასეთი ენერგიული და აქტიური იყავი?**

– ბავშვობაში უფრო წყნარი ვიყავი. დღე და ღამე ვვარჯიშობდი, ფეხბურთის გარდა არაფერი მაინტერესებდა. მაგრამ მერე ტრავმა მივიღე, ოჯახში რაღაც პრობლემები იყო და დავანებე თავი. რომ მოვწყდი ფეხბურთს, უნივერსიტეტში ჩავაბარე, ხალხთან დავიწყე ურთიერთობა, მერე იქ ვიხუმრე, აქ... და მივხვდი, ხალხს მოსწონდა, მეც ნელ-ნელა გავგიჟდი.

**– შენი ბაბუა, თეიმურაზ ლოლაძე ცნობილი მეცნიერი იყო, ბევრი ორდენის, მედლის მფლობელი, ძალიან დიდხანს, სიკვდილამდე ხელმძღვანელობდა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრას და გარკვეული პერიოდის განმავლობაში პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორიც იყო. შენ როგორ გაიხსენებ ბაბუას?**

– ბაბუას მოსახელე და, ამ მხრივ, ოჯახის შემარცხვენელიც: ასეთი ოჯახიდან ხარ და ასე შემდეგ. ბაბუას უყვარდა ხუმრობა და მჯერა, რომ გულში მაინც გამიგებდა. მახსოვს, ბაბუა ცოცხალი იყო და მათემატიკური კონკურსი მოვიგე. ეს იყო მისთვის ყველაზე დიდი სიამაყე, ყველას ანახვებდა ჩემს სიგელს, ძალიან უხაროდა. 10 წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა, ძალიან თბილი კაცი იყო. გარდა იმისა, რომ სულ მუშაობდა, ძალიან უყვარდა ქეიფი. ჩვენს ოჯახში სულ სტუმრიანობა იყო, ჭამა-სმა, მხიარულება. ბევრი საინტერესო ადამიანი მოდიოდა, თუმცა, მაშინ პატარა ვიყავი და ამას ვერც ვაანალიზებდი. მერე, როდესაც გავიზარდე, მივხვდი: ისინი როგორი სერიოზული ადამიანები იყვნენ. უცხოელებიც ხშირად ჩამოდიოდნენ, ბაბუას ხვდებოდნენ. მაგრამ, ის ჩემთვის მხოლოდ ბაბუა იყო და როცა გავიზარდე, მერე მივხვდი, რა დიდი მასშტაბის კაციც იყო და რასაც აკეთებდა. ჩემ მიმართ მკაცრი არასდროს ყოფილა, პირიქით, თბილი იყო. ყველა მეუბნება: ბაბუაშენი თავის დროზე იქ მომეხმარა, აქ... მისი მადლობელი ვარო.

**– რას საქმიანობენ შენი მშობლები და როგორია მათი დამოკიდებულება შენი საქმიანობის მიმართ?**

– დედა დიასახლისია, მამა ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექტორია, დღე და ღამე შრომაშია. მეც მაპარებს ხოლმე: იქნებ შენც ამ სფეროს გაჰყვეო. მაგრამ ვერ შევძლებ. ვიღაცამ რომ წარმოიდგინოს, მე ვიქნები ლექტორი და ლექციებს წავიკითხავ, წარმოდგენისთანავე გაეცინება. ჩემი თავი სადმე ოფისში ვერ წარმომიდგენია, შეიძლება, გავგიჟდე. თავისუფლება მიყვარს, ამიტომაც ვმუშაობ

**ვფიქრობ, რომ ბიჭები უფრო მეტად შებოჭილები არიან საქართველოში, ვიდრე გოგონები და მათ გამო, მერე, გოგონებიც იბოჭებიან. ჩემთან უფრო გახსნილად გრძნობენ ხოლმე თავს**

ანიმატორად. მეუბნებიან: რამდენი ხანი უნდა იხტუნაოო, მაგრამ მირჩევნია, ხალხი გავართო, ივენთი მოვაწყო, „ფლეშმობი” დავდგა... ჩემები ახლაც ვერ ხვდებიან, რას ვაკეთებ, მაგრამ მიეჩვივნენ, იციან, რომ სხვა გზა არ აქვთ.

**– მათთვის პირველი მოულოდნელობა, ალბათ, სტადიონზე შენი შიშვლად გამოსვლა იყო.**

– დედა რუსი მყავს, სხვანაირი ადამიანია და სულ მეუბნება: ამ მხრივ, ანუ აქტიურობაში, მე მგავხარო. მამა უფრო მორიდებულია, ისეთ ოჯახშია გაზრდილი... „დინამოს” ამბავზე არაფერი უთქვამს, მაგრამ „ნიჭიერზე“ მითხრეს: რამე ჭკვიანური ვერ მოიფიქრეო. ჩემი სტადიონზე გამოსვლა უფრო სხვანაირად მიიღეს. მამამ იცის, როგორ მიყვარს ფეხბურთი. ეს „ფლეშმობის” დასაწყისი იყო, ოღონდ ძალიან ცოტამ იცოდა – დაცვის რამდენიმე წევრმა. ფეხბურთელებმა არაფერი იცოდნენ, სიურპრიზი იყო ყველასთვის. ბავშვობიდან ვოცნებობდი „დინამოზე” გავსულიყავი და გამომივიდა. თან, „მილანის“ გულშემატკივარი ვიყავი ზუსტად იმ დროს, როცა მალდინი თამაშობდა. ამიტომ, მისი ნახვა, ფოტოების გადაღება, ჩემთვის შოკი იყო, ამაზე მეტს ვერაფერს ვინატრებდი.

**– რატომ გადაწყვიტე „ნიჭიერში“ გამოსვლა?**

– „ნიჭიერამდე“ „ჯეოსტარში“ გამოსვლაზე ვფიქრობდი – ვიმღერებდი და მერე პრიკოლებში მაინც მოვხვდებოდი. „ნიჭიერის“ შემდეგ ხალხმა გამიცნო, რაღაცეებში გამომადგა, განსაკუთრებით ჩემს საქმეში: დაბადების დღეა, „ძევიშნიკი“... მირეკავენ: შენ გვჭირდები, რამე მოიფიქრეო.

**– „ძევიშნიკებზე“ ცეკვავ ხოლმე?**

– ტორტის შეტანა, სიურპრიზი, „საროჩკას” გავიხდი, გოგონებს გაუხარდებათ. მაგრამ, ყველაფერი მორიდებულად, ზომიერების ფარგლებში ხდება. ადრე „ტოპ გოგოშიც“ მოვხვდი, სტრიპტიზი ვიცეკვე. თუმცა, ამას სტრიპტიზს ვერ დავარქმევ, უბრალოდ, გახდა მომიწია. მოკლედ, ჩვეულ ფორმაში ვიყავი – გახდილი.

**– რა იყო შენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება?**

– ყველაზე გიჟი და დიდი – ეს იყო ქალალდის თვითმფრინავის ჰაერში გაშვებაში „რედ ბულის“ ჩემპიონატი. მოვიგე – საქართველოში ჩემპიონი გავხდი და წავედი ავსტრიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე. ეს იყო 4 დაუვიწყარი დღე. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან გავიცანი ხალხი, თან ჩემსავით გიჟები. ველოდები, კიდევ როდის იქნება. ზოგადად, მიყვარს ექსტრემალურ შეჯიბრებში მონაწილეობა. შარშან თხილამურებზე დავდექი და გაგიჟებული ვარ. ახლა ვცდილობ, ფული ვიშოვო და გუდაურში წავიდე. სნოუბორდზეც მინდოდა დადგომა, ყველა მეუბნება: ვიზუალურად სნოუბორდისტი ხარო. თუმცა, ჩემი ოცნება სერფინგია. იმისდა მიუხედავად, რომ ცხოვრებაში ცურვაზე არ მივლია და ჩემით ვისწავლე, მეორე ადგილი მაქვს აღებული. კიდევ დიდი სიამოვნებით მივიღებდი „შიშის ფაქტორში“ მონაწილეობას. იმ რაღაცეებსაც შევჭამდი, რადგან, როცა კონკურსია, ყველაფერი მეკეტება და მოგებაზე ვფიქრობ.

**– დიდი ხანია, ანიმატორი ხარ?**

– 2-3 წელია, ბავშვები მიყვარს ძალიან. სამწუხაროდ, ჩემი ბავშვები არ მყავს, მინდა და იქნება 1-2 წელში.

**– არსებობს ისეთი გოგონა, ვისთანაც გინდა გყავდეს შვილები?**

– ახლა არ არსებობს. ისე, ვფიქრობ, რომ ბიჭები უფრო მეტად შებოჭილები არიან საქართველოში, ვიდრე გოგონები და მათ გამო, მერე, გოგონებიც იბოჭებიან. ჩემთან უფრო გახსნილად გრძნობენ ხოლმე თავს. იმედია, გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც ამიტანს. გიჟი კი ვარ, მაგრამ ბევრი კარგი რაღაც შემიძლია. ოჯახის კაცი ვარ, მეხერხება საჭმლის კეთება, დალაგება. ცოლი მოვიყვანე, „ქალი კუხნაში ვიცი“ – ასეთი არ ვარ. პირიქით, მიყვარს, როცა ვინმეს რაღაცას ვუკეთებ და ვასიამოვნებ.

**ნათია უტიაშვილი**

**როდესაც თბილისში კარგ რესტორანზე, კლუბზე ან ივენთზე ფიქრობ, მაშინვე თაკო დოლაბერიძის სახელი გახსენდება, რადგან მის სახელს არაერთი წარმატებულად ამუშავებული კლუბი და რესტორანი უკავშირდება. დღეს თაკო ორ კლუბში მუშაობს – „ურბანი“ და კლუბ-ლაუნჯი „ჩეკ-ინი“, თუმცა, სხვა პროექტებითაც არის დაკავებული. პარალელურად, აქვს ივენთ-კომპანია, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებას, ქორწილებს, დაბადების დღეებს უწევს ორგანიზებას.**

# საიდან წამოვიდა გულნატკენი თაკო დოლაბერიძე და მოსწონს თუ არა მას 75 კილოგრამის დაკლების შემდეგ საკუთარი თავი

**თაკო დოლაბერიძე:** სულ დატვირთული რეჟიმი მაქვს. ჩემი სამსახურებიდან გამომდინარე, ბევრი თავისუფალი დრო არ მაქვს. შრომა არასდროს მეზარება, სიახლეები მხიბლავს და ვცდილობ, მათ გავეცნო. მომწონს ის, რასაც ვაკეთებ, განსაკუთრებით, როცა რაღაცას ახალს ვეცნობი, ვიწყებ. ეს აწყობის პროცესი მხიბლავს. გუშინ ვიხსენებდი ზუსტად: მუშაობა, რომ დავიწყე, პირველი 5 წელი დასასვენებლადაც არ ვყოფილვარ, რადგან სულ ვიჯექი, ვუყურებდი, ვსწავლობდი, სიახლეებს ვეძებდი. ასე 10 წელი იქნება, რაც განსაკუთრებულად დატვირთული ვარ, ბევრჯერ მქონია გადაწვის მომენტები: რა უნდა ვქნა... მაგრამ, საბოლოოდ გამიძლია ყველაფრისთვის.

**– პირველი სამსახური, საქმე ადამიანებს განსაკუთრებულად ამახსოვრდებათ.**

– კარგად მახსოვს ის პერიოდი, როცა ბატონ გოგი თოფაძესთან დავიწყე მუშაობა. 1996 წელი იყო და იმ დროისთვის საკმაოდ დიდი ხელფასი მქონდა. პირველი ხელფასი რომ ავიღე, ვიყიდე მობილური ტელეფონი „ერიქსონი“, რომელიც ახალი შემოსული იყო. მეგობრებს ახალი დამთავრებული გვქონდა ინსტიტუტები, ბევრი იმ დროს ჯერ არ მუშაობდა, მაგრამ, ჩემი ხელფასი გვყოფნიდა იმაში, რომ ერთად კარგად გაგვეტარებინა დრო, დასასვენებლადაც წავსულვართ ამ ხელფასით. გაგიკვირდებათ და, მე ბუღალტერი ვიყავი – ფინანსისტი. სპეციალობით არ ვარ ეკონომისტი, სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი მაქვს დამთავრებული. ასე რომ, აღმოვჩნდი ამ სამსახურში და ნულიდან დავიწყე ყველაფრის სწავლა. თავიდან, როცა ეს შემოთავაზება მივიღე, ცოტა შემეშინდა, მაგრამ უკან არ დამიხევია. შეხვედრაზე ისე მივედი, თითქოს ძალიან გამოცდილი ვიყავი. იქ დამხვდა ადამიანი, ქალბატონი მზია გობეჯიშვილი, რომელმაც მეგობრული დახმარება გამიწია – დედასაც ვეძახდი, რადგან დედასავით მიპატრონა და ყველაფერი მასწავლა. ბატონი გოგიც არაჩვეულებრივი უფროსი იყო. ჩემთვის დღემდე ძალიან საყვარელი ადამიანია. სულ ვამბობ: თუკი ჩემი სპეციალობა შედგა, რაღაცეებს მივაღწიე, რაღაცეები შემიძლია, მიყვარს ჩემი საქმე – ეს ბატონი გოგის დამსახურებაა. მას შემდეგ ბევრ ადამიანთან მიმუშავია, მაგრამ ასეთთან – არასდროს.

**ᲛᲥᲝᲜᲘᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲕᲘᲜᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲛᲣᲨᲐᲕᲘᲐ. ᲘᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲪ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ, ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲛᲘᲕᲡᲣᲚᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲗᲥᲕᲐᲛᲡ: ᲕᲔᲠ ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑ-ᲛᲔᲗᲥᲘ**

**– როდის უფრო კომფორტულად გრძნობ თავს – როდესაც საქმეში გყავს უფროსები თუ როცა შენ ხარ საკუთარი თავის უფროსი?**

– თავიდან, რომ დავიწყე მუშაობა, იყო შემოთავაზებები: გადავეყვანე მთავარ მენეჯერად, ან დირექტორად, მაგრამ სულ ვეუბნებოდი: მზად არ ვარ, მირჩევნია, რაღაცეები ვისწავლო-მეთქი... არასდროს მიჭირს ვინმესთან მუშაობა. ახლაც ერთ, მეორე, მესამე სამსახურში დირექტორები მყავს, რომლებთანაც საკმაოდ კომფორტულად ვმუშაობ. თუმცა, მქონია შემთხვევები, როცა ვინმესთან ვერ მიმუშავია. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, შეხვედრაზე მივსულვარ და საკუთარი თავისთვის მითქვამს: ვერ ვიმუშავებ-მეთქი. ძალიან მიყვარს თანამშრომლების აზრის მოსმენა, ყოველთვის ვსხდებით და ვკითხულობთ: რა პრობლემებია. მათ აზრს ყოველთვის ვითვლისწინებ, რადგან ისინი ჩემთან ერთად მუშაობენ და ამ საქმის წარმმართველები არიან. ამიტომაც, ჩემს წარმატებაში მათი წვლილი, ალბათ, 50-60 პროცენტია.



**როცა ჯანმრთელობის პრობლემა გამიჩნდა, ამან შემაშინა და არა იმან, რომ არ მომწონდა ჩემი თავი. გავიკეთე ოპერაცია. თავიდან სამი თვე ძალიან გამიჭირდა**

**– იყო კიდევ ისეთი სამსახური, რომელსაც დღემდე განსაკუთრებულად კარგად ან ცუდად იხსნებ?**

– ყველა სამსახური, სადაც კი ვმუშაობდი, სიყვარულით მახსენდება. ერთადერთი, ცუდად მახსენდება ის პერიოდი, როდესაც „ვერე გარდენში“ ვმუშაობდი. გულით გავაკეთე ყველაფერი და მერე იქიდან გულჩამწყდარი წამოვედი. არასწორად მომექცნენ და ძალიან დამწყდა გული. იმედია, ამ ყველაფერს ნანობენ. კიდევ ძალიან გულდაწყვეტილი, ჩემი ნებით წამოვედი „სითი კლაბიდან“. ბევრი ადგილიდან წამოვსულვარ, მაგრამ იმ ადამიანებთან, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი, მეგობრული ურთიერთობა დამრჩენია. ამ ორ ადგილას არ დამრჩა ეს ურთიერთობები – შეიძლება, ეს ჩემი ბრალიც არის... ან იმათი ბრალია. როცა ჩემი ბრალია, ყოველთვის მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო. მაგრამ, როცა ჩემი ბრალი არ ყოფილა, ჩემთვის ბოდიში არავის მოუხდია, თუმცა, ეს უკვე მათი პრობლემაა. თუმცა, ახლა იქ ჩემი მეგობარი მუშაობს, გია გუმბერიძე, რომელსაც ჩემს საქმიანობაში, ბევრ რამეში დიდი წვლილი მიუძღვის. ჩვენ ერთად ბევრი რამ გაგვიკეთებია და მომავალშიც აუცილებლად გავაკეთებთ. მახსოვს, „სითი კლაბის“ ადგილას რაღაც ბუფეტი იყო. იქ რომ ხალხი მივიყვანე და ვთქვი: აქ კლუბი უნდა გავხსნა-მეთქი, დამცინეს, მაგრამ, არ მოვუსმინე. გავაკეთე და მერე არავის გახსენებია და აზრად არ მოსვლია, რომ ეს ჩემი გაკეთებული იყო...

**– არ შემიძლია, არ შევეხო შენი გახდომის თემას – საოცრად გამხდარი ხარ.**

– სულ ვამბობ, რომ არ ვიცოდი, ზოგადად, რას ნიშნავს წონის კლება. ეს არ მაწუხებდა და ვფიქრობდი, რომ კარგი იყო. ახლა ქუჩაშიც რომ მივდივარ და ზედმეტწონიანს ვხედავ, მინდა, მივიდე და ვუთხრა: აუცილებლად უნდა გახდე-მეთქი. მე ამას რომ მეუბნებოდნენ, რაღაც პერიოდი, მწყინდა, ვბრაზდებოდი. მაგრამ, მერე, როცა ჯანმრთელობის პრობლემა გამიჩნდა, ამან შემაშინა და არა იმან, რომ არ მომწონდა ჩემი თავი. გავიკეთე ოპერაცია. თავიდან სამი თვე ძალიან გამიჭირდა. ეს არ არის მხოლოდ უჭმელობა. ეს არის ცხოვრების სტილის, რეჟიმის შეცვლა, რაც ჩემთვის ძალიან რთული იყო, მაგრამ შევძელი.

**– რაზე მოგიწია უარის თქმა?**

– ღამის თენებაზე, მეგობრებთან ერთად წასვლაზე, გართობაზე, ალკოჰოლზე, მისვლა-მოსვლაზე. დავიწყე დილის 8 საათზე ადგომა, რომ კუს ტბაზე წავსულიყავი, მევარჯიშა... ოღონდ ამას თუ გავაკეთებდი, ვერასდროს წარმოვიდგენდი. ალბათ, ყველაფერი მაინც ნებისყოფაა. 138 კილოგრამი ვიყავი და ახლა ვარ 63 კილო – ერთი ადამიანი აღარ მყავს. ჩემი წონა არასდროს დამიმალავს და ვფიქრობ, დღეს ბევრი ადამიანისთვის ვარ სტიმული. ჩემთვის დიდი სტიმული გახლდათ ჩემი მეგობარი და ეს მისი გადაწყვეტილება უფრო იყო, ვიდრე ჩემი. ვერასდროს გამოვხატავ იმ პატივისცემას, სიყვარულს, რაც ამ ადამიანისადმი გამაჩნია. ეს არის გოგა კაკულია, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მე ეს ნაბიჯი გადამედგა – ჩემს ტვინში მოახდინა რევოლუცია, თან სიცილით, ხარხარით – ესეც ერთგვარი ნიჭია. ძმა არ მყავს და ეს ადამიანი ჩემთვის ძმაზე მეტია. დღესაც, დილა რომ თენდება, მაკონტროლებს: რა ვჭამე, რა გავაკეთე, რამდენი დავიკელი. ჩემი მეგობრების დამსახურებაა, რომ ეს ყველაფერი გავაკეთე.

**– გქონდა დეპრესიული პერიოდი?**

– ოპერაციის შემდეგ, ნარკოზიდან რომ გამოვედი, გავახილე თვალები და მივხვდი: ჩემი ქეიფები დამთავრდა, სამი დღე ცოტა ვინერვიულე. შემდეგ; ყოველდღე რომ ვდგებოდი სასწორზე და კილო აღარ იყო, კილო აღარ იყო... ეს უკვე სტიმული გახდა. ცოტა ვინერვიულე იმაზე, რომ ბოჰემური ცხოვრება დავკარგე, მაგრამ, მერე ამასაც შევეგუე. ახლა, რომ მეუბნებიან, აქ წამოდიო, ვფიქრობ: რისთვის უნდა წამოვიდე, რადგან ვიცი, ვერ დავლევ, ვერ შევჭამ. ამ პერიოდშიც დამილევია, არამსუბუქადაც, მაგრამ, ეს იშვიათად ხდება. ერთი რაღაც უნდა მოგიყვე: ისრაელში ჩავედი ექიმთან გასაუბრებაზე. ალბათ, ყველა ნორმალური პაციენტი კითხულობს: როგორ კეთდება ოპერაცია, რამდენ ხანს გრძელდება ნარკოზი... ჩემი პირველი კითხვა კი ასეთი იყო: გამარჯობა, ოპერაციიდან დალევა როდის შეიძლება. იმ კაცს, მგონი, ლოთი ვეგონე, ისე შემომხედა. ვუთხარი: ლოთი არ გეგონოთ, უბრალოდ, მაინტერესებს, რადგან ძალიან მიყვარს გართობა, გრადუსის გარეშე კი ეს არ ხდება-მეთქი. მითხრა: მოდი, ასე შევთანხმდეთ: ოპერაციიდან 2 თვეში დალევო. მე ეს საუბარი დამავიწყდა. გავიკეთე ოპერაცია, ჩამოვედი თბილისში, მერე გასასინჯად დავბრუნდი უკან და მეუბნება ექიმი: საღამოს ვახშამზე წავიდეთო. წავედით, დამიდგა ღვინო: მიირთვიო. ვერ დავლიე.

**– ზოგი ქალი ამბობს, რომ ბევრი საქმე, კარიერა პირადი ცხოვრების აწყობაში ხელს უშლის. ბევრი პირიქით – ორივეს ერთმანეთს მშვენივრად უთავსებს. შენ?**

– ვერ ვიტყვი, რომ პირად ცხოვრებას ჩემს საქმეში როდისმე შეუშლია ხელი. მაგრამ, მოცემულ მომენტში არ მაქვს პირადი ცხოვრება, ანუ, არ მყავს გვერდით საყვარელი ადამიანი. თუმცა, ვფიქრობ, რომ ქალს აუცილებლად უნდა ჰყავდეს გვერდით ისეთი ადამიანი, რომელიც ეყვარება და რომელსაც ეყვარები.

**ნათია უტიაშვილი**



# უნდა დაივიწყოს თუ არა ქალმა ქმრის ერთჯერადი ღალატი და აქვს თუ არა მას „უკუჩვენება“

**ქალების უმრავლესობა პარტნიორს ღალატს პატიობს – ამას თითქოს ყველა შეეჩვია და აღარც არავის უკვირს. ეს, თითქოს, ორი ბოროტებიდან შედარებით ნაკლები ბოროტების არჩევაა. მაგრამ, პრობლემა პრობლემად რჩება. უფრო მეტიც, ის უფრო ღრმავდება და ჭრილობა არათუ პირს იკრავს, გაცილებით შემაწუხებელი ხდება და თავსაც ხშირად გვახსენებს, იმიტომ, რომ რთულია მეხსიერებიდან მთლიანად წაშალო ის შედეგები, რაც ღალატს მოჰყვება ხოლმე. გამოსავალი, უფრო სწორად, პრევენცია ან მზა რეცეპტი ღალატის შემდგომი მკურნალობისა, არ არსებობს, რადგან, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია.**

**ილონა** ***(31 წლის):*** სულ ვფიქრობ, რა არის ყველაზე საშინელი ღალატში?! – ის, რომ შენი ქმარი ვიღაც სხვა ქალს ეფერებოდა და ჰკოცნიდა?! მე მივედი დასკვნამდე, რომ – არა. ყველაზე საშინელი იმის გაცნობიერებაა, რომ იმან გაგყიდა, ვისაც ყველაზე ძალიან ენდობოდი. ეს არის ის, რასაც ვერ ივიწყებ და რისი წაშლაც გიჭირს მეხსიერებიდან. ცხოვრება ძალიან რთულდება მას შემდეგ, რაც შენს გულში ვიღაცას „შეასახლებ“. პატიება ყველაფრის შეიძლება – ამაში არ არის პრობლემა, მაგრამ, რა ხდება პატიების შემდეგ?! მთავარი სწორედ ამის შემდეგ იწყება.

**– ანუ, ვერ აპატიებ ბოლომდე – ამას გულისხმობთ?**

– კარგად ვერ გადმოგცემთ. გონებას უნდა, რომ აპატიოს, მაგრამ, გული არ მაძლევს ამის საშუალებას. რაც არ უნდა ქნა, როგორც არ უნდა მოინდომო, გული მაინც გააკეთებს თავისას და სერიოზულ პრობლემებსაც შეგიქმნის. როცა ვთხოვდებოდი, საკუთარ თავს პირობას ვაძლევდი, რომ, თუ ეჭვი ჩადგებოდა ჩვენ შორის და უნდობლობა გაუცხოებას გამოიწვევდა, მაშინვე გავეყრებოდი, არც თავს დავიტანჯავდი და არც მას გავაწამებდი.

**– გიყვარდათ ერთმანეთი?**

– ძალიან. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა და დარწმუნებულიც ვიყავი, რომ გვერდით მყავდა მამაკაცი, რომელთანაც მთელი ცხოვრება მშვიდად და ბედნიერად ვიქნებოდი. ყველაზე საშინელი ის არის, რომ ჩემმა ქმარმა ძალიან დიდხანს, შეუცდომლად ითამაშა ერთგული და მოსიყვარულე მეუღლის როლი. ამაზე უფრო ვმწარდები.

**– ამბობენ, რომ დიდი სიყვარული ყოველთვის უპირობოდ აპატიებს ხოლმე.**

– იმის თქმა გინდათ, რომ მე არასაკმარისად მიყვარს ქმარი? ვერ დაგეთანხმებით. ვფიქრობ, პირიქით, საკმარისზე მეტად მიყვარს და ჩემი პრობლემებიც აქედან მოდის. რამდენიმე წელი სრულ სიმშვიდეში ვიცხოვრე და სწორედ ამას ვერ ვაპატიებ ვერც ჩემს ქმარს და ვერც საკუთარ თავს, იმიტომ, რომ ეს იყო ტყუილში, სიცრუეში გატარებული წლები.

**– თუმცა, ბედნიერი...**

– მე ასე არ ვუყურებ საკითხს. ბედნიერი შეიძლება იმ მომენტისთვის კი იყო, მაგრამ, როცა ყველაფერი გაირკვა, ისე ჩამშხამდა, რომ მხოლოდ ეს ცუდი მახსოვს. მიუხედავად იმისა, რომ მინდა პატიება, არ გამომდის. შიგნით მაინც ყველაფერი მიდუღს და საშინელი განცდა მაქვს. ვნერვიულობ და, როცა ვცდილობ, ეს შესამჩნევი არ იყოს, კიდევ უფრო მიმძიმდება მდგომარეობა. ვერც ვერავის მოვუყვები – რადგან გადავწყვიტე, რომ ურთიერთობა უნდა შევინარჩუნო, რაღა აზრი აქვს გლოვასა და ტირილს, მით უმეტეს, საჯაროდ ამ ყველაფერზე ლაპარაკს?! იცით, როგორ გავიგე, რომ ქმარი მღალატობდა, თანაც უკვე დიდი ხნის განმავლობაში? არც ესემესები წამიკითხავს და არც პერანგზე მინახავს პომადის კვალი. გაცილებით საშინელი „განცხადება“ იყო. ერთ დღეს ჩემმა ძვირფასმა ქმარმა მთხოვა, იქნებ ჩვენი შვილის დაპატარავებული, კარგი ტანსაცმელი მომიგროვო და მომცე, ჩემს თანამშრომელს მეოთხე შვილი შეეძინა და ცოტა უჭირს. გაუხარდება, თუ დავეხმარებითო. მის თანამშრომლებს ძირითადად ყველას ვიცნობ და ვკითხე, რომელს უჭირს-მეთქი... კაცები ხომ ზოგადად შენელებულად აზროვნებენ, უპასუხისმგებლოები და წინდაუხედავები არიან. საერთოდ არ უკვირდებიან საკუთარ სიტყვებს, ოღონდ კი იმ კონკრეტულ სიტუაციაში გამოძვრნენ და შედეგებზე თითქმის არ ფიქრობენ... მოკლედ, რამდენიმე დღე თავი ვერ მოვაბი ტანსაცმლის გადარჩევას და შემთხვევით (თუმცა, შემთხვევით არაფერი ხდება) იმ თანამშრომელს მარკეტში შევხვდი. ეს იმას ნიშნავს, რომ მე ყველაფერი უნდა გამეგო. მოვიკითხე და მოვუბოდიშე, ქმარმა კი მითხრა შენი ამბავი, მაგრამ, როგორღაც ვერ მოვიცალე და ამ დღეებში აუცილებლად გამოგიგზავნი ტანსაცმელს-მეთქი. ასეთმა გაშტერებულმა შემომხედა, აშკარად ძალიან გაუკვირდა. მე როგორ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, ხომ წარმოგიდგენიათ? ჯერ ხომ უხერხულად ვიგრძენი თავი, მერე ეჭვი გამიჩნდა – რაში დასჭირდა ჩემს ქმარს ასეთი სულელური ტყუილი-მეთქი. ახსნა ვერ მოვუძებნე და ისევ ჩემს ქმარს ვკითხე – რა ხდება, განა ვისთვის გინდა ბავშვის ტანსაცმელი, რომ ტყუილის თქმა დაგჭირდა ჩემთვის-მეთქი. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მე და ჩემს ქმარს განსაკუთრებული, გულწრფელი და უშუალო დამოკიდებულება გვქონდა, რომ ერთმანეთისთვის ყველაფერი ვიყავით, მაგრამ, ეს ყველაფერი ხელის ერთი მოსმით დაინგრა და გაცამტვერდა. ჩემი ქმრის სახის გამომეტყველებამ შიგნით რაღაც გამიყინა. იცით, როგორ შემომხედა? დანაშაულზე რომ გამოიჭერ ადამიანს. ენა დაება, თვალებს აცეცებდა და უცებ დაიყვირა: შენ რა, დაკითხვას მიწყობ? ეს რა შეკითხვებია? საერთოდ არ მინდა შენგან არაფერი. ვნანობ, რომ გთხოვე, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი მეწვრილმანე აღმოჩნდებოდი. შენგან ნამდვილად არ ველოდი ამასო. დაუმსახურებელმა გალანძღვამ ჩემში აგრესია გააღვიძა და საშინლად ვიჩხუბეთ, ლამის დავხოცეთ ერთმანეთი. ისეთ სიტყვებს ვყვიროდით, გახსენებაც კი მზარავს. ვუთხარი, წადი სახლიდან, რადგან სიმართლის თქმა არ გინდა-მეთქი. გაშტერდა – რატომო? იმიტომ, რომ მატყუარასთან ცხოვრება აღარ მინდა-მეთქი. შენ რადგან არ ამბობ, რა ხდება და ვისთვის გინდოდა ბავშვის ტანსაცმელი, ესე იგი, სერიოზული მიზეზი გაქვს საამისოდ. ამიტომ, მირჩევნია, წახვიდე-მეთქი.

> **ჩემმა ქმარმა ძალიან დიდხანს ითამაშა, ერთგული და მოსიყვარულე მეუღლის როლი, თანაც, შეუცდომლად**

**– აანალიზებდით, რასაც ამბობდით?**

– ალბათ, ბოლომდე ვერა. თუმცა, იმ წუთში მართლა მინდოდა, რომ წასულიყო. მძულდა – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. უცებ რადიკალურად შეიცვალა – მოიკუნტა, მხრებში მოიხარა და მუხლებში ჩამივარდა: არ გამაგდო, მოგიყვები ყველაფერს. დამნაშავე ვარ, მაგრამ, მიყვარხარ და ოჯახის მიტოვებაც არ მინდა, შემეშალა და უნდა მაპატიო, რადგან, შენ მაინც ყველას მირჩევნიხარო... იცით, როგორი უსუსური და საცოდავი იყო? ადამიანის, კაცის სახე ჰქონდა დაკარგული. ხელები აიფარა და ისე მოყვა, რომ ორი წლის განმავლობაში მღალატობდა გათხოვილ ქალთან. იყო მისი საყვარელი და შეიძლება, მისი შვილის მამაც. მეხის გავარდნა იყო ჩემთვის ეს მოულოდნელი ინფორმაცია. შოკი მივიღე. თუ არ წავიქცეოდი, არ მეგონა. სუნთქვა შემეკრა, ლამის დავიხრჩვი. წყალი ძლივს დავლიე, რომ გული არ წამსვლოდა. სკანდალიც ვერ მოვაწყვე. მარტო იმაზე ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა. მომეკიდა ბავშვისთ-

# როგორ იპოვეს დედმამიშვილებმა ერთმანეთი და რატომ დააგვიანდა რუსეთში მცხოვრებ შვილს მამის პოვნა საქართველოში

***69 წლის ვლადიმირ ალოცნევი (მამინაცვლის გვარზეა) ეძებდა მამას: ალექსი მაზანაშვილს და ნახევარდებს – გვარად მაზანაშვილებს (სახელები უცნობია)***

**ისტორია**: შორეულ 1943 წელს, გერმანელების მიერ ტულის მხარის ოკუპაციის დროს, ახალგაზრდა გოგონამ, სახელად ანამ, გაიცნო ქართველი ჯარისკაცი, ალექსეი მაზანაშვილი, რომელიც იმ დროს ჰოსპიტალში იწვა. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება და, ამ დიდი სიყვარულის შედეგად, 1944 წლის 6 მარტს დაიბადა ბიჭი, სახელად ვლადიმირი. ჰოსპიტალიდან გამოწერის შემდეგ ალექსეიმ განაგრძო სამხედრო სამსახური, მაგრამ, შეყვარებულთან კავშირს არ წყვეტდა. დასრულდა დიდი სამამულო ომი. ალექსეი მაზანაშვილი დაბრუნდა საქართველოში, თუმცა, ანასთან მიმოწერა არც მაშინ შეუწყვეტია. გავიდა დრო და ალექსეიმ სამშობლოში ცოლი მოიყვანა, ანაც გათხოვდა და მისმა მეუღლემ მის შვილს, ვლადიმირს, თავისი გვარი მისცა. ამიტომ, ამჟამად ვლადიმირი არის ალონცევი. 1976 წლის გაზაფხულზე ალექსეი მაზანაშვილი ჩასული იყო შვილის სანახავად (ამის დასამტკიცებლად გიგზავნით ფოტოს, რომელზეც არიან: ალექსეი, ვლადიმირი და პატარა გოგონა – ირინა). ალექსეიმ დაუტოვა შვილს საჩუქარი, თავისი მისამართი საქართველოში და უთხრა, რომ მას ჰყავს ორი ქალიშვილი და, ძალიან უნდა, რომ ვლადიმირმა და მისმა გოგონებმა ერთმანეთი გაიცნონ (აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ალექსეის ოჯახმა იცოდა ვლადიმირის არსებობის შესახებ). მამის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვლადიმირმა მას მისწერა წერილი, მაგრამ, პასუხი არ მოსულია. სავარაუდოდ, წერილი ადრესატამდე არც მისულა. ასე დაიკარგა კავშირი მამა-შვილს შორის. ამჟამად ვლადიმირი 69 წლისაა, მარტში უკვე 70-ის ხდება. მისმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, დავეხმაროთ მას მამის ნათესავებისა და ნახევარდების პოვნაში. იმედი გვაქვს, რომ საქართველოში ვინმე წაიკითხავს და გამოეხმაურება ჩვენს წერილს. თქვენი დახმარების დიდი იმედი გვაქვს.



**ჟურნალისტის შენიშვნა**: ეს ისტორია ერთ-ერთი საინტერესო ამბავია, რომელიც კი ჩემს რუბრიკაში დაბეჭდილა. ომის დროს გაქცნობილ ქართველი მამაკაცისა და რუსი ქალბატონის რომანის შედეგად გაჩენილმა ვაჟიშვილმა წლების შემდეგ იპოვა თავისი ქართული ფესვები და საქართველოში მცხოვრები ნახევარდა. თავად ეს ისტორია კი ჩემმა მკითხველმა ამა წლის 2 დეკემბრის „თბილისელების“ ნომრიდან იცის. საბედნიეროდ, წინასაახალწლოდ ნახევარდამ და რუსეთში მცხოვრებმა ძმამ ერთმანეთი იპოვეს. დანარჩენს კი მკითხველი სტატიიდან შეიტყობს. იმედი გვაქვს, და-ძმას შორის ურთიერთობა გაგრძელდება და ისინი ერთმანეთს შეხვდებიან.

***ინტერვიუ ნაპოვნ ნახევარდასთან, 56 წლის თეო მაზანაშვილთან:***

**– რუსეთში რომ ნახევარძმა გყოლიათ, ამის შესახებ თუ იცოდით რამე?**

– მამაჩემს თავისი ოჯახისთვის, ანუ ჩვენთვის, ეს ამბავი არ დაუმალავს. მე მყავდა კიდევ ორი დედმამიშვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ისინი გარდაცვლილები არიან. მამაც გარდაგვეცვალა. მე ყველაზე უმცროსი ვარ დედმამიშვილებში და ყველაზე ნაკლები ამ ისტორიის შესახებ მე ვიცოდი. უბრალოდ, ვლადიმირის არსებობის შესახებ მქონდა გაგონილი, მეტი არაფერი. თქვენ მიერ გამოქვეყნებული ამბავი შემთხვევით წაიკითხა ჩემმა ახლობელმა და მაშინვე დამირეკა. პირადად მე ველარ ვიშოვე ის ნომერი, რომელშიც ეს ამბავი იყო გამოქვეყნებული და პირდაპირ თქვენ დაგირეკეთ. მინდოდა, თავად წამეკითხა ის ისტორია. როდესაც თქვენ მე გადმომიგზავნეთ ის ნომერი, სადაც მამის ფოტოც იყო, ყოველგვარი ეჭვი გამეფანტა და, გადავწყვიტე, ვლადიმირთან დაგეკავშირებინეთ.

**– როგორც ვიცი, ვლადიმირს მისი მეგობრები დაეხმარნენ საქართველოში ნახევარდის პოვნაში, ანუ, მისი ისტორიის განთავსება „ჟდი მენიაში“ სწორედ მათი ინიციატივა იყო.**

– მე დიდი მადლობელი ვარ იმ ხალხის, ვინც ვლადიმირსა და მე ერთმანეთის პოვნაში დაგვეხმარა. რა თქმა უნდა, მის მეგობრებს ამ ამბავში დიდი წვლილი მიუძღვით, მაგრამ, თქვენ რომ არ გადაგეთარგმნათ და არ დაგებეჭდათ ეს ამბავი, მე ხომ ვერაფერს გავიგებდი ვლადიმირის შესახებ! მართალია, მეც და ვლადიმირიც უკვე საკმაოდ ასაკოვანი ადამიანები ვართ, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მასაც ჩემსავით, ბავშვივით უხარია, ერთმანეთი რომ ვიპოვეთ. მამა ან ჩემი დედმამიშვილები ცოცხლები რომ ყოფილიყვნენ, მათაც ძალიან გაუხარდებოდათ ეს ამბავი.

***თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

ვის ხელი და დედაჩემთან გავქცეულიყავი თუ ეს ნაძირალა გამეგდო სახლიდან. დამიჯერებთ, რომ ტირილიც ვერ შევძელი?! ისევ თვითონ აყვირდა. შენ გგონია, მე მეორე ოჯახი მაქვს? გაიხსენე, სულ თქვენ გვერდით ვარ. ერთხელაც არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, სამსახურიდან მოსვლა დამეგვიანოს. მუდმივად თქვენზე ვზრუნავ და იმ ქალთან საერთოდ აღარაფერი მაკავშირებს. ოჯახი მე არ დავანგრიე და შენ გინდა, ერთი შეცდომის გამო მიმატოვოო.

**– ანუ, აქეთ შემოგიტიათ?**

– ასე გამოვიდა. ვიჯექი გაშტერებული,

## წადი სახლიდან-მეთქი, ვუთხარი, უცებ შეიცვალა, მოიკუნტა, მხრებში მოიხარა და მუხლებში ჩამივარდა

ენაჩავარდნილი და ვუსმენდი. არ ვიცოდი, რა უნდა მეთქვა. მომიყვა, როგორ შეცდა, როგორ ვერ გაუძლო ცდუნებას და ხვდებოდა რამდენიმე თვე. მერე როგორ შეაწუხა სინდისმა და დაამთავრა ურთიერთობა; რომ ახლა მხოლოდ სიბრალულისა და პასუხისმგებლობის გრძნობაღა შემორჩა; რომ ეჭვობს – შეიძლება, ბავშვი ჩემი იყოსო და, ამიტომ, ზოგჯერ ფინანსურად ეხმარება. ამ ყველაფერს ისე ამბობდა, თითქოს მელოდრამას მიყვებოდა. თან, ეამაყებოდა თავისი საქციელი, რომ არ მიატოვა და მაინც ზრუნავს მასზე. მეცინა თუ მეტირა, არ ვიცოდი. ზოგიერთ მამაკაცს პასუხისმგებლობა და კაცობა სულ უკუღმა ესმის. კაცობაა, თურმე, ოჯახს, ცოლს რომ უღალატებ და ვიღაც უზნეო დედაკაცზე იზრუნებ. უზნეოს იმიტომ ვუწოდებ იმ ქალს, რომ, გათხოვილი წესიერი ქალები ქმრებს არ ღალატობენ და თავზე ლაფს არ ისხამენ. მე არ ვიცი, შეიძლება, კიდეც ეუბნება ჩემს სულელ ქმარს, რომ ბავშვი მისია და ამ გზით იღებს მისგან ფულსა და დახმარებას, მაგრამ, არ ვაპირებ ამის გარკვევას და ამ სიბინძურეში ქექვას. გული მერევა, როცა ამ ყველაფერზე ფიქრს ვიწყებ.

**– ქმარს აპატიეთ?**

– ნაპატიები არ არის?! ცხოვრობს ჩემთან და აღარ იცის, როგორ მომიბოდიშოს, როგორ შემომიძვრეს და დამავიწყოს მომხდარი. მპირდება, რომ აღარც დაეხმარება იმ ქალს და საერთოდ აღარასდროს ახსენებს, მაგრამ ჩემთვის უკვე სულერთია. ოჯახს არ ვანგრევ, თუმცა, როგორც ჩანს, არც პატიება შემიძლია. როდემდე ვიცხოვრებ ასე, არ ვიცი. მაგრამ, ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩემი ქმარი აქამდე არასდროს ყოფილა ასეთი მზრუნველი, ყურადღებიანი და ჩემზე გადაყოლილი...

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ერთდროულად ორ მამაკაცს ვხვდები – ასე გამოვიდა. ჯერ ერთი გამოჩნდა, რომელთანაც ურთიერთობა ვერ ავაწყვე და დავშორდი. მერე გამოჩნდა მეორე და პირველიც დამიბრუნდა, სიტყვებით – უშენოდ ცხოვრება არ შემიძლიაო. მიყვარს ის, ვინც არ მაფასებდა, მაგრამ, ვხვდები, რომ კარგად ამ მეორესთან ვიქნები. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება:** დაფიქრდით, ხომ არ გამოძრავებთ მარტოდ დარჩენის შიში. შეიძლება, თქვენთვის ორივე ვარიანტი შეუფერებელია, მაგრამ, სწორედ ამ შიშის გამო არ ამბობთ უარს არც ერთზე. პირველ კანდიდატს უფრო იცნობთ და ერთხელ მასთან არაფერი გამოგივიდათ. გააანალიზეთ წარსული და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ. მოუსმინეთ გონებას.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**GDS-ის მეგაპროექტმა „ერთი ერთში“ მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ოთხშაბათის საკმაოდ დატვირთული საღამოს ეთერის მიუხედავად, სწორედ ამ გასართობი არხისკენ მიმართა. გამიკვირდა, როდესაც, სხვა შოუების მსგავსად, პროექტის წამყვანებად არა უკვე გამოცდილი გასართობი ტიპის გადაცემების წამყვანები შეარჩიეს. თორნიკე გოგრიჭიანმა და ანი მამულაშვილმა სრულიად განსხვავებული ნიშა დაიკავეს იმ არცთუ პატარა სივრცეში, რასაც „ქართული ტელევიზია“ ჰქვია.**

# ვის მიმართ ვერ გამოხატავს ანი მამულაშვილი სითბოსა და სიყვარულს

**– ანი, „რუსთავი 2-დან”, კერძოდ კი, „კომედი გრუპის” გადაცემებიდან მახსოვხარ. როგორც ვიცი, „ჯიდიესის“ გახსნის დღიდან ამ არხზე ხარ...**

– „რუსთავი 2-ზე” ბევრად მეტხანს ვიმუშავე ტელეკომპანია „იმედში.” 17 წლის ვიყავი, „იმედში” რომ მივედი და 2007 წელს წამოვედი არხიდან, ნოემბრის ცნობილი დარბევის შემდეგ. მაშინ ძველი თანამშრომლები გამოუშვეს და მეც მათ რიცხვში აღმოვჩნდი. ამის შემდეგ მუშაობა დავიწყე „კომედი გრუპში“, სადაც ძირითადად, საორგანიზაციო საქმეები მევალებოდა და შემოქმედებით საკითხებთან შეხება არ მქონდა. ბიჭების თხოვნით, მხოლოდ რამდენიმე სკეტჩში მივიღე მონაწილეობა. ამის შემდეგ კი უკვე იყო „ჯიდიესი“ – არხი, რომელიც ჯერ არ მაუწყებლობდა და, ალბათ, სულ ოცდაათამდე ადამიანი ვმუშაობდით. პირველივე ქასთინგზე, რომელიც გამოაცხადეს, მივედი და დავიწყე მუშაობა. ეთერში მეგაპროექტით „ერთი ერთში“ არ გამოვჩენილვარ. პირველი იყო დილის გადაცემა, სადაც ახლაც განვაგრძობ მუშაობას.

**– „ერთი ერთში“ როგორ შეირჩა შენი კანდიდატურა?**

– ქასთინგი არ გვქონია. როგორც ვიცი, უბრალოდ, რამდენიმე ადამიანი მოსინჯეს. როდესაც ტესტი ჩამიტარეს, გადაწყვიტეს, რომ ეს გადაცემა უნდა წამეყვანა, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო.

**– ტელევიზიის გარეთ რით ხარ დაკავებული, როგორ ცხოვრობ და ერთობი, როგორ ატარებ თავისუფალ დროს?**

– მყავს შვილი, რომელსაც, სამწუხაროდ, იმდენ დროს ვეღარ ვუთმობ, რამდენიც მინდა. სამწუხაროდ, მთელი ამ წლების განმავლობაში ისე ვცხოვრობდი, რომ დიდი დრო მისთვის არასდროს მქონდა. „იმედის” საინფორმაციოში მუშაობის დროს მართლა კატასტროფული გრაფიკი მქონდა და, ალბათ, საინფორმაციოში აღარასდროს ვიმუშავებ. ახლაც დროის ძირითად ნაწილს ტელევიზიაში ვატარებ, იქიდან კი სახლში მოვრბივარ, რომ ბავშვთან ვიყო. საერთოდ, ძალიან მიყვარს ხალხმრავლობა, მეგობრებთან ყოფნა. მაგრამ, რადიკალურად განსხვავებული პერიოდებიც მაქვს ხოლმე, როცა არავის ნახვა არ მინდა და მომწონს მარტო ყოფნა. შეიძლება, დილით გავიღვიძო და საერთოდ არ მინდოდეს გარეთ გასვლა. ძალიან მიყვარს მარტო ყოფნა, ფეხით სეირნობა. ცოტა ეგოისტი ვარ. არ ვიცი, ეს დედისერთობის ბრალია თუ რისი, მაგრამ, ამ თვისებას საკუთარ თავს ვამჩნევ. მიყვარს რაღაცეების დამოუკიდებლად კეთება, არ მომწონს ვინმეზე დამოკიდებულება, ვინმესთან რამის შეთანხმება, თუნდაც სეირნობის დროს ვინმეს ტემპზე აწყობა *(იცინის)*.

**– რა იგულისხმება შენს დამოუკიდებლობაში?**

– ყველაფერი. არასდროს, არც ერთ სამსახურში, ვინმეს დახმარება არ გამომიყენებია, ყოველთვის ყველაფერს დამოუკიდებლად ვაკეთებ, შესაძლოა, მეტი მოთმინება და შრომა მჭირდება, მაგრამ ასე მირჩევნია. „ჯიდიესშიც“, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჩემი მეგობარი აქ მუშაობდა, ჩვეულებრივი ქასთინგი გავიარე, როგორც „დილის” ყველა წამყვანმა და, ისევე ველოდებოდი პროდიუსერებისგან ზარს, როგორც დანარჩენები. ქასთინგის შესახებაც „ფეისბუქიდან“ გავიგე. საერთოდ, ადვილად ჩემს ცხოვრებაში არაფერი ხდება. მიუხედავად ბევრწლიანი გამოცდილებისა, ეკრანზე არასდროს ვჩანდი და ხალხიც არ მიცნობდა. ვფიქრობ, საჭირო დროს საჭირო ადგილას ვერ მოვხვდი. კარგია, რომ ახლა მაინც მოხდა ის, რაზეც მთელი ცხოვრება ვფიქრობდი, რომ ჩემი საქმეა; რაც ყოველთვის ძალიან მომწონდა და ვამბობდი, რომ, რეპორტიორობაზე მეტად, მინდოდა, წამყვანი ვყოფილიყავი. მაშინ უფრო საინფორმაციოზე ვფიქრობდი, მაგრამ, ახლა მივხვდი, რომ გაცილებით კარგია შოუს წაყვანა – ბევრი თავისუფლება გაქვს, შეგიძლია იმპროვიზაცია. „დილაში” კულტურის ბლოკი მიმყავს, ნიუსებს ვკითხულობ და იქ დიდი თავისუფლება არ მაქვს. მიყვარს, როდესაც თავისუფალი ვარ.



**ხანდახან მიფიქრია, თუნდაც ჩემს მეგობარზე, ნეტავი, იცოდეს რა მაგრად მიყვარს-მეთქი, მაგრამ, ასე მისვლა და ამის თქმა არ შემიძლია**

**– ადრე დაოჯახდი, როგორც ვხვდები.**

– 19 წლის ასაკში გავთხოვდი და მყავს 7 წლის შვილი. ერთ დღეს ვართ დაბადებულები – 15 იანვარს მე 28 წლის ვხდები, მია კი – 8 წლის. ზუსტად ოცი წლით ვარ მასზე უფროსი. დაბადების დღეზე საჩუქარი გავიკეთე, ასე გამოვიდა.

**– ანი, ქმართან გაშორებული ხარ?**

– მეუღლე მყავს, ის ჩემი მეორე ქმარია. 16 წლის რომ ვიყავი, მას ჯერ კიდევ მაშინ ვუყვარდი. მაშინ ჩვენი ურთიერთობა არ შედგა, მერე მე გავთხოვდი, ქმარს გავშორდი და კიდევ წლების შემდეგ ისევ შევხვდით ერთმანეთს.

**– ძალიან საინტერესო და რომანტიკული ისტორიაა, რომელსაც მშრალად მიყვები.**

– არ ვარ რომანტიკული ადამიანი, მაგრამ, შევეცდები, მთელი ჩემი რომანტიზმი გამოვიყენო და ისე მოგიყვეთ ეს ამბავი *(იცინის)*. კახა ძალიან ღირსეული ადამიანია, ის ჩემს ცხოვრებაში არასდროს გამოჩენილა, გამორიცხულია, რომ მას გათხოვილი გოგოსთვის რამე ეთქვა. 16 წლის ვიყავი და, რომ გითხრა, მის მიმართ რაიმე გრძნობა მქონდა-მეთქი, მოგატყუებ. შეიძლება, ხმამაღალი ნათქვამი გამომდის, მაგრამ, იმ პერიოდში ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა და კახას განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთმანეთს რამდენჯერმე შევხვდით, მაგრამ, შეყვარებულები არასდროს ვყოფილვართ. გაცილებით უფრო ბავშვური და ცანცარა ვიყავი იმ პერიოდში, ვიდრე დღეს თექვსმეტი წლის გოგოები არიან. მოკლედ, ჩვენი ურთიერთობა არ განვითარდა.

**– ახლა რას გიყვება, შენმა გათხოვებამ ძალიან ატკინა გული?**

– მასთან იმ პერიოდში არანაირი შეხება არ მქონდა, მაგრამ, როგორც ახლა მიყვება, ამ ამბავს მასზე ძალიან უმოქმედია. ერთხელ ბავშვს ვასეირნებდი ქუჩაში და სრულიად შემთხვევით შემხვდა. დღემდე მახსოვს მისი სასოწარკვეთილი გამოხედვა – მივხვდი, რომ საშინლად დასწყდა გული. გათეთრებული ჰქონდა სახე.

**– პირველ ქმარს რატომ გაშორდი?**

– კონკრეტული მიზეზი არ ყოფილა, პატარები ვიყავით. ცხრამეტი-ოცი წლის ბავშვებმა ერთად ცხოვრება დავიწყეთ და მალევე მივხვდით, რომ ის სიყვარული ჩვენს ურთიერთობაში აღარ არის, რაც ოჯახისთვის აუცილებელია. ძალიან მშვიდად, სკანდალების გარეშე დავშორდით ერთმანეთს და მასთან დღემდე ნორმალური ურთიერთობა მაქვს. ერთ სფეროში გვიწევს მუშაობა – ისიც ერთ-ერთ ტელევიზიაში მუშაობს. ერთმანეთს, ძირითადად, ბავშვთან დაკავშირებით ვეკონტაქტებით, რომ მოვიკითხო და სადმე ყავაზე დავსხდეთ, ასე არა *(იცინის)*.

**– კახა თავიდან როგორ გამოჩნდა შენს ცხოვრებაში?**

– კახა საქართველოში არ ცხოვრობდა. ერთერთ მორიგ ჩამოსვლაზე, ჩვენ საერთო მეგობართან, რომელიც, ამავდროულად, ჩემი მეზობელია, სტუმრად მივიდა. მანაც დამირეკა და ასე შევხვდით ერთმანეთს. დამირეკა, მომწერა... ნელ-ნელა ავაწყვეთ ურთიერთობა. როდესაც მომიყვა, როგორ ვუყვარდი ამ წლების განმავლობაში, როგორ მელოდებოდა და ოცნებობდა, ეს ჩემთვის შოკი იყო. მე ასეთი სიყვარული არ შემიძლია. საერთოდ, ცოტა ცივი ადამიანი ვარ, ვერ გამოვხატავ იმ ემოციებსა და იმ სიყვარულს, რომელიც თუნდაც კახას, ჩემი მეგობრების, ჩემთვის ძვირფასი ადამიანების მიმართ მაქვს. ხანდახან მიფიქრია, თუნდაც ჩემს მეგობარზე, ნეტავ, იცოდეს, რა მაგრად მიყვარს-მეთქი, მაგრამ, ასე მისვლა და ამის თქმა არ შემიძლია. რაღაც პრობლემები მქონდა და მაშინ მივხვდი, რომ ადამიანურ სიყვარულზე, გვერდში დგომაზე მნიშვნელოვანი არაფერია. შეიძლება, ეს ცოტა დიდაქტიკურად გამომდის, ჭკუის სწავლებასავით, მაგრამ, საკუთარ თავზე ვიგრძენი, ეს რამდენად მნიშვნელოვანია. ამიტომ, ვცდილობ, საქციელით მაინც ვაგრძნობინო ჩემ გვერდით მყოფ ადამიანებს, თუ როგორ მიყვარს და როგორი ძვირფასები არიან ჩემთვის.

**– ბავშვს როგორი ურთიერთობა აქვს შენს მეუღლესთან?**

– სანამ კახას ცოლად გავყვებოდი, მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი, ვიქნებოდით თუ არა ერთად, იყო მიასა და კახას ურთიერთობა, თუ როგორი დამოკიდებულება ექნებოდა ჩემს შვილს ადამიანთან, ვისთან ერთადაც უნდა ეცხოვრა. ჩემთვის მიუღებელია, როდესაც გოგოები მეორედ თხოვდებიან და შვილს გასაზრდელად, რატომღაც, მშობლებს უტოვებენ. ვერ ვხსნი ამ ფენომენს. მას აუცილებლად ჩემთან უნდა ეცხოვრა. კახა არაჩვეულებრივად მიუდგა ამ საკითხს. ქართველი კაცი, როგორც არ უნდა ვიჩემებდეთ ევროპელობას, მაინც აზიატად რჩება და მისთვის რთული აღსაქმელია, როდესაც ცოლად შვილიანი მოჰყავს. კახას საერთოდ სხვა დამოკიდებულება აქვს ამ საკითხის მიმართ, თავიდანვე ძალიან ჩაერთო მიას აღზრდაში და მის მიმართ ყოველთვის მზურნველი იყო. ჯერ კიდევ შეყვარებულობის პერიოდში, ავად ვიყავი თუ არ მეცალა, აკითხავდა მას ბაღში. მიაც გიჟდება კახაზე. მან კარგად იგრძნო კახას გულწრფელობა – ბავშვები მათ მიმართ დამოკიდებულებას იოლად ხვდებიან.

**– მეორე შვილის გაჩენას ხომ არ აპირებ?**

– ზოგადად კი, მით უმეტეს, რომ თვითონ დედისერთა ვარ, ვიცი, ეს რასაც ნიშნავს და არ მინდა, ჩემი შვილი ამისთვის გავიმეტო. მაგრამ სიმართლე გითხრათ, ცოტა მეზარება. მია უკვე 7 წლისაა და, რომ ვიხსენებ მთელ იმ განვლილ პროცესს, მეზარება *(იცინის)*. მხოლოდ ორსულობა და მშობიარობა რომ იყოს, ძალიან დიდი სიამოვნებით გავაჩენდი ბევრ შვილს, მაგრამ, ღამის თევები და სხვა სირთულეები რომ მახსენდება, თავს ვიკავებ. აუცილებლად გავაჩენ, მაგრამ, ალბათ, რამდენიმე წელიწადში.

**სალომე გველესიანი**

**ყველა ცდილობს, ახალ წელს მოწესრიგებული, გალამაზებული, ამაღლებული განწყობით და ტრადიციული სუფრით შეხვდეს. ამავე დროს, გაითვალისწინოს ყველა რეკომენდაცია, რაც წლის მბრძანებელს მოეწონება. 2014 წელი ცხენის წელიწადია და, როგორც ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ამბობს, მას შესაბამისად მომზადებული უნდა დავხვდეთ. ხოლო, თუ რა ფერის ტანსაცმელი უნდა მოვირგოთ ახალი წლის ღამეს, რომელი რიტუალის შესრულებაა საჭირო 12 საათამდე რამდენიმე წუთით ადრე, როგორ მოვაწყოთ სახლი და რა დავაწყოთ საახალწლო-სადღესასწაულო სუფრაზე, რომ წლის მბრძანებელიც გავახაროთ და ბედნიერებაც დავიბედოთ მომავალი წლისთვის, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რა ფერის ტანსაცმელი უნდა ჩაიცვათ ახალი წლის ღამეს და რომელი რიტუალის შესრულებაა საჭირო 12 საათამდე რამდენიმე წუთით ადრე

**მიხეილ ცაგარელი**: ხის სტიქიის, 2014 წლის ცხენის წელიწადს, უმჯობესია, შეხვდეთ მრავალრიცხოვან კომპანიაში, რაც შეიძლება მხიარულად, ისეთ ადგილას, სადაც გართობა და ცეკვაა შესაძლებელი. ცხენს უყვარს სივრცე და სირბილი. საახალწლო მაგიდა უნდა გაშალოთ სახლის დიდ ოთახში. კარგია, თუ დამდეგს შეხვდებით მეგობრებთან, ახლობლებთან და ოჯახის წევრებთან ერთად. გაითვალისწინეთ, რომ 31 დეკემბერი უარყოფითი ენერგიების დღეა, ამ ნეგატიურ ენერგიას კი ყველაზე მეტად ბავშვების სიცილი და თამაში აფრთხობს.

**– რა ფერებში მოვრთოთ წელს ნაძვის ხე?**

– საახალწლო ნაძვის ხე უნდა მორთოთ მწვანე, ოქროსფერ, ყვითელ ფერებში, შიგადაშიგ შეიძლება წითელი სათამაშოებიც დაკიდოთ. რადგან წლის ერთ-ერთი მმართველი და მასპინძელი ხის სტიქიაა, ამიტომ, ოთახშიც და სუფრაზეც მეტად უნდა

**31 დეკემბერი უარყოფითი ენერგიების დღეა, ამ ნეგატიურ ენერგიას კი ყველაზე მეტად ბავშვების სიცილი და თამაში აფრთხობს**

იყოს წარმოდგენილი ხის ნაკეთობები – ეს თქვენს იღბლიანობას გააძლიერებს 2014 წელს. ნაძვის ხის გვერდით მოათავსეთ ჩიჩილაკი. ხის სტიქია ცხენის დამცველი ელემენტია, ამიტომ, თქვენს საახალწლო აქსესუარებშიც უნდა დომინირებდეს ხე, რაც თქვენთვის ერთგვარი თილისმის ძალას შეიძენს. წლის ფერია მწვანე, ამიტომ, საახალწლოდ ოთახი მწვანე ფერებში მორთეთ, თუმცა, რადგან ხის სტიქია ბატონობს, ყავისფერი, ჩალისფერი, ოქროსფერი ტონებიც მისაღებია.

**– რაც შეეხება საახალწლო ჩაცმულობასა და სამკაულებს? ამ მხრივ რისი გათვალისწინებაა საჭირო ახალი წლის დახვედრისას?**

– ტანსაცმელში უნდა დომინირებდეს პირველ ყოვლისა, მწვანე, შემდეგ კი – ყავისფერი, ჩალისფერი, კრემისფერი, ოქროსფერი ტონები, შიგადაშიგ შეურიეთ წითელიც. უმჯობესია, ჩაცმულობა სადღესასწაულო და მკვეთრი იყოს. მინერალებიდან კი კარგია ოლივინის, ზურმუხტის, მწვანე ან ყვითელი იასპის ან მალაქიტის ქვებიანი სამკაულების გაკეთება. ძირითადად, მწვანე და ყვითელი ფერის ასტროლოგიური ქვებია წელს საახალწლოდ მისაღები. ლითონებიდან კი – ოქრო და ვერცხლი.



**– სუფრაზე რა დავახვედროთ ცხენს, რომ მისი კეთილგანწყობა მოვიპოვოთ და მისი გული მოვიგოთ?**

– საახალწლო სუფრაზე აუცილებლად უნდა იდოს სალათები, თევზეული, ხორცის კერძები, ხილი, ბოსტნეული, უმეტესად – მწვანე ფერის, მათ შორის, აუცილებელია კივი. ტრადიციული კერძებიდან მაგიდაზე უნდა იდოს: საცივი, ხაჭაპური, გოზინაყი, ღვინო და ნამცხვრები. ახალი წლის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია შამპანური და ეს არ დაგავიწყდეთ წელსაც. ასევე, დადგით თეთრი ღვინო, გაზიანი სასმელები, რადგან, ეს ცხენის ვიბრაციულ ენერგიებთან უფრო მეტად დაგაკავშირებთ. მაგრამ, გაფრთხილებთ, ნუ გამოიყენებთ საახალწლო სუფრაზე ლუდსა და ბურახს, ასევე, „ფასტფუდის" ნაწარმს. გაფრთხილებთ, რომ წლის პირველ ნახევარში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ სწორ კვებასა და ცხოვრების ჯანსაღ წესს, რადგან, დიდია წონაში მომატების რისკი. ამიტომ, ნაკლებად ჭამეთ ტკბილეული, ფუნთუშეული, მარილიანი და შებოლილი პროდუქტი, შემწვარი ხორცი და ზომიერება დაიცავით ალკოჰოლური სასმელების მიღებისას. ცხენი მხიარულია, თანაც, აზარტული – უყვარს ფოიერვერკები და ფერად-ფერადი საჰაერო ბუშტები. ამიტომ, ახალ წელს მხოლოდ სუფრასთან მჯდარი ნუ გაატარებთ. რაც შეიძლება მეტი იცეკვეთ და იმხიარულეთ. 2014 წლის იღბლის ელემენტი დაკავშირებულია წყალთან. კარგია, თუ წყლით აავსებთ გამჭირვალე ჭურჭელს, შიგნით რკინის ფულს მოათავსებთ და ისე დადგამთ მაგიდაზე – ასე ფულის ენერგიებს თქვენკენ მოიზიდავთ, რადგან ცხენის წელიწადი ცვლილებების მომტანია, ამიტომ, კარგი იქნება, თუ ახალი წლის ღამისთვის შეიცვლით იმიჯს, ვარცხნილობას, ჩაცმის სტილს, რაიმე ახალს შეიძენთ ამ დღისთვის და მას მოირგებთ.

**– საახალწლოდ ყველა ვფიქრობთ, რა საჩუქარი შევურჩიოთ ახლობელ და საყვარელ ადამიანებს, რომ მათი გემოვნებაც დავაკმაყოფილოთ და თან წლის მბრძანებლის შესაბამისი საჩუქარიც იყოს. ამ მხრივ რას გვირჩევთ?**

– წელს საუკეთესო საჩუქარია ცხენის ნალი. კარგი იქნება, თუ მას კარზე დაკიდებთ ან შესასვლელში ჩამოკიდებთ. შეგიძლიათ, ახლობელ ადამიანებს ნალის ფორმის გულსაკიდი, საყურეები ან „ბრელოკები" შეურჩიოთ. ბავშვებისთვის კი კარგია სათამაშო ცხენის ჩუქება.

**– თუ არსებობს სპეციალური რიტუალი, რომელიც ახალი წლის დადგომამდე რამდენიმე წუთით ადრე უნდა ჩავატაროთ და ამით მომავალში სურვილები აგვიხდეს?**

– ახალი წლის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე აანთეთ 1, 2 ან 7 ცალი მწვანე ან ყვითელი სანთელი და სთხოვეთ ცეცხლის სტიქიას, რა გინდათ, რომ შეგისრულდეთ მომავალ წელს. ანთებული სანთლის წინ ითხოვეთ, რომ დარდი და პრობლემები ძველ წელს დარჩეს და მომავალში სიხარული და ბედნიერება მოგენიჭოთ. მთავარია, ეს რიტუალი გულით შეასრულოთ და მისი გჯეროდეთ. მინდა, ეს წელი, ყველა თქვენგანის ოჯახისთვის და, ზოგადად, ქვეყნისთვის წარმატებული და იღბლიანი იყოს და მჯეროდეს, რომ ის გაცილებით უკეთესი ტენდენციების მომტანი იქნება, ვიდრე გასული წლები იყო.

**ნონა დათეშიძე**

**ქრისტიანები წელიწადში 4 მარხვას ვინახავთ, ეკლესიაში დავდივართ, აღსარებას ვამბობთ, ვეზიარებით, მაგრამ, ამ ყველაფერზე მაინც ზედაპირული წარმოდგენა გვაქვს. არაფერი ვიცით იმ სამი ბრძოლის შესახებ, რისი გადატანაც განსაკუთრებით მარხვის პერიოდში გვიწევს. ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# საიდან ჩნდება ადამიანში სხვადასხვა საცდური და როდის იკვებება მისი სული ღმერთით

– სანამ უშუალოდ მარხვაზე ვისაუბრებდი, მინდა, ზამთრის დადგომა მივულოცო ყველას. მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს – ზამთარი რა მოსალოციაო. თუ ჩვენ ეკლესიური აზროვნებით შევხედავთ ზამთარს, მისი დადგომა უფრო მეტად მისალოცია, ვიდრე გაზაფხულის, განსაკუთრებით მაშინ, თუ ადამიანი შემოდგომის ასაკში იმყოფება. წმიდა მამები წელიწადის დროებს ადარებნენ ჩვენს ასაკს. გაზაფხული აღარ დაბრუნდება, რადგან, ეს არის ჩვენი ბავშვობა, ზაფხული – ეს არის ჩვენი ახალგაზრდობა, შემოგომა – შუა ასაკი და ზამთარი – უკვე ჩვენი სიბერე, მის შემდეგ კი ჩვენს ცხოვრებაში სასუფეველი უნდა დამკვიდრდეს. ვინ რა მდგომარეობაში ან ასაკშიც არ უნდა ვიყოთ, ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენი ბოლო ზამთარია და ეს პერიოდი განსაკუთრებულად უნდა გავატაროთ მარხვის დაცვით, აღსარებით, ზიარებით.

**– მამაო, არაერთხელ გვისაუბრია მარხვაზე, მისი შენახვის წესებზე. მიუხედავად ამისა, მაინც არ ვიცით ბევრი რამ. იმის გაცნობიერებაც კი გვიჭირს, რა არის ჩვენთვის მარხვა, რა მნიშვნელობა აქვს მას ჩვენს ცხოვრებაში.**



**თუ დავსვამთ ასეთ კითხვას: რა არის თქვენთვის მარხვა? – ბევრი იტყვის: არ უნდა ვჭამო ხორცი, რძის ნაწარმი, მაგრამ, თუ რაღაც პრობლემები მექნება, მოძღვარს გამოვთხოვ კურთხევას და რძის ნაწარმს მივიღებ**

– ყველას, ვინც დიდი ხანია, დადის ეკლესიაში ან, პირიქით, ახლა იწყებს სიარულს, მინდა ერთი რამ ვურჩიო: მარხვა შეინახეთ როგორც ნეოფიტებმა. „ნეოფიტი" ახლად მოქცეული ადამიანია. გაიხსენეთ თქვენი პირველი მარხვა – რა საყვარელი მდგომარეობა იყო, როგორი გაფართოებული თვალებით მოდიოდით და ყველაფერს როგორი მოწიწებითა და მოშიშებით აკვირდებოდით. აი, ასე შეინახეთ ყველამ მარხვა – ეს იყოს თქვენთვის პირველი მარხვა, პირველი ზიარება, პირველი აღსარება, ეკლესიაში პირველი მოსვლა. ასე თუ მიუდგებით, მაშინ, ყოველთვის მოწესრიგებული, აღფრთოვანებული იქნებით – გარკვეულ მოლოდინში, სიხარულსა და ბედნიერებაში. აი, ასე დავიწყოთ მარხვა. თუ დავსვამთ ასეთ კითხვას: რა არის თქვენთვის მარხვა? ბევრი იტყვის: არ უნდა ვჭამო ხორცი, რძის ნაწარმი, მაგრამ, თუ რაღაც პრობლემები მექნება, მამაოს გამოვთხოვ კურთხევას და რძის ნაწარმს მივიღებ. ეს გასაგებია და ამაზე ბევრი საუბარი არც არის საჭირო. თუ გინდათ, გაიგოთ, რა არის მარხვა, ცნობიერებით უნდა გადახვიდეთ სამოთხეში.

**– ეს, არ მგონია, ადვილი იყოს. ადამიანის ცნობიერებას ხშირად უჭირს ასეთ რაღაცეებში ჩაწვდომა, გააზრება.**

– მინდა, გაგახსენოთ სამოთხისეული მდგომარეობა მაცხოვრის უდაბნოში გამოცდით: როდესაც მაცხოვარმა ნათელი იღო, მას ეშმაკმა სამი გამოცდა მოუწყო. პირველი: ქვები პურებად გადააქციეო – ანუ, ხორციელი მდგომაორება; მეორე: ტაძრის ქიმიდან გადმოხტი და ანგელოზები აგიტაცებენო; მესამე: ამ ყველაფერს, რასაც კი ხედავ, მოგცემ, ოღონდ, თაყვანი მეციო. იოანე ღვთისმეტყველი შესანიშნავად ბრძანებს: ადამიანის პირველი საცდური მოდის ადამიანის გულისთქმა თვალთა, გულისთქმა ხორცთა და სიამე ამა თვალთა. აი, ეს ყველაფერი დაამარცხა იესო ქრისტემ. როდესაც ევამ სამოთხეში ნაყოფი დაინახა, ის იმდენად ლამაზი იყო, რომ ჯერ თვალით შეცდა. ადამიანის ბუნება ისეთია, რომ, როდესაც დაინახა თვალმა, შემდეგ მოუნდა სხეულს და მოუნდა მისი შეჭმა. როგორც კი შეჭამა, მაშინვე მოუნდა ამა სოფლის სიამე – განღმრთობა ღმერთის გარეშე. მარხვა კი ებრძვის სიამეს თვალთა. ადამიანის მახსოვრობა უძიროა, ის უნდა განიღმრთოს, მარადიულობაში უნდა გადავიდეს, ამისთვის კი მის გონებას სჭირდება მომზადება, მომწიფება. შეიძლება, ადამიანს რაღაც გადაცემები არ აინტერესებს, მაგრამ, ყველაფერი, რასაც თვალი ხედავს, ადამიანის გონებაში, მის შრეებში იბეჭდება და გარკვეულ დროს იჩენს თავს. ამიტომ, იქნებ, მარხვაში მაინც მოვერიდოთ თვალის სიავეს, რომელიც ძალიან ბევრნაირია.

**– კიდევ რას უნდა მოერიდოს ადამიანი?**

– სიამეს ხორცისა – აი, რას უნდა მოერიდოს ადამიანი. შენი ხორციელი მადა უნდა შეამცირო, რომ სულიერმა მადამ გაიღვიძოს შენში. რატომ? როდესაც შენი წინაპარი სამოთხეში ცხოვრობდა, ის ბედნიერი იყო, მისი სული იყო უფალთან შეერთებული, მისი სამშვინველი იკვებებოდა სულიდან, ხოლო სხეული სამშვინველიდან იღებდა საკვებს. როცა ადამიანი დაეცა, ყველაფერი თავდაყირა დადგა: სულმა სამშვინველისგან დაიწყო კვება, სამშვინველმა – სხეულისგან, ხოლო სხეულმა კი – სიამეებიდან, გარკვეული ცნობისმოყვარეობიდან. მარხვაში უნდა დავიბრუნოთ სულიერი ბედნიერება – ეს კი ჩვენი სულის ღმერთთან დაკავშირებაა. თუ სხეულს არ შეუმცირე მადა, ბუნებრივია, შენი სული ვერ იქნება ბედნიერი. ეს ყველაფერი კი მარხვაში უნდა მოხდეს. თუმცა, დღეს იმდენი გემრიელი სამარხვო კერძი გამოვიდა, ხშირად ისეთი დანაყრებულები ვართ, რა მადის შემცირებაზეა საუბარი. ხორციელი მადა მარხვაში უფრო ღვიძებს, ვიდრე ხსნილში – ისეთი სამარხვო სუფრები გაიშლება უახლოეს მომავალში... მერე დაიწყება რეკვები: იჭმევა, მამაო, ახალ წელს თევზი? როდის იჭმევა – 31 დეკემბერს თუ 1 იანვარს? 12 საათს 5 წუთი, რომ აკლია თუ 10?.. პატრიარქმა რომ იცის ჩვენი გემოთმოყვარეობა, ამიტომაც დაუშვა ეს. თქვენ კი უნდა ეცადოთ, რომ ცოტათი შეაწუხოთ თქვენი მუცელი – სუფრიდან რომ ადგებით, კიდევ უნდა გშიოდეთ – იქნებ, სტუმარი მოგივიდათ, იქნებ, საომრად მიდიხართ, ვინმეს სჭირდება თქვენი დახმარება, მაგრამ, არა, სუფრიდან ისეთი დანაყრებულები ვდგებით, მაშინვე წამოგორება, კოტრიალი, ხელში პულტის აღება გვინდება. ანუ, მარხვაში მოიკელით ხორციელი მადა, რომ სულიერმა მადამ გაიღვიძოს. სხვა დროსაც აღმინიშნავს და ახლაც მინდა ვთქვა, რომ დღეს ჩვენი სული დაშორებულია ღმერთისგან, აღარ იკვებება მისგან, ამიტომაც, სახეზე გვაწერია ყველას სევდა, მოწყენილობა, თითქოს ცა ჩამოიქცა ჩვენს თავზე. იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ხორციელი უბედურებებია, ხორციელი განსაცდელები, რომლებიც იმიტომ დაუშვა ღმერთმა ჩვენზე, რომ გაგვახსენოს: არსებობს სულიერი განსაცდელები, სულიერი სიხარული.

> **როდესაც იოანე ოქროპირს ეკითხებიან: ხშირად უნდა ვეზიაროთო? ის პასუხობს: არა, ხანდახან – არა, დღესასწაულებზე – არა. აბა როდის? როცა მოემზადები, მაშინ**

**– მარხვაში ადამიანები უფრო ხშირად ამბობენ აღსარებას, ეზიარებიან. თუმცა, დღემდე ბევრს აწუხებს კითხვა: რა სიხშირით უნდა ეზიაროს, რამდენჯერ უნდა ეზიაროს. ამაზე ბევრ მოძღვარს განსხვავებული პასუხი აქვს.**

– როდესაც იოანე ოქროპირს ეკითხებიან: ხშირად უნდა ვეზიაროთო? ის პასუხობს: არა, ხანდახან – არა, დღესასწაულებზე – არა. აბა როდის? როცა მოემზადები, მაშინ. ანუ, მაშინ უნდა ეზიაროთ, როდესაც ამისთვის მოემზადებით. ყოველკვირა ეზიარები, ხანდახან თუ დღესასწაულებზე, ეკლესიაში სულიერმადაგაღვიძებული უნდა მოხვიდე, უნდა იყო მომზადებული, მოწესრიგებული ზიარებისთვის. ხშირად ზიარების წინ, ლამის პირდაპირ ბარძიმთან ამბობენ აღსარებას, ფურცლებზე ჩამოწერილი ცოდვებით მოდიან. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია. არ ჯობია, თვეში ერთხელ გამონახოთ დრო, მიხვიდეთ მოძღვართან და მას გულდასმით ესაუბროთ, დაგარიგოთ, რომ გაიგოთ, რა არის აღსარება, მარხვა, ეკლესიაში სიარული, ზიარება, რა არის ხორციელი უბედურება და სულიერი უბედურება – ეს ყველაფერი ხომ უნდა ისწავლოთ? რუსულ ლექსიკონში ასეთი ცუდი ტერმინი არსებობს: „ზაკონ ბოჟი", თითქოს ღმერთი პროკურორია ან მოსამართლე, რაღაც კანონებს გიწესებს და უნდა შეასრულო. ეს არასწორი ტერმინია. უფლის მცნებები არსებობს და არა კანონები. 10 მცნება არსებობს და არა კანონები. ღმერთი მცნებებს იძლევა და ყველას შესრულება შესაძლებელია, არავინ თქვას, რომ რთულია ქრისტიანობა. რა არის რთული – გიყვარდეს მოყვასი, არ მოიპარო, არ მოკლა, ისე მოექეცი სხვას, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ?! ადამიანი ყველაფერს ეპოტინება, კარგია ის თუ ცუდი, რადგან, ადამიანის ბუნება არის ცნობისმოყვარე, მომხვეჭელი. მოდი, ასეთი მომხვეჭელები ვიყოთ სულიერებაში, ყველაფერი გვაინტერესებდეს სულიერებაში. სასულიერო პირებს გვიყვარს ძვირფასი მანქანები, ეკლესიაშიც გვინდა ყველაფერი სასიამოვნო იყოს: ტკბილი ღვინო, გემრიელი სეფისკვერი, სასიამოვნო გალობა, ქადაგება, სიმპათიური მოძღვარი, რომ კარგად ვიგრძნოთ თავი. ანუ, სიამე თვალთა ეკლესიაშიც არის. ამიტომ, ამ სამ განსაკუთრებულ ბრძოლაზე უნდა ვიფიქროთ მთელი მარხვის განმავლობაში: თვალი უნდა მოვარიდოთ ხედვას, სხეული განვაშოროთ სიამოვნებას და განვერიდოთ სიამეს ამასოფლისას.

**ნათია უტიაშვილი**

# ქრისტიანული სასწაულები

## წმიდა ნიკოლოზის მიერ აღსრულებული სასწაულები

### სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ქადაგებიდან

„წმიდა ნიკოლოზი ყოველ გაჭირვებულ ადამიანს ეხმარებოდა. იგი ჯერ კანონიზებულიც არ იყო, რომ, ხალხი, როგორც წმიდანს, პატივს მიაგებდა. იყო შემთხვევა, როცა ერთ-ერთმა მორწმუნემ ხატმწერს მისი ხატი შეასრულებინა და ტაძარში მიიტანა. პატრიარქმა ეს რომ დაინახა, აუხსნა, რომ, რადგან იგი კანონიზებული არ იყო, ამ ხატის ტაძარში დაბრძანება არ შეიძლებოდა და უკან გაატანა. გავიდა მცირე ხანი. პატრიარქს ზღვით მოგზაურობა მოუწია. უეცრად საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და გემი დაიმსხვრა. პატრიარქი უკვე იძირებოდა, როცა დაინახა, რომ წმიდა ნიკოლოზი მის დასახმარებლად ზღვაზე, როგორც მიწაზე ისე მოდიოდა. პატრიარქმა გაკვირვებულმა ჰკითხა: „ვინა ხარ შენ?“ წმიდა ნიკოლოზმა უპასუხა: „ნიკოლოზი ვარ, შენს საშველად მოვედი“. მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქმა მისი ხატი არ მიიღო, ის მის საშველად მოვიდა და გადაარჩინა. აი, ასეთი სასწაულთმოქმედია წმიდა ნიკოლოზი.

რუსეთის ეპარქიაში, კერძოდ, უკრაინაში, ასეთი დიდი სასწაული მოხდა: ნიკოლოზობას ერთი ოჯახი ტაძარში მიდიოდა და ღამით მდინარეზე ნავით უნდა გადასულიყვნენ. გადასვლისას დედას ბავშვი ხელიდან გაუსხლტა და წყალში გადავარდა. წარმოიდგინეთ დედ-მამის გოდება და მწუხარება – მათ ხომ შვილი დაეხრჩოთ. იქ რამდენიმე საათი იტრიალეს, იქნებ, მკვდარი მაინც ვიპოვოთო, მაგრამ, ამაოდ. გადაწყვიტეს, მომხდარის მიუხედავად, მაინც მისულიყვნენ ტაძარში და წმიდა ნიკოლოზისთვის თაყვანი ეცათ. მათ ნაცვლად, სხვა, შეიძლება, დამწუხრებული უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ, ამ ცოლ-ქმარს იმდენი რწმენა ჰქონდა, რომ სალოცავად წავიდა. რომ მივიდნენ, უკვე გარიჟრაჟი იყო და ტაძარი დაკეტილი დახვდათ. დარაჯს სთხოვეს, მათთვის კარი გაეღო, რათა ელოცათ. ამ დროს მათ ბავშვის ტირილი მოესმათ. შევიდნენ ტაძარში და დაინახეს, რომ წმიდა ნიკოლოზის ხატის წინ მათი ბავშვი იწვა სველი ტანსაცმლით. დიდი რწმენისთვის აი, ასეთი უდიდესი სასწაულით დააჯილდოვა ისინი წმიდა ნიკოლოზმა.

## ბეთანიის ტაძრის აშენებას სასწაული უძღოდა წინ

„არსებობს ერთი ძველი გარდამოცემა, თუ როგორ ააგეს ტაძარი საკუთრივ ამ ადგილას, მთის ძირში. ამბობენ, რომ თავდაპირველად მის აშენებას მდინარე სამადლოს მეორე მხარეს აპირებდნენ. ეს საკმაოდ ლამაზი ადგილია და, ტაძარიც, აქ რომ აშენებულიყო, ყოველმხრივ გადახედავდა გარემოს, თუმცა, ასე როდი სჯიდა საღმრთო განგებულება! გადმოცემით, მშენებლებს უკვე სამშენებლო მასალებიც აუტანიათ იმ თხემზე, მაგრამ, ერთ დილით, გაოცებულებმა აღმოაჩინეს, რომ სამშენებლო მასალები სადღაც გაქრა! დაიწყეს ძებნა და ხეობის ფსკერზე იპოვეს ისინი, ერთად დაწყობილი მთის პატარა ბექობზე. ყველამ ერთად განადიდა ღმერთი და მონასტრის შენება ახალ, სასწაულით მითითებულ ადგილას დაიწყეს. შესაძლოა, ღვთის განგებამ გაითვალისწინა მისი მომავალი მნიშვნელობა, განსაკუთრებით – ჩვენი, ბოლო ჟამისათვის, როცა ბერ-მონაზვნებს ყველაზე მეტად შეჰფერით და ესაჭიროებათ განშორება ვნებებით შეპყრობილი ამა ქვეყნისაგან, მისი ამაოებისა და საცდურისაგან“.

## ბეთანიის მონასტრის მღვდელ-მონაზონ გიორგის აზრების წაკითხვის უნარი ჰქონდა მომადლებული

„ერთხელ ასეთი შემთხვევაც მახსოვს: ლოცვად ვდგავარ დილით და, რადგან სამსახურში მიმეჩქარება (ეს მანამდე ხდება, სანამ შემდგომში არქიმანდრიტი ლაზარე, ბერად აღიკვეცებოდა), ვფიქრობ, ნეტავ, მალე მორჩებოდეს-მეთქი. მამა იოანე კი განაგრძობდა ლოცვას. უცებ, მამა გიორგი, რომელიც ეზოში რაღაცას საქმიანობდა, შემოვიდა და მამა იოანეს სთხოვა, დაეჩქარებინა, რადგან, მე მაგვიანდებოდა. შევკრთი – მან ხომ ჩემი ფიქრი წაიკითხა. დაგვაპურეს და გამოგვისტუმრეს. გზაზე გამოსულებს ერთმა მძღოლმა მანქანა გაგვიჩერა, გამოგვკითხა, ბეთანიიდან მოვდიოდით თუ არა, მამა გიორგი მოიკითხა და თბილისში წაყვანა შემოგვთავაზა. მთელი მგზავრობის განმავლობაში ელდანაცემივით ვიჯექი: მაშ, მოხუც ბერს ჩემი ფიქრები წაუკითხავს და ულოცია კიდეც, რომ შინ მშვიდობით დავბრუნებულიყავით! აი, თურმე, როგორები არიან ბეთანიელი მამები!“

**არქიმანდრიტი ლაზარე**

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორც მითხრეს, ჯადოს მოსახსნელად უნდა ვიკითხოთ წმინდა კვიპრიანეს ლოცვები, რამდენად მართებულია ეს და შეიძლება თუ არა მათი სახლში წაკითხვა?**

**პასუხი:** სანამ ქრისტიანი გახდებოდა, წმინდა კვიპრიანე ჯადოქარი იყო, მაგრამ, უფლის ძლიერების მხილველმა, ცრუმოძღვრება უარყო და მღვდელმთავარი გახდა, ბოლოს კი ქრისტესთვის აღესრულა მოწამეობრივად. წმინდა კვიპრიანე სიცოცხლეშივე ეხმარებოდა ადამიანებს, თავი დაეცვათ ეშმაკისგან და, ბუნებრივია, იმქვეყნიური საუფლოდანაც დაგეხმარებათ. თუმცა, ამ ლოცვებისთვის კურთხევა აუცილებლად სთხოვეთ მოძღვარს.



**კითხვა: შეიძლება თუ არა, ჯვართან ერთად გულზე ჩამოვიკიდო რაიმე თილისმა?**

**პასუხი:** ჯვართან ერთად შეგიძლიათ ატაროთ მხოლოდ ხატი ან ფსალმუნი. ჯვართან ერთად სხვა რამის ტარება მცირედმორწმუნეობას ნიშნავს, რადგან, ჯვრის ძალას ვერაფერი გადაწონის და, რაღა მნიშვნელობა აქვს თილისმის ტარებას? ზოგადად, თილისმები და ავგაროზები არაქრისტიანულია და მათი ტარება მორწმუნე ქრისტიანისთვის დაუშვებელია.

**კითხვა: როგორ ვევედრო უფალს ჩემი სანუკვარი სურვილის ასრულებაზე?**

**პასუხი:** გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით სურვილს, თუ რას შესთხოვთ უფალს. ხშირად ჩვენი სურვილები ჩვენივე ცხონების საწინააღმდეგოა. ხოლო, თუ თქვენი თხოვნა სათნოა უფლისთვის, მთელი გულით სთხოვეთ მას და აუცილებლად მიიღებთ ღვთის შეწევნას.

**კითხვა: შეიძლება თუ არა სხეულის ზოგიერთ უხერხულ ადგილზე ზეთის ცხება მკურნალობის მიზნით?**

**პასუხი:** ზეთის ცხება სამკურნალოდ სხეულის ნებისმიერ ადგილზე შეიძლება უფლის რწმენის მქონე ადამიანისთვის.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## წმიდა ილარიონ ქართველი და მონასტრის მამასახლისი

წმიდა ილარიონის მიერ ახლადაშენებულ მონასტერში უამრავი ადამიანი მოდიოდა. როდესაც ნეტარმა ბერმა შეიტყო, რომ ხალხსა და მეფეს მისი ეპისკოპოსად კურთხევა სურდათ, გამოირჩია ერთი ძმა, დაადგინა იგი წინამძღვრად და უთხრა: „ისე იღვაწე ძმათა სულებისათვის, როგორც საკუთარ სულზე, რათა იმ მონასავით არ დაგემართოს, რომელიც თავის უფალს არ მოელოდა“. წმიდანმა ხელები ზეცისკენ აღაპყრო და თქვა: „უფალო ხელთა შენთა შევვედრებ ამ ძმათა სულებს“. ამის შემდეგ წმიდა ილარიონმა წაიყვანა ორი ძმა და კონსტანტინეპოლისკენ გაემართა. როდესაც ულუმბოს მთაზე მივიდნენ, იპოვეს პატარა ეკლესია, შევიდნენ და იქ დაბინავდნენ. დადგა შაბათი. მოვიდა ერთი მონაზონი და კანდელების ანთება დაიწყო. უეცრად მან ტაძარში წმიდა ილარიონი იპოვა. იგი მონასტერში წავიდა და მას მცირეოდენი ორცხობილა და დამბალი ცერცვი მიართვა. მაშინ წმიდა ილარიონმა სთხოვა ბერს, წმიდა სეფისკვერი და ცოტა ზედაშეც მოეტანა. მეორე დღეს ბერმა მართლაც მიუტანა ყველაფერი და წმიდანმა ჟამისწირვა აღასრულა. ეს ბერი მონასტრის მამასახლისთან წავიდა და ყველაფერი უამბო. ის კი აღშფოთდა და თქვა: „ვინ იცის, რომ მათ კეთილი განზრახვა აქვთ“ და ბრძანა, გაეძევებინათ ისინი. მაშინ იკონომოსი და სხვა ძმებიც მივიდნენ წმიდანთან და ყველაფერი უამბეს. წმიდა ილარიონმა აღუთქვა მათ, რომ მეორე დღესვე წავიდოდნენ. იმ ღამეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ეჩვენა მამასახლისს და განრისხებულმა უთხრა: „რატომ გააძევე ისინი, ვინც ღვთის სიყვარულისთვის იყვნენ მოსულები და არ დაიცავი მცნება უცხოთა შეწყნარების შესახებ, რომელიც ასწავლა უფალმა და ჩემმა ძემ მდიდარს? არ იცი, რომ ამ მთაზე მრავლად არიან მათ ენაზე მოლაპარაკენი და ისინი, ვინც აქ მოღვაწეობით დაიმკვიდრეს სასუფეველი?! ვინც მათ არ შეიწყნარებს, ჩემი მტრები გახდებიან“. მამასახლისმა გაიღვიძა თუ არა, მწარედ ატირებული წავიდა ნეტარ ილარიონთან, ფეხებში ჩაუვარდა და თავდაპირველი კადნიერებისთვის შენდობა სთხოვა; თან აფიცებდა, არ წასულიყო იმ ადგილიდან, რათა ღვთისმშობელს წმიდანის გამო მათზე შური არ ეძია.

მაშინ წმიდა ილარიონმა წამოაყენა იგი და უთხრა: „იქმნეს ნებისაებრ შენისა, მამაო“!

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# მსოფლიო ფეხბურთის ტატუირებული ვარსკვლავები

*ტატუირება მსოფლიო ფეხბურთის განუყოფელი ნაწილი გახდა. ფეხბურთის უამრავი ვარსკვლავის სხეულებს სხვადასხვა წარწერა, ფიგურები და ორნამენტები ამშვენებს. ამჯერად ყველაზე ტატუირებული ვარსკვლავებისგან შემდგარ რეიტინგს შემოგთავაზებთ.*

### პაბლო ოსვალდო

ბუენოს-აირესში დაბადებული იტალიის ნაკრების ფორვარდი პაბლო ოსვალდო ამჟამად ინგლისური „საუთჰემპტონის" რიგებში ირიცხება. პაბლო ერთ-ერთ ყველაზე გემოვნებიან ფეხბურთელად ითვლება პრემიერლიგაში, ხოლო ტატუირებები მას დამატებით შარმს ჰმატებს. ამბობენ, რომ პაბლო ჯონი დეპს ჰგავს მაშინ, როდესაც სათვალეს იკეთებს.



### გუტი

მადრიდის „რეალის" ლეგენდარული ნახევარმცველი გუტი, თავისი ქერა თმითა და ტატუირებებით, კრიშტიანუ რონალდუს გამოჩენამდე, გუნდის სექს-სიმბოლოდ იყო აღიარებული. გუტიმ აქტიური სპორტული კარიერა დაასრულა, თუმცა, „რეალის" ქომაგებისთვის ის დღემდე სათაყვანებელი ფეხბურთელია.

### ეზეკილ ლავეცი

„პარი სენ ჟერმენის" არგენტინელი ფორვარდი ეზეკილ ლავეცი გემოვნებით იმოსება და მისი ტატუირებებიც ხელოვნების ნამდვილი ნიმუშებია. ლავეცი „ინსტაგრამის" მოყვარულია და თავისი ტატუირებული სხეულის ფოტოებსაც ხშირად აქვეყნებს.

### დანი ალვეში

დანი ალვეშს ყველაზე ჰიპსტერი ფეხბურთელის სტატუსი აქვს. „ბარსელონის" განაპირა მცველი თმის შეღებვის, ფერადი სვიტრების, ულინზო სათვალეების, გახვრეტილი ყურებისა და „მხიარული" შარვლების მოყვარულია. ამასთან, მის სხეულს რამდენიმე ათეული ტატუირებაც ამშვენებს.



### სერხიო რამოსი

სერხიო რამოსს „რეალის" ყველაზე გემოვნებიან ესპანელს უწოდებენ. ის ხშირად პოზირებს მოდური ჟურნალებისთვის, სადაც თავის მრავალრიცხოვან ტატუირებებს უკეთებს აფიშირებას.

### ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ზლატანს, რომელიც ამჟამად პარიზული „პარი სენ ჟერმენის" რიგებში ირიცხება, ათეულობით ტატუირება აქვს სხეულზე. ის ტატუაჟის ნამდვილი ქომაგია და ყოველი სეზონის ბოლოს ახალი ნახატით ამდიდრებს კოლექციას სხეულზე.

### დანიელ აგერი



„ლივერპულის" დანიელი მცველი, დანიელ აგერი, ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე ტატუირებული ფეხბურთელია. მის სხეულზე ცარიელი ადგილის პოვნაც კი ძნელია, იმდენად ბევრი ნახატი აქვს.

### ჯიბრილ სისე

ფრანგი ფეხბურთელი კრასნოდარის „ყუბანში" აღმოჩნდა სეზონის დასაწყისში და ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სენსაციური ტრანსფერი. როგორც ჩანს, ვარსკვლავური ფორვარდი ვერ მოერგო იქაურ სიტუაციას და ამჟამად ახალ კლუბს ეძებს. სისე იმდენად დაითრგუნა რუსეთში, რომ ახალი ტატუირებაც კი არ გაიკეთა, არადა, მისი სხეულის მოხატულობის შესახებ ლეგენდები დადის.

### რაულ მეირელეში

პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელი რაულ მეირელეში არაფრით განსხვავდება მეტალ-ჯგუფის წევრისგან – მისი ტატუირებები და იროკეზი თავზე, შიშის ზარს სცემს მის მეტოქეებს. მეირელეში ერთ-ერთი ყველაზე ქარიზმატული იმიჯის მქონე ფეხბურთელია.

### დევიდ ბექჰემი

ფეხბურთის ფეშენ-ვარსკვლავისა და ნომერ პირველი ტატუირებული ვარსკვლავის, დევიდ ბექჰემის სხეულზე არსებული ნახატების შესახებ სქელტანიანი წიგნის დაწერა შეიძლება, რადგან, თითოეულ ტატუს თავისი ისტორია აქვს.

## სატურნის „ექვსკუთხა შტორმს" ფოტო გადაუღეს

კოსმოსურმა აპარატმა Cassini-მ დედამიწას სატურნის ჩრდილო პოლუსის ირგვლივ მბრუნავი, უნიკალური ექვსკუთხა შტორმის ფოტო გადმოსცა. შტორმის დიამეტრი 30 ათასი კილომეტრია, მისი სიჩქარე საათში 322 კილომეტრს უდრის. მსგავსი მოვლენა მზის სისტემაში არსად დაფიქსირებულა. დედამიწაზე ქარიშხალი მხოლოდ ერთ კვირამდე შეიძლება გაგრძელდეს, სატურნზე კი ათეული წლის განმავლობაში და, შეიძლება, ასი წელიც. დედამიწაზე ატმოსფერული გრიგალები პლანეტის არაერთგვაროვანი რელიეფის გამო ნელდება, სატურნის გაზის გარსი კი გლუვია. ამიტომ, ექვსკუთხედად აკუმულირებული ნაკადის სიჩქარე ძალიან მცირედ იკლებს. ეს უცნაური მოვლენა „ვოიაჯერმაც" დააფიქსირა, თუმცა, მისი შესწავლა ვერ ხერხდებოდა პოლარული ღამის გამო – სატურნის 1 წელი დედამიწის 29,5 წელს უდრის. კვლავ უცნობია, რა არის პლანეტის გაზის გარსის ქვეშ და მეცნიერები ამ საკითხზეც იმუშავებენ.

## რონალდო მეოთხედ ქორწინდება

მსოფლიოს ჩემპიონი და „ოქროს ბურთის" ორგზის მფლობელი, ბრაზილიელი რონალდო მეოთხედ ქორწინდება. რონალდოს ახალი რჩეული ბრაზილიაში ცნობილი დიჯეი პაულა მორაისია. რონალდომ და პაულამ ერთმანეთი 2012 წლის დეკემბერში ურუგვაიში გაიცნეს და დაქორწინება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის კენჭისყრის დასრულების შემდეგ გადაწყვიტეს. 37 წლის რონალდოსთვის პაულა მეოთხე ცოლი იქნება მილენ დომინგესის, დანიელა ჩიჩარელის და ბია ანტონის შემდეგ, ხოლო 28 წლის პაულასთვის რონალდო პირველი ქმარი იქნება.

## მარია შარაპოვა ახალ რეკლამაში

„დიდი სლემის" ტურნირების ოთხგზის გამარჯვებული, რუსი მარია შარაპოვა ჩოგნების მწარმოებელი კომპანია „ჰედის" პროდუქციის სარეკლამო რგოლში გადაიღეს. „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე მარიამ ფოტო განათავსა, რომელზეც, გადაღებებს შორის ის თავისი წარმოების ტკბილეულის ჭამით ირთობს თავს.




ცნობისთვის, შარაპოვას წარმოების ტკბილეულის ბრენდის – შუგარპოვას პროდუქციის გაყიდვა კოლუმბიაში დაიწყო და ბოგოტაში გამართულ პრეზენტაციას თავად რუსი ვარსკვლავი დაესწრო.

## ნადალი – პოკერის ჩემპიონი

მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ესპანელი რაფაელ ნადალი პოკერის ტურნირის გამარჯვებული გახდა. პრაღაში ჩატარებულ საქველმოქმედო ტურნირზე, მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები იღებდნენ მონაწილეობას – რაფაელ ნადალთან ერთად პოკერის მაგიდასთან ისხდნენ: ანდრეი შევჩენკო, რონალდო, მოთხილამურე ალბერტო ტომბა და მსოფლიოში პოკერის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე დანიელ ნეგრეანუ. ვარსკვლავურ ტურნირში რაფაელ ნადალმა 50 ათასი დოლარი მოიგო და ეს თანხა მთლიანად ქველმოქმედებას მოხმარდა.

## ბალოტელის ახალი გასართობი

„მილანის" ეპატაჟურმა ფორვარდმა მარიო ბალოტელიმ ახალი გასართობი მოიფიქრა. იტალიის ნაკრების ფეხბურთელს „ინსტაგრამზე" უყვარს „სელფი" ფოტოების გამოქვეყნება, სადაც ის ხან საკუთარ ავტომობილში, ხან კი რომელიმე რესტორნის საპირფარეშოში პოზირებს. ამჯერად ბალოტელის „სელფი" ფოტომ იმით მიიპყრო ყურადღება, რომ ფეხბურთელი კონტაქტური ლინზებით, ახალი, „ცისფერთვალება" იმიჯით წარდგა საზოგადოების წინაშე. „რას იტყვით ახალ იმიჯზე?"– მიუწერა ფოტოს ბალოტელიმ, რასაც მისი თაყვანისმცემლების ათასობით „ლაიქი" მოჰყვა.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# აფრიკელი მილიარდერების ტოპ-ათეული

*ჟურნალმა „ფორბსმა" მსოფლიო მილიარდერების ტრადიციული რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ, ცალკეული კონტინენტების მიხედვით მილიარდერების რეიტინგიც შეადგინა. ამჯერად გთავაზობთ აფრიკელი მილიარდერებისგან შემდგარ ტოპ-ათეულს.*



**ალიკო დანგოტე** *(12 მილიარდი დოლარი)* – ნიგერიელი ალიკო დანგოტე ყველაზე მდიდარი აფრიკელია მსოფლიოში. ის ჩართულია ცემენტის, შაქრის, ფქვილის ბიზნესში. მისი კომპანია „დანგოტე ცემენტი" ცემენტის უმსხვილესი მწარმოებელია აფრიკის კონტინენტზე.

**ნიკი ოპენჰაიმერი** *და ოჯახი (6,4 მილიარდი დოლარი)* – სამხრეთაფრიკელი ოპენჰაიმერის შემოსავლის ძირითადი წყარო ალმასების საბადოებია.

**იოჰან რუპერტი** *და ოჯახი (5,7 მილიარდი დოლარი)* – მილიარდიანი ქონება სამხრეთაფრიკელმა იოჰან რუპერტმა ძვირფასი ნივთებით ვაჭრობით დააგროვა. რუპერტების ოჯახი, ასევე, აკონტროლებს თამბაქოს კონგლომერატ BAT-ს, რომლის შემადგენლობაშია: „კარტიე", „ალფრედ დანჰილი" და „მონტბლანი".

**ნასეფ სავირისი** *(5,5 მილიარდი დოლარი)* – ეგვიპტელი მილიარდერი წარმოადგენს აფრიკის უმსხვილეს სამშენებლო კომპანიას – „ორასკომ კონტრქშნ ინდასტრის".

**მაიკ ადენუგა** *(4,6 მილიარდი დოლარი)* – მაიკ ადენუგას ნიგერიაში იცნობენ როგორც ნავთობმაგნატს; ის, ასევე, ფლობს ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „გლობაკომ ლიმიტედს", რომელიც 30 მილიონ ნიგერიელს ემსახურება.



**კრისტოფელ ვიზე** *(2,7 მილიარდი დოლარი)* - ვიზე 1 000-მდე დისკაუნტის მაღაზიას ფლობს აფრიკის კონტინენტზე.



**ოსმან ბენჯელუნი** *(2,75 მილიარდი დოლარი)* – 80 წლის მაროკოელი ბიზნესმენი ფლობს უმსხვილეს სადაზღვევო კომპანიას მაროკოში.

**პატრის მოტსეპე** *(2,65 მილიარდი დოლარი)* – კომპანია „აფრიკან რეინბოუ მინერალსის" სამხრეთაფრიკელი მფლობელი პატრის მოტსეპე ძვირფასი და ფერადი ლითონების საბადოების მფლობელია.

**ნაგიბ სავირისი** *(2,5 მილიარდი დოლარი)* – ნაგიბი ეგვიპტელი მილიარდერების – სავირისების ოჯახის წარმომადგენელია. იგი, ასევე, ფლობს წილებს სამშენებლო ბიზნესში.



**მოჰამედ მანსური** *(2,2 მილიარდი დოლარი)* – ეგვიპტელი ინვესტორი, რომელიც ფლობს „მაკდონალდსის" ქსელის რესტორნებს ეგვიპტეში და, ასევე, ჩართულია სიგარეტ „ფილიპ მორისის" წარმოებაში.

# 10 ფაქტი ბარაკ ობამას შესახებ

*ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ბიოგრაფიაში უამრავი საინტერესო და საყურადღებო ფაქტია, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ. კენიელი ექიმბაშის შთამომავლის ბარაკ ობამას შესახებ გავრცელებულ ათ ყველაზე საინტერესო ფაქტს გთავაზობთ.*



* ბარაკ ობამა და ჰოლივუდის ვარსკვლავი ბრედ პიტი, ფაქტობრივად, ნათესავები გამოდიან ერთმანეთისთვის: ახალი ინგლისის გენეალოგიური საზოგადოების ისტორიულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ობამა და პიტი მეცხრე თაობაში ნათესავები არიან.

* ბარაკ ობამას აქვს მუჰამედ ალის მიერ ხელმოწერილი კრივის ხელთათმანები.

* ობამას უამრავი ნათესავი ჰყავს კენიაში, ისინი მუსლიმანები არიან და, შესაბამისად, მრავალცოლიანობა მათთვის დაშვებულია, რამაც განაპირობა მრავალშვილიანობა.

* ბარაკ ობამას კენიური, ინგლისური, შოტლანდიური, გერმანული და ირლანდიური წარმომავლობა აქვს. მისი წინაპრები არ იყვნენ მონები.

* ბარაკ ობამას ჰარი პოტერზე დაწერილი ყველა წიგნი აქვს წაკითხული. იგი ჯოან როულინგის გამოგონილი პერსონაჟის დიდი თაყვანისმცემელი და წიგნის მიხედვით გადაღებული ფილმების მოყვარულია.

* ბარაკ ობამას არ უყვარს ნაყინი. ეს იმით არის განპირობებული, რომ სტუდენტობის პერიოდში ობამა სანაყინე „ბასკინ რობინსში" მუშაობდა.

* კარიბის ზღვის აუზში მდებარე კუნძულოვანი სახელმწიფოს – ანტიგუა და ბარბუდას მთავრობამ საპრეზიდენტო არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვების შემდეგ, თავის ყველაზე მაღალ მწვერვალს მისი სახელი უწოდა.

* ინდონეზიაში ცხოვრების პერიოდში, სადაც ბარაკ ობამა დედ-მამის განქორწინების შემდეგ დედასთან ერთად გადავიდა საცხოვრებლად, ამერიკის შეერთებული შტატების მომავალ პრეზიდენტს ძაღლის ხორცით, შემწვარი მწერებითა და გველებით მომზადებული კერძების ჭამა უწევდა.

* ბარაკ ობამა ამერიკის შეერთებული შტატების პირველი მწეველი პრეზიდენტია დუაიტ ეიზენჰაუერის პრეზიდენტობის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ მავნე ჩვევას ობამამ 2010 წლის მარტში დაანება თავი, ხოლო ოფიციალურად ამის შესახებ 2011 წელს გახდა ცნობილი.

* „ობამამანია" ამერიკაში 2004 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც მომავალი პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა ნაციონალურ დემოკრატიულ კონვენციაზე.

# საინტერესო ცნობები ფილმის - „მარტო სახლში" ვარსკვლავზე, ჯო პეშიზე

*წინასაახალწლო პერიოდში სატელევიზიო ეთერში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში თითქმის ყველა ტელეარხზე ჰოლივუდური ბლოკბასტერის – „მარტო სახლში" პირველ და მეორე ნაწილებს ატრიალებენ. ფილმი დღემდე არ კარგავს აქტუალობას და მისი გმირები ყოველთვის სასურველი სტუმრები არიან ყველა ოჯახში. მავანთა აზრით, მაკოლეი კალკინთან ერთად, ფილმის მთავარი ვარსკვლავი ჯო პეშია, რომლის მიერ განსახიერებული ბოროტმოქმედი ჰარი ყველასთვის საყვარელ პერსონაჟად ითვლება.*

* ჯო პეში, სრული სახელი და გვარი – ჯოზეფ ფრანჩესკო დელორეს ელიოტ პეში, დაიბადა 1943 წლის 9 თებერვალს, ნიუარკში, ნიუ-ჯერსის შტატში პარიკმახერ მერისა და მძღოლ ანჯელო პეშების ოჯახში.

* ჯო პეშის სიმაღლე 163 სანტიმეტრია.

* ჯოს კარიერა 5 წლის ასაკში დაიწყო. თავდაპირველად ის თეატრის სცენაზე გამოჩნდა, რასაც მოჰყვა მისი გამოჩენა ტელევიზიაში – 10 წლის ასაკში ჯო პეშიმ საბავშვო გადაცემა „სტართაიმ კიდსში" მიიღო მონაწილეობა. 1960-იანი წლების დასაწყისში ჯო პეში მცირე ხანს პარიკმახერად მუშაობდა, ხოლო შემდგომ მუსიკალური კარიერა აირჩია და სხვადასხვა ჯგუფებში გიტარაზე უკრავდა. 1968 წელს ჯო პეშიმ „ჯო რიჩის" ფსევდონიმით ჩაწერა მუსიკალური ალბომი „ლითლ ჯო ქენ სინგ," ანუ, „პატარა ჯოს სიმღერა შეუძლია".

* პირველი როლი მხატვრულ ფილმში ჯო პეშიმ 1975 წელს ითამაშა – ეს იყო დაბალბიუჯეტიანი კრიმინალური დრამა – „სიკვდილის შემგროვებელი". ფილმი მარტინ სკორცეზემ და რობერტ დენირომ ნახეს და ჯო პეშის დაურეკეს, რასაც მოჰყვა პეშის მიწვევა ფილმში „ცოფიანი ხარი", სადაც მან ჯო ლამოტას (რობერტ დენიროს პერსონაჟის) ძმის როლი განასახიერა. ამ როლისთვის ჯო პეშიმ „ოსკარის" ნომინაცია მიიღო.

* ჯო პეშის ყველაზე ცნობილი ფილმებია: „სასიკვდილო იარაღი", „ერთხელ ამერიკაში", „კარგი ბიჭები", „მომვლელი", „კაზინო", „ჩემი კუზენი ვინი".

* ჯო პეში ბავშვობაში ძიუდოში ვარჯიშობდა. ამჟამად მსახიობი გოლფის თამაშითაა გატაცებული.

* მას შემდეგ, რაც ჯო პეშის დედამ ნახა ფილმი „კარგი ბიჭები", მან დაურეკა შვილს და უთხრა, რომ კინო კარგია, მაგრამ, ის ძალიან ბევრს იგინება ეკრანზე (ფილმში ჯო პეშიმ რამდენჯერმე გამოიყენა სიტყვა „ფაქ").

* „მარტო სახლში" ბოროტმოქმედ ჰარის როლი თავდაპირველად რობერტ დენიროს უნდა ეთამაშა, თუმცა, მან უარი თქვა და როლი თავის მეგობარ ჯო პეშის დაუთმო.

* 1988-1992 წლებში ჯო პეში დაქორწინებული იყო კლაუდია მარტა ჰაროზე, რომელთანაც ჰყავს ქალიშვილი – ტიფანი. 2007 წელს, 64 წლის ასაკში, ჯო პეში დანიშნული იყო 37 წლის მოდელზე ენჯი ევერჰარტზე, მაგრამ, 2008 წელს ისინი დაშორდნენ.

* კინემატოგრაფიდან წასვლის მიუხედავად, ჯო პეშიმ ვერ უთხრა უარი თავის მეგობრებს – მარტინ სკორცეზესა და რობერტ დენიროს და... 2014 წელს მათი საერთო ნამუშევრის, ფილმ „ირლანდიელის" პრემიერა შედგება.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



### იმკურნალეთ ვაშლის ძმრით და გაიჯანსაღეთ ორგანიზმი ბრინჯის დიეტით

ვაშლის ძმარი შველის უძილობასა და თავის ტკივილს. 1 ჭიქა სუფთა თაფლს შეურიეთ 3 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი და კარგად აურიეთ. ძილის წინ მიიღეთ 3 სადილის კოვზი ნარევი. ეს ხელს უწყობს ძილის რეჟიმის დარეგულირებას და კარგია შაკიკის პროფილაქტიკისთვის.

ანგინის დროს 1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი გახსენით 1 ჩაის ჭიქა თბილ წყალში და გამოივლეთ ყელში, დღეში 3-4-ჯერ.

თუ ნუშისებრი ჯირკვლების ანთება გაქვთ, მსგავსი მკურნალობა არ არის რეკომენდებული. სხვა შემთხვევაში, ვაშლის ძმარი ანგინის გამომწვევ ბაქტერიებს ანადგურებს და ხელს უწყობს ანთებითი პროცესის ჩაცხრობას.

ორგანიზმის გასაჯანსაღებლად, აიღეთ 1 ჭიქა თაფლი, 1 ჭიქა ვაშლის ძმარი და 1 თავი ნიორი. ნიორი წვრილად გახეხეთ, აურიეთ თაფლსა და ძმარში, მოათავსეთ მინის ჭურჭელში შედგით მაცივარში. ყოველ დილით, 1 ჩაის კოვზი ნარევი გახსენით 1 ჭიქა წყალში და საუზმემდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ – ეს ხელს უწყობს ორგანიზმიდან წიდების გამოდევნას.

თუ კუჭი გტკივათ, ყოველ ნახევარ საათში სვით შემდეგი სასმელი: 1 ჩაის ჭიქა წყალში გახსენით 2 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი. მისი დალევა ეკრძალება, ვისაც კუჭის ან ნაწლავების წყლული აქვს ან ტკივილი ამ დაავადების შედეგადაა გამოწვეული.

კვირაში შვიდი დღე ჭამეთ მხოლოდ ბრინჯი და გაიწმინდეთ ორგანიზმი მავნე ნივთიერებებისგან.

### ცისტიტსა და ჰორმონულ ფონს შორის პირდაპირი კავშირია

ცისტიტი შარდის ბუშტის ლორწოვანი გარსის ანთებაა. ის შარდ-სასქესო ორგანოების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებად მოიაზრება. განასხვავებენ მის სამ ფორმას: მწვავეს, რეციდიულსა და ქრონიკულს. წარმოშობის მიხედვით კი არსებობს ტოქსიკური, ალერგიული, არაინფექციური ცისტიტი. ანთება, შესაძლოა, გამოიწვიოს: კენჭებმა, ტრავმამ, აუტოიმუნურმა დაავადებამ, შარდის ბუშტის კიბომ, რადიაციულმა პათოლოგიამ, ქიმიოთერაპიულმა მკურნალობამ, უბრალოდ, გაციებამ და ასე შემდეგ. მიზეზი კი, უმთავრესად, ინფექცია ხდება. ყველაზე ხშირად მისი გამომწვევია ნაწლავის ჩხირი, იშვიათად – სტაფილოკოკი. ცისტიტის მიზეზად შეიძლება იქცეს სასქესო ინფექციები – ქლამიდიოზი, სოკოვანი დაავადებები.

შარდის ბუშტში მოხვედრილი ინფექცია ყოველთვის არ იწვევს ანთებას. ინფიცირების დროს პროცესში ორგანიზმის იმუნური სისტემა ერთვება, როგორც თავდაცვითი მექანიზმი.

მწვავე ცისტიტის განვითარებისთვის აუცილებელია დამატებითმაპროვოცირებელი ფაქტორები, მაგალითად: გაციება, ქირურგიული ჩარევა, სქესობრივი აქტი, ურეთრის კათეტერიზაცია. ასევე, არსებობს ფაქტორები, რომლებიც ორგანიზმს ცისტიტის მიმართ განაწყობს. ასეთებია შარდის ბუშტის ევაკუატორული ფუნქციის მოშლა, ინფექციების მიმართ ორგანიზმის გამძლეობის დაქვეითება, ავიტამინოზი, გადაღლა და ასე შემდეგ.

ცისტიტსა და ჰორმონულ ფონს შორის პირდაპირი კავშირია. ასევე, მენოპაუზისა და იმ დაავადებების დროს, რომლებიც ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს, ცისტიტის განვითარების რისკი მეტია. შარდის ბუშტის მწვავე ანთება მოულოდნელად იწყება და აღინიშნება შარდვის გახშირება, ტკივილით შარდვის დროს, ზოგჯერ შარდში ჩნდება სისხლის მინარევი; მწვავე ცისტიტის დროს კი იმატებს ტემპერატურა.

თუ ანთებითი პროცესი შარდის ბუშტის სფინქტერზე გადავიდა, ვითარდება შარდის შეუკავებლობა. აღინიშნება ტკივილი წელის ქვედა არეში, მუცლის ქვემოთ.

ქრონიკული ცისტიტი უფრო ხშირად ვითარდება შარდის ბუშტის, თირკმელებისა და სასქესო ორგანოების სხვა დაავადებათა ფონზე.

ცისტიტის დროს აუცილებელია სქესობრივი აქტის შეზღუდვა, იმუნოთერაპიის ჩატარება და ჰიგიენური ფაქტორების ზედმიწევნითი დაცვა. ცისტიტისკენ მიდრეკილმა ადამიანებმა კი დაავადების გამწვავების თავიდან ასაცილებლად უნდა გაითვალისწინონ შემდეგი: ერიდონ გაციებას, ყურადღება მიაქციონ ჰიგიენას, ჩაიცვან თბილად. ცისტიტის პირველი ნიშნების გამოვლენისთანავე ნუ დალევთ ანტიბიოტიკებს, რადგან ისინი სიმპტომებს აქრობენ, მაგრამ, ცისტიტს ვერ კურნავენ.

### ასაკის მატებასთან ერთად აკონტროლეთ იოდის ნორმა ორგანიზმში

ადამიანის ორგანიზმისა და ბიოველის თავდაცვის უნარის შესანარჩუნებლად მეტად მნიშვნელოვანია იოდი. ეს აქტიური ფსიქობიოენერგეტიკული ელემენტი მთავარ როლს თამაშობს ადამიანის იმუნიტეტისა და თავდაცვის უნივერსალურ მექანიზმში ბუნებრივი და სოციალური ფაქტორების, კერძოდ, რადიაციის, შხამქიმიკატების წინააღმდეგ ბრძოლის დროს.

ფარისებრი ჯირკვალი, ანუ, ეგრეთ წოდებული, ჯანმრთელობის ჰორმონი – ტიროქსინი, დაახლოებით 65 პროცენტი იოდისგან შედგება. ის აძლიერებს ბიოველსა და ქსოვილების წინააღმდეგობას, უჯრედებისა და ქსოვილების უნარს, რათა გათავისუფლდნენ მავნე ნივთიერებებისგან. აგრეთვე, არეგულირებს სუნთქვის ინტენსიობასა და ფსიქოენერგეტიკას. ფარისებრი ჯირკვლის მეშვეობით, დაახლოებით 15-17 წუთის განმავლობაში, ძარღვებში მიმოიქცევა ადამიანის ორგანიზმში არსებული მთელი სისხლი. ამავე დროს, იოდი, რომელსაც გამოიმუშავებს ფარისებრი ჯირკვალი, სპობს ორგანიზმში მოხვედრილ დასუსტებულ მიკრობებს, ძლიერ მიკრობებს კი ასუსტებს.

ასაკის მატებასთან ერთად, როდესაც იზრდება სხვადასხვა დაავადებათა რისკი, შესაბამისად ზომაში უნდა მოიმატოს ფარისებრმა ჯირკვალმა, რომელიც გამოიმუშავებს იმუნიტეტს და, ჯანმრთელობის, გონებისა და სხეულის სიმხნევის, სილამაზისა და გაახალგაზრდავებისთვის აუცილებელ ჰორმონს.

ფარისებრი ჯირკვალი, როცა მას იოდი აკლია, არ იზრდება ფსიქო-ფიზიკური და ბიოენერგეტიკული მოთხოვნილებების შესაბამისად, ამიტომ, აუცილებელია, მიირთვათ ის პროდუქტები, რომლებიც იოდით არის მდიდარი.

### შვრიის, ქერის, მანანის, ხორბლისა და წიწიბურას ფაფები გულის ნორმალური მუშაობისთვის აუცილებელია

მარცვლეული რძესთან ერთად არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას, რომელიც ადამიანის წონაზეა პასუხისმგებელი. ბურღულის ფაფებს ჩვენი ორგანიზმი ნელა გადაამუშავებს და შესაბამისად, ნელა ითვისებს. ეს იმის გარანტიაა, რომ შიმშილის გრძნობა დიდხანს არ შეგაწუხებთ. ვისაც ფაფეული უყვარს, დღის განმავლობაში ნაკლებ ცხიმს იღებს და წონაშიც არ იმატებს.

ფაფები საკმარისი რაოდენობით შეიცავს ლორწოვან ნახარშს, რომელიც კუჭის გარსს ეკვრის და მას გასტრიტისა და წყლულისგან იცავს. ფაფა განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც ნორმალურად სადილობისთვის დრო არ რჩება.

შვრიის, ქერის, მანანის, ხორბლისა და წიწიბურას ბურღულეული მდიდარია უჯრედისებით, რაც არეგულირებს საჭმლის მონელებას, აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას და სისხლძარღვების მდგომარეობას. ეს კი, გულის ნორმალური მუშაობისთვის აუცილებელია.

ვინც ყოველ დილით ჭამს ფაფებს, გარდა იმისა, რომ ფორმაშია, არ აწუხებს დეპრესია და იშვიათად ღიზიანდება.

გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბურღულეულის ფაფები საჭირო რაოდენობით შეიცავს: რკინას, თუთიას, სპილენძს, ცილებს, B და PP ვიტამინებს, რაც ნორმალური ფიზიკური არსებობისთვის განსაკუთრებულად აუცილებელი და საჭიროა.

## ბრონქიტისა და ბრონქული ასთმის სამკურნალოდ სვით ევკალიპტის ნაყენი

ევკალიპტის ფოთოლი შეიცავს ეთერზეთებს, ცინეოლს, მთრიმლავ ნივთიერებებს. მას იყენებენ ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, ლარინგიტის, ინფექციური ჭრილობების, სასქესო ორგანოების ანთების დროს.

ევკალიპტის ფოთლებისგან დამზადებული პრეპარატები გამოიყენება პლევრიტის, პნევმონიის, დამწვრობის, ფლეგმონიის, ტროპიკული წყლულის, საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს.

ნახარში ასე უნდა მოამზადოთ: ორ სუფრის კოვზ აფთიაქში ნაყიდ, დაქუცმაცებულ ფოთოლს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა ადუღებული, მდუღარე წყალი, დადგით დაბალ ცეცხლზე და ადუღეთ ოცი წუთი. შემდეგ გააცივეთ და გაწურეთ. ეს ნაყენი ეფექტურია ინფექციური ჭრილობების დასამუშავებლად, ჩირქოვანი გასტრიტის, გინეკოლოგიური დაავადებების დროს, ზედა სასუნთქი გზების ინჰალაციისთვის.

ხალხურ მედიცინაში ევკალიპტის ფოთლებს გამოიყენებენ, როგორც კუჭის წვენის გამოსაყოფ საშუალებას, ბრონქიტისა და ბრონქული ასთმის სამკურნალოდ. ერთი სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ფოთოლს დაასხით 1/2 ლიტრი მდუღარე, გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში ათი წუთით. შემდეგ ნაყენი გადაწურეთ და დალიეთ თბილი, დღეში სამჯერ, თითო ღვინის ჭიქა, ჭამის წინ.

ევკალიპტის ზეთი კი, როგორც ანთების საწინააღმდეგო და ანტისეპტიკური საშუალება, გამოიყენება ყელში გამოსავლებად და ინჰალაციისთვის.

## ქრონიკული ტონზილიტი ვერაგი დაავადებაა

ქრონიკული ტონზილიტი მთელი ორგანიზმის ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა და ნუშურა ჯირკვლების ანთებითი რეაქცია მისი ადგილობრივი გამოვლინება გახლავთ. ამ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმუნიტეტის მდგომარეობა.

თუ ეს დაავადება გაწუხებთ, ნუ გადადებთ ექიმთან ვიზიტს, რათა დროულად დაადგინოთ, გაქვთ თუ არა ის ინფექციები, რომელიც ორგანიზმის რეაქტიულობის დაქვეითებასა და სხვადასხვა დაავადების ლოკალიზებას იწვევს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ერთდროულად უმკურნალოთ ამ ინფექციასაც და ტონზილიტსაც.

ტონზილიტის სამკურნალოდ საჭიროა ნაცხის აღება ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისთვის, რათა დადგინდეს როგორც ანთების გამომწვევი მიზეზი, ისე ანტიბიოტიკებისადმი ორგანიზმის მგრძნობელობა. აღნიშნული ანალიზების შედეგად, ინიშნება კონსერვატიული მკურნალობა, რომელიც მოიცავს ნუშურა ჯირკვლების გამორეცხვას ანტისეპტიკური ნივთიერებების შემცველი ხსნარებით, ანტიბიოტიკებით, ფიზიოთერაპიული პროცედურებით.

ქრონიკული ტონზილიტის მკურნალობისას აუცილებელია როგორც ადგილობრივი, ასევე, ზოგადი მიმართულების, კომპლექსური მკურნალობის ჩატარება.

# ექიმის რჩევები

**კითხვა**: **თაფლის მიღება თუ შეიძლება დიაბეტიანი ადამიანისათვის?**

**პასუხი**: თუ დიაბეტი კომპენსირებულია, დღეში 2 ჩაის კოვზი თაფლის მიღება შეიძლება, ოღონდ, აბსოლუტურად დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ თაფლი არის ნატურალური, ანუ, არ არის გაკეთებული შაქრისგან და, ამასთან, არც თავად ფუტკარს უჭამია თაფლის კეთების დროს შაქარი. მხოლოდ ასეთი თაფლის მიღებაა დაშვებული.

**კითხვა**: **ჩემს მეუღლეს აქვს B ჰეპატიტი, გავიკეთე ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა. რამდენ ხანში შეიძლება დაორსულება?**

**პასუხი**: ორსულობის დაგეგმვა უმჯობესია ვაქცინაციის სრული კურსის დამთავრებიდან არაუადრეს 1-2 თვისა.

**კითხვა**: **რა გზებით გადადის C ჰეპატიტი? შეიძლება, ტუჩებში კოცნით გადაედოს ადამიანს?**

**პასუხი**: C ჰეპატიტი არ გადაედება: ჰაერწვეთოვანი გზით (საუბრისას, ცემინებისას, ხველებისას); ხელის ჩამორთმევისას, მოხვევისას, კოცნისას; საერთო ჭურჭლის მეშვეობით. C ჰეპატიტით დაავადებულებსა და ვირუსმატარებლებს არ სჭირდებათ იზოლირება ოჯახის წევრებისა და საზოგადოებისგან. ვირუსი გადაეცემა პარენტარული გზით, ანუ, სისხლითა და სისხლის პროდუქტებით, სისხლის სისხლთან უშუალო შეხებით ან ისეთი მჭრელი ნივთის მეშვეობით, რომელსაც მანამდე ინფიცირებულის სისხლთან ჰქონდა კონტაქტი. ასეთი ნივთი, უმეტეს შემთხვევაში, საერთო შპრიცია, რომელსაც ნარკომანები ინტრავენური ინიექციისთვის იყენებენ, თუმცა, შესაძლებელია, დასნებოვნება პირსინგისა და ტატუირების ინსტრუმენტების, სამართებლის, მანიკიურის იარაღების და, თქვენ წარმოიდგინეთ, კბილის ჯაგრისის მეშვეობითაც კი. ასევე, ზოგჯერ, სქესობრივი გზითაც.

**კითხვა**: **ვარ 16 წლის ბიჭი. ალერგიული არ ვარ, მაგრამ, ყოველი ტანის დაბანის შემდეგ მთელი ტანი მექავება 20-30 წამის განმავლობაში. სადაც მოვიქავებ, ის ადგილი მიწითლდება. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი**: ეგრეთ წოდებული აკვაგენური ქავილის დროს, პირველ ყოვლისა, უნდა გამოვცვალოთ დასაბანი საშუალებები, მათ შორის – ღრუბელიც. თუ შედეგს ვერ მიიღებთ, მაშინ, საჭიროა სისხლის ანალიზი ერითროციტებისა და ჰემოგლობინის განსაზღვით.

**კითხვა**: **რისი გამოწვევა შეუძლია ნატურალურ ზეითუნის ზეთში შემწვარ პროდუქტს? სასარგებლოა ეს თუ მავნებელი?**

**პასუხი**: ზოგადად, ზეითუნის ზეთი, სხვა მცენარეულ ზეთებთან შედარებით, ყველაზე სასარგებლოა. თუ კუჭნაწლავი წესრიგში გაქვთ და არ გეკრძალებათ შემწვარი პროდუქტები, შეგიძლიათ, გამოიყენოთ ზეითუნის ზეთი.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## ტონუსის ასაწევად და ღვიძლის დაავადებების დროს ხალხური მედიცინა დაგეხმარებათ

ტონუსის ასაწევად, 150 გრამ ნიორს და ორას გრამ ხახვს დაუმატეთ ოთხი ჭიქა ვაშლის ძმარი. გააჩერეთ ერთი დღე-ღამის განმავლობაში თბილ ადგილას. შემდეგ დაამატეთ 400 გრამი ნატურალური, გამდნარი თაფლი და ისევ, ერთი დღე-ღამის განმავლობაში დადგით. შემდეგ გადაწურეთ და მიღებული მასა შეინახეთ მაცივარში. მიიღეთ ოთხი ჩაის კოვზი, დღეში ერთხელ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

სკლეროზის სამკურნალოდ გახეხეთ რამდენიმე თავი ხახვი და გამოწურეთ მისგან ერთი ჭიქა წვენი. აურიეთ ნატურალური თაფლი და მიიღეთ თითო კოვზი, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, დღეში სამჯერ, ორი თვის განმავლობაში.

ღვიძლის სამკურნალოდ, აურიეთ თითო ჩაის კოვზი კრაზანას, წითელი მოცვისა და ჭინჭრის ფოთლები, დაამატეთ რამდენიმე ცალი ასკილის ნაყოფი, დაასხით ორი ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში ოთხი საათით. დალიეთ ნაყენი ჭამამდე ერთი საათით ადრე.



**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# რატომ ალიკვეცა ბერად ჭაბუა ამირეჯიბი და რა ორგანიზაციაში ამოყო მან თავი

„... დიდხანს ვიცოცხლე. ბევრი ვნახე. მიუტევებელი ცოდვები არ მადევს. მტრები მყოლია, მყავს ამჟამადაც, მაგრამ ისინი ჩემზე სუსტები იყვნენ და არც ახლა არიან „ყარამანები“... გავაჩინე და გავზარდე ექვსი შვილი. დავრგე ოცდაათამდე ხე. მყავდა და მყავს ერთგული მეგობრები. დავწერე და ვწერ რაც შევძელი. თუ ხელახლა მომიწია ცხოვრების დაწყება, ახალს არაფერს ვიზამ – ვიცხოვრებ ისე, როგორც ვიცხოვრე”.



„...თბილისში დავიბადე. თოთხმეტ-ნახევარ გირვანქას ვიწონიდი, ანუ, ექვს კილოგრამს, ორას გრამ ნაკლებს. აღნაგობის მიხედვით, შეიძლებოდა ფიქრი, რომ მძიმე წონის სპორტსმენი გავხდებოდი, მაგრამ შტანგისტობა თუ მოკრივეობა არ მეწერა, კალათბურთი ვარჩიე და შემდგომში პროფესიულ პატიმარ-მარბენლად ჩამოვყალიბდი... დედა და მამა ძველი არისტოკრატიული მოდგმისანი იყვნენ: მამა – ირაკლი გიორგის ძე ამირეჯიბი – ცნობილი ადვოკატი. დედა – პედაგოგი, „ქალთა უმაღლესი კურსებით“, თითქმის გარუსებული. ქართული მამაჩემის ოჯახში ისწავლა, კარგად განათლებული, მშვენიერი თავადის ქალის, სოფიო სოფრომის ასულ მაღალაშვილ-ამირეჯიბისგან. დედა – მარიამ მიხეილის ასული ნაკაშიძე – პირდაპირი ჩამომავალი იყო სამეგრელოს, აფხაზეთისა და გურიის მთავრებისა. მამაჩემის წინაპართა წოდებრიობაზე თვით გვარი მეტყველებს. ამირეჯიბობა სახელო, ანუ, დღევანდელი ტერმინოლოგიით, თანამდებობა იყო, მანდატურთუხუცესის (შინაგან საქმეთა მინისტრის) პირველ მოადგილეს ნიშნავდა. იგი დაზვერვა-კონტრდაზვერვას ხელმძღვანელობდა. სახელო საგვარეულო იყო, მემკვიდრეობით გადადიოდა და ამირეჯიბის გვარის მატარებელი ყოველი ოჯახი ცდილობდა, თავისი ნაშიერი მოემზადებინა ამ თანამდებობის დასაკავებლად. კონკურენცია მწვავე და დაუნდობელი იყო. ყოველი კანდიდატი შესაფერის განათლებას იღებდა როგორც საქართველოს, ისე ბიზანტიის აკადემიებში. აქედან – გვარის ტრადიციული ნასწავლობა-განათლებულობაც. ბოლოს ას წელიწადში ერთადერთ უბირ კაცად ქვეყანას მოვევლინე მე – პედაგოგიური ფაკულტეტის სამი კურსის მეტი არა დამიმთავრებია რა. მეორე კურსზე უკვე მწერალთა კავშირის წევრი





ბელა ახმადულინასთან ერთად

ვიყავი, ვწერდი, ვიბეჭდებოდი – სწავლას თავი მივანებე... დავუბრუნდეთ ბავშვობასა და ყრმობას. ჩემი ქართული ენა ზემოხსენებულ ბებოს და პაპას წყალობით ჩამოყალიბდა, განსაკუთრებით – პაპასი, რომელიც თავის დროზე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის არმიის არტილერიის შტაბსკაპიტანი გახლდათ. ისინი ქართლელები იყვნენ, ანუ, იმ ენის მფლობელნი, რომელიც ქართულ ლიტერატურულ ენას დაედო საფუძვლად... ჭირვეული, ძნელი ბავშვი ვიყავი. საფიქრებელია, ოჯახს თავი მოვაბეზრე და „გამაბარეს“, ანუ, აღსაზრდელად მიმცეს სორბონადამთავრებულ ქალბატონ მელანია მეძმარიაშვილ-გველესიანის ოჯახში. ამ უბრძენესმა ქალბატონმა პირდაპირ ამავსო ჩემი ასაკისთვის ერთობ დიდი და მრავალმხრივი ცოდნით. სკოლაში შვიდი წლისა მიმიყვანეს, პირდაპირ მეორე კლასში დამსვეს და უფროსკლასელებსა და მასწავლებლებს გულწრფელად უკვირდათ ჩემი „განათლებისა“ და ინფორმაციულობის დიაპაზონი. ჩემი მეორე ენა რუსული იყო; ეს ოჯახშივე და შემდეგ გარემოცვისგან ვისწავლე... ჩვიდმეტისამ დავამთავრე „ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ტექნიკუმი“ გადამცემი რადიოსადგურების განხრით და აქვე მომენიჭა „პირველი რიგის თადარიგის მესამე რანგის სამხედრო ტექნიკოსის“ წოდება. საინტერესო დამთხვევა: 1941 წლის 22 ივნისს კალათბურთის მოედანზე მომნახა მეზობლის ბიჭუნამ, სამხედრო კომისარიატის უწყება გადმომცა. ვითამაშე ბოლომდე, 23-ში კი ჯარში ვიყავი. ბანაკშიც ასე მოხდა: ვთამაშობდი კალათბურთს, „ვიზივალშიკმა“ დაიძახა: „ამირეჯიბი ნა სვობოდუო.” ვითამაშე ბოლომდე, გამოვემშვიდობე ყველას და გავედი ზონიდან. სამხედრო სამსახური დავიწყე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, კავშირგაბმულობის 203-ე ცალკე ასეულში უფროს რადისტ-ტელეგრაფისტად. რამდენიმე თვის შემდეგ გადამიყვანეს 26-ე ავიადივიზიის რადიოსადგურის უფროსად ქ. გროზნოს აეროდრომზე, საიდანაც „კუკუ ამომკრეს“, როგორც რეპრესირებული მშობლების შვილს და უცხოეთში ემიგრირებულთა ნათესავს. ყოველივე ეს დამალული მქონდა მხოლოდ იმიტომ, რომ, მინდოდა, მენახა ომი. შემდგომი ბედის გადასაწყვეტად მომავლინეს ჩრდ. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში. იქ შემთხვევით შემხვდა ნათესავი კაცი, ამ სამხედრო ოლქის საფინანსო სამმართველოს უფროსი, რომლის წყალობით აღმოვჩნდი საინტენდანტო სამსახურში, კერძოდ – ტრანსპორტში. იმხანად სპარსეთის ყურედან, ირანისა და ამიერკავკასიის გავლით, მოკავშირეთა სამხედრო დახმარება ავტოკოლონებით მოედინებოდა. აქ ყველაფერი იყო, ავტომანქანებით დაწყებული, ყოველგვარი შეიარაღება, ამუნიცია და დამთავრებული 1903 წლის მოსავლის „უხარშავი“ თეთრი ლობიოთი. ერთ-ერთი ასეთი კოლონის უფროსის მოადგილედ გახლდით უფროსი ლეიტენანტის ჩინით, მაგრამ, აქაც რამდენიმე თვეში მომაგნო ყოვლისშემძლე „ასობნიაკმა“ და მეორედ, ამჯერად, საბოლოოდ, გამომისტუმრეს რუსებმა თავისი არმიიდან, როგორც „არასწორად გაწვეული“. საიდან და როგორ დაიწყო ჩემი „უკუღმართი“ ცხოვრება? – სწორედ აქედან და, აი, როგორ: დავბრუნდი, აღმადგინეს თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსზე. ომის დრო იყო. საღად მოაზროვნე, მამულიშვილურად განწყობილი სტუდენტობა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ, რა საშუალებებითა და ხერხებით დასძრომოდა საქართველო რუსეთის იმპერიის კლანჭებს. ყალიბდებოდა არალეგალური ორგანიზაციები და ერთ-ერთ ასეთში, კერძოდ, „თეთრ გიორგიში“, მეც ამოვყავი თავი. ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ამისთვის დაბადებული ახალგაზრდა კაცი – მხნე, განათლებული, „უშიში, ვითარცა უხორცო“ და თავდადებული მებრძოლი მუსტაფა შელია. ორგანიზაციის მიზანს შეადგენდა შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოში საბჭოთა წყობილების ლიკვიდაცია. ახალგაზრდები, გამოუცდელი, მხოლოდღა თავისუფლების წყურვილით აღჭურვილი მამულიშვილები ვიყავით და, ცხადია, ჩვენი მიზანსწრაფვა კრახით დასრულდა. 1944 წლის აპრილში უშიშროების ჯარების „ტროიკამ“ ოცდახუთი წლის პატიმრობა მომისაჯა...



მეუღლესთან და მეგობრებთან

...შიშის ძლევის უნარი ბავშვობაშივე თავს გადამხდარმა შემთხვევებმა შემძინა... შიში სხვადასხვანაირი მიგემია. აი ერთი მათგანი.

ხუთი წლისა თუ ნაკლებისა ვიქნებოდი, შიში მხვდა და სამუდამოდ დამამახსოვრდა კიდეც. ჩემი აზრით, სწორედ იმ შემთხვევით დაიწყო ჩემი ცხოვრება, რადგან, ცხოვრება ის არის, რაც გახსოვს – დანარჩენი არსებობაა.

მოგეხსენებათ, რევოლუცია კინოსეანსი როდია, რომ დაიწყოს და წინასწარ ცნობილი საათნახევრის შემდეგ დამთავრდეს. იგი კომეტას ჰგავს, უზარმაზარი კუდი იცის. ჩემთვის იმ კუდის დასაწყისი იყო ათას ცხრაას ოციანი წლების გვიანი შემოდგომა. ღამის სამ საათზე ჩვენს ბინას ოთხი ფორმიან-ნაგანიანი კაცი ესტუმრა. მამაჩემი ერეკლე ქალაქგარეთ იყო. მოსულებს ერეკლეს დარდი ამჯერად არცა ჰქონდათ, მის ძმას ეძებდნენ. პროფესიონალი რევოლუციონერი და პოლიტიკური მოღვაწე იყო ჩემი ბიძა – შალვა ამირეჯიბი, ეროვნულ-დემოკრატი. რუსეთის ჯარების შემოსვლის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება ერთობ მძაფრად გამოამჟღავნა. ჩეკისტები დაეძებდნენ, მისი მოკვლისთვის ფულადი ჯილდოც კი იყო გამოცხადებული. ჩვენ ექვს თუ შვიდოთახიან ბინაში ვიდექით. ყველა ოთახი და სათავსო გაიჩხრიკა, ჯერი საძილეზე მიდგა. იქ მე და ჩემს დას, როდამს გვეძინა. დედა ჩეკისტებს დაჰყვებოდა ოთახიდან ოთახში. შინ სხვა არავინ იყო. საძილეში შევიდნენ. ტანსაცმლის კარადიდან, უჯრებიდან, ზანდუკებიდან ყველაფერი გადმოიყარა და იატაკს მოეფინა, როგორც ყველა ასეთ შემთხვევაში ხდებოდა. დაამთავრეს ჩხრეკა. სამნი გავიდნენ, ოთახში ერთიღა იყო. ისიც გასვლას აპირებდა, რომ ჯგუფის უფროსმა ღია კარს იქიდან უბრძანა – მაგ ბავშვის ლეიბი ნახეო! მჩხრეკავმა შარვლის ჯიბიდან დიდი, კაუჭიანი, ბასრი სასხლავი დანა ამოიღო და გაშალა. ის დანა მე კომეტის კუდის ნაწილაკი მგონია. მჩხრეკავი რევოლუციაში პირდაპირ ვენახიდან იქნებოდა მოსული – მდიდარი გლეხის მოჯამაგირეობიდან, ან, საკუთარი, მაგრამ პატარა ვენახიდან – დიდს ვერ შეელეოდა. ლეიბის თავში დანის კაუჭს პირი მოაკიდებინა, გამოუსვა და ბოლომდე ჩაჭრა. ლეიბიდან მატყლის კურკუმელებმა გადმოიხედეს. მჩხრეკავმა ლეიბში ხელი შემოყო, ძებნის აზარტს აჰყვა, მუჯლუგუნებმა გამაღვიძა და ვიკივლე – დედიკო, მუცელი გამიჭრეს-მეთქი. მჩხრეკავს ორგანოების პრესტი-



მამა – ირაკლი ამირეჯიბი

ჟის გრძნობა ბავშვის კივილმა თუ ჩაუხშო, თორემ, ისე მკვირცხლად არ მოცუცხავდა...

...როგორც ყოველ წელს, ზაფხულს კიკეთში ვატარებდით. აგარაკი ხეხილის დიდ ბაღში იყო განლაგებული, ჰექტარზე არანაკლები იქნებოდა. მამა მთიბავებს ქირაობდა – ენაგეთელ გლეხკაცებს. თივის საფასურად მუშაობდნენ. ვიჯექი, მათი ცქერით ვერთობოდი. ჩემი მისვლისას საუზმე დამთავრებული ჰქონდათ, ისვენებდნენ. ერთ მათგანს ჩაეძინა და ერთობ ხმამაღალი ხვრინვა ამოუშვა. მეორე ადგა, მიეპარა, მხვრინავის სახეზე ჩაიმუხლა და, როგორც დიდი სულხან-საბა ბრძანებდა, კარგა მოზრდილი „კუს ძვრით" უპასუხა ხვრინვას. დამსწრეებმა ამას ხმამაღალი სიცილ-ხარხარი მოაყოლეს, რამაც შეურაცხყოფილი გამოაღვიძა და იკითხა – რა მოხდაო? უთხრეს. ამას თიბვა მოჰყვა. შეურაცხმყოფელს შარვლის ტოტები აკეცილი ჰქონდა. დაზარალებულმა, რაღაცნაირად იყო, დრო იხელთა, შეურაცხმყოფელს ზურგიდან მოექცა და ცელი წვივებში მთელი ძალ-ღონით გამოჰკრა. წვივებიდან სისხლის ღვარმა იფეთქა. დაზარალებულმა ჭრილობებზე მშრალი ქვიშა „მიილესა". თიბვა გაგრძელდა და მე მხოლოდ კარგა ხნის მერელა მოვედი გონს, ხმამაღალი ტირილით გავიქეცი შინისკენ. მამამ მკითხა, რა გატირებსო? ვუამბე, რასაც შევესწარი. მამა მთიბავებთან ჩავიდა და მე მას მერე კაი ხუთი წლიწადი მესიზმრებოდა ნახული განუკითხაობა...

...მყავდა ექვსი შვილი, მართალია, სხვადასხვა მეუღლეებისაგან, რაც ჩემი მარბენლობით აიხსნება, მაგრამ, ღმერთმა ინება და, აგერ, უკვე ოცდათხუთმეტი წელია, მყავს გასაოცარი მეუღლე, პოეტი თამარ გრიგოლის ასული ჯავახიშვილი. ამ ხნის მანძილზე ჩვენ შორის არამცთუ რაიმე ექსცესს, სერიოზულ შელაპარაკებასაც კი არ ჰქონია ადგილი. ვცხოვრობთ მშვიდად და ბედნიერად, რამდენადაც ეს ჩვენს „აწენილ" დროშია შესაძლებელი. შვილებს დავუბრუნდეთ. უფროსი – მანანა, პირველი გაქცევის შვილი, მამის კვალს გაჰყვა – წერს მოთხრობებს, ქვეყნდება, მკითხველს მოსწონს. მეორე – ლეილა, ეს პაპის კვალს გაჰყვა, იურისტია, დიპლომატი, საქართველოს საელჩოში მსახურობს მოსკოვში. ამათ შემდეგ – ოთხი ვაჟი, ოთხივე გათავისუფლების შემდეგ მეყოლნენ. უფროსი – ირაკლი, რუსების არმიაში სამსახურის შემდეგ მოხალისედ წავიდა აფხაზეთში, დაილუპა და წაიღო ჩემი ურყევი ჯანმრთელობა – სამი ინსულტი! ირაკლი ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით არის დაჯილდოებული. დანარჩენმა სამმაც მიიღო მონაწილეობა აფხაზეთის ომში. ღმერთმა დამინდო, სამივე გადარჩა. ირაკლის მომდევნო, ლაშა – მოქანდაკეა, ქუცნა – კინორეჟისორ-ოპერატორია, შალვა – ბიოფიზიკოსი. შვილიშვილები – უკვე შვიდი, შვიდივე გოგო.



ოჯახთან ერთად

ბავშვობასა და ყრმობაში ვწერდი ლექსებსა და მოთხრობებს, მაგრამ, ოციდან ორმოცამდე ბანაკებში დაწერილიდან ცოტა რამღა გადარჩა, დაწერილის ადგილის სპეციფიკის გამო: ვწერდი – მართმევდნენ. სერიოზული ლიტერატურული მუშაობა პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ დავიწყე. მიღებული მაქვს სსრკ სახელმწიფო პრემია (1979), საქართველოს რუსთაველის პრემია (1994), საქართველოს სახელმწიფო პრემია (1998); მაქვს, აგრეთვე, სხვადასხვა უცხოური ჯილდო, პრემიები, პრიზები და სხვა. ჩემი ნამუშევრები გამოქვეყნებულია მსოფლიოს ოცდაათამდე ენაზე. ვარ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, „ღირსებისა"„ და, ჩემი ირაკლივით, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი. მოვრჩი ტრაბახს...

„... 1944 წლის 10 აპრილს „ტროიკის" თავმჯდომარემ, გვარად ბურდულმა, მკითხა: რომ გაგათავისუფლოთ, როგორ მოიქცევითო. არ დავფიქრებულვარ, მივუგე: როგორც აქამდე მოვიქეცი, ისევ ისე-მეთქი. მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც საკუთარი წარსულის მიმართ სინანული აწამებს. ვიცხოვრე, როგორც მაღალმა ღმერთმა ინება, ისე. ბედისწერით კმაყოფილი ვარ, თუმცა, შესაძლოა, ცხოვრებას უკეთესი მიმართულება მიეღო. ეგ არი, ეს „უკეთესი" როგორი იქნებოდა, წარმოდგენილი ვერა მაქვს. საერთოდ, რას ნიშნავს უკეთესობა? მე არასოდეს მქონია დიდი მადა და მოთხოვნილებები. კმაყოფილი ვიყავი და ვარ ამით, რასაც ღმერთი იმეტებს... ვწერ ნელა და ძნელად, მაგრამ, სადა, ადვილი ენით, შესაძლებლობისდა მიხედვით – გასაგებად, რთულსა და ხელუხლებელ თემებზე. ვიწყებ წერას მხოლოდ მას მერე, როცა წიგნს მთლიანად დავინახავ და, იმ ნაწყვეტით, რომელიც იმ მომენტში მეხასიათება. გადავდებ და წავიკითხავ მხოლოდ ორიოდ კვირის შემდეგ. ან „ჭკუაზე მოვიყვან", ან კალათაში ჩავყრი. გამოვტყდები, უარყოფა იშვიათად ხდება. ხელნაწერს არავის ვუმალავ. ყოველთვის მაინტერესებს სხვათა აზრი, ამა თუ იმ მცირე ნაჭრის გამოც კი. როგორც ვთქვი, განწყობილების მიხედვით ვწერ წიგნის ნაწილებს. ეს, შესაძლოა, ფინალიც იყოს. როცა ეს ნაწყვეტები დაწერილია, აი, მაშინ იწყება ყველაზე რთული სამუშაო – კომპოზიცია, ანუ, ამ ნაჭრების ერთ წიგნად შეკვრა, მუშაობა მასალის სწორ განლაგებაზე, ერთობლიობად ქცევა.

ახლა იმაზე, რატომ ალვიკვეცე ბერად. ერთ-ერთი ასეთი მიზეზი უფლისგან მფარველობაა. მადლობა უნდა გადამეხადა ღმერთისთვის, ერისთვის, ბედ-იღბლისთვის. ყოველთვის მჯეროდა, რომ უკიდურესი განსაცდელიდანაც კი „სალსალამათი" გამოვიდოდი და ასეც ხდებოდა. საქართველოს ერთი პაწაწინა ნაწილი ვარ და, ჩემი ასაკით კი არა, ჩემი დამსახურებით, მომავლის მწამს."

**ეკა პატარაია**





**ყველა ადამიანს აინტერესებს, რას უქადის ცხოვრება მომავალში, ბედნიერი იქნება თუ უბედური, ფულიანი თუ უფულო, ვინ იქნება მისი ცხოვრების თანამგზავრი და ასე შემდეგ. ხშირად გსმენიათ, ალბათ, რომ ადამიანის ბედი წინასწარ სადღაც იწერება და, რაც არ უნდა მოინდომოს, საკუთარ ბედისწერას ვერავინ შეცვლის, მოსახდენი აუცილებლად მოხდება, შუბლზე დაწერილ ბედისწერას კაცი ვერ ასცდებიო. ამ თემით, პარაფსიქოლოგი, ბატონი გოგი, უკვე წლებია, დაინტერესდა და გარკვეული კვლევების შედეგად, საინტერესო შეფასებებიც აქვს გაკეთებული. ბედისწერის შესახებ მისი არაერთი პუბლიკაცია უცხოეთის პრესაშიც მოხვდა. ბატონი გოგი დღეს ჩვენი რუბრიკის სტუმარია და შეეცდება, დაგვისაბუთოს ის ამოუხსნელი ფენომენი, რასაც ბედისწერა ჰქვია.**

# როდის გვიმზადებს ბედისწერა სიურპრიზს უილბლობით და როგორ შევცვალოთ ბედი უკეთესობისკენ

**გოგი**: ცნობისმოყვარეობა ადამიანის თვისებაა და ის საკუთარი მომავლის შესახებ, თუნდაც სულ მცირე ინფორმაციის მოპოვებას, სხვადასხვა, უმეტეს შემთხვევაში, პრიმიტიული გზით ცდილობს. მაგალითად, მკითხავთან ვიზიტით, ყავაში, წყალში ჩახედვით, კარტის გაშლითა და უამრავი სხვა მეთოდით, რომლებიც შორი წარსულიდან მოდის. სწორედ ამ ადამიანურ თვისებას იყენებენ ათასი ჯურის თაღლითები, შარლატანები და ცდილობენ, ხალხის მოტყუებას და მათგან არც თუ ისე ცოტა ფულის აღებას. თუმცა, იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ ისტორიამ მართლაც შემოინახა იმ წინასწარმეტყველთა სახელებიც, რომლებმაც მომავალი ეპოქები განჭვრიტეს.

**– ამბობენ, დაბადების მომენტში ადამიანს, რაც შუბლზე განგების მიერ დაეწერება, მას ვერ ასცდება და მისი შეცვლაც შეუძლებელიაო. თუმცა, პარაფსიქოლოგ-ეზოთერიკოსთა ნაწილი ამბობს, რომ ბედისწერის შეცვლა რეალურად შესაძლებელია.**

– ადამიანის ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება. ნებისმიერი მოვლენა ასტრალში დიდი ხნით ადრე მზადდება და განსაზღვრულ დროს ხორციელდება. სწორედ ამას უწოდებენ ადამიანები ბედისწერას. ბევრი მაგალითი არსებობს და ბევრისთვისაც ცნობილია, როცა პიროვნების ცხოვრება მისი ნების საწინააღმდეგოდ წარიმართა. ის, ვისაც არაფერი აკლდა და თავი უბედნიერესი ეგონა, მიუსაფარი და უბედური შეიქნა, ხოლო ღატაკი არნახული სიმდიდრის პატრონი გახდა. ამიტომაც ამბობენ, არავინ იცის, ბედი ვის რას გვიმზადებსო. და, სწორედ ამ არცოდნის შევსებას ცდილობენ ადამიანები. რაც შეეხება წინასწარმეტყველებს, ისინი ჯერ კიდევ ბიბლიიდან ამცნობდნენ კაცობრიობას, რა მოხდებოდა მომავალში და მათი სიტყვა ზედმიწევნით ცხადდებოდა. ნოსტრადამუსისა და ვანგას წინასწარმეტყველებებიც ხომ ბევრისთვისაა ცნობილი. როგორც ჩანს, მრავალგანზომილებიან სივრცეში განსაკუთრებული, ფენომენური ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანს წარსულიდან, აწმყოდან და მომავლიდან ინფორმაციის მიღება ნამდვილად შეუძლია. ფაქტებზე დაყრდნობით ვიტყვი, რომ მომავლის შესახებ ინფორმაცია წინასწარ არსებობს და არსებობენ ადამიანებიც, რომელთაც ამ ინფორმაციის წაკითხვა შეუძლიათ. რაც შეეხება ბედის შეცვლას, ჩემი აზრით, მისი შეცვლა კი არა, უბრალოდ, კორექცია ხდება. ანუ, შეგვიძლია, ჩვენივე ძალისხმევით, საკუთარ ბედიღბალში შევიტანოთ კორექტივები, ცვლილებები და ეს ცხოვრების უკეთ მოწყობაში დაგვეხმარება. ასეთი კორექტივის შეტანა კი იმას არ ნიშნავს, რომ, რაც შუბლზე დაბადების მომენტში დაგეწერათ, მას ასცდებით.

**– პარაფსიქოლოგიაში არსებობს ტერმინი – ინგრამა, რომელსაც ხშირად ახსენებენ ამ სფეროს წარმომადგენლები და ამბობენ, რომ მას ადამიანის ბედისწერის შეცვლა შეუძლია. ამაზე რას გვეტყვით?**

– დიახ, პარაფსიქოლოგიაში არსებობს ტერმინი – ინგრამა. ეს არის სიტყვა, გარკვეული ემოციით წარმოთქმული, რომელსაც ამ საქმეში ჩახედული ადამიანები გამიზნულად წარმოთქვამენ – მას ადამიანის ბედისწერის შეცვლა და ეგრეთ წოდებული, ძველი პროგრამის, კოდის შეცვლა შეუძლია. პარაფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, უშვებს აზრს, რომ ბედს ადამიანი თავად ქმნის. ამ აზრს ზოგი პარაფსიქოლოგი, რასაკვირველია, არ ეთანხმება და ამის გარკვეული მიზეზიც არსებობს. ჩვენი ქმედებები სამყაროში არსებულ ჩვენსავე „პერსონალურ კომპიუტერში" ინახება და გარკვეული დროის შემდეგ, გვიბრუნდება. კოსმოსში გასული აზრი შეიძლება, იმავე დღეს ან რამდენიმე წლის შემდეგ დაგვიბრუნდეს და მას ვერავინ აღუდგება წინ. იმ რელიგიებში, სულის რამდენჯერმე მოსვლას რომ ქადაგებენ, ნათქვამია, შეიძლება შენი ახლანდელი საქმიანობის და ქცევის შედეგი სხვა ცხოვრებაში მიიღოო. ამიტომ, როგორც პარაფსიქოლოგი გირჩევთ, თუ საქმე არ გამოგდით, არ გიმართლებთ, მაინც არ დანებდეთ, არასდროს ჩაიქნიოთ ხელი და თავი უბედურად არ მიიჩნიოთ. შეიძლება, ამით ბედისწერა დიდ სიურპრიზს გიმზადებთ, გცდით და გამოწვევას თქვენგან ელის. უამრავი მაგალითი შემიძლია, მოგიყვანოთ, როცა ადამიანს არ უმართლებდა, უიღბლოს იმიჯი ჰქონდა ახლობლებში, მაგრამ არ დანებდა, ბედის გამოწვევას გაუძლო, არ ჩაიქნია ხელი და იმდენი იბრძოლა, სანამ სასურველს არ მიაღწია. თუ ბედი ბიზნესში არ გაქვთ, ესე იგი, სხვა სფეროში უნდა მოსინჯოთ ძალები. თუ არ გიმართლებთ პოლიტიკაში, მაშინ კურსი შეიცვალეთ. ეს ბუნებრივია, ბედისწერა თავად გაჩვენებთ, სად გაგიმართლებთ იღბალი და სად არა. ამას თქვენ გარდა, ვერავინ მიხვდება. რომ ჩააცივდე ერთ საქმეს, არ გიმართლებდეს და იძახო – ბედი არ მწყალობსო, ამით რა გამოვა? უნდა დაფიქრდე, შეიცვალო სფერო და გაგიმართლებს კიდეც. ტყუილად როდი ამბობენ, პროფესია შენი კარმის მიხედვით უნდა აირჩიოო. ჰოდა, ბედისწერა თავად მიგიყვანთ იმ პროფესიამდე – ბედიც რომ გაგიღიმებთ და კარმული თვალსაზრისითაც მოგებას მოგიტანთ. თუმცა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ბედის შეცვლა-კორექტირებას ვერ ახერხებენ და იგივე განვითარების დონეზე რჩებიან მოწიფულ ასაკშიც, როგორც გარდატეხის ასაკში იყვნენ.

> **კოსმოსში გასული აზრი შეიძლება, იმავე დღეს ან რამდენიმე წლის შემდეგ დაგვიბრუნდეს და მას ვერავინ აღუდგება წინ**

**– რეალურად, შესაძლებელია თუ არა, ერთი ადამიანის ბედი, მეორეზე გადავიდეს და ცხოვრებაში იგივე ბედი გაიზიაროს?**

– სხვათა შორის, დაფიქსირებულია ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთი ადამიანის ბედი რაიმე ნივთის საშუალებით მეორეზე გადადის. ამას ბედის გადალოცვას ვუწოდებთ პარაფსიქოლოგები. მაგალითად, ერთმა ჩემმა მეგობარმა, წლების განმავლობაში აგროვა ფული და ის მანქანა იყიდა, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა. ამ ოცნების ახდენით, უბედნიერესი იყო. არ გავიდა ერთი წელიც და სამწუხაროდ, ავარიით დაიღუპა. მისმა მეუღლემ დამტვრეული მანქანა, ქმრის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის გასვლის შემდეგ, გაყიდა. როგორც გავიგეთ, ის ადამიანიც, იმავე მანქანით ავარიაში მოჰყვა და დაიღუპა. ამბობდნენ, დაწყევლილი მანქანა იყო, არ უნდა ეყიდა, ამდენი ფული დაახარჯა და სიცოცხლის ფასად დაუჯდაო. დიახ, ეჭვი არ მეპარება, რომ იმ მანქანით, მყიდველს გადაეცა, მისი დაღუპული პატრონის ბედი, და სამწუხაროდ, თავადაც დაიღუპა. ასე რომ, ფრთხილად უნდა იყოთ, როცა ვინმეს ნაქონ ნივთს, თუნდაც სამკაულს ან ტანსაცმელს იძენთ.

**ნონა დათეშიძე**

## იქნებ, გარისკო?!

ოცნებობთ, რომ მომავალ წელს მაინც გაგიმართლოთ და შეხვდეთ თქვენი ცხოვრების სიყვარულს?! მაშინ, მოემზადეთ ხასიათში შესატანი ცვლილებისთვის. ჭეშმარიტება არის ის, რომ მტკიცე ხასიათის, პრინციპული და შეუპოვარი ადამიანები, განსაკუთრებით ქალები, ყოველთვის აღწევენ დასახულ მიზანს და ისრულებენ სანუკვარ სურვილებსაც. ზოგჯერ, იქნებ, ნანობენ კიდეც რისკიანად გადადგმულ ნაბიჯებს, მაგრამ, მაინც შეუპოვრად მიიწევენ წინ და წარსულზე არასდროს ნაღვლობენ. წარსული უნდა გააანალიზო და სათანადო დასკვნებიც გამოიტანო. ყველა ადამიანს აქვს აუხდენელი სურვილების ფარული სია, მაგრამ, მათ შორის განსხვავებაა: ზოგი ფიქრობს, რომ ეს სია სიადვე დარჩება, ზოგი კი დარწმუნებულია, რომ შეუსრულებელ ოცნებებს მინიმუმამდე დაიყვანს. მოკლედ, აირჩიეთ, რომელ კატეგორიაში გინდათ ყოფნა და ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, თქვენს ცხოვრებაში რაღაც უკვე შეიცვლება. და კიდევ: წლის მიწურულს აუცილებლად გადახედეთ თქვენს სიას; მასში აუცილებლად აღმოაჩენთ ისეთ სურვილებს, რომლებმაც დაკარგეს აქტუალურობა. ანუ, „რევიზია“ სურვილებისა აუცილებელია, ნუ მოებღაუჭებით ისეთ სურვილებს, რომლებიც ბევრს აღარაფერს მოგიტანთ, უფრო კონკრეტულად კი – საერთოდ აღარაფერში გჭირდებათ. რაც შეეხება რისკს, იმ სურვილებისთვის, რომლებიც რეალურად უკეთესობისკენ შეცვლიან თქვენს ცხოვრებას, ნამდვილად ღირს ბრძოლაც და გარისკვაც. ბოლოს და ბოლოს, ვინც არ რისკავს, ის ვერც შამპანურს სვამს!

## არასოდეს თქვა – არასოდეს!

დარწმუნებული ხართ, რომ ბევრი თქვენი ოცნება ვერასოდეს იქცევა რეალობად?! ძალიან ცდებით. უბრალოდ, ამგვარი განწყობა თქვენს შანსებს ამცირებს.

დაიხსომეთ და უთხარით საკუთარ თავს, რომ არ არსებობს ისეთი სურვილი, რომლის ასრულებაც არ შეიძლება. ალბათ, გეღიმებათ, მაგრამ, რეალურად მართლაც ასეა, ზუსტად ისევე, როგორც არ არსებობს უპასუხოდ დატოვებული კითხვები. მონდომება, სურვილი და პასუხი ყველა კითხვას მოეძებნება. შევთანხმდეთ: ნურასოდეს დაიმუხტებით ნეგატიურად ტრაგიკული ისტორიების მოსმენით. ყველა ადამიანი ჩვეულებრივია – ისინიც კი, ვინც ძალიან, ძალიან წარმატებულია. წარმატების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი პირობაა – ყურადღება. რა მოუვა რძეს, თუკი მას გაზქურაზე სულ ერთი წუთით დავტოვებთ უყურადღებოდ? – ადუღდება და გადმოიღვრება. ანუ, ასპროცენტიან შედეგს მიიღებ მაშინ, როცა კონკრეტულ მიზანს მაქსიმალურ ყურადღებას, შრომასა და ძალისხმევას მოახმარ.

ოცნება თავისით არ იქცევა რეალობად, მას კონკრეტული მუშაობა სჭირდება. თუ ხელს არ ჩაიქნევთ და არ ეტყვით საკუთარ თავს: „მე ამას ვერასოდეს შევძლებ," – ყველაფერი გამოვა. ეს აქსიომაა და, ამიტომაც, არასოდეს თქვა – „არასოდეს"!

## ქალური ეშმაკობები

ოჯახში „ამინდს“ ქმნის ქალი – ამაზე არავინ დავობს და, კარგი იქნება, თუ ყველა ქალი კარგად გააცნობიერებს ამას. ყველა სიტუაციაში სწორედ ქალია გადაწყვეტილების მიმღები და არა მამაკაცი, რომელსაც მხოლოდ ჰგონია, რომ სწორედ მისი აზრია ცალსახად მნიშვნელოვანი.

როცა ზრუნავთ იმაზე, რომ იდეალური „უიქ-ენდი“ მოაწყოთ, შეეცადეთ, ფიზიკურად ძალიან არ გადაიღალოთ და არ გამოიფიტოთ. თუ ამას თავიდან ვერ აიცილებთ, აუცილებლად გაღიზიანდებით, გუნებამოშხამულს კი დღესასწაული აღარ გამოგივათ და სხვებსაც ვერ მიანიჭებთ სიხარულს. ამიტომ, როცა დასვენება გინდათ, დაისვენეთ – თავს დამნაშავედ ნუ იგრძნობთ.

ჭკვიანმა ქალმა იცის, რომ წვრილმან უსიამოვნებებსა და მარცხს გუნება არ უნდა წაახდენინოს.

ბევრი ქალი სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ, მოვალეა, გადაფაროს ნებისმიერი ზომის ამბრაზურა, ანუ, ყველა ვალდებულებას მთლიანად საკუთარ თავზე იღებს და მერე წუწუნებს, რომ გადაიღალა. ცოტა იეშმაკეთ – სთხოვეთ ახლობლებს, მოგეხმარონ და დაჰპირდით, რომ მათი შრომა ჯეროვნად დაფასდება. კიდევ ერთი ეშმაკობა: თუ ოჯახის რომელიმე წევრს ეტყვით, რომ მხოლოდ მას ანდობთ რომელიმე კონკრეტულ საქმეს, ნახავთ, როგორ მოინდომებს და შეეცდება, მაქსიმალურად გაამოთ.

პირადი ცხოვრება აქვს ყველას, მაგრამ, თუ ამას პირდაპირ მოითხოვთ და პრეტენზიებსაც გამოთქვამთ, რომ საკუთარი თავისთვის დრო აღარ გრჩებათ, ვერავინ გაგიგებთ და ჭირვეულობაში ჩაგეთვლებათ. უბრალოდ, ჩუმად იზრუნეთ საკუთარ თავზე – თქვენ ამას შეძლებთ.

## ეს მნიშვნელოვანია

არასდროს, არც ერთ სიტუაციაში არ დაკარგოთ საკუთარი ინდივიდუალიზმი. სხვისი მიბაძვით შერჩეული სტილი, სიარულისა და საუბრის მანერა არ მოგიტანთ წარმატებას. როცა ხარ ის, რაც ხარ, გაცილებით თავდაჯერებულიც ბრძანდები, თვითდაჯერებულობა კი წარმატების ერთ-ერთი სერიოზული გარანტია.

შეეცადეთ, იპოვოთ კომპრომისი მოდას, დამკვიდრებულ სტილსა და საკუთარ ინდივიდუალურობას შორის – ეს მართლაც მნიშვნელოვანია. ქალები ხშირად უშვებენ საბედისწერო შეცდომას, როცა ცდილობენ, ვინმეს დაემსგავსონ. სხვა ადამიანის კოპირება ვერასდროს მოგაქცევთ ყურადღების ცენტრში. აბსოლუტურად ჩვეულებრივ კოსტიუმში კი, შეიძლება, იყო სექსუალური, ვნებიანი და განუმეორებელი.

ასევე, მნიშვნელოვანია ქალისთვის, ზუსტად იცოდეს საკუთარი შესაძლებლობები და ძლიერი მხარეები. განსაკუთრებული ნიჭი ამას არ სჭირდება. ნებისმიერ ქალს შეუძლია, იპოვოს საკუთარი „მე“ და თავი დაამახსოვროს მამაკაცს – ჩვენთვის ხომ სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი და, კიდევ: ბედნიერებისკენ სავალ გზაზე, შეიძლება, ბევრი დაბრკოლება, იმედგაცრუება და მარცხი შეგხვდეთ. მაგრამ, ეს ტრადიცია არ არის. განგაშის ზარებს ნუ ჩამოვკრავთ და ნუ ვიტყვით იმას, რომ წარუმატებლები და უიღბლოები ვართ. მნიშვნელოვანია, გვწამდეს, რომ ხვალ ყველაფერი კარგად იქნება, ძალიან კარგად და, თუ დაიჯერებთ ამას, ასეც მოხდება!

## საჭირო დროს საჭირო ქმედებით!

გეგმები და ოცნებები ისევეა ჩვენი ცხოვრების ნაწილი, როგორც ის მოვლენები, რომლებიც რეალურად ხდება ან მოხდა. რატომ? იმიტომ, რომ აუხდენელი, შეუსრულებელი მოლოდინები ხშირად ტოვებენ დაუკმაყოფილებლობის განცდას, რაც, თავის მხრივ აჩენს უამრავ ნეგატიურ ემოციას: იმედგაცრუებას, გაღიზიანებას, შფოთს, გულგატეხილობას...

რას ვაკეთებთ, როცა სწორედ ამ ემოციების ზეგავლენის ქვეშ ვართ? დავიწყოთ იმით, რომ ქალებს გაცილებით მეტი რესურსი გვაქვს. ქალი არ უფრთხის და არ ერიდება ბარიერებს. მას ნაკლებად ახასიათებს უკან დახევა და დასახულ მიზანზე ხელის აღება. როცა ხდება ისე, რომ ბევრი გეგმა იშლება და ძნელია, წინასწარ გათვალოთ, როგორი იქნება ჩვენი ბუნებრივი რეაქცია, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მუდმივი არაფერია. წარმატებულობაც გაივლის და ყველაფერი თავიდან დაიწყება. საკმარისია, საჭირო დროს საჭირო ქმედება განვახორციელოთ და გამოსავალსაც ვიპოვით.

ასეა თუ ისე, ყველაფერი ახდენს ჩვენზე გავლენას. ბუნებამ ისე ინება, რომ თავდაცვის მექანიზმი ჩვენში საკმაოდ ძლიერია და ავტომატურად დავიწყებთ გამოსავლის ძებნას. ასეთ დროს ცვლილება, ნებისმიერი და თუნდაც უმნიშვნელო, ყოველთვის პოზიტიურად აისახება ჩვენს ცხოვრებაზე. ცვლილებები შესანიშნავია. მით უფრო, საჭირო დროს. მერე კი მომავალი თვითონ გიჩვენებთ, რამდენად ზუსტი და საჭირო იყო თქვენი ქმედებები.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# არ დაგავიწყდეთ წახემსება

*საკვები „საწვავია“ ორგანიზმისთვის. თუ გსურთ, რომ მთელი დღის განმავლობაში ენერგიულად იგრძნოთ თავი და შედეგიანი იყოს თქვენი მუშაობა, დროულად იკვებეთ.*

*ქალბატონების უმრავლესობას იმდენი საქმე აქვს სახლში თუ სამსახურში, რომ ხშირად სადილობის დრო არ რჩებათ. საღამოს კი, მოშიებული, ჭამს იმას, რაც ხელთ მოხვდება, თანაც, ისეთი რაოდენობით, რომ...*



*იმისათვის, რომ საახალწლოდ ერთი ზომით ნაკლები კაბა ან შარვალი ჩაიცვათ, საკმარისია, შეცვალოთ ზოგიერთი ჩვევა.*

*ალბათ, ბევრმა გამოსცადა საკუთარ თავზე მკაცრი დიეტის შედეგი – დაღლილობა, მოთენთილობა და ენერგიის დაქვეითება, რაც უარყოფითად აისახა როგორც ზოგადად მის მდგომარეობაზე, ისე სამსახურში მუშაობის შედეგზე, რადგან, საკვების მკაცრად შეზღუდვა აქვეითებს ტვინის მუშაობას. მას აუცილებლად სჭირდება ენერგია, რომელსაც ის საკვებიდან იღებს.*

*მათთვის, ვისაც მთელი დღე უწევს ოფისში ყოფნა, სამჯერადი კვება, პლუს ორჯერ წახემსება იდეალური ვარიანტია, მაგრამ, როგორ უნდა მოახერხონ ეს სამსახურში?*

**პირველი აუცილებელი პირობა**: წინა საღამოს მოამზადეთ მსუბუქი, დიეტური კერძები სადილისთვის და წასახემსებლად, მოათავსეთ კონტეინერებში და წაიღეთ სამსახურში.

**მეორე პირობა**: დილის საუზმე სახლში მიირთვით; სადილი და ორი წახემსება – ოფისში, ვახშამი – სახლში დაბრუნებისას.

**მესამე პირობა** – სითხის მიღება. ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ დღის განმავლობაში აუცილებელია 8-10 ჩაის ჭიქამდე წყალი. შედეგად, უმჯობესდება თირკმელებისა და კუჭ-ნაწლავის მოქმედება. გარდა ამისა, ორგანიზმიდან გამოიდევნება ჭარბი სითხე და ტოქსინები და ჩქარდება ცხიმების დაშლა. კარგია, თუ წყალში ჩაუმატებთ ლიმონის წვენს (თქვენი გემოვნებით) – ასე წყურვილიც შეგიმცირდებათ და შიმშილის შეგრძნებაც.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ, როდესაც სისხლში დაბლა იწევს შაქრის შემცველობა, სწორედ მაშინ ვგრძნობთ შიმშილს, შედეგად კი – ენერგიისა და ყურადღების დაქვეითებას. ასეთ შემთხვევაში, წასახემსებლად საუკეთესო პროდუქტებია: ვაშლი, ერთი ჭიქა კეფირი ან 50 გრამი ნიგოზი – ამით უზრუნველყოფთ ნელა და თანდათანობით მოიმატოს სისხლში შაქრის რაოდენობამ (და არა ერთბაშად), რაც დაგიბრუნებთ ენერგიასა და შრომისუნარიანობას.

თუ გსურთ, ნელ-ნელა მიაღწიოთ თქვენს საოცნებო შედეგს – იდეალურ აღნაგობას, გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები:

* შეეჩვიეთ სწორად კვებას და არ დაივიწყოთ ფიზიკური დატვირთვები.

* მინიმუმ კვირაში ორჯერ მიირთვით ზღვის პროდუქტები, რათა ორგანიზმმა მიიღოს თევზის ქონი.

* სვით გაზგასული მინერალური წყალი.

* აქცენტი გააკეთეთ ხილზე, ბოსტნეულსა და მწვანილზე, რათა მიიღოთ ანტიოქსიდანტების საჭირო რაოდენობა.

* მენიუდან ამოიღეთ შემწვარი ხორცი და შებოლილი პროდუქტები, რადგან, ისინი შლიან ანტიოქსიდანტებს.

* მაქსიმალურად შეზღუდეთ ტკბილეული, მაგრამ, თუ ძალიან გაგიჭირდათ ტკბილი სასუსნავების გარეშე, მიირთვით მწარე შოკოლადი, დღეში 50-100 გრამი.

* მაქსიმალურად ეცადეთ, ბევრი იმოძრაოთ, მაშინაც კი, თუ ოფისში მთელი დღე ჯდომა გიწევთ: უარი თქვით ლიფტზე; სამსახურში ყოფნის პერიოდში (თუნდაც შესვენებაზე) გამოაღეთ ფანჯარა, შეასრულეთ მარტივი ვარჯიშები და ღრმად შეისუნთქეთ სუფთა ჰაერი; საღამოობით ისეირნეთ ფეხით ან ველოსიპედით; კვირაში ორჯერ მიაკითხეთ საცურაო აუზს – მოკლედ, არჩევანი თქვენზეა.

* თუ ძირითადად „ჯდომითი“ რეჟიმი გაქვთ, მაინც შეგიძლიათ, წაივარჯიშოთ: მჯდომარე მდგომარეობაში, პერიოდულად, გაჭიმეთ და მოადუნეთ ფეხებისა და დუნდულების კუნთები; მუცლის კუნთებისთვის კი შეასრულეთ შემდეგი სახის ვარჯიში: ღრმად ჩაისუნთქეთ და მაქსიმალურად გამობერეთ მუცელი, შემდეგ ნელნელა ამოისუნთქეთ და მუცელი მაქსიმალურად „შეზნიქეთ“ (ვარჯიში გაიმეორეთ 7-8-ჯერ).

სამუშაო დღის განმავლობაში, დაახლოებით ორ საათში ერთხელ, აიღეთ „წუთშესვენება“: სხეული მოადუნეთ, თვალები დახუჭეთ და იფიქრეთ მხოლოდ სასიამოვნოზე.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორ უნდა შევამოწმო ჩემი თმის მდგომარეობა?**

**პასუხი:** თავის დაბანის დროს, მოჰკიდეთ ორი თითი თმის ღერს, მსუბუქად დაქაჩეთ და დააკვირდით, რამხელაზე გაიწელება. ჯანმრთელ თმას აქვს უნარი, საწყის სიგრძესთან შედარებით 50 პროცენტით გაიწელოს, ხელის გაშვების შემდეგ კი უვნებლად დაუბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობას. თუ თქვენი თმის ღერი მხოლოდ 20 პროცენტით გაიწელა და, მით უფრო, თუ გაწყდა ან ძირიანად ამოვარდა, აუცილებელია სასწრაფო მკურნალობა კერატინით. მკურნალობის განმავლობაში იკრძალება შეღებვა, ქიმიური დახვევა და ფენით გაშრობა.

**კითხვა: მაინტერესებს, რატომ არის მიზანშეწონილი სიბნელეში ძილი?**

**პასუხი:** სიბნელე ხელს უწყობს ძილის ჰორმონის – მელატონინის გამომუშავებას.

**კითხვა: დღის რომელ მონაკვეთშია უმჯობესი სახიდან მაკიაჟის მოხსნა?**

**პასუხი:** თუ ამის საშუალება გაქვთ (ანუ, საღამოს არსად აღარ მიდიხართ), მაკიაჟის მოსახსნელად საუკეთესო დროა 18-დან 20 საათამდე შუალედი – ეს ის დროა, როცა კანი განსაკუთრებით აქტიურად შთანთქავს ჟანგბადს და ფორებიდან ყველაფერ ზედმეტს გამოყოფს. შეგიძლიათ, კრემი ოდნავ მოგვიანებით წაისვათ, მთავარია, რომ დაძინებამდე დარჩენილი იყოს მინიმუმ 1,5 საათი, რათა კანმა მოასწროს, სრულყოფილად შეიწოვოს ის, რის შედეგადაც დილით შეშუპებების გარეშე გაეღვიძებათ.

**კითხვა: მაინტერესებს, რას ნიშნავს აბრევიატურა BB და რა დანიშნულებით გამოიყენება ეს კოსმეტიკური საშუალება?**

**პასუხი:** BB არის Blamish Balm-ის აბრევიატურა, რაც „ნიღბის დანიშნულების ბალზამს“ ნიშნავს. BB-კრემი, გარდა ნიღბისა,



კანს მთლიანობაში უვლის, ატენიანებს და იცავს მას ულტრაიისფერი სხივების მავნე ზემოქმედებისგან.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რა არ სიამოვნებდა ბერიას და რატომ ჩხრეკდა მას სტალინთან ვიზიტისას დაცვა



### წმიდა ოთხთავი

1953 წლის 1 მარტი თენდებოდა. დილის 5 საათზე სტალინის სასადილო ოთახიდან ტრადიციული ოთხეული (შემდგომში მათ „შეთქმულთა ოთხეული" უწოდეს): ბერია, მალენკოვი, ხრუშჩოვი და ბულგანინი გამოვიდნენ. ამ ბოლო კვირების განმავლობაში ეს ოთხეული თითქმის ყოველ საღამოს ჩამოდიოდა კუნცევოში და მხოლოდ გამთენიისას ტოვებდა გენერალური მდივნის აგარაკს. პატრონი (ასე ვუწოდებდით დაცვის წევრები სტალინს) ყოველთვის წინასწარ მატყობინებდა ვიზიტორთა ვინაობას, ჩვენ კი მათი დახვედრა, შემოწმება და გასტუმრება გვევალებოდა. ეს წესი მხოლოდ კაპიტალისტური ქვეყნებიდან მოწვეულ სტუმრებზე არ ვრცელდებოდა. ასეთი კონტროლი მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ერთხელ კრემლში, სტალინთან აუდიენციაზე მისულ მოლოტოვს „ჩვენმა ბიჭებმა" პიჯაკში „ბრაუნინგი" უპოვეს. ამ ისტორიამ პატრონის რისხვა გამოიწვია და მას შემდეგ არავის „ვინდობდით". ერთი სიტყვით, ეს წესი ყველა „ჩვენიანმა" კარგად უწყოდა და არავინ გამოხატავდა უკმაყოფილებას, გარდა ბერიასი, რომელიც ყოველთვის მწვავე რეპლიკებით ამკობდა კონტროლიორებს. ჩემდა გასაკვირად, წინა საღამოს ბერიას სიტყვაც არ დაუძრავს. უფრო მეტიც, მან თითქოს კეთილგანწყობით გამიღიმა და ისე გაგვეცალა.

როდესაც ღამის კამპანია (ოთხეული) გავისტუმრეთ, სტალინს ვეახლე, რათა მისგან მითითებები მიმეღო და შემდეგ ცოტა დამესვენა – ორი დღე-ღამის უძილო ვიყავი, ფეხზე ძლივს ვიდექი და მეძინებოდა. როდესაც სტალინი ფხიზლობდა, მაშინ ჩემი ძილიც წარმოუდგენელი იყო. სტალინი დილის 6-7 საათზე წვებოდა დასაძინებლად და შუადღის 11-12 საათზე იღვიძებდა. სტალინს რომ ვეახლე, რამდენიმე საქმიანი მითითება მომცა და, როდესაც გამოსვლას ვაპირებდი, უეცრად საუბარი გამიბა. ძალზე ხალისიანად, დაახლოებით, 20 წუთი მესაუბრა და ამ ხნის განმავლობაში ჩემს ოჯახზე, ცოლ-შვილსა და ნათესავებზე მეკითხებოდა. მე საკმაოდ გაოცებული ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ სტალინს ყოველდღიურად რამდენჯერმე ვესაუბრებოდი. ეს არასოდეს გასცდენია სამსახურებრივ ჩარჩოებს, ახლა კი... ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ის მე ქართულად მელაპარაკებოდა, რაც არასდროს მომხდარა ჩვენი 33-წლიანი თითქმის ყოველდღიური ურთიერთობების განმავლობაში. სტალინი უეცრად მომიახლოვდა, თვალებში გამჭოლად შემომხედა და მითხრა: „ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემს წინააღმდეგაა". გავშრი და უეცრად ბერიას წუხანდელი კეთილგანწყობილი ღიმილი გამახსენდა. ვიგრძენი, რომ წამით გავფითრდი კიდეც, მაგრამ, სწრაფად მოვიკრიბე ნებისყოფა, თუმცა, თვალი ვერ გავუსწორე პატრონს. სტალინს ეს არ გამოჰპარვია და მომიგო: „სახარებიდანაა, ღმერთის სიტყვებია, სემინარიიდან ვიცი. ღმერთი თუ გწამს?" მე უფრო მეტად დავიბენი და ძლივს ამოვღერღე: „ამხანაგო სტალინ! ღმერთი ხომ არ არსებობს?!" სტალინმა არაფერი მიპასუხა, მხოლოდ გაეღიმა, შემდეგ თავის ბიბლიოთეკაში გაუჩინარდა. მე ერთ ადგილზე გაშეშებული დავრჩი და აზრების მოკრება მიჭირდა. ცოტა ხნის შემდეგ სტალინი ბიბლიოთეკიდან გამოვიდა, მას ლურჯყდიანი, პატარა წიგნი ეჭირა. მომიახლოვდა, წიგნი გამომიწოდა და მითხრა: „ეს წმიდა ოთხთავია, სახარება. სპეციალურად ჩემთვის დავაბეჭდინე. გქონდეს, წაიკითხე და შემდეგ ვისაუბროთ". ამის შემდეგ სტალინმა გამომიშვა, ხოლო თვითონ დასაძინებლად წავიდა. მორიგე ოფიცერს შევუარე, მითითებები მივეცი, მერე ყველა პოსტი გადავამოწმე და მხოლოდ ამის შემდეგ დავბრუნდი ჩემს ოთახში. თვალები ზეზეურად მეხუჭებოდა და როდესაც ტახტზე გაუხდელად დავწექი, მხოლოდ მაშინღა შევამჩნიე, რომ სახარება კვლავ მარცხენა ხელში მეჭირა. მიუხედავად დაღლილობისა, წიგნი გადავშალე და პირველივე გვერდზე თვალი მომჭრა წითელი ფანქრით გაკეთებულმა ქართულენოვანმა წარწერამ: „გენერალ თევდორაძეს – გენერალისიმუს სტალინისგან. ღმერთის რაობის გასაცნობად".

### უცნაური ზარი

მორიგე ოფიცერმა მხოლოდ მას შემდეგ მიმახვედრა, რომ ბერია რეკავდა, როდესაც ლოგინზე წამოვჯექი და ერთი-ორჯერ მაგრად გავაქნიე თავი. მორიგეს აპარატის გადმორთვა ვუბრძანე, ოთახიდან დავითხოვე და „ვერტუშკის" ყურმილს დავწვდი: „გისმენთ, ამხანაგო ბერია". ხაზის მეორე ბოლოდან ბერია ქართულად გამომეპასუხა (ის თითქმის ყოველთვის ქართულად ესაუბრებოდა ქართველებს და სტალინთანაც იმავეს აკეთებდა, რაც ბელადის გულისწყრომას იწვევდა): „ქართული ხომ არ დაგავიწყდა, რუსულად რომ მელაპარაკები, ნუთუ შენ და პატრონი ქართულად არ საუბრობთ ხოლმე?" – ბერიას ბოლო ფრაზა რატომღაც გულზე მომხვდა. შემდეგ ბერია რუსულზე გადაეწყო და განაგრძო:

– ამხანაგმა სტალინმა უკვე გაიღვიძა თუ კვლავს სძინავს? სასწრაფო საქმე მაქვს, პირადად უნდა მოვახსენო და მინდა, მიღებაზე შევუთანხმდე.

– სძინავს, მაგრამ, თუ გადაუდებელი საქმეა, ახლავე გავაღვიძებ, – ვუპასუხე. ბერიამ წამიერი პაუზა გააკეთა. მომეჩვენა, რომ მან ამ დროს ვიღაცას რაღაც ანიშნა მიმიკით და მხოლოდ ამის შემდეგ მიპასუხა:

– არა, არა უშავს, იძინოს, ალბათ, ძალიან დაიღალა. მოგვიანებით შევეხმიანები. მიხაილ ნიკოლაევიჩ, ძალიან გთხოვ, პირადად დამირეკე, როდესაც პატრონი გაიღვიძებს.

შემდეგ ბერიამ ორიოდე უმნიშვნელო ფრაზა მითხრა და ასე დაასრულა:

მიხაილ ნიკოლაევიჩ, ღვთის გულისთვის, აუცილებლად შემატყობინე პატრონის გაღვიძება – და ყურმილი დაკიდა. ყურმილი დავკიდე თუ არა, საათს შევხედე და გამიკვირდა, რადგან, 14 საათი და 45 წუთი იყო და სტალინს ამ დროისთვის ყოველთვის ეღვიძა, ან მე რამ დამაძინა ამდენ ხანს. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და ცუდმა წინათგრძნობამ შემიპყრო. 15 საათს გადაცილებული იყო, მაგრამ, სტალინისგან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ასეთ დროს არ ვიცოდით, როგორ უნდა მოვქცეულიყავით, რადგან, ჯერ ერთი, ასეთ სიტუაციაში პირველად აღმოვჩნდით, მეორე მხრივ, ვიცოდით, რომ სტალინს „არამკითხეები" არ უყვარდა. საბოლოოდ, ერთი საათით მოცდა ვამჯობინე და მორიგეებს მოვეთათბირე, თუ პატრონი 16 საათამდე არ გაიღვიძებდა, მაშინ ჩვენ შევხმიანებოდით. როგორც იქნა, 16 საათიც შესრულდა და, ის-ის იყო, სტალინის საძინებელში შესვლას ვაპირებდი, რომ თავად მან იხმო მორიგე ოფიცერი, ამ უკანასკნელმა კი მე დამიძახა. როდესაც პატრონს ვეახლე, უკვე მოწესრიგებული იყო და დაწვრილებით გამომკითხა დღის მოვლენები. მე მას სხვადასხვა უწყებიდან მოსული შიფროგრამების დასტა გადავეცი და ბერიას ზარის შესახებ მოვახსენე. სტალინმა ნება დამრთო, ბერიასთვის დამერეკა და შემდეგ საქმეები მოითხოვა. მორიგე ოფიცერს მითითებები მივეცი და ჩემი ოთახიდან ბერიასთან დავრეკე. ყურმილი თავად ბერიამ აიღო და ისე მომეჩვენა, თითქოს ბერიამ წინასწარ იცოდა, რომ იმ წუთას ვურეკავდი და მოუთმენლად მელოდა. ბერიას მხოლოდ ის ვუთხარი, რომ პატრონმა გაიღვიძა, ამჟამად სადილობს და რომ ამის შემდეგ ის თავად შეეხმიანება მას. ბერიამ თითქოს ეს ყველაფერი უკვე იცოდა. მან მადლობა გადამიხადა და ყურმილი დაკიდა.

### განგაში

გუშინდელთან შედარებით ბერია სხვებზე ადრე ჩამოვიდა აგარაკზე და სტალინთან მანამდე დაყო, სანამ ოთხეულის სხვა წევრებიც არ ჩამოვიდნენ. ჩვეული კამპანია „თეთრ სასადილოში" 23 საათისთვის შეიკრიბა, მაგრამ უჩვეულოდ ადრე – ღამის 1 საათზე დაიშალა. როდესაც სტალინს ვეახლე, სულ მცირე ხნით შემაყოვნა, შემდეგ კი დასაძინებლად წავიდა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს და წინა დღის მოვლენებს ვაანალიზებდი. კვლავ ბერიასთან საუბარი გამახსენდა და გულზე უსიამოვნოდ გამკენწლა. ასეთ დროს ყოველთვის უსიამოვნო წინათგრძნობა მეუფლებოდა ხოლმე, რაც თითქმის ყოველთვის მართლდებოდა.

კვლავ ფიქრებმა გამიტაცა და უნებლიეთ ისევ სტალინი დამიდგა თვალწინ. ნეტავ საიდან იღებს ამდენ ენერგიას ეს კაცი. უკვე 33 წელიწადია, რაც მას ვემსახურები, მაგრამ, მის განრიგს მაინც ვერაფერი გავუგე და ვერა და ვერ შევეჩვიე. გგონია, სძინავს, ის კი, შესაძლოა, ამ დროს თავზე წამოგადგება. ფიქრობ, მის რისხვას ვერ გადავურჩებიო და, შესაძლოა, მან ასეთ დროს სხვა თემაზე დაგიწყოს საუბარი... ამ ფიქრებში შემომათენდა კიდეც და საათმა შვიდჯერ რომ ჩამოჰკრა, მაშინღა გამოვერკვიე. ძალიან არ მეძინებოდა, რადგან ფიზიკურზე მეტად ემოციურად გადავიღალე. მორიგე ოფიცერი ვიხმე, „ვერტუშკა" გადავართვევინე და ვუბრძანე, სანამ პატრონი არ დამიძახებდა, არავითარ შემთხვევაში არ გავეღვიძებინე. საათს დავხედე, რვის ნახევარი იყო, ჩექმები გავიძრე და დავიძინე. თავადვე გამომეღვიძა და საათს რომ დავხედე, საღამოს 5 საათს იყო გადაცილებული. თითქმის 10 საათი მძინებია. გავოცდი. აღარც კი მახსოვდა, როდის ვიძინე ბოლოს ამდენი. უეცრად კვლავ გულმა გამკენწლა და მორიგე ოფიცერს ვუხმე: „პატრონს ხომ არ ვუკითხივარ?" მან კი მიპასუხა: „ამხანაგ სტალინს ჯერ არ გაუღვიძია". ამ „ჯერ არ გაუღვიძიამ" ლამის ტვინში სისხლი ჩამიქცია და ოფიცერს ვუყვირე: „სასწრაფოდ გააღვიძეთ, ოღონდ, ფრთხილად". ოფიცერი მკვეთრად შეტრიალდა და ბრძანების შესასრულებლად გავიდა. მე კუდში მივყევი, თან თავში მიგუგუნებდა: „ჯერ არ გაუღვიძია... ჯერ არ გაუღვიძია...". სანამ დერეფანი გავიარე, მორიგე ოფიცრის საზარელმა ხმამ ყური მომჭრა, მაგრამ, სიტყვები ვერ გავარჩიე და საძინებელში გადარეულივით შევვარდი. სტალინი იატაკზე იწვა, მარცხენა ხელი გულთან ახლოს ჰქონდა, მარჯვენა კი ჩამოვარდნოდა. სახე გაფითრებოდა და არ ინძრეოდა. მე პულსი გავუსინჯე – გული უცემდა, ცოცხალი იყო. შემდეგ სასწრაფოდ გავედი გარეთ და მორიგე ოფიცერს მთელი ხმით ვუყვირე – „სტალინი ცოცხალია, მაგრამ, ცუდადაა! სასწრაფოდ გამოაცხადეთ №1 განგაში!"

**სტალინის დაცვის უფროსის მოადგილის მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**

# როგორი ტიპის ადამიანებთან ურთიერთობა გვაცლის სასიცოცხლო ენერგიებს



**რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

დედამიწაზე აბსოლუტურად ჰარმონიული არაფერია, შესაბამისად, ენერგიების მიმოქცევასაც აქვს თავისი დარღვევები და ეს განსაკუთრებით ადამიანებში შეიგრძნობა. კერძოდ, ერთეულ სხეულში ხშირად ირღვევა ენერგეტიკული მერიდიანები და იქ ენერგიის ცირკულაცია არასწორად ხდება. ამ დროს, არ არის გამორიცხული, ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები გაგვიჩნდეს.

გახსოვდეთ, რომ დედამიწაზე წარუმატებელი ადამიანი არ არსებობს, არსებობენ ინფორმაციის უარმყოფელი ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ითვალისწინებენ, იმას, რაც სწორედ მათ ბედზე აგებს პასუხს და მათ უიღბლობას განაპირობებს. ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია, საკუთარ თავს დაეხმაროს, გახდეს წარმატებული, სასურველი და იღბლიანი. ასე რომ, ნურასდროს იტყვით საკუთარ კეთილდღეობაზე უარს. დაკვირვებით და ფხიზელი თვალით უყურეთ სამყაროს, საჭირო ინფორმაციას კოსმოსიდან აუცილებლად მიიღებთ და ყველაფერს თავად მიხვდებით, მათ შორის იმასაც, რომელი ადამიანის გვერდით ყოფნაა თქვენთვის საშიში, ენერგიის გამომცლელი, ან პირიქით, დადებითი ენერგიების მომცემი. გირჩევთ, ნუ მოადუნებთ გონებას და მიაქციეთ ყურადღება, რა მინიშნებას გაძლევთ ცხოვრება კოსმოსური სამყაროდან. ასეთი მინიშნებები კი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავია.

ადამიანი ძირითადად კოსმიური და მიწიერი ენერგიებით იკვებება. იმ შემთხვევაში კი, თუ მას ასეთი წესით მიღებული ენერგია არ ჰყოფნის და ვერც ბუნებიდან ახერხებს მის მიღებას, ის იწყებს მსხვერპლის ძებნას. შესაძლოა, ეს მსხვერპლი, ანუ ენერგოდონორი, უახლოესი ადამიანიც აღმოჩნდეს. ამიტომ, გირჩევთ, ყურადღებით იყოთ, რადგან თავის დაცვა არა მხოლოდ უცხოებისგან, შესაძლოა, ახლობელი ადამიანებისგანაც მოგიწიოთ.

სამყაროში ყველა ცოცხალ ორგანიზმს თავისი ენერგია აქვს და ხშირად ხდება ენერგიის ცირკულაციის დარღვევა. როცა ადამიანს არ ჰყოფნის საკუთარი ენერგია, ამ დროს ენერგიის ქვეცნობიერად მიღების კოდი ირთვება. კერძოდ, ადამიანი ხდება ენერგოვამპირი და ცდილობს, იპოვოს ენერგოდონორი, თუნდაც უახლოეს გარემოცვაში.

ბუნებაში ენერგოვამპირის ორი ტიპი არსებობს, კერძოდ, პლანეტა მზისა და მთვარის ტიპის. ეგრეთ წოდებული, „მთვარის ტიპი“, არ არის აგრესიული, ნაკლებად საშიშია, „მზის ტიპი“ კი საკმაოდ აგრესიულია და ეს ერთი შეხედვითაც შესამჩნევია. „მზის ტიპის“ ენერგოვამპირი ხშირად აღგზნებულია, არ მალავს თავის აგრესიას, ცდილობს, საკუთარი აზრი ნებისმიერი ფორმითა და ხერხით მოახვიოს თავს სხვა ადამიანებს. არ ითვალისწინებს სხვების რჩევებსა და აზრებს. მისთვის დარიგების მიცემა წყლის ნაყვაა. არის ეგოისტი, მაგრამ, იმავდროულად, კარგი ორატორი. ასეთი ტიპის ენერგოვამპირი, ლაპარაკით იჭერს მსხვერპლს და იწყებს მისგან ენერგიის გამოწოვა-შთანთქმას. მათი უმრავლესობა ცეცხლის სტიქიის ქვეშაა დაბადებული. ამ სტიქიის გავლენა კი მკვეთრად შეიგრძნობა მათში. „მთვარის ტიპის“ ენერგოვამპირი „მზის ტიპის“ ენერგოვამპირისგან სრულიად განსხვავდება: ის სულ უკმაყოფილო, ცხოვრებაზე გულაცრუებულია და გამუდმებით წუწუნებს ბედზე. ხშირად ლაპარაკობს თავის პრობლემებზე. უყვარს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა. ასეთი წესით, ის მონოტონურად აცლის ადამიანს ენერგიას, თავად კი ამ ენერგიით იკვებება.

თუ ენერგოვამპირს დროზე არ გაეცალეთ, შესაძლოა, მან თქვენგან იმდენი ენერგია გამოქაჩოს, თავი შეუძლოდ იგრძნოთ. ამიტომ, უნდა შეძლოთ მისი იგნორირება, მაგალითად, არ მიაქციოთ ყურადღება და გულთან ახლოს არ მიიტანოთ მოსაუბრის სიტყვები; ან, პირიქით, შეტევაზე გადადით: სანამ ის აუწევს ხმას და თავის პრობლემებზე დაიწყებს წუწუნს, თქვენ დაასწარით, არ მისცეთ ლაპარაკის საშუალება და მეტი ილაპარაკეთ.

ბევრი ამბობს, ბედი არ მაქვსო. გახსოვდეთ, ასე ლაპარაკი არ შეიძლება. ამით საკუთარ თავსაც თვალავთ, ენერგოვამპირისთვისაც ადვილად ხელმისაწვდომი ხდებით და წარმატებებისკენ მიმავალ გზასაც ხერგავთ. ამას ჯობია, იმოქმედოთ, არ გააკეთოთ ისეთი რამ, რაც უკან ცუდად დაგიბრუნდებათ და ცხოვრებას გაგიმწარებთ.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1986 წლის 14 სექტემბერს. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე?**

**პასუხი:** თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა, იყოთ სამშობლოს პატრიოტი, კარგად ერკვეოდეთ ადათ-წესებში, ისტორიაში, ტრადიციებში. უნდა შეინარჩუნოთ სტაბილური ოჯახური, პარტნიორული ურთიერთობები. უფრო მეტად დაეყრდნოთ ინტუიციას, იყოთ ფრთხილი და წინდახედული, ისწავლოთ საიდუმლოს დაცვა. ასევე, უნდა იყოთ ორგანიზებული, ერთგული და ირგვლივაც ერთგული ადამიანები უნდა შემოიკრიბოთ. გახდეთ ნებისყოფიანი, მომთმენი, შრომისუნარიანი, ბრძოლისუნარიანი. ასევე, ფული ყაირათიანად უნდა ხარჯოთ. ყოველივე ეს თქვენთვის გამარჯვების მომტანი ფაქტორებია.

**კითხვა: დავიბადე 1982 წლის 4 იანვარს, დილის 7 საათზე. რომელ სფეროში მელის წარმატება და რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან მექნება სასურველი სასიყვარულო-საოჯახო კავშირი?**

**პასუხი:** თქვენთვის სასიყვარულო-საოჯახო ურთიერთობა მისაღებია შემდეგი ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულებთან: მორიელთან, თევზებთან, კუროსთან ან ქალწულთან. არ გირჩევთ ურთიერთობას მშვილდოსანთან. პროფესიებიდან კი მისაღებია: პოეზია, ლიტერატურა, ხელოვნების ფართო სპექტრი, ოკულტიზმი, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სამეცნიერო კვლევა, მანქანების ბიზნესი, არქიტექტურა, მანქანათმშენებლობა, საინჟინრო საქმიანობა, ფსიქოთერაპია.

**კითხვა: დავიბადე 1983 წლის 25 აპრილს, ღამის საათებში. მინდა უცხოეთში წასვლა. რომელი ქვეყანაა ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი:** თქვენი კოსმიური მისია უკავშირდება სამშობლოსა და მის სამსახურს. თუმცა, უცხოეთში წასვლა დროებით საცხოვრებლად და სამუშაოდ არ არის ურიგო. ქვეყნებიდან კი მეტად მისაღებია: ინგლისი, დანია, ავსტრალია, ყაზახეთი, ვიეტნამი, ლაოსი, სინგაპური, მალაიზია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილი, ამერიკის შეერთებული შტატებიდან – დასავლეთი მხარე, შვედეთი, ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, უზბეკეთი, ინდოეთი, იტალიიდან – ვენეცია.

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 2000 წლის 7 თებერვალს. რა არის მისი კარმული მისია?**

**პასუხი:** თქვენი შვილის კარმული მისიაა, წარმოაჩინოს სულიერი თვისებები, იყოს აქტიური, ინიციატივიანი, პრაქტიკული, ენერგიული. უნდა შეძლოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, ლიდერული თვისებების გამოვლენა, ასევე, იყოს უშიშარი და მებრძოლი. სადაც შევა, უნდა შეიტანოს სიმშვიდე, ჰარმონია და არა დეპრესია და აგრესია. მეტად დაეყრდნოს ოპტიმიზმსა და კეთილშობილებას. იყოს კანონმორჩილი, სამართლიანი, დიპლომატიური.

# თეატრები

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8**
**ტელ.: 295-59-66**

25-26-27-28-29 დეკემბერი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„საშობაო სიმღერა"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ბესო ბარათაშვილი, ნიკა კუჭავა, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ირმა ბერიანიძე, მაია კაციტაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, თემურ კილაძე, ნინო დუმბაძე, ვალერი კორშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

28 დეკემბერი, **შაბათი** 20.00 - **„მუ...“** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ზურაბ ქიქოძე. მონაწილეობენ: მედეა ჯაფარიძე, ნანა ფაჩუაშვილი, რუსიკო ბოლქვაძე, ქეთი ცხაკაია, ნატო გულისაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

29 დეკემბერი, **კვირა** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

**მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)**
**მარჯანიშვილის ქუჩა №5.**
**ტელ.: 2 955-966**

26-27-28 დეკემბერი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 298-58-21**

24 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

25 დეკემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

26 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

27 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„თოჯინების სახლი"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი ვანო ხუციშვილი. მონაწილეობენ: თამუნა ნიკოლაძე, გიორგი ზანგური, ბაჩო ჩაჩიბაია, მაია ხორნაული, ნინო ფილფანი, დევი ბიბილეიშვილი;

28 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

29 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

**მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

27 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„ბაკულას ღორები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, რამაზ იოსელიანი, ლაურა რეხვიაშვილი, გვანცა გურგენიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, გიორგი ყიფშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

28 დეკემბერი, **შაბათი** 19.00 - **„გაზაფხული მაინც მოვა"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი. მონაწილეობენ: ბექა ჯუმუტია, ანა მატუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

29 დეკემბერი, **კვირა** 19.00 - **„7 პ.პ"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: გიორგი ყიფშიძე, რუსუდან ბოლქვაძე, ნანუკა ლითანიშვილი, ნათია ფარჯანაძე, ეკა ჩხეიძე, ნანა შონია, ნიკა წერედიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

**ახმეტელის თეატრი**
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

26 დეკემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ღია შუშაბანდი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ამირან ქაჩიბაია, გვანცა კანდელაკი, მზია ტალიაშვილი, მამუკა მაზავრიშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

27 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„პოლიცია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი დარიუშ ეზერსკი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, აკაკი ხიდაშელი, კახა ჯოხაძე, გიორგი ჭუმბურიძე, თათია თათარაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

**გრიბოედოვის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2.**
**ტელ.: 293-11-06**

27-28 დეკემბერი, **პარასკევი-შაბათი** 12.00, 15.00 - **„კონკია"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

29 დეკემბერი, **კვირა** 12.00, 15.00 - **„თორმეტი თვე"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი დიმიტრი პავლოვი. მონაწილეობენ: ირინა კვიჟინაძე, ნანკა კალატოზიშვილი, მარიამ კიტია, ქრისტოფერ პილიევი, ნინა ნინიძე, ირინა ვორობიოვა, არჩილ ბარათაშვილი, მიხეილ ამბროსოვი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

**საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №37**
**ტელ.: 99-63-14**

24 დეკემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„კიდევაც დაიზრდებიან"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

27 დეკემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

## ორშაბათი 23 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ "**ვინეტუ II**" **17.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **18.00** ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" **19.05** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **21.00** ქართ. მხ/ფ "**კეთილი ადამიანები**" **22.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" **23.30** მხ/ფ "**დასაწყისი**" (ლ. დი კაპრიო).

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.35** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20" 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" **12.30" 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40" 15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50" 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო **23.30** სასწრაფო დახმარება **00.30** მხ/ფ "**გოსფორდ პარკი**" **02.50** სერ. "**ლიკვიდაცია**" **8** სერ.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **1** დაწ. **22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20, 17.05** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.45** მხ/ფ "**მაისის თოვლი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**წისქვილი ქალაქის გარეუბანში**" **13.25** პატერიკი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.00** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი "**ალალე**" **17.30** დოკ/ფ "კადრს მიღმა " **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** ქართული მულტფილმი **18.20** ერთი წვეთი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**განაჩენი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი **21.25** სალვთისმეტყველო საუბრები **22.20** დოკ/ფ "წმინდა მეფე თამარი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ"რაზიკაშვილები" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** მულტფილმი სონიკ-ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) **12.40** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ.) **14.30** "მონიტორის გამოძიება" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.25, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "მდუმარენი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები".

## სამშაბათი 24 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ "**ვინეტუ III**" **17.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **18.00** ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" **19.15** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ქართ. მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" **22.30** ტ/სერ. "**მაფიოზი**" **23.30** მხ/ფ "**გაქცეული**" (ჰ. ფორდი).

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.55** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20" 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" **12.30" 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40" 15.05** იმედის გმირები (გ/ჩ) **15.15** რომ გადახვალ გააჩერე (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50" 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** მხ/ფ "**მწერალი მოჩვენება**" **02.10** სერ. "**ლიკვიდაცია**" **9** სერ.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** სპექტაკლი "**ალალე**" **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** დოკ/ფ "რაზიკაშვილები" **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **12.10** მხ/ფ "**განაჩენი**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი-კლასიკა **16.15** დოკ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ "**გოლა**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.30** დოკ/ფ "სტუმრად პატრიარქთან" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** მულტფილმი სონიკ-ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15** მაღვიძარა **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.25, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "მდუმარენი" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**23 – 29 დეკემბერი**

*დარბაზი 1*

11.30, 13.40, 15.40, 17.45 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

19.50, 22.35 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00, 16.00 - **„ინდაურები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.50 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

20.05 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

22.30 - **„შიმშილის თამაშები: ცეცხლის ალში"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00 - **„ინდაურები"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

14.30 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

17.00 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

20.00, 22.30 - **„ბოლოჯერ ვეგასში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 17.30, 20.00, 22.30 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.15 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

11.15, 13.15, 15.20, 17.30 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

19.40, 22.35 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 17.15 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

15.00 - **„ბოლოჯერ ვეგასში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

20.15 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

22.35 - **„შიმშილის თამაშები: ცეცხლის ალში"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 3*

11.45, 13.45, 15.55, 18.05, 20.10, 22.30 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი ბზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# გამომცხვარი ბოსტნეული








**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ქათმის ხორცის ფარში, 2 ცალი ბადრიჯანი, 1 ცალი ყაბაყი, 1-2 ცალი ბულგარული წიწაკა, 2 ცალი პომიდორი, 1 ცალი წითელი ხახვი, 3 კბილი ნიორი, მწვანილი, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** პომიდვრებს გადააჭერით „ხუფები“. ბადრიჯანი დაჭერით ბრტყლად. ყაბაყი დაჭერით მსხვილ რგოლებად, სიგანეზე, 3-4 ნაწილად (თუ კანი სქელი ექნება, გათალეთ). ბულგარული წიწაკა გაჭერით შუაში, ორი „ნავი“ რომ გამოვიდეს. ამოაცალეთ კურკები. ბადრიჯანს, პომიდორსა და ყაბაყს კოვზით ამოაცალეთ რბილობი და ცალ-ცალკე თეფშებზე მოათავსეთ. ბადრიჯნის შიგთავსს მოაყარეთ ცოტა მარილი.

ქათმის ფარშს დაუმატეთ დაქუცმაცებული ხახვი (შეგიძლიათ, წინასწარ ცოტა მოშუშოთ კარაქში), წვრილად დაჭრილი მწვანილი, დანაყილი ნიორი, დაჭრილი ყაბაყის, ბადრიჯნისა და პომიდვრის რბილობი. უყავით ცოტა მარილი და პილპილი. აურიეთ. შეგიძლიათ, ცოტა ცხარე წიწაკაც დაუმატოთ. ამ ფარშით ამოავსეთ ბულგარულის „ნავები“, ბადრიჯანი, პომიდორი, ყაბაყის „ფინჯნები“. დააწყვეთ ტაფაზე და გამოაცხვეთ 180 გრადუსზე აიროღუმელში 1 საათის განმავლობაში. უგემრიელესია. შეგიძლიათ, სურვილისამებრ, ზემოდან გახეხილი ყველიც მოაყაროთ.

# „ოქროს თევზი“











**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი თევზის ფილე, უცხო სუნელი, ზეთი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 2 ცალი საშუალო ზომის ბოლოკი, 1 კონა კამა, 1 კბილი ნიორი, 100 გრამი ნიგოზი, 2 სადილის კოვზი ფქვილი, 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი, 200 მილილიტრი ნაღები, მარილი, შავი პილპილი.

**მომზადების წესი:** თევზის ფილე დაჭერით ულუფებად. მოაყარეთ მარილი, სუნელი, შავი პილპილი. დანამეთ ზეთით და 10 წუთით მოათავსეთ 180 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში.

ხახვი დაჭერით ნახევარრგოლებად. ბოლოკი დაჭერით კუბიკებად, სტაფილო – ძალიან წვრილად. ბოსტნეული მოშუშეთ 2 სადილის კოვზ ზეთში, მოაყარეთ თევზს და შედგით აირღუმელში კიდევ 5 წუთით. გამორთეთ აირღუმელი და კერძი 10 წუთით ისევ შიგნით დატოვეთ.

სანამ თევზი ბოსტნეულით მზადდება, ცალკე მოამზადეთ სოუსი.

ნიორი და მწვანილი ძალიან წვრილად დაკეპეთ. 1 სადილის კოვზ ზეთში ოდნავ მოშუშეთ მწვანილი, ნიორი და ოდნავ დანაყილი ნიგოზი. დაუმატეთ ფქვილი და შუშეთ ერთად, ნელი მორევით. ძალიან ფრთხილად დაასხით ნაღები და ლიმონის წვენი. ურიეთ და აცადეთ, წამოდუღდეს. უყავით მარილი.

მზა კერძი გადმოიღეთ ლანგარზე და მოასხით სოუსი.

# სოკო ყველით







**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ქამა სოკო (15 ცალი მოზრდილი „თავი"), 1 ცალი წითელი, ბულგარული წიწაკა (სხვა ფერიც შეიძლება), 50 გრამი მაგარი ყველი, ცოტა ოხრახუში, კამა, მწვანე ხახვი, 3 სადილის კოვზი მაიონეზი, მარილი, ზეთი.

**მომზადების წესი:** ქამა სოკო გაარჩიეთ და მოაცალეთ „ფეხები". სოკოს ფეხები დაჭერით ძალიან წვრილად. წვრილადვე დაჭერით მწვანილი, ბულგარული წიწაკა. ყველი გახეხეთ. ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ... დაუმატეთ მაიონეზი და მარილი.

ამ ფარშით ამოავსეთ სოკოს ქუდები. დააწყვეთ ზეთწასმულ ტაფაზე და გამოაცხვეთ აირღუმელში 30 წუთის განმავლობაში 180 გრადუსზე.

# მაკარონი „პიკანტური"









**საჭირო ინგრედიენტები:** 1 სადილის კოვზი მაიონეზი, 1 სადილის კოვზი პომიდვრის ტომატი, 150 გრამი შებოლილი ძეხვი ან ლორი, 1 თავი ხახვი, 2-3 კბილი ნიორი, 1 კონა მწვანე ხახვი, კამა, ოხრახუში, 2 კვერცხი, ნახევარი ჭიქა რძე, მარილი, პილპილი, 1 შეკვრა მაკარონი, ყველის ნაჭერი, საფანელი – ორცხობილა, ზეთი.

**მომზადების წესი:** მოხარშეთ მაკარონი მდუღარე მარილწყალში. დაჭერით წვრილად და ზეთში მოშუშეთ ხახვი და ნიორი. შეურიეთ ტომატი, დაუმატეთ მოხარშულ და გადაწურულ მაკარონს. დაჭერით ლორი ან ძეხვი კუბიკებად, შეურიეთ მაკარონს, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი და მწვანე ხახვი. ცალკე ათქვიფეთ კვერცხი, მაიონეზი და რძე, მოასხით ეს ყველაფერი მაკარონს, უყავით ცოტა მარილი და პილპილი.


სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# ქათმის წვნიანი

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ლიტრი წყალი, 4 ცალი კარტოფილი, 1 თავი ხახვი, 1 ცალი სტაფილო, 1 კონა კამა, 400 გრამი ქათმის ფილე, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, მწიკვი შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცს დაასხით წყალი და დადგით მოსახარშად. მოხადეთ ქაფი. როდესაც ხორცი მოიხარშება, ქვაბიდან ამოიღეთ. ბულიონში ჩაამატეთ გაფცქვნილი ხახვი, დაჭრილი სტაფილო, კარტოფილი და დადგით ცეცხლზე. როდესაც ბოსტნეული მოიხარშება, დაუმატეთ მარილი, პილპილი, დაფნის ფოთოლი, დაჭრილი ქათმის ხორცი და 2 წუთი ადუღეთ. ბოლოს მოაყარეთ დაჭრილი კამა და გადმოდგით ცეცხლიდან.



# მსუბუქი საუზმე – „სოკოები“

**საჭირო ინგრედიენტები:** 3 ცალი პომიდორი, 6 ცალი მოხარშული კვერცხი, 150 გრამი ახალი ქამა სოკო, 50 გრამი ლორი, 50 გრამი სქელი მაიონეზი, 1 სადილის კოვზი კარაქი, შავი პილპილი და მარილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** მოხარშული კვერცხები გაჭერით შუაზე, ამოაცალეთ გული და გახეხეთ. სოკო და ლორი დაჭერით წვრილად, შეანელეთ მარილითა და პილპილით, მოშუშეთ კარაქში და დაუმატეთ გახეხილი კვერცხის გულები. პომიდვრები გაჭერით შუაზე, ამოაცალეთ გული და მოაყარეთ მარილი. ნახევარ-ნახევარი კვერცხის ცილები შეავსეთ ფარშით და თავზე გაჭრილი პომიდვრები დაახურეთ. ბოლოს ამ „სოკოებს“ ქუდებზე აქა-იქა დააწვეთეთ მაიონეზი.

# მანანის ბურღულის პუდინგი

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ლიტრი რძე, 1 ჭიქა მანანის ბურღული, 3-4 კვერცხი, 100 გრამი კარაქი, 1 ჭიქა შაქარი, 3 სადილის კოვზი ორცხობილა (საფანელი), მწიკვი მარილი.

**მომზადების წესი:** მდუღარე რძეში თანდათანობით ჩაუშვით მანანის ბურღული და განუწყვეტლივ ურიეთ, თან ხარშეთ ნელ ცეცხლზე 10-15 წუთი, შესქელებამდე. დაუმატეთ 0,5 ჭიქა შაქარი, მარილი. კვერცხის გულებისა და დარჩენილი შაქრისგან გააკეთეთ გოგლი-მოგლი. ცილა ათქვიფეთ და ორივე მასა შეურიეთ მანიფაფას. კარაქი წაუსვით ფორმას, მოაყარეთ საფანელი და მოათავსეთ შიგ პუდინგის მასა. აცხვეთ 25 წუთი, 200 გრადუსზე. მანანის პუდინგი მიირთვით არაჟანთან ან ხილის მურაბასთან ერთად.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 25 დეკემბერი

**07.30** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" "საბერძნეთი" კრეტა" **08.30** დ/ფ "სიწმინდეები გვიხმობენ" – სალიტანიო ანწისხატის მოლოცვა ათონის მთაზე **09.00** საქართველოს პატრიარქის" ილია II-ის ალსაყდრებისადმი მიძღვნილი საზეიმო წირვა-ლოცვა (პ/ტრ) **13.30** დ/ფ "დღესასწაული – ნათლობა აჭარაში" **14.00** მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" **16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **17.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **18.00** ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" **19.30** "ჩვენი ეზო" **21.00** ქართ. მხ/ფ "**საბუდარელი ჭაბუკი**" **22.30** ტ/სერ. "**მაფიოზი**" **23.30** მხ/ფ "**დროში მოგზაურის ცოლი**".

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.55** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ღამის შოუ **15.05** ღამის შოუ (გ/ჩ) (გაგრძელება) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: ეკა ხოფერია **23.30** კონცერტი: ელისო ბოლქვაძე **01.10** სერ. "**ლიკვიდაცია**" **10** სერ.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ."**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფილმი (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "საქართველოს დაცული ტერიტორიები" **06.50** დოკ/ფ "ანთიმოზ ივერიელი" **07.35** დოკ/ფ "ჩემო პატრიარქო" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ალსაყდრების დღე (ტრანსლაცია) **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** კონცერტი-პატრიარქის ალსაყდრების დღისადმი მიძღვნილი **16.45** კვირიაკე **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** პატრიარქის ქადაგება **18.20** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.30** მხ/ფ "**ლუკას სახარება**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** გზა, რომლითაც ვიარე- ამბოსი ხელაია II ნაწ. **21.55** ფოტოგალერეა **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "იმედი საქართველოისი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** მულტფილმი სონიკ-ხ **7.55, 8.10, 9.15** მალვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი** "**დაკარგული დრო**"(გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.25, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი** "**მდუმარენი**" **21.45** **სერიალი** "**დიდებული საუკუნე**".

## ხუთშაბათი 26 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" **17.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **18.00** ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** ქართ. მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" **22.30** ტ/სერ. "**მაფიოზი**" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ "**თეთრი ბურუსი**".

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ცეკვავენ ვარსკვლავები (პ/ე) **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **01.00** მხ/ფ "**კივილი 4**" **02.45** სერ. "**ლიკვიდაცია**" **11** სერ.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** პროფილი (**1** სარეკლამო ჭრა) **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი დაიჯესტი **03.30** მხ/ფილმი (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.25** დოკ/ფ "იმედი საქართველოისი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **09.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** ეთნოგრაფია **11.05** ქართული ალბომი **11.30** გზა, რომლითაც ვიარე- ამბოსი ხელაია II ნაწ. **12.10** მხ/ფ "**ლუკას სახარება**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.25** განთიადის სტუმარი **15.55** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.20** კონცერტი -ლუჩანო პავაროტი **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**მონანიება**" I სერია **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** მოკ/ფ "**ცოტნე დადიანი**" **22.45** კვირიაკეს სიუჟეტი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "მოქცევაი ქართლისაი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** მულტფილმი სონიკ-ხ **7.55, 8.10, 9.15** მალვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი** "**დაკარგული დრო**"(გამ) **12.50, 23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები" **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **18.25, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00** **სერიალი** "**მდუმარენი**" **21.45** **სერიალი** "**დიდებული საუკუნე**".

## პარასკევი 27 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" **14.00** მხ/ფ "**გაყინული**" **17.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **18.00** ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" **19.05** "შეხვედრები მცხეთაში" **21.00** თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. "**მაფიოზი**" **23.30** მხ/ფ "**უშენოდ მგონი მოვკვდები**" **01.00** მხ/ფ "**მარცხნივ მარჯვნივ**".

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.20** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) **00.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **01.00** მხ/ფ "**სიმშვიდე**" **02.35** სერ. "**ლიკვიდაცია**" **12** სერ.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ."**ბრაზილიის გამზირი**"

**12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** კომედი შოუ. **18.50, 19.50** სერ."**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **00.30** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.20** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.10** დოკ/ფ "მოქცევაი ქართლისაი" **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** მოკ/ფ "**ცოტნე დადიანი**" **11.00** დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" **11.25** ისტორიის გაკვეთილი **12.10** მხ/ფ "**მონანიება**" I სერია **13.25** პატერიკი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი - ვაჟა აზარაშვილი **17.00** კვირიაკე **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ/ფ "**მონანიება**" II სერია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "დაგვიანებული ქორალი" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** მულტფილმი სონიკ-ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"**(გამ) **12.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" **14.30** გადაცემა "პულსი" (გამ.) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აზები" (გამ.) **18.25, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "მდუმარენი"** **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## შაბათი 28 დეკემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" **09.00** ან/ფ "რა მშვენიერია პანამა" **10.30** საბ. ან/სერ. "**ტატონკას თავგადასავალი**" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** კონცერტი: **1)** არჩილ კერესელიძის **100** წლის იუბილე **2)** სერგეი მანუკიანი **14.00** მხ/ფ "**გაქცეულები**" (პ. რიშარი, ჟ. დეპარდიე) **16.30** "გურმანია" **17.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **18.00** ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" **19.00** "ეტალონი" **21.00** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" (პ/ე) **22.30** "წითელი ზონა" **23.30** მხ/ფ "**მაღალი სისხლი**" **01.30** დ/ფ "ლეტიცია და მისი მგლები".

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები'' მე–**12** სერია **08.25** მხ/ფ "**გენიოსი ბავშვები**" **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" **12.45** სერ. "**ჰანა მონტანა**" **14.30** ახალი ქართული ხმა **17.50, 19.05** სერ. "**უდანაშაულო**" **20.55** ფულთან თამაში **20.50** სერ. "**სილა**" **22.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **23.00** რომ გადახვალ გააჩერე **23.30** მხ/ფ "**პროფესიონალი მკვლელი**" **01.30** სერ. "**ლიკვიდაცია**" **13** სერ.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.00** ეკი ვოკი **11.00** იღბლიანი ბორბალი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები. **15.30** "ნანუკას შოუ" - გ/ჩ **18.50** გააცინე და მოიგე **20.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **23.00** რა? სად? როდის? **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერი.

**06.10, 17.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**მონანიება**" II სერია **13.30** დოკ/ფ "დაგვიანებული ქორალი" **14.00** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - "**სერალიდან მოტაცება**" **18.10** საქართველოს ქალაქები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** გამოყენებითი ხელოვნება **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** ჟურნალისტის დღიური **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ "**მოზიდიკი**" I- სერია.

**7.00, 0.00, 2.30, 5.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი ქუჩის მავნებლები **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "მდუმარენი"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00 სერიალი "სკანდალი"** **1.00, 3.00, 5.30** "კინო მაესტროზე".

## კვირა 29 დეკემბერი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **08.30** საბ/ფ. "ალასკა" **10.00** "ეტალონი" **11.00** საბ. ან/სერ. "**ტატონკას თავგადასავალი**" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" **14.30** ქართ. მხ/ფ "**მიდიოდა მატარებელი**" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** დ/ფ "ზღვის სიღრმეში" **18.00** კონცერტი **20.30** "ტელებლოგი" **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **21.30** სპექტაკლი: "**იეთიმ გურჯი**" **00.30** მხ/ფ "**კუდის ქიცინი**" (რ. დე ნირო).

**08.00** ან/ფ "მონსტრები და მეკობრეები" მე–**13** სერ. **08.25** მხ/ფ "**კაროლინა**" **11.00, 14.00, 17.00**ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** მხ/ფ "**ჯაშუში ბავშვები 4**" **18.00** "იმედის გმირები **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ."**ჩვენი ამბავი**" **23.00** ღამის შოუ **00.00** მხ/ფ "**სიკვდილის თამაში**" **01.50** სერ. "**ლიკვიდაცია**" **14** სერ.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.30** ვანოს შოუ **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე. **14.00** ეკი ვოკი. **15.30** ნიჭიერი - გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** სერ. "**ნათია და ნათია**" **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **23.00** კომედი შოუ **00.30** მხ/ფ **03.00** კურიერი.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** საქართველოს ქალაქები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.45** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**მანანა**" **13.20** გამოყენებითი ხელოვნება **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** გზა, რომლითაც ვიარეამბოსი ხელაია II ნაწ. **17.20** სალვთისმეტყველო საუბრები **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.25** დროის ჩანაწერები **19.15** დოკ/ფ "კაბადოკიის წმინდა ქვები" **19.40** მხ/ფ "**ნეილონის ნაძვის ხე**" **21.05, 00.15** პატრიარქის ქადაგება **21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.40** მხ/ფ "**მოზიდიკი**" **2** სერ.

**7.00, 0.30, 2.30, 5.00** ახალი ამბები კოლაჟი **7.40** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი ქუჩის მავნებლები **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "მდუმარენი"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **18.30, 0.00** "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00 სერიალი "სკანდალი"**.

### ვერძი
აუცილებლად გაითვალისწინეთ ოჯახის წევრების აზრი და სურვილები, რათა უსიამოვნებებს თავი აარიდოთ. ენერგია კლებას იწყებს, ამიტომ გირჩევთ, შეამციროთ გადაადგილებები. სასიყვარულო ურთიერთობებში, ეჭვიანობამ შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს თქვენს ჯანმრთელობაზე.

### კურო
თავდაჯერებულობით ადვილად შეძლებთ, გარშემო მყოფების მოხიბვლას და მათ დაყოლიებას. გაიზრდება შემოსავალიც. მთავარია, არ აჰყვეთ ემოციებს და შეინარჩუნოთ სიმშვიდე. პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში შესაძლოა, შეცვალოთ არსებული მდგომარეობა.

### ტყუპები
ნურაფერს მოიმოქმედებთ გაუაზრებლად. დაუჯერეთ გამოცდილ ადამიანებს. გაგიჭირდებათ ამ პერიოდში სასიყვარულო პარტნიორთან და ოჯახის წევრებთან მშვიდი ურთიერთობა. მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობის მდგომარეობას, რადგან სასიცოცხლო ენერგია კლებას იწყებს.

### კირჩხიბი
კარგია ახალი საქმის დაწყება და ჩანაფიქრების განხორციელება. მომხიბვლელობა დაგეხმარებათ როგორც პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში, ასევე მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებაში. ადვილად შეძლებთ გარშემომყოფებზე ზეგავლენის მოხდენას, რაც გაგიადვილებთ მიზნის მიღწევას.

### ლომი
ყურადღება გამოიჩინეთ საზუთების მიმართ. ნურაფერზე ინერვიულებთ ზედმეტად. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენში მოიმატებს აგრესია და ეს თქვენსავე საქმეს და კავშირებს მიაყენებს ზიანს. კარგია თუ საყვარელ ადამიანთან ერთად დასვენებას ამ პერიოდში დაგეგმავთ.

### ქალწული
კარგი დროა სულიერი და ინტელექტუალური ზრდისთვის. გაგიჭირდებათ დამოუკიდებლად მოქმედება, ამიტომ აქტიურად დაიწყეთ მოლაპარაკებები პარტნიორებთან და თანამოაზრეებთან. არ არის გამორიცხული, სწორედ ამ პერიოდში იპოვოთ სასურველი მეორე ნახევარი.

### სასწორი
მოერიდეთ აზარტულ თამაშებს, რისკს და ფინანსურ ავანტიურებს. გაუფრთხილდით ავტორიტეტს, პირად და სასიყვარულო ურთიერთობებს. კარგია განმარტოვება, რათა დახარჯული ძალები აღიდგინოთ. არ გირჩევთ მოგზაურობას. დრო გამონახეთ ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. კარგია დიეტის დაწყება და დასვენება.

### მორიელი
აქტიური მუშაობა დაგეხმარებათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ნუ იქნებით ჯიუტი და დროულად წადით კომპრომისზე, თუ ეს საჭიროა. საკმაოდ შრომატევადი, მაგრამ ნაყოფიერი პერიოდია თქვენთვის. არ არის გამორიცხული, ახალ სასიყვარულო კავშირსაც ჩაეყაროს საფუძველი.

### მშვილდოსანი
კრიზისული სიტუაცია მეტად ძლიერს გაგხდით. არ არის გამორიცხული, ოჯახის წევრებთან კამათი მოგივიდეთ, რაც თქვენი მხრიდან მეტ დათმობას მოითხოვს. დაზოგეთ ენერგია და იყავით ფრთხილი, ტაქტიანი სასიყვარულო პარტნიორთან. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### თხის რქა
გაიზრდება თქვენი ამბიციურობა და შეეცდებით, სწრაფად მიაღწიოთ დასახულ მიზანს. სასიყვარულო კავშირი არ იქნება მყარი და შესაძლოა, გაგიჭირდეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის აწყობა. კარგია დიეტის დაცვა, ვარჯიში და კოსმეტიკური პროცედურების ჩატარება.

### მერწყული
თქვენი ორგანიზმი გადაღლილია, ამიტომ კარგია, თუ დასვენებას მოახერხებთ. ნუ გარისკავთ და მოერიდეთ აგრესიის გამოვლენას. ნუ აჰყვებით უეცარ სასიყვარულო იმპულსებს და აკონტროლეთ სიტყვები. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახის წევრებსა და ბავშვებს. ნუ გადაიტვირთებით ზედმეტი საკვებით და ალკოჰოლის მიღებით.

### თევზები
ფიზიკურად აქტიური იქნებით და თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს სახლის კეთილმოწყობას მოანდომებთ. პირად ურთიერთობებში, იყავით მეტად გამჭრიახნი და მომთმენი. სასიყვარულო ურთიერთობა კი მშვიდი იქნება. გადაადგილებები და ახალი ნაცნობობა თქვენს ცხოვრებას გაახალისებს. კარგია იმიჯის შეცვლა.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 1 იანვარი, 11 სთ: 05 წთ.**

### ორშაბათი
ნუ გადაწყვეტთ ამ დღეს მნიშვნელოვან საკითხებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, მწვანე, ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი ან ოქროსფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ოპალი, ქრიზოპრაზი ან აქატი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია იურიდიული საკითხების მოგვარება, საბანკო-საფინანსო ოპერაციები, სწავლა, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის,*

### სამშაბათი
იყავით მეტად მომთმენი, მიზანდასახული, ტრადიციების დამცველი. მეტად უსმინეთ ინტუიციას. ატარეთ ყავისფერი, მწვანე, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მწვანე ან ყვითელი იასპი, ზურმუხტი, ოპალი, ჯესპილიტი ან რუხი ტოპაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია საბანკო-საფინანსო ოპერაციები, სწავლა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე
გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე, მოერიდეთ სიჯიუტეს და აგრესიას. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს, მოერიდეთ თმის შეჭრას. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, კრემისფერი, მწვანე, ნაცრისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი ან ტოპაზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია გართობა, კულტურული ღონისძიებები, იურიდიული საკითხების მოგვარება. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმელები.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.*

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე
გამახვილდება ინტუიცია, შემოქმედებითი ნიჭი, სექსუალური ენერგია. იყავით ობიექტური. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, კრემისფერი, მწვანე, ყვითელი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, სარდიონი, ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საკითხების მოგვარება, მკურნალობის დაწყება, ექიმებთან კონსულტაცია, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, კანი.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის.*

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე
მოერიდეთ ზედმეტ ემოციურობას. იყავით უფრო ტაქტიანი და დიპლომატიური. ნუ იზარმაცებთ. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, კრემისფერი, ნაცრისფერი, წითელი, ყვითელი, მწვანე ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ოპალი ან ტოპაზი. ნუ დაუჯერებთ სიზმრებს. კარგია გართობა, ხელოვნებასთან კონტაქტი, ექიმებთან კონსულტაცია, მკურნალობის დაწყება, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმელები, შარდსასქესო სისტემა.

*პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.*

### შაბათი
აკონტროლეთ აზრები და სიტყვები, მოერიდეთ კამათს, მშვიდად მიიღეთ სხვების გამოთქმული აზრები. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, ახალი საქმის დაწყებას, სესხის აღებას. ატარეთ წითელი, ყვითელი, შინდისფერი, მწვანე ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ონიქსი, ამეთვისტო, იაგუნდი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია გეგმების დასახვა, ავტორიტეტულ პირებთან კონტაქტი, ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, კოსმეტიკური პროცედურები, თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, რეპროდუქციული სისტემა, ცხვირი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

### კვირა
დიდი ალბათობაა ტრავმების, კონფლიქტების, კონტროლის დაკარგვის. იყავით ფრთხილი და წინდახედული. მოიმატებს სექსუალური ძალადობა. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, ფულის ვალად აღებას. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ყვითელი, შავი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ონიქსი, მარგალიტი, ზურმუხტი ან მწვანე იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, კოსმეტიკური პროცედურები, თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, რეპროდუქციული სისტემა, ცხვირი.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის.*

**გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ბზეკალავა

**ბზეკალავა** გურიაში წარმოშობილ გვარად ითვლება. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ფუძედაა გვარში სიტყვა **ბზეკალი**, რომელიც გურულებთან აღნიშნავს ბავშვის სათამაშო მშვილდისარს.

ასევე, სამეგრელოში დაფიქსირებულია რამდენიმე კომლი.

იშვიათად, მაგრამ გვხვდება გვარი **ბზაკალია**. დიდ ნეძში დაფიქსირებულია 2 კომლი. ეს გვარი იგივე **ბზეკალავადანაა** წარმოშობილი და მიჩნეული.

**ბზა-ბზი** ფუძითაა წარმოქმნილი, ასევე, შემდეგი გვარები: **ბზიავა, ბზღილავა.**

ფუძე **ბზა**-დან წარმოშობილია მეტსახელი **ბზიალა**. სამეგრელოში, ასევე, გვხვდება მეტსახელი **ბზღიტა**.

**ბზღილი**, იგივეა, რაც „ჯაგრცხილა". აქედან უნდა იყოს, სავარაუდოდ, წარმოქმნილი გვარი ბზღილავაც. ვედიოკარში 6 კომლი სახლობს.

საქართველოში 215 **ბზეკალავა** ცხოვრობს. ლანჩხუთში – 133, თბილისში – 36, ბათუმში – 20. ცხოვრობენ სხვაგანაც.

172 **ბზიავაა**. აბაშაში – 73, თბილისში – 56, ფოთში – 12. არიან სხვაგანაც.

### სომხიშვილი

გვარი **სომხიშვილი** მიღებულია სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვიდან **სომხითი**. ისტორიის გარკვეულ პერიოდში ასე ერქვა ყოფილ ბერდუჯს (დღევანდელი ქვემო ქართლი). ზოგჯერ ჩანაწერებში გვხვდება არა **სომხიშვილი**, არამედ **სომეხიშვილი.** ისტორიულ დოკუმენტებში, მათ შორის, კამერალური აღწერის მასალებში, **სომხიშვილები** მართლმადიდებლები არიან და ტომით, ეროვნებით ქართველები.

ამირანა **სომეხიშვილი** მოხსენიებულია გაცვლის წიგნში, 1673 წელს, სოფელ ტბისში. დათუნა **სომეხიშვილი** მოხსენიებულია ზაალ წინამძღვრიშვილის ნასყიდობის წიგნში, რომელიც დათარიღებულია 1697 წლის 21 მაისს.

ბერუა **სომხიშვილი** მოხსენიებულია მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ამილბარ გოსტაშაბიშვილების ყმების ნუსხაში.

1873 წლის აღწერის დროს ლუკა **სომხიშვილის** ოჯახი აღწერის ფურცელში რეგისტრირებულია: მართლმადიდებლები, ტომით ქართველები, მშობლიური ენა – ქართული.

**სომხიშვილები** და ელიაზარაშვილები მართლმადიდებლები არიან. ეს ორივე გვარი ქართული გვარ-სახელებია, უკავშირდება ქვემო ქართლის ადრინდელ სახელწოდებას **სომხით. სომხიშვილის** შტო-გვარია ელიაზარაშვილი.

ელიზაროვები, იგივე ყოფილი **სომხიშვილ**-ელიზარაშვილები არიან.

საქართველოში 1 329 **სომხიშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 500, გორში – 258, გარდაბანში – 130. არიან სხვაგანაც.

### მურვანიძე

საკუთარი სახელი **მურვანი** მეხუთე საუკუნის საქართველოში უკვე ჩანს დამკვიდრებული. ასე ერქვა ფილოსოფოსს, თეოლოგსა და საეკლესიო მოღვაწე იბერ ქართველს, რომელიც ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში ქრისტიანობის მიღებისას, პეტრე იბერიელად დაეწერა. ერისკაცობაში **მურვანისა** და **მურმანის** სახელითაცაა მოხსენიებული. ასე რომ, **მურვან** ყრუს შემოსევამდე ჩვენს წინაპრებს ეს სახელი უკვე ერქვათ. არაბმა ხალიფა **მურვანმა** საქართველო 736-737 წლებში მოაოხრა. ეს სახელი პოპულარული ყოფილა ძველად. ამ ხალხში ალ ამირას, ანუ ემირს, აბდალ აზიზ იბნ **მურვანი** ერქვა, ხოლო **მურვანი** ფერს ნიშნავს.

მეათე-მეთერთმეტე საუკუნის ატენის სიონის წარწერებში დასტურდება მოღვაწეები – **მურვან**, გაბიტა, გაბაიას სახელებით, ლაპიდარული წარწერებია. მეთერთმეტე საუკუნეში ქველის ერისთავ-ჯაყელს, ასევე, **მურვანი** ერქვა. ცნობილია 1795 წლის **მურვანიშვილის** არზა, ანუ სიგელი, განკარგულება, საბუთი.

**მურვანიშვილები** არიან ახალქალაქში, აგრეთვე ქარელის რაიონში. ზემო იმერეთშია სოფლის უბანი **მურვანაშვილების** სახელწოდებით, ხოლო ხელვაჩაურის რაიონის თხილნარის საკრებულოში არის სოფელი **მურვანეთი**.

**მურვანი მურმანის** ფონეტიკური ვარიანტია. პირველი უფრო გვარებშია დარჩენილი, როგორც ძველი ფორმა, მეორე კი – სახელებში. ქართული ლეგენდის „აბესალომ




და ეთერის" პერსონაჟს ხომ **მურმანი** ერქვა.

ქობულეთის რაიონის სოფელ გვარაში არის მიკროტოპონიმი „**მურმანის** ტყე". ამ გვარისანი სოფელ ქობულეთშიც ცხოვრობენ.

სახელი **მურვანი** და გვარი **მურვანაშვილი** აჭარლებს 900-1000 წლის წინათ და უფრო ადრეც ჰქონიათ. მაჭახელის ხეობის (ხელვაჩაურის რაიონი) მკვიდრთა შორის ყოფილან **მურვან** გივიშვილი, მომესწარა და მირიონ **მურვანაშვილები**. იყვნენ საქართველოს სხვა მხარეებშიც.

**მურვანი** შავგვრემანი კაცის მეტსახელადაცაა შემორჩენილი, ის შავს გამოხატავს.

**მურვანიძეების** პირველი ადგილსაცხოვრებელი შუახევის რაიონშია. აქედან განითესნენ აჭარის სხვა კუთხეებსა და გურიაში, ხოლო ამ 10-15 წლის წინათ – მესხეთ-ჯავახეთშიც.

საქართველოს საზღვაო-სანაოსნო საზოგადოება „ცოდნის" ხელმძღვანელმა შალვა **მურვანიძემ** 1988 წლის მაისში გვიამბო:

„თურქების გაორკეცებულ რისხვას იწვევდა ის, რომ მის წინაპრებს შუახევის რაიონის სოფელ ნაღვარევში არაბული სახელიდან მომდინარე გვარები ჰქონდათ, ამ ქვეყანაში აღმოცენებული ისლამის მიღებას კი სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ.

**მურვანიძეები** არიან ბათუმში, მათ შორის გურიიდან გადმოსული იმათი შთამომავლები, რომლებიც თურქების მოძალებისას იძულებულები იყვნენ, მათ მიერ დაპყრობილ გურიასა და იმერეთში გახიზნულიყვნენ, რაზეც 1614 წელს აჭარაში მყოფი ევროპელი მისიონერი ლუი გრანჯეცი გარკვევით წერს".

**მურვანიძეებსაც** ჰყავთ ნათესავ-მოყვრები თურქეთში.

საქართველოში 1 228 **მურვანიძე** ცხოვრობს. ლანჩხუთში – 347, ბათუმში – 229, თბილისში – 207. არიან სხვაგანაც.

### გამდლიშვილი

გვარის ფუძეა სიტყვა **გამეზარდა**: მისგანაა **გამზრდელი**, **გამდელი**, ამათგან კი – გვარი **გამდლიშვილი.**

**გამდლიშვილები** იყვნენ აზნაურები.

„**გამდლიშვილები**, თავიანთი ახოთი და ვენახით, დარჩა ნასყიდა დოლმაზაშვილს, 1696 წელს".

**გამდლიშვილი** ველია, იოსებ და მამუკა მოიხსენიებიან, როგორც სახუნდარაში მცხოვრებლები, მეჩვიდმეტე საუკუნეში.

კახეთში, კერძოდ კი ანთოქში, მოიხსენიებიან **გამდლიშვილის** ყმები.

საქართველოში 223 გამდლიშვილი ცხოვრობს: გორში – 102, თბილისში – 78, გურჯაანში – 43.

### ესიტაშვილი

კახეთში გაჩენილი გვარია. ფუძედაა გამოყენებული საკუთარი სახელი **ესიტა.**

1781 წელს საცხენისში აზნაური იყო დათუნა **ესიტაშვილი**, იქვე სახლთხუცესია აზნაურიშვილი დათუნა. ასევე, იქვე, საცხენისში, აზნაურიშვილები არიან: პეტრე ქვლივიძე, ავალიშვილი, ფარსადან ბესტოღაშვილი, ხოსია ნაცვლიშვილი.

საქართველოში 134 **ესიტაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 87, თბილისში – 19, რუსთავში – 15.

### ვარდოშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ვარდო.**

„არის კოდოლს იასე **ვარდოშვილი** აზნაურიშვილი".

კისისხევს აზნაურიშვილებად მოიხსენიებიან: ედიშაშვილი, ერდოშვილი, ნაცვლიშვილი, მახარობლიშვილი და **ვარდოშვილი.**

საქართველოში 448 **ვარდოშვილი** ცხოვრობს: ახმეტაში – 234, თბილისში – 113, ყვარელში – 101.

### მაზმანიშვილი-მაზმიშვილი

ერთი და იგივე გვარებია. ფუძედ არის აღებული საკუთარი სახელი **მაზია**. ამ სახელის საწყისი, პირველადია საკუთარი სახელი **მაზანა.**

**მაზმანიშვილი** მოიხსენიება მეჩვიდმეტე საუკუნეში ქვემო ქართლში. „**მაზმანიშვილი** ვარძიელა. იგივე ვარძიელა მაზმისშვილი, 1664-1681 წლებში სახლიკაცია ყანდუა **მაზმისშვილისა".**

„**მაზმისშვილი** ყანდუა, სამწევრისში მცხოვრები, მოიხსენიება მეჩვიდმეტე საუკუნის 80-90-იან წლებში".

საქართველოში 27 **მაზმანიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 20, ადიგენში – 5, ბათუმში – 2.

1 327 **მაზმიშვილი**: თბილისში – 578, გორში – 504, ქარელში – 245.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**მიხეილ წულუკიძემ დაამტკიცა, რომ ავტომობილების თემაზე გადაცემების გაკეთება კარგად შეუძლია. უკვე რამდენი წელია, სხვადასხვა არხზე, ამ მიმართულებით მუშაობს და მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სხვა გადაცემა გაცილებით უფრო პომპეზურად და ეფექტურად დაიწყო, მაინც მალე დაიხურა, მიშა კი ახერხებს სტაბილურად კარგი დონე შეინარჩუნოს. ამჟამად მან ახალი გადაცემა „ავტორბოლა“ ახალგახსნილ „ტევე3-ზე“ დაიწყო და უკვე მოახერხა „პრემიუმ კლასის” ავტომობილების პრეზენტაცია და რაც მთავარია, ინტერვიუ ყველა დროის ლეგენდარულ პილოტთან, რალისტთან, საავტომობილო რალიში მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონთან, სებასტიან ლოებთან, ჩაეწერა. მათი შეხვედრის დეტალებით ჩვენც დავინტერესდით.**

# რატომ არ უნდოდა მიხეილ წულუკიძეს „ფეისობა“

**მიხეილ წულუკიძე:** წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ ახალგახსნილი ტელეკომპანიიდან „ტევე3-დან“ დამირეკეს და მითხრეს, შენი გამოცდილება გვჭირდება საავტომობილო გადაცემასთან დაკავშირებითო. სულ არ იყო დასაწყისში საუბარი იმაზე, რომ წამყვანი ვყოფილიყავი. როგორც თანაავტორი და რეჟისორი ისე მივედი. მაგრამ, მოხდა ისე, რომ მითხრეს დიდი გამოცდილება გაქვს, ხალხი მიჩვეულია შენ ეკრანზე ყოფნას და წაიყვანეო. ჩემთვის რაღაც „ფეისად“ ჩამოყალიბებაზე გაცილებით მნიშვნელოვანია, გადაცემა იყოს კარგი. ამიტომ, ამაზე პრეტენზია არასდროს მქონია.

**– ყველაზე მეტად მე მაინც ეს გადაცემა მომწონს. საავტომობილო სამყაროში დონემ ხომ არ აიწია მთლიანად და ეს ხომ არ არის მიზეზი?**

– რა თქმა უნდა, დონე მატულობს როგორც ზოგადად საავტომობილო სფეროში, ისე ქართულ ავტოსპორტში. განახლებულ „რუსთავის ავტოდრომზე“ გვაქვს ჩანაწერები, სადაც საინტერესო სარბოლო ბოლიდების გარდა, კარგად მოწყობილი ინფრასტრუქტურაა, რაც გადაცემის ჩანაწერისთვის გადასარევია. რაც შეეხება, ზოგად დონეს, აშკარად ვგრძნობ, რომ თუ ადრე ადამიანები მაინც ერიდებოდნენ კარგი ავტომობილების ჩვენებას, ახლა ამის პრობლემა აღარ არის. არ მინდა პოლიტიკაში გადავიდე, მაგრამ ადრე სულ მქონდა ეს პრობლემა, რომ ეშინოდათ თუ არ უნდოდათ, ავტომობილის გამოჩენა, ან თუ გამოჩნდებოდა, ნომრის დაფარვას მთხოვდნენ, მძღოლი ხომ საერთოდ იმალებოდა. ბოლო პერიოდში ამის პრობლემა ნამდვილად არ მქონია, ყველამ გამოაჩინა მანქანები. აქეთ მირეკავენ და მეუბნებიან, რომ ამა და ამ მოდელის ავტომობილის გადაღება არ გინდაო. საერთოდ, რისთვის ყიდულობ ასეთ ძვირიან ავტომობილს?! იმისთვის, რომ ბევრგან გამოჩნდეს, ქუჩაში თვალი გამოგაყოლონ... ***(იცინის)*** „ფერარი,” „ლამბორჯინი”... ასეთი ავტომობილები მომრავლდა. რუსთავის ავტოდრომზეც ჩამოიყვანეს სპორტულად აწყობილი, სრულად სპორტულად გამართული „ლამბორჯინი“, რომლის პრეზენტაციასაც გავაკეთებთ სულ ცოტა ხანში ჩვენ გადაცემაში. ამ ავტომობილს აქვს 550 ცხენის ძალა და სწორედ ასეთებით დადიან წრიულ რბოლებში მსოფლიო ჩემპიონატზე – იმავე დონისაა, როგორითაც ბაქოში, სებასტიან ლოები დადიოდა.

**თუ რალის ოსტატი ხარ, ჩათვალე, რომ ქალაქშიც მხეცი ხარ. „ფორმულას” პილოტები კი ქალაქში „ჯიპებით”, საკმაოდ ნელა გადაადგილდებიან**



**„ფორმულა 1-ის” პილოტები, კარტინგებზე და კომპიუტერებთან გაზრდილი პატარა ბავშვები არიან. მათ არ იციან, რა არის კლდის პირას, ასობითკილომეტრიანი მონაკვეთების შესაძლებელზე სწრაფად გავლა**

**– ინტერვიუ ჩაწერე სებასტიან ლოებთან. მომიყევი ეს როგორ მოხდა?**

– მოგიყვებით და მანამდე გეტყვით, რომ უკვე დაგეგმილია ინტერვიუ ფეტელისთან, ოღონდ ზუსტად არ ვიცით, სად გადაიკვეთება ჩვენი გზები, სავარაუდოდ, ეს ავსტრიაში მოხდება. ლოებთან ინტერვიუ ყველა ჟურნალისტის სურვილია, მიუხედავად იმისა, ავტომობილებზე მუშაობს ის თუ არა. ის რალიში ცხრაგზის მსოფლიო ჩემპიონია, მისი მომგები და მისი რეკორდის მომხსნელი, ჯერ არ დაბადებულა – ცოცხალი ლეგენდაა. არი ვატანენის შემდეგ, მან შეძლო რალიში გადატრიალების მოხდენა. თუკი საავტომობილო სფეროში რაიმე რისკთან და ხიფათთან ასოცირდება, ეს რალია. „ფორმულა 1-ის” პილოტები, კარტინგებზე და კომპიუტერებთან გაზრდილი პატარა ბავშვები არიან, მათ არ იციან, რა არის კლდის პირას, ასობით კილომეტრიანი მონაკვეთების შესაძლებელზე სწრაფად გავლა. რალი ქუჩაში ეფექტურად მოძრაობაშიც მაგრად გადგება. თუ რალის ოსტატი ხარ, ჩათვალე, რომ ქალაქშიც „მხეცი” ხარ. „ფორმულას” პილოტები კი ქალაქში „ჯიპებით”, საკმაოდ ნელა გადაადგილდებიან.

რაც შეეხება ინტერვიუს, მეგონა, ამისთვის ძალიან ცოტა დრო მექნებოდა. აღმოჩნდა, რომ პრესკონფერენციაზე ჩემ გვერდით იდგა, „რედ ბულს“ წრუპავდა და მეორე დღის სავალ ტრასას განიხილავდა. ეგრევე დავუძახე ოპერატორს, მეგონა, დავიჭირე და საუბრის მეტი შანსი აღარ მექნებოდა. თურმე, წინ ორი ისეთი დღე გველოდებოდა, რომ იმდენჯერ გადავიკვეთეთ და იმდენჯერ ვისაუბრეთ, „სიგარეტი დამიტოვეს” დონემდე დავმეგობრდით ***(იცინის)***. აზერბაიჯანელების საყვარელ ცხვრის ქაბაბებს ერთად მივირთმევდით ხოლმე. რაღაც სუვენირები გვაჩუქა, ავტოგრაფები დაგვირიგა. ძალიან უშუალო ტიპია, არ ეტყობა, რომ მილიონერია. საერთოდ, მილიონრები სხვანაირი ტიპები არიან, ცხვირზე ბუზს არ ისვამენ. ის არა, ძალიან უბრალოა, ტიპური ფრანგი. მან იცის, რომ ეს ყველაფერი სულ რამდენიმე წელიწადში დამთავრდება და ისევ სპორტში დასარჩენად ემზადება, ისევე როგორც მოიქცა არი ვატანენი და მისი სხვა წინამორბედები. ინტერვიუში რამდენჯერმე თავისი შვილიც ახსენა. ჩვენ ვკითხეთ, სურდა თუ არა, რომ ისიც მრბოლელი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ამის დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ მითითებას ვერ დავუწყებ, რასაც გადაწყვეტს, მეც მის გვერდით ვიქნებიო.

**– კიდევ რაზე ისაუბრეთ?**

– დამაინტერესა ცხოვრებაში რა ავტომობილებით დადის. აღმოჩნდა, რომ ჰყავს „პორშე“ „კაიმანი“ და ასევე, „სიტროენი“. ეს, ალბათ, ვალდებულებაცაა, რადგან „სიტროენი“ მისი სპონსორია. ამ ავტომობილით დადის რალიზეც. რამე კარგ „სიტროენს“ აჩუქებდნენ, არ იქნება მაგის პრობლემა. ახლა ის ძველი „სიტროენი“ გამახსენდა. მევლუდ მელაძე რომ გამოდიოდა ევროპის ეტაპზე, იალტაში. პატარა, ქალაქის საბურავები ეყენა – გაგიჟდნენ იქ და მაინც მოახერხა მეორე ადგილზე გასვლა ***(იცინის).*** ლოებმა რბოლამდე ბევრი ისაუბრა ავტომობილის მომზადებასა და ტექნიკურ საკითხებზე. რბოლის შემდეგ კი უფრო ემოციური საუბარი გვქონდა. აქ უკვე მთელი გუნდი მივხვდით, რომ ის რალით ცხოვრობს და ასეთ საჩვენებელ რბოლებში, უბრალოდ, ვალდებულების გამო გამოდის. პრაქტიკულად, ისეირნა ***(იცინის).*** „მაკლარენებით“ გამოსვლა მისთვის მხოლოდ შოუა. კვალიფიკაციაზე მეშვიდე ადგილზე იყო. მეშვიდედან აიღო სტარტი და მხოლოდ ერთ ავტომობილს გაუსწრო – „იკატავა” პრაქტიკულად. ამას არც ერთი ქართველი პილოტი არ იზამდა – თავს მოიკლავდა, შეაკლავდა და მაინც ბოლომდე დაიხარჯებოდა. ვიცი, ქართველები, მეათე ადგილიდან რომ იღებს სტარტს და პირველი მიდიან. სხვანაირი გიჟები ვართ. უფრო სწორად გიჟები ვართ, სანამ ფულს ვიშოვით. ფულს რომ იშოვის ქართველი სპორტსმენი, გინდა ფეხბურთი აიღე, მერე იწყება სმა, გართობა, დასვენება. ჯერ ავტოსპორტით უცებ გამდიდრებული მრბოლელი არ მინახავს და თუ გამდიდრდება ვინმე, იმედია, ამ ტრადიციას არ გაჰყვება ***(იცინის).***

**– ვიცი, რომ არი ვატანენთანაც გქონდა ინტერვიუ.**

– კი, 2008 წელს, ომის შემდეგ ჩავედით ჩვენი გუნდით იალტაში. არი ვატანენი ძალიან თბილად შეგხვდა. ის, პარალელურად, ევროპარლამენტის დეპუტატი იყო და რომ გაიგო, ქართველები იქ ვიყავით, აქეთ დაგვიძახა, ძალიან თბილი ინტერვიუ მოგვცა. მისი ცნობილი ასვლა ყველას, ვისაც ავტოსპორტი უყვარს, ზეპირად აქვს ნასწავლი. მთის დასაწყისიდან იწყებს არი ასვლას, სადაც მსაჯი მოკლესახელოებიანი მაისურით დგას და რამდენიმე წუთში ამთავრებს მთის წვერზე, სადაც მსაჯი უკვე ალპინისტის ფორმაშია ***(იცინის).*** წინ კიდევ ბევრი გეგმა და სიახლე გვაქვს ჩვენი მაყურებლისთვის.

**სალომე გველესიანი**

# ვინ იყო ცნობილი ქართველი თაღლითი, რომელმაც მსხვილი ამერიკული კომპანია 3 მილიონ დოლარში „გადააგდო“

## „სკოლის ბულბული”

სიმონ ისაკაძე თერჯოლაში იყო დაბადებული 1941 წლის 22 ივნისს – სწორედ იმ დროს მოევლინა ქვეყანას, როდესაც იური ლევიტანმა რადიოთი აცნობა ხალხს სამამულო ომის დაწყება. პატარა სიმონი ძალიან საზრიანი, ცოცხალი ბავშვი იყო და ისეთი წკრიალა ხმა ჰქონდა, რომ „სკოლის ბულბული” შეარქვეს. სიმღერის მასწავლებელი მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა და ვანო სარაჯიშვილს ადარებდა, თუმცა, ეს პროგნოზი არ გამართლდა – სიმონმა სულ სხვა გზა აირჩია და მომღერლობას თაღლითობა ამჯობინა.

პირველი თაღლითობა სიმონ ისაკაძემ 10 წლის ასაკში ჩაიდინა: ის სოფლის საბჭოს თავმჯდომარესთან მივიდა, მამამისის სახელით 50 მანეთი გამოართვა და თავისი თანაკლასელი ია კაპანაძე, რომელიც მოსწონდა, სოფლის სასადილოში დაპატიჟა ფუნთუშასა და ლიმონათზე... ამის გამო პატარა სიმონი გაიროზგა, მაგრამ, თაღლითობაზე ხელი არ აუღია და დროდადრო პატარ-პატარა „საქმეებს” აკეთებდა, თუმცა, ამის პარალელურად, ბეჯითად სწავლობდა. სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა და მათემატიკის მასწავლებელმა ციციკო შენგელიამ მხოლოდ იმიტომ დაუწერა უსამართლო ოთხიანი, რომ სიმონი ოქროს მედალში დირექტორის ქალიშვილს, მადონა ხვედელიძეს არ შესცილებოდა. სიმონმა გულში ჩაიდო ეს წყენა და მრავალი წლის შემდეგ ციციკო შენგელიასა და სკოლის დირექტორს, ვარლამ ხვედელიძეს, ისეთი შოუ დაუდგა, რომ სულ თავბედი აწყევლინა.

ერთხელ, სიმონ ისაკაძემ თავის ახლობლებს მოსკოვიდან და როსტოვიდან დეპეშები გამოაგზავნინა, რომლებსაც ერთი და იგივე შინაარსი ჰქონდა. ციციკო შენგელიას ვაჟი მოსკოვში მსახურობდა ჯარში და მისი სახელით გამოგზავნილ დეპეშაში ეწერა: „მამი, გენერლის ქალიშვილი მოვიყვანე ცოლად და კვირა დილით ჩამოვდივართ. მომყავს ორასი კაცი. აბა, შენ იცი, ზღაპრული საქორწილო სუფრა გაშალეთ და სირცხვილი არ მაჭამოთ. ჯარს მოვრჩი, ჩემმა სიმამრმა მომიხერხა. თქვენი ჟორიკიე“. მეორე დეპეშაც დაახლოებით იმავე შინაარსის იყო, რომელშიც როსტოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი მადონა ხვედელიძე „სწერდა” მამამისს, რომ ის რექტორის ვაჟმა მოიტაცა, ცოლად გაჰყვა მას, კვირას ორას მაყართან ერთად ჩამოდიოდა თერჯოლაში და ზღაპრული საქორწილო სუფრა უნდა დაეხვედრებინა. დეპეშები პარასკევს საღამოს მოვიდა. შაბათ დღეს კი, ციციკო შენგელია და ვარლამ ხვედელიძე ციბრუტივით დატრიალდნენ და თავ-თავიანთ ეზოებში 600-600-კაციანი საქორწილო სუფრები გაშალეს, რომლებსაც ჩიტის რძეც არ აკლდა და გაბედნიერებული შვილების ჩამოსვლას ელოდნენ თავიანთი მეორე ნახევრებითა და 200-200 მაყრით, თუმცა, ამაოდ... იმ დღეს თბილისიდან თერჯოლაში მხოლოდ სიმონ ისაკაძე ჩავიდა და, სუფრებს რომ ჩაუარა, მათ გამშლელებს გულში დასცინოდა. ასე იძია შური „სკოლის ბულბულმა” მის მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო და თავის დირექტორსა და მასწავლებელს მნიშვნელოვანი მორალური და მატერიალური ზიანი მიაყენა. ეს ამბავი 1960 წელს მოხდა. მართალია, ისაკაძეს ამით არანაირი მატერიალური სარგებელი არ მიუღია, მაგრამ, მორალურ კმაყოფილებას განიცდიდა და 19 წლის ახალგაზრდა კაცმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ საფუძვლიანად დაუფლებოდა თაღლითობას და ეს საქმე თავის პროფესიად გაეხადა. ასე დაიწყო თავისი კრიმინალური კარიერა „სკოლის ბულბულმა.”



## გენიოსი პროვინციელი

პროვინციელობის მიუხედავად, სიმონს ძალიან დახვეწილი მანერები ჰქონდა, რაც სპეციალურად შეისწავლა მეცხრამეტე საუკუნეში გამოცემული სამეფო ეტიკეტის წიგნიდან, რომელიც მან საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა. სიმონ ისაკაძე თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდა დასავლეთევროპული ენების ფაკულტეტზე და ის წითელ დიპლომზე დაამთავრა. მან ექვსი ენა იცოდა ქართულისა და რუსულის გარდა და თითოეულ ენაზე უაქცენტოდ ლაპარაკობდა. თბილისში სწავლისას სიმონი იმით შოულობდა ფულს, რომ ერთ სამტრედიელ ებრაელ თანაკურსელთან ერთად იატაკქვეშა საამქრო მოაწყო, სადაც ფალსიფიცირებულ კონიაკს ასხამდნენ და რესტორნებს ამარაგებდნენ. სტუდენტებმა ამ საქმიანობით მნიშვნელოვანი კაპიტალი დააგროვეს. მაგრამ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სიმონის კომპანიონი ისრაელში გაემგზავრა და თავისი წილიც წაიღო. ის სიმონსაც სთავაზობდა გამგზავრებას, მაგრამ, სიმონმა ეროვნების შეცვლასა და სამშობლოს დატოვებაზე უარი განაცხადა. 1962 წელს, 21 წლის, წითელდიპლომიანი სიმონ ისაკაძე საქართველოს მინისტრთა საბჭოში იწყებს მუშაობას რეფერენტად, მაგრამ, მალევე ანებებს თავს, მოსკოვში მიემგზავრება და კრიმინალურ საქმიანობაში ებმება. 22 წლის სიმონ ისაკაძემ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ფრთები გაშალა და ფართო თაღლითური საქმიანობა გააჩაღა. ის ყალბ ხელშეკრულებებს დებდა მსხვილ საწარმოებთან დიდ საბინაო მშენებლობასთან დაკავშირებით, ვითომდა, რიგში წინ გადაწევისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხას იღებდა ხელზე ქრთამად და უჩინარდებოდა. ასე „გადააგდო“ სიმონმა „ლიხაჩოვის ავტოქარხანა“, მოსკოვის მექანიკური ქარხანა, მეორე საავადმყოფო, „ატეესი“ და დეპოების სამმართველო, რომლებისთვისაც 50 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი უნდა აეგო, თითოეულ კვადრატულ მეტრზე მანეთ-ნახევარს იღებდა ქრთამად, საერთო ჯამში, 75 ათასი მანეთი გამოართვა ამ უწყებებს და მიიმალა. უფრო სწორად კი, დროებით „ფსკერზე დაწვა“, რადგან, ყალბი პასპორტით მოქმედებდა და მისი ნამდვილი ვინაობა არავინ იცოდა. 24 წლის სიმონი ყირიმში გაემგზავრა და 25 ათასი მანეთი კონიაკის იატაკქვეშა წარმოებაში ჩადო, რომელსაც მისი უფროსი მეგობარი, 40 წლის ზურაბ ხავთასი ახორციელებდა. 30 ათას მანეთად სიმონმა ორი ბინა იყიდა თბილისის ცენტრში, რომლებიც საიმედო ხალხზე ჰქონდა გაფორმებული. 15 ათასად მოსკოვში, ძველ არბატზე შეიძინა სამოთახიანი ბინა, ხოლო 5 ათასი მანეთი კი „ფსკერზე“ ცხოვრებისთვის გადაინახა და, მიუხედავად იმისა, რომ სამი ბინა ჰქონდა, მოსკოვში, ნაქირავებ ბინაში ჩასახლდა თავის საყვარელთან, 30 წლის ლუდმილასთან ერთად. სიმონ ისაკაძე ნამდვილი პროვინციელი გენიოსი იყო და ბევრად დიდ საქმეებზე ოცნებობდა.

> **სიმონმა შური იძია თავის მასწავლებლებზე და მათ 600-600-კაციანი საქორწილო სუფრები გააშლევინა თერჯოლაში**

## დიდი მენეჯერი

მიუხედავად იმისა, რომ სიმონი საკმაოდ საიმედოდ „იწვა ფსკერზე“, თვალებში არავის ეჩხირებოდა და მისი ვინაობაც არავინ იცოდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო მას გამალებით ეძებდა. მილიციას მისი ფოტორობოტი ჰქონდა შედგენილი და ძიებას ძალიან გამოცდილი ხალხი ახორციელებდა. თითქმის ორწლიანი მუშაობის შემდეგ, სიმონის კვალს მაინც მიაგნეს, მასზე თვალთვალი დააწესეს და ის 1967 წლის 22 ივნისს, იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც ლუდმილასთან ერთად ზეიმობდა საკუთრ დაბადების დღეს. სიმონ ისაკაძეს ძალიან მძიმე ბრალდებები წაუყენეს და განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ფულის მითვისებისთვის 15 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. სიმონმა ციხეში მხოლოდ მესამედი გაატარა და 5 წლის შემდეგ, 32 წლის ასაკში გათავისუფლდა. მას მოსკოვში თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში ცხოვრება 5 წლის განმავლობაში ეკრძალებოდა და ის იალტაში დასახლდა, სადაც ზურაბ ხავთასთან ერთად იატაკქვეშა კონიაკის ბიზნესი ჰქონდა. 1973 წელს ზურაბი მილიციამ დააპატიმრა და ის დაკითხვის დროს გარდაიცვალა ისე, რომ კომპანიონის ვინაობა არ დაუსახელებია და სიმონი ციხეში დაბრუნებას გადაურჩა. სამაგიეროდ, ცეხი მილიციამ წაიღო და ისაკაძე შემოსავლის გარეშე დარჩა. იმ პერიოდში სიმონმა ახალი ტაქტიკით დაიწყო მუშაობა – ყალბ საბუთებთან ერთად, გრიმსაც იყენებდა, რომ ის კვლავ ფოტორობოტით არ დაეპატიმრებინათ. მას ეს ტაქტიკა დიდ ქალაქებში ჩასვლის დროსაც ადგებოდა, რადგან, აკრძალვის 5 წელი ჯერ არ იყო გასული.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან, სიმონ ისაკაძის თაღლითურმა საქმიანობამ მწვერვალს მიაღწია – მან სულ ექვსი, მაგრამ, ისეთი მსხვილი თაღლითობები ჩაიდინა, რომ დღემდე ლეგენდებს ყვებიან. „დიდი მენეჯერი“ – სწორედ ასეთი სახელით აცნობენ თაღლით სიმონ ისაკაძეს მოსკოვის მილიციის აკადემიის კურსანტებს, მისი საქმეები კი კრიმინალისტიკის სახელმძღვანელოშია შესული.

1980 წლის იანვარში „დიდმა მენეჯერმა“ თავისი ყველაზე მსხვილი აფერა განახორციელა და უკვალოდ გაქრა... კერძოდ, მან, ვითომდა საბჭოთა კავშირის სახტელერადიოს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, ერთ-ერთ უმსხვილეს ამერიკულ კომპანიას 3 მილიონი დოლარი ქრთამი გამოართვა, სანაცვლოდ კი დაარწმუნა, რომ მოსკოვის ზაფხულის ოლიმპიადის ტელეტრანსლაციების ექსკლუზივს გადასცემდა... იმ დღიდან ორი კვირის შემდეგ სიმონს „კაგებე“ დააჯდა კუდზე, მაგრამ, მან გაუჩინარება მოახერხა – სავარაუდოდ, ამ უზარმაზარი თანხით, უცხოეთში მოახერხა გაქცევა.

***P. S. სიმონ ისაკაძე რომ დღესაც ცოცხალია, ფაქტია, რადგან, მან თავის ძველ საყვარელს, 78 წლის ლუდმილას, 2012 წელს შეერთებული შტატებიდან გულთბილი წერილი გამოუგზავნა, რომელიც ქალმა პრესაში გამოაქვეყნა. საკმაოდ სარწმუნო ვერსიით, სიმონ ისაკაძეს გარეგნობა აქვს შეცვლილი, სარფიან ბიზნესს ეწევა და ოკეანის გაღმა ცხოვრობს...***

**ნიკა ლაშაური**

# რა დანაშაულებრივ ეპიზოდებზე მოაწერინა ხელი რძალმა დედამთილს და როგორ დააჭერინა ის

31 წლის ნანა მ-ძე წარსულში თაღლითობისთვის იყო ნასამართლევი. პატიმრობის პერიოდში მას გარდაეცვალა მეუღლე, რის გამოც, როგორც მცირეწლოვანი ბავშვის დედა, ის სასჯელაღსრულების სისტემიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა – ნანა მ-ძეს მსჯავრი პირობითი სასჯელით შეეცვალა. თუმცა, ამ ფაქტიდან ოთხი წლის შემდეგ, მან დანაშაულებრივი საქმიანობა კვლავ განაგრძო. ამჯერად გისოსებს მიღმა მისი დედამთილი, 62 წლის ელენე ც-ძე მოხვდა. იმის მიუხედავად, რომ გამოძიების მასალებით, თაღლითობის ორგანიზატორი და რეალურად განმხორციელებელი ნანა მ-ძე იყო, გამოძიებას მის წინააღმდეგ საქმის აღძვრის საფუძველი არ ჰქონდა. მას დანაშაულებრივი ეპიზოდები ისე ჰქონდა დაგეგმილი, გამოძიებას დამნაშავის როლში მხოლოდ მისი დედამთილი „შერჩა".



მოქალაქე ანზორ გ-შვილის განცხადებით, ქალს, რომელსაც სამი თვე ეძებდა, შემთხვევით გადაეყრა ქუჩაში და მის კვალს მალულად გაჰყვა. როცა დაადგინა, ელენე ც-ძის საცხოვრებელი სახლის ადგილმდებარეობა, ამის შემდეგ სამართალდამცველებს შეატყობინა მომხდარის შესახებ. ამონაწერი ანზორ გ-შვილის ჩვენებიდან: „ეს ქალბატონი ჩემმა შორეულმა ნათესავმა გამაცნო და მითხრა, რომ ძალიან იაფად, აუქციონზე გამოტანილი ბინის ყიდვაში დამეხმარებოდა. ისეთი მაცდუნებელი პირობები იყო, მე კი არა, ამ საქმეში ჩემზე გამოცდილი ადამიანიც მოტყუვდებოდა. პირობების მიხედვით, საწყის ეტაპზე უნდა გადამეხადა 3 ათასი დოლარი, მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში – კიდევ სამი ათასი დოლარის გადახდის შემდეგ, ბინა, რომლის ღირებულებაც რეალურზე სამჯერ ნაკლები იყო, ჩემი საკუთრება ხდებოდა. მოლაპარაკებების დროს საქმეში ყველაზე მეტად ახალგაზრდა ქალი აქტიურობდა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, ელენე ც-ძის რძალი იყო. ჩემზე ელენე ც-ძემ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება – სიმპათიურ, ასაკოვან ქალს, რომელიც ათეული წლების განმავლობაში სკოლის პედაგოგი გახლდათ, როგორ არ დავუჯერებდი, რა ვიცოდი სად იყო დამარხული ძაღლის თავი. მე რომ ფული გადავეცი ელენე ც-ძეს, საბუთებზე ხელი თავად ამ ქალბატონმა მოაწერა. ორი თვის შემდეგ, რადგან ამ ქალბატონებთან სატელეფონო კავშირი ველარ დავამყარე და იმ ბინაში მივედი, სადაც რძალ-დედამთილს სამაკლერო „ოფისი" ჰქონდათ გახსნილი, იქ დაზარალებულების დიდი რიგი დამხვდა. იმ ოფისში პარფიუმერიის ფირმა იყო გახსნილი, რომლის წარმომადგენლებსაც ელენესა და მისი რძლის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდათ. მაშინვე ჩემს ნათესავს დავუკავშირდი, ერთად დავიწყეთ რძალ-დედამთილის ძებნა, მაგრამ ვერსად მივაგენით. მე ჩემს ნათესავს დავუპირისპირდი – ეს ხალხი შენ გამაცანი და როგორც გინდა, ჩემი ფული დამიბრუნე-მეთქი. იმან აქეთ დამდო ვალი, მე ჩემი გამჭირვებია – ჩემი 4 500 დოლარი აქვს იმ გოგოს, საქმეში ჩადო – დამპირდა, რომ აზერბაიჯანიდან იაფად ჩამომიტანდა პროდუქციას. ფულის აღებას არავინ დასწრებია და არ ვიცი, თანხა როგორ დავიბრუნოო. ჩემს ნათესავს თავისი ნაცნობისგან გაუგია, რომ ნანა მ-ძე გათხოვდა და ქმართან ერთად უცხოეთში იყო წასული. მის დედამთილს კი, რომელიც რეალურად არაფერში იყო დამნაშავე, ბინა შეუცვლია და ქირით გადასულა საცხოვრებლად. ერთ დღეს ქალბატონ ელენეს შემთხვევით გადავეყარე ქუჩაში. არც გამოვლაპარაკებივარ, ისე ავედევნე ჩუმად, რომ მისი სახლი გამეგო. როცა მივხვდი, სადაც ცხოვრობდა, სახლში მივადექი. ჩემ დანახვაზე ძალიან აღელდა, ჩემს რძალს ის პროექტი ჩაეშალა და უცხოეთში წავიდა სამუშაოდო. ეს ქალბატონი, თავადაც რძლის მსხვერპლი იყო. ამას მერე მივხვდი, მაგრამ მე ჩემი ფული მჭირდებოდა და მომხდარის შესახებ პოლიციაში განვაცხადე".

სამართალადმცველებმა ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. საქმესთან დაკავშირებით ელენე ც-ძის დაკითხვის შემდეგ გამოძიებისთვის ყველა დეტალი გახდა ცნობილი. ელენე ც-ძე სამი ათეული წელი სკოლაში პედაგოგად მუშაობდა და ნაცნობებში კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. დედამთლი გვიან მიხვდა, რომ რძლის დანაშაულებრივი საქმიანობის მონაწილე იყო. ამონაწერი ელენე ც-ძის ჩვენებიდან: „როცა ნანა ციხიდან გამოვიდა, ძალიან გვიჭირდა ცხოვრება და მან მეგობრის რჩევით, მაკლერობა დაიწყო. ბინების გაქირავებასა და დაგირავებაზე მუშაობდა, ხანდახან მევახშეობასაც ეწეოდა ნაცნობ იპოთეკარებთან ერთად. თავიდან ეს შემოსავლის კარგი წყარო იყო, ასე თუ ისე, გამოკეთდა ჩვენი ცხოვრება, მაგრამ მერე ნანამ გაიცნო მამაკაცი, რომლის შესახებაც მე გვიან გავიგე. როგორც მივხვდი, მთელ თავის გამომუშავებულ თანხას იმ მამაკაცს ახარჯავდა, ფული აღარ ჰყოფნიდა და ამიტომ დაიწყო უკანონო ქმედებები. მე ამის შეახებ არაფერი ვიცოდი. პირველად ნანას დახმარებით ჩემს ნაცნობ ქალს გავასესხებინე სამი ათასი დოლარი. ნანამ მითხრა, რომ ამ საქმიდან ჩვენც სარგებელი გვექნებოდა, მაგრამ ის ფული თვითონ დაუხრაჯავს და როცა ჩემი ნაცნობი ქალი მე მომადგა, ყოველთვიურ პროცენტს არ მიხდიან და უნდა მიშველოო, ნანას მკაცრად დავუსვი საკითხი, ფული უკან დაებრუნებინა ჩემი მეზობლისა და მეგობრისთვის. ნანამ ამ ფულის დაბრუნება ვერ შეძლო, ფულის გასესხების საბუთზე კი ხელი ნანას თხოვნით, მე მქონდა მოწერილი. ის ქალბატონი კარგად მიცნობდა, შევეცოდე და არც პოლიციაში წასულა ამ ამბის გასახმაურებლად და არც ჩემთვის უთქვამს რაიმე გარკვეულ პერიოდამდე, სანამ ფულის დაბრუნების იმედი არ გადაეწურა. ერთ დღეს ნანამ მითხრა, ჩემს ახლობლებს ბიზნესი აქვთ, იპოთეკებში დაკარგული ბინებით ვაჭრობენ, თვითონ ვერ გამოჩნდებიან და კლიენტებთან საბუთებზე ხელი შენ მოაწერეო. სამაგიეროდ დამპირდა, რომ ამ საქმიანობით იმდენი შემოსავალი გვექნებოდა, რომ ჩემს მიერ ჩემი მეგობრისგან აღებულ ვალს დავფარავდით. ასე მოვაწერე ხელი ფულის გასესხების კიდევ სამ საბუთს, ფული ნანამ აიღო. მერე კი მოვალეები და დაზარალებულები მე მომადგნენ. ნანა იმ მამაკაცთან ერთად ცხოვრობდა და ბავშვი ჩემთან ჰყავდა დატოვებული. ამ ხალხის რისხვა რომ ამერიდებინა, საცხოვრებელი ადგილი გამოვიცვალე. ნანა მუდმივად მპირდებოდა, რომ რაღაც ბიზნესს იწყებდა და ფულს დამიბრუნებდა მეც და იმ ხალხსაც. ასე მოტყუებით გამომძალა და გამაყიდვინა ჩემი დეიდაშვილის კუთვნილი საგარაკე მიწა, რის გამოც, მერე ჩემი დეიდაშვილიც დამდევდა: მიწის ფული დამიბრუნეო. ძალიან გვიან მივხვდი, რაში გამხვია ჩემმა რძალმა, მაგრამ არაფრის შეცვლა აღარ შემეძლო"

გამოძიების მასალებით დადგინდა ელენე ც-ძის მიერ დაზარალებული კიდევ ორი მოქალაქე. დაზარალებული მოქალაქეების ჩვენების საფუძველზე გამოძიებამ ელენე ც-ძე დააკავა. სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო, მაგრამ გაითვალისწინა მისი წარსული, ხანდაზმული ასაკი და ის, რომ ქალბატონი მცირეწლოვანი ბავშვის ერთადერთი მეურვე იყო და ელენე ც-ძეს სამი წლით ვადით პირობითი სასჯელი დააკისრა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 23 დეკემბერი

1888 – ვინსენტ ვან გოგმა საფრანგეთის ქალაქ არლიში ნერვული შეტევის ნიადაგზე მოიჭრა მარცხენა ყური.

1947 – ამერიკელმა მეცნიერებმა: უილიამ შოლკმა, უოლტერ ბრატტეინმა და ჯონ ბარდინმა შექმნეს პირველი ტრანზისტორი.

1953 – დახვრიტეს ლავრენტი ბერია.

### 24 დეკემბერი

1726 – სამხრეთ ამერიკაში დაარსდა ქალაქი სან-ფელიპე-ი-სანტიაგო დე მონტევიდეო (ურუგვაის ამჟამინდელი დედაქალაქი).

1866 – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა რასისტული ორგანიზაცია „კუ-კლუკს-კლანი".

1871 – ქაიროში შედგა ჯუზეპე ვერდის ოპერა „აიდას" პრემიერა.

1906 – ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ტრანტ როკში ფესენდენმა პირველად გადასცა რადიოთი მუსიკალური ნაწარმოები.

### 25 დეკემბერი

336 – პირველი დოკუმენტურად დადასტურებული შობის დღესასწაული რომის იმპერიაში.

1066 – უილიამ დამპყრობელი გახდა ინგლისის მეფე, ინგლისში დამკვიდრდა ნორმანთა დინასტია.

1989 – ნიკოლაი და ელენე ჩაუშესკუების დახვრეტა რუმინეთში.

1991 – საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგა მიხაილ გორბაჩოვი.

### 26 დეკემბერი

1606 – ლონდონში პირველად დაიდგა უილიამ შექსპირის „მეფე ლირი".

1825 – დეკაბრისტების უიღბლო აჯანყება სანკტ-პეტერბურგში.

1865 – ჯეიმს მეისონმა გამოიგონა ჩაიდანი ცხაურით.

1946 – ლას-ვეგასში გაიხსნა პირველი სამორინე „ფლამინგო".

### 27 დეკემბერი

1871 – ლონდონში, „ბროლის სასახლეში," გაიხსნა კატების პირველი გამოფენა მსოფლიოში.

1979 – რუსებმა მოახდინეს სახელმწიფო გადატრიალება ავღანეთში.

### 28 დეკემბერი

418 – რომის პაპმა, ბონიფაციუსმა პირველმა, რომის მღვდელთმთავართაგან თავი გამოაცხადა ყველა ქრისტიანის სულიერ მამად.

1869 – უილიამ ფინლი სემპლმა მიიღო პატენტი საღეჭ რეზინზე.

1895 – კინემატოგრაფიის დაბადების დღე. ამ დღეს ძმებმა ლუმიერებმა პარიზში წარმოადგინეს ფილმი – „მატარებლის შემოსვლა სადგურზე".

1908 – სიცილიაში ძლიერმა მიწისძვრამ მიწასთან გაასწორა ქალაქი მესინა.

1973 – პარიზში გამოქვეყნდა სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი".

### 29 დეკემბერი

1845 – ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაპყრობის შემდეგ, ტეხასი გახდა ამერიკის 28-ე შტატი.

1941 – მოხდა ლონდონის დიდი დაბომბვა გერმანული ავიაციის მიერ.

1963 – გაზეთ „სანდი თაიმსის" ჟურნალისტმა, რიჩარდ ბაკლმა, ჯონ ლენონისა და პოლ მაკარტნის უწოდა „უდიდესი კომპოზიტორები ბეთჰოვენის შემდეგ".

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, ძაღლებს თუ ემართებათ მუნი და გადადის თუ არა ის ადამიანზე?**

**პასუხი:** დიახ, მუნი ძაღლებშიც ფიქსირდება. მუნი კანის სოკოვანი დაავადებაა და მისი აღმძვრელია ორი სახის სოკო: ტრიქოპიტოზი და მიკოსპოროზი. დაავადება ადამიანზე გადადის კონტაქტით და მისი განვითარების ძირითადი მიზეზია იმუნოდეფიციტი. ამიტომ, ის განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისა და მოხუცებისთვის და თავი აარიდეთ დაავადებულ ცხოველთან კონტაქტს. დაავადებული ცხოველი ადვილად იკურნება სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებით. რაც შეეხება ურთიერთობას გარეულ ცხოველებთან, ეს კიდევ უფრო მეტად საშიშია, რადგან, გარეული ცხოველი არ არის დაცული დაავადებებისგან. ამიტომ, კატეგორიულად უნდა მოერიდოთ გარეულ ცხოველებთან კონტაქტს. ნუ შეეცდებით დაავადებული ცხოველის თვითმკურნალობას. აუცილებლად მიმართეთ ვეტერინარს, რომელიც მას საჭირო მკურნალობას ჩაუტარებს.

**კითხვა: ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით რომელ ცხოველებს ემუქრებათ კიდურების მოყინვის საფრთხე და როგორ უნდა დავიცვათ მათი ჯანმრთელობა?**

**პასუხი:** ზამთარში მოყინვის რისკის ქვეშ ყველა ის ცხოველია, რომელსაც დიდი ხნით უწევს გარეთ სეირნობა, ძირითადად კი, ის ძაღლები, რომლებიც ეზოს პირობებში ცხოვრობენ. მართალია, საქართველოში ძალიან დიდი ყინვები არ იცის, მაგრამ, ეს პრობლემა მაინც აქტუალურია და, შესაბამისად, მოყინვის რისკი არსებობს. თუმცა, რადგან ჩვენთან დიდი ყინვები არ არის, მოყინვის ფორმაც იოლი ფიქსირდება. მედიკამენტის მიცემას ამ დროს აზრი არ აქვს. მედიკამენტი ის იქნება თუ ძაღლს ნორმალურ პირობებში შეევინახავთ. როგორც ადამიანს ვერ დაიცავს მედიკამენტები მოყინვისგან, ისევეა ცხოველის შემთხვევაშიც. არის სხეულის რამდენიმე ნაწილი, რომელთა მოყინვის რისკიც განსაკუთრებით დიდია. მაგალითად, ძაღლს შეიძლება მოეყინოს კუდის ბოლო, ყურის წვერი, თათები, ტანი, ხვადებს – სათესლე ჯირკვლები და ასე შემდეგ. ასე რომ, დაბალი ტემპერატურის დროს ცხოველის ხანგრძლივი გასეირნებისგან თავი შეიკავეთ. გახსოვდეთ, რომ ერთი გასეირნებით მას შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოთ და მის ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნათ. თუ მაინც ვერ დაიზღვევთ თავს ამისგან, მაშინ, საჭიროების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართეთ ვეტერინარს, რომელიც სათანადო მკურნალობას ჩაუტარებს თქვენს ოთხფეხა მეგობარს.

**კითხვა: ოჯახში გვყავს 6 წლის კოკერ-სპანიელი. გვინდა კიდევ მექსიკური შიშველის აყვანა. გვაინტერესებს, ხომ არ დაიძაბება მათ შორის ურთიერთობა? ეჭვიანობას ვგულისხმობ.**

**პასუხი:** როცა სახლში ლეკვი შემოგვყავთ, როგორც წესი, პრობლემები ნაკლებია, რადგან ნორმალური, ზრდასრული ძაღლი ლეკვს არაფერს დაუშავებს. ლეკვს კი უნდა შეაგნებინოთ, რომ ზრდასრული ცხოველი უფროსია და უნდა დაუშალოთ მის საჭმელთან და სათამაშოებთან მიკარება, რაც თავიდან აგარიდებთ კონფლიქტურ სიტუაციებს. ასე რომ, თუ გადაწყვეტილი გაქვთ ახალი წევრის შემატება ოჯახში ოთხფეხა მეგობრის სახით, პრობლემა არ არის. მთავარია, თანაბრად გადაანაწილოთ ორივე ცხოველზე ყურადღება და შეაჩვიოთ ისინი ერთმანეთს.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

მოამზადა
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორი ტენიანობა მოსწონს ორქიდეას?**

**პასუხი:** ორქიდეას მაღალი ტენიანობა უყვარს. რეგულარულად იდგეს სველკენჭებიან ლანგარზე და ხშირად დანამეთ. მას მომყვავილე მცენარეებისთვის განკუთვნილი სასუქით მორწყვა სჭირდება. ზაფხულში გრილ კლიმატში გარეთ გაიტანეთ და კარგად განათებულ, გადახურულ ადგილას დადგით.

**კითხვა: ზამთრის პერიოდში რა ტემპერატურაზე ვამყოფოთ ანანასი?**

**პასუხი:** ზამთარში მისი მინიმალური ტემპერატურა 16 გრადუსია. ის სითბოს მოყვარული მცენარეა. ანანასს დასვენების პერიოდი არ აქვს, ამიტომ, განათებაც მთელი წლის განმავლობაში სჭირდება და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ წელიწადის სწორედ ამ დროს, რათა, მცენარეს არ შესცივდეს.

**კითხვა: ასპარაგუსს ფოთლები გაუყვავისფრდა, რის ბრალია?**

**პასუხი:** ალბათ, მიწა ძალიან გამოაშრეთ. მართალია, ამ მცენარეს ზაფხულში უფრო მეტი ტენი და მორწყვა სჭირდება, მაგრამ, ზამთარშიც არ უნდა მოაკლოთ წყალი საგრძნობლად, ანუ, ნიადაგი ბოლომდე არ გამოუშროთ. ფოთლების გაყვითლება სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა. შეეცადეთ, ცოტა მეტი რაოდენობით მიაწოდოთ წყალი.

**კითხვა: როდის გადავრგა კალადიუმი?**

**პასუხი:** ეს მცენარე ბოლქვიდან ამოდის და შემოდგომით იძინებს. ბოლქვები ბნელსა და ტენიან ადგილას გამოაზამთრეთ, დაახლოებით, 16 გრადუსზე. გაზაფხულზე უკვე შეგიძლიათ, გადარგოთ და 20-22 გრადუსზე დადგათ. კალადიუმის ჯიშებს შორის ყველაზე იოლი მოსავლელია წითელმწვანე კალადიუმი.

**კითხვა: როდის ვაყვავილო სპატიფილუმი?**

**პასუხი:** სპატიფილუმს მაღალი ტენიანობა მოსწონს. ის მუდმივად არ ყვავის, მაგრამ, თუ ზამთრობით შუქი არ მოაკლდება, გაზაფხულზე ბევრი ყვავილით დაგატკბობთ. ამიტომ, შეუქმენით სათანადო პირობები და, თქვენმა მცენარემ, შეიძლება, წლის განმავლობაში რამდენჯერმეც იყვავილოს.

**კითხვა: ბინაში მაქვს სპარმანია, რომელმაც ფორმა შეიცვალა და დაუშნოვდა. როგორ გავალამაზო?**

**პასუხი:** მცენარე კარგად უნდა გასხლათ და შემდეგ გადარგოთ, მაგრამ, ამის გაკეთება არ შეიძლება ზამთრის პერიოდში. სპარმანიას გადარგვა სასურველია გაზაფხულზე – ამით მცენარეს კომპაქტურს გახდით და სიჯანსაღესაც შეუნარჩუნებთ. სპარმანია ინტენსიურად იზრდება და ხშირად დასჭირდება გასხვლა.

მოამზადა
**თეონა გოზალიშვილმა**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს

**კითხვა: მყავს „ჰონდა ფიტი", ვარიატორის გადაცემათა კოლოფით. მაინტერესებს, დილით რა დრო სჭირდება ძრავას გახურებას. ამინთო ABS-მა, შევცვალე „დატჩიკი", ჩაქრა, მაგრამ, ერთ კვირაში ისევ აინთო. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი და თუ შეიძლება ამ მდგომარეობაში ავტომობილის მოხმარება? გთხოვთ, დამიხასიათოთ ეს მოდელი ზოგადად – დადებითი და უარყოფითი მხარეებით.**

**პასუხი:** ჩვენს რუბრიკაში ძალიან ბევრი თემა გვქონია და ბევრი კითხვისთვის გვიპასუხია, რომ ძრავას, არც ერთ შემთხვევაში, თუ ავტომობილი გამართულად მუშაობს, გახურება არ სჭირდება. ავტომობილის დაქოქვიდან მაქსიმუმ ხუთი წამია საჭირო იმისთვის,

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

რომ ზეთმა ვარიატორის სისტემა შეზეთოს, ბერკეტი დე-ში ჩააგდოთ და დაიძრათ. რაც შეეხება, ABS სისტემას, ის კომპიუტერზე უნდა შეამოწმოთ. შესაძლოა, გადამცემი ისევ დაიწვა, ან, საერთოდ არ იყოს გადამცემის ბრალი და ის პატარა ნაწილი იყოს დაზიანებული ან დასვრილი, საიდანაც გადამცემი, ეგრეთ წოდებული „დატჩიკი" ინფორმაციას იღებს. „დატჩიკის" ხედვის არეში არის პატარა დაზოლილი მბრუნავი ნაწილი, რომელიც ან ამოგლესილია ჭუჭყით, ან ფეხი აქვს მოტეხილი, ან, უბრალოდ, ძალიან შორს არის თვითონ გადამცემიდან. ეს ყველაფერი აუცილებლად კომპიუტერულ დიაგნოსტიკაზე უნდა გადამოწმდეს. „აბეესის" გარეშე მანქანით გადაადგილება შესაძლებელია, ოღონდ, თქვენ არ გექნებათ მუხრუჭის ანტიბლოკირებადი სისტემა და იხმართ ჩვეულებრივ, ტრადიციულ მუხრუჭს. ბოლოს, რაც შეეხება თვითონ „ჰონდა ფიტს", ამ ავტომობილის დადებითი და უარყოფითი მხარე თვითონ ვარიატორია. „ფიტი" საკმაოდ მჩატე ავტომობილია, შესაბამისად, მის ვარიატორს დიდი ჯაფა არ ადგება და დიდხანს ძლებს. როგორც გითხარით, უარყოფითი მხარეც ვარიატორია, რადგან, მას ძალიან სკურპულოზური მოვლა სჭირდება, რაც საქართველოში ახალი ხილია და მისი ასეთი მოვლა უჭირთ. თუ გინდათ, მას პრობლემები არ შეექმნას და მთლიანად გამოსაცვლელი არ გაგიხდეთ, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვარიატორში ზეთი ყოველ გავლილ ორმოცი ათას კილომეტრზე შეცვალეთ, ოღონდ, ზეთი აუცილებლად ხარისხიანი უნდა იყოს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მინი კუპერი". ამ ბოლო დროს დაიწყო მაღალ ბრუნებზე მუშაობა. ხელოსანმა ყველა სისტემაში შემავალი მილები შეამოწმა, რადგან, დიაგნოზი დასვა, რომ სისტემაში ჰაერი იპარებოდა და ეს იყო ბრუნების მომატების გამომწვევი. სამწუხაროდ, ვერც ერთი ნაპრალი ვერ აღმოვაჩინეთ და ისე გამომიშვა, რომ პრობლემა ვერ ამოვწურეთ. რა შეიძლება კიდევ იყოს მაღალ ბრუნებზე მუშაობის მიზეზი?**

**პასუხი:** მიზეზი ბევრნაირი შეიძლება იყოს, გააჩნია ავტომობილი რა სისტემითაა აღჭურვილი. ეს შეიძლება იყოს როგორც ეგრეთ წოდებული „ვოზდუხამერი", ანუ შედინებული ჰაერის ნაკადის გამზომი, რომელიც დაზიანდა; შემშვებ კოლექტორზე დამონტაჟებული ეგრეთ წოდებული „დროსელი," ანუ, სარქველი, რომელიც გაზზე ფეხის მიჭერასთან ერთად მოდის მოქმედებაში. შეიძლება, ის გაზზე ფეხის მიჭერის დროს ბოლომდე არ იკეტება და ჰაერს აპარებს. „დროსელში" რამდენიმე მილი და სარეგულირო მოწყობილობა შედის, რომელსაც, შესაძლოა, დაზიანებული აქვს დამცავი რეზინები ან საფენები და აქედან ხდება „უცხო" ჰაერის ჩადინება. ჯამში, გარედან ჩადინებული ნებისმიერი ჰაერი ძრავასთვის ნიშნავს იმას, რომ თითქოს, რაღაც დოზით, გაზზე ფეხი გვაქვს მიჭერილი და, შესაბამისად, ბრუნებიც მაღალია. ვინაიდან ჰაერის ნებისმიერი ზემოხსენებული ჩადინების წყარო შეიძლება იყოს მერყევი, ასევე მერყევი და არასტაბილურია ძრავის მუშაობა. შესაბამისად, კომპიუტერიც ვერ საზღვრავს ჰაერისა და საწვავის ნარევის ზუსტ დოზას და ავტომობილი მეტი საწვავის მოხმარებას იწყებს.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „სუზუკი გრანდ ვიტარა", 1999 წლის. რამდენიმე დღის წინ მისი საჭე გახდა ძალიან რთულად დასამორჩილებელი – გამაგრდა. რაღაც ნაწილები გადავამოწმე და მწყობრშია, ჰიდრავლიკის ზეთი საჭის მექანიზმს არ აკლია. როგორც მეუბნებიან პრობლემა, სავარაუდოდ, ჰიდრავლიკის ტუმბოდან მოდის. რას შეეძლო ამის გამოწვევა და როგორ ავიცილო მომავალში ეს პრობლემა?**

**პასუხი:** თუ ჰიდრავლიკის ზეთი გადაამოწმეთ, მაშინ, პრობლემა იქმენა ორი მიზეზით: პირველი, რომ ტუმბო არ ქმნის სათანადო წნევას და, მეორე, რომ თვითონ საჭის მექანიზმია გაფუჭებული. შესაძლოა, ასევე იყოს მესამე, ყველაზე უცნაური მიზეზი – საჭის ღვედი ხომ არ არის გადამძვრალი, ამიტომ, გადაამოწმეთ, თუმცა, ამის ალბათობა ძალიან მცირეა. თუ სისტემა უკვე გასინჯეთ და ნახეთ, რომ ტუმბო საკმარის წნევას არ ქმნის საჭის მექანიზმში, ის უნდა გამოცვალოთ, მისი შეკეთება არაფერს მოგცემთ. რაც შეეხება ამ დაზიანების თავიდან აცილებას, დაზიანების თავიდან აცილების მექანიზმი არ არსებობს, რადგან, ამ ნაწილს სპეციალური მოვლა არ სჭირდება. თუ გაფუჭდა, ესე იგი, გაფუჭდა. ერთადერთი, რითაც შეგიძლიათ საჭის სისტემას, მათ შორის ტუმბოს მოუაროთ, არ-



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

ის ის, რომ ბოლომდე მოხვეული საჭე კიდევ არ მოატრიალოთ, რასაც, ზოგადად, ძალიან ბევრი მძღოლი აკეთებს.

**კითხვა: მაინტერესებს, რომელ ავტომობილზე გავაკეთო არჩევანი – „ჰონდა აკორდზე" თუ „ტოიოტა ქამრიზე"? კლასით ეს ავტომობილები თითქოს ერთია, მაგრამ, „აკორდი" უფრო ძვირი ღირს და, იქნებ ამიხსნათ, რატომ?**

**პასუხი:** ყველგან, მთელ მსოფლიოში, „ჰონდა აკორდის" ახალი მოდელი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე „ტოიოტა ქამრი". კლიენტებს ამის გამო გარკვეული პრეტენზიები აქვთ, რადგან, ეძვირებათ. მათ კარგად იციან, „ტოიოტას" შესაძლებლობები და ვერ გარკვეულან, თუ რატომ უნდა გადაიხადონ „აკორდში" მეტი. ერთ ძალიან მარტივ მიზეზს გეტყვით: „ტოიოტა" უშვებს იმდენ მოდელს, რამდენის შეძენის მსურველიც ჰყავთ. „ჰონდა" კი, მიუხედავად უზარმაზარი წარმოებისა, ვერ უშვებს იმდენ ავტომობილს, რამდენი მყიდველიც ჰყავს, ერთი ძირითადი მიზეზის გამო: „ჰონდას" ხარისხი გაცილებით ჯობია „ტოიოტას" ხარისხს. ეს მანქანა თითქმის არასდროს ფუჭდება, აქვს გაცილებით უკეთესი დიზაინი და უფრო მეტად კომფორტულია. მართვადობა, მანევრი, ავტომობილით მანიპულირება და ბევრი წვრილმანი ნიუანსი „ჰონდაში" გაცილებით უკეთესია. ის ფსიქოლოგიურ დონეზეც უკეთესად არის დამუშავებული. რატომ გრძნობთ თავს კარგად „აკორდში" ჩაჯდომისთანავე, ვერ მიხვდებით, ამდენ ნიუანსს არ დააკვირდებით, თუმცა, იმ წუთში იგრძნობთ, რომ ის თქვენთვისაა შექმნილი.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

- საკლავის ნაწილი
- (.....) ვექუა
- ბალახის თესლება
- მაგნატი
- XIX ს გერმან. პოლიტიკოსი
- შობა-ახალწლის პერიოდი
- საქმლის ჩამონათვალი
- მარშრუტი
- ინგლ. თავადი
- სასიცოცხლო წინსართი
- იხილეთ ფოტო და მისი მოთხრობა გაიხსენეთ
- ჩინეთის ქალაქი ე.წ. „სამხრეთის დედაქალაქი“
- ცნობილი მთა აშშ-ში
- მეკვლე ქალი
- მომავალი
- აბეზარი მწერი
- თხილიანი კანფეტი
- შეურგებელი



- (......) დელონი
- ქალბატონი გურანდა
- კარპოვს ჰქვია
- ავი და კაპასი
- ლოცვის სიტყვა
- წყაროზე დიდი
- გამდინარე წყალი
- კავკასიური ძაღლი
- სამეგრელოს ისტორ. სოფელი
- მიხეილი
- კატის ხმა
- ქვემოთა მიმართულებით ანუ?
- იორდანიის დედაქალაქი
- ძველი ფრანგი ფეხბურთელი
- სწორი
- დედალოსის ვაჟი
- ძველი იტალიელი ფეხბურთელი
- ბაყ-ბაყი
- აისი
- რომენ...
- ჯონათან სვიფტის მოგონილი ქვეყანა
- (.........) გურგულია
- საწერი დაფა
- ვაზის ჯიში
- ძველ საბერძნეთში
- სიმინდის თავი
- სპილბერგის უცხოპლანეტელი
- გაზი
- ოთხ თვალა
- ქალის ქართული სახელი
- კინორეჟისორ ვაიდას ჰქვია
- მახინჯი წრე
- შავი ზღვის კურორტი რუსეთში
- რუსი მსახიობი ქალი
- ცხვირში ჩასაწვეთებელი
- ხარის სახელი
- სამხრეთ კავკასიის მდინარე
- (......) ალეგროვა
- ჯუჯა კამეჩი
- შეკრების შედეგი
- უდარდელი ყოფა
- ჩვენი კინოს პაპა
- დათა თუთაშხია
- რა არის სერსო?
- მომაბეზრებელი
- თურქული ხმალი
- რუსი მწერალი ძმების გვარი
- უდანაშაულობის საბუთი
- პანიკის სიტყვა
- მუხის ნაყოფი
- სსრკ-ს პოლიცია
- ინდოჩინელთა ღვთაება
- ბოევიკი ქანკლოდი
- იაპონური ტელევიზორი
- დიდროს ძმისწული
- გიორგი
- ქალაქი ქართლში
- სითხის საზომი
- ხევსურული სოფელი
- თავი დამნაშავედ ცნო ანუ?
- (.......) მერფი, მსახიობი
- ხელოვნური თმები
- სამურზაყანოშია
- რბოლა
- ჯეკ ლონდონის მარტიბი
- როდოდენდრონის ბუჩქი
- ხორბლის შექამადი
- ავსული, ეშმაკი
- ნორვეგიელი კომპოზიტორი
- ჩუკოტკის ცენტრი
- სოფელი გურიაში
- საბჭოელი ფიზიკოსი
- დოსტოევსკის რომანი
- ძველი ოსი
- ახსნა-განმარტებითი სიტყვა
- ალ. ჩხაიძის პიესა
- ფრენის სიტყვა
- ყირიმის კურორტი
- ცეკვა
- მდინარე ქართლში

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | 3 | 2 | | 2 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 3 | 5 | 7 | 2 | 1 | | | 7 | 5 | 2 | 4 | 3 | 2 | | | 4 | | | | | |
| | | | | | 5 | 1 | | | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 1 | 1 | 3 | 4 | 5 | 5 | 2 | | 4 | | | | | |
| | 3 | | | 4 | 3 | 3 | 8 | 9 | 3 | 5 | 1 | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 2 | 1 | 7 | 5 | 2 | 10 | 1 | 4 | | |
| 4 | 1 | | 3 | 6 | 2 | 5 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 12 | 3 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 6 | 1 | 2 | 11 | 6 | 2 | |
| 1 | 1 | 8 | 8 | 1 | 1 | 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 5 | 5 | 3 | 13 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 3 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 5 |
| | | | | | 8 |
| | | | | 4 | 3 |
| | | | 3 | 3 | 3 |
| | | | 2 | 5 | 2 |
| | | 3 | 2 | 1 | 2 |
| 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 6 |
| | | 5 | 2 | 3 | 7 |
| | | 6 | 7 | 2 | 5 |
| | 7 | 5 | 2 | 4 | 1 |
| 3 | 2 | 2 | 3 | 1 | 1 |
| | | 2 | 2 | 3 | 4 |
| | | | 5 | 4 | 3 |
| | | | 1 | 11 | 3 |
| | | | 3 | 10 | 3 |
| | 1 | 2 | 7 | 2 | 2 |
| | | 3 | 3 | 2 | 5 |
| | 6 | 2 | 2 | 3 | 2 |
| | 8 | 2 | 2 | 2 | 2 |
| | 9 | 2 | 4 | 2 | 2 |
| | | | | 3 | 22 |
| | | 7 | 2 | 4 | 4 |
| | | | | 21 | 2 |
| | | 3 | 8 | 5 | 1 |
| | | | | | 27 |

**სუდოკუ**

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 7 | | 9 | | 4 | | 3 | 8 |
| | | 2 | | 1 | | 5 | | |
| 9 | 4 | | 6 | 8 | | | 7 | 1 |
| | 1 | 7 | | 4 | | 9 | | 6 |
| 6 | | 5 | | 3 | | 4 | 2 | |
| | 9 | | 5 | | 6 | | 8 | 3 |
| 7 | | 6 | 8 | | 1 | | 4 | |
| | 3 | | | 9 | | 7 | | 5 |
| 4 | | 9 | 3 | | 7 | 8 | 1 | 2 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | | 1 | | | 7 |
| 5 | | | | 7 | | | 6 | |
| | 6 | | | 9 | 2 | 4 | | 5 |
| | | 6 | | 8 | | | | 4 |
| | 4 | | 9 | | | | 8 | |
| 9 | | 5 | | 6 | | | 7 | 2 |
| | | 9 | | | 8 | | 4 | |
| | 2 | | | 3 | | 6 | | |
| | 1 | 8 | 2 | | 6 | | 5 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ქუდით დაიწყეთ კაცის თავის ხატვა

2. მიახატეთ თვალები და ცხვირი

3. დაასრულეთ თავი



4. მიახატეთ ტანის ნაწილი

5. მიახატეთ მკლავები და ჩოხის კალთა

6. დაასრულეთ ნახატი

7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თაბუკაშვილის №36

# იპოვეთ ათი განსხვავება



## როგორ მივა ცუგა ძვალთან



## დაეხმარე გოგონას კანფეტების მოგროვებაში



# მშიერი მელა

## (იგავ-არაკი)

მშიერი მელა ტყე-ტყე დაწანწალებდა. მუხის ფუღუროში პურსა და ყველს წააწყდა – მწყემსებს დაეტოვებინათ. ფუღუროში შეძვრა, პურიცა და ყველიც მთლად შესანსლა. მუცელი გაებერა და ფუღუროდან ველარ გამოეტია. რა უნდა ექნა? მორთო ერთი ტირილი და გოდება.

ამ დროს გზად სხვა მელამ გამოიარა. ტირილი რომ მოესმა, შეჩერდა, მერე მოტირალთან მივიდა და ჰკითხა: რად ტირიო? როცა იმის ამბავი გაიგო, უთხრა:

– ისევ მანდ უნდა დაიცადო, ძმობილო, სანამ ისეთი არ გახდები, ფუღუროში შეძრომამდე რომ იყავი, მერე კი ადვილად გამოძვრებიო.

ვინც მოითმენს, ჭირს ადვილად გადაიტანსო.

## რიცხვრებუსი

13,,,,, 2,, 13,,,,, 5,,, ,,2



# მზად ხართ იდეალური ოჯახისთვის?!

*შეიძლება, ოჯახის შექმნაზე ფიქრობთ, მაგრამ, მზად ხართ ამისთვის?! გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს.*

**1. ახლა ისურვებდით დაქორწინებას?**

ა) დიახ, ოღონდ, თუ მატერიალურ მდგომარეობას გავიუმჯობესებდი – 1 ქულა;

ბ) დიახ, ოღონდ, სიყვარულით – 10 ქულა;



გ) არა, არ გამომივა – 5 ქულა.

**2. გინდათ, რომ გყავდეთ შვილები?**

ა) დიახ – 10 ქულა;

ბ) არა – 1 ქულა;

გ) ამაზე არ მიფიქრია – 5 ქულა.

**3. რამდენი შვილი გინდათ, რომ გყავდეთ?**

ა) ალბათ, ერთი – 5 ქულა;

ბ) ერთი და მეტი – 10 ქულა;

გ) არც ერთი – 1 ქულა.

**4. მიგაჩნიათ, რომ პირველი სერიოზული გატაცება ქორწინებით უნდა დასრულდეს?**

ა) აუცილებლად – 10 ქულა;

ბ) არა – 1 ქულა;

გ) არ ვიცი – 5 ქულა.

**5. დასვენების დღეებში ადრე იღვიძებთ? სხვებთან შედარებით ყველაზე ადრე?**

ა) დიახ – 10 ქულა;

ბ) ხანდახან – 5 ქულა;

გ) არა – 1 ქულა.

**6. რამე კერძის მომზადება თუ იცით სწრაფად?**

ა) დიახ – 10 ქულა;

ბ) არა – 1 ქულა;

გ) თუ მოვინდომებ, არ იქნება პრობლემა – 5 ქულა.

**7. კარგად იცნობთ ხელოვნების რომელიმე დარგს?**

ა) დიახ – 10 ქულა;

ბ) არა – 1 ქულა;

გ) არა, მაგრამ, მინდა, ვერკვეოდე – 5 ქულა.

**8. შეგიძლიათ, სუფრას ხელდაუბანელი მიუჯდეთ?**

ა) დიახ, რა მოხდა მერე – 1 ქულა;

ბ) არა – 10 ქულა;

გ) თუ ძალიან მეჩქარება – 5 ქულა.

**9. ეწევით სიგარეტს?**

ა) დიახ, აქტიურად – 10 ქულა;

ბ) არა – 1 ქულა;

გ) ზოგჯერ, სხვების ხათრით – 5 ქულა.

**10. სასმელებიდან უპირატესობას ანიჭებთ:**

ა) არაყსა და კონიაკს – 1 ქულა;

ბ) ღვინოს, შამპანურს – 10 ქულა;

გ) მსუბუქ ლიქიორს – 5 ქულა.

**11. თუ ძალიან გაწყენინებენ, იტირებთ?**

ა) დიახ – 1 ქულა;

ბ) არა – 5 ქულა;

გ) არ ვიცი – 10 ქულა.

**ნახეთ შედეგები:**

*95-110 ქულამდე: დიდი შანსი გაქვთ, გახდეთ იდეალური მეოჯახე. გააჩნია, რამდენად კარგად და სწრაფად შეარჩევთ პარტნიორს. თქვენი მშვიდი, გაწონასწორებული ხასიათით ბევრის ყურადღებას მიიპყრობთ. გონივრულად გამოიყენეთ ის სიმდიდრე, რაც ბუნებამ და კარგმა აღზრდამ მოგცათ.*

*55-94 ქულა: ცოტა მელანქოლიისკენ გაქვთ მიდრეკილება, თუმცა, გაქვთ შანსი იმისა, რომ კარგი ოჯახი შექმნათ, მთავარია, ცხოვრება ერთფეროვნად არ მოგეჩვენოთ. ამიტომ, გაამრავალფეროვნეთ თქვენი შინაგანი სამყარო.*

*11-54 ქულა: არც იფიქროთ ოჯახის შექმნაზე – ამისთვის ჯერ მზად არ ხართ. ეტყობა, ოჯახური ცხოვრების უსიამოვნო მხარეებზე იმდენი გსმენიათ, რომ დაკომპლექსდით – მოკლედ, „თქვენი ბედი მხოლოდ და მხოლოდ თქვენს ხელშია“.*



## ძილის ფილოსოფია...

***ძილი უმნიშვნელოვანესია ადამიანისთვის. მთელი კვირის განმავლობაში, სამუშაოსგან ქანცგაწყვეტილები ვნატრობთ, შაბათ-კვირას მაინც გამოვიძინოთ.***

* 1979 წლის 1 თებერვალს ოსაკაში გაიხსნა, სპეციალური სასტუმრო-კაფსულა, რომელიც ძილს მონატრებული კლიენტებისთვის არის განკუთვნილი და საგანგებოდ მოწყობილიც.

* მელატონინი, რომელიც სპეციალურად გამომუშავდება და პასუხისმგებელია ადამიანის ძილზე, პირველად 1958 წელს აღმოაჩინა აარონ ლენგერმა. ეს ჰორმონი პასუხისმგებელია ჩვენი ორგანიზმის რიტმულობაზე.

* დიზაინერმა კეი პორტილეი კავამერომ შექმნა ბალიში, რომელიც ნებისმიერ ადგილას კომფორტულია, თუმცა, ხანმოკლე ძილისთვის არის განკუთვნილი. მას „სირაქლემა-ბალიში“ ჰქვია და 70 დოლარი ღირს.

* ნიუ-იორკში, სასტუმრო „ბენჟამინში,“ მზად არიან, ნომერში გადახდილი თანხა დაუბრუნონ ყველა სტუმარს, რომელიც ღამით კარგად ვერ დაიძინებს.

* „ფილიპს ვეიქ აფ ლაითის“ მაღვიძარა, ნახევარი საათით ადრე, სანამ თავის პატრონს გააღვიძებდეს, განთიადის სიმულაციას ახდენს.

* 55 წუთი გრძელდება ჰიპნოზი – თერაპიის სეანსი, რომლითაც უძილობას კურნავენ.

* საუკეთესო ბალიშები, გარანტირებული მშვიდი ძილისთვის, მიუსტიკის კუნძულზე, „კოტონ ჰაუზში,“ 1997 წლიდან მზადდება.

* ყველაზე ძვირად ღირებული „კაფსულები“ ძილისთვის, რომელსაც „ტრანსპორტ პერცეპტუალ პოდი“ აწარმოებს, 370 დოლარი ღირს.

## თავისთვის – ჭკუით არჩეული

ის ან ძალიან ფუმფულაა, ან მაღალია და ოდნავ მაგარი. შეიძლება, პატარაც იყოს – სწორკუთხა და კვადრატული, ან, სულაც, მრგვალი... თუ თავის და კისრის ტკივილი შეგაწუხებთ, მაშინვე ექიმთან ნუ გაიქცევით. შეიძლება, „დამნაშავე“ თქვენი ბალიში აღმოჩნდეს... დიახ, ზემოთ მოტანილი „დახასიათებაც“ ბალიშს ეკუთვნოდა. იდეალური ბალიში თავის ფორმის უნდა იყოს და კისრის კუნთებს მოდუნებაში უნდა ეხმარებოდეს. დღეს კლასიკური ბალიშის გვერდით უკვე გაჩნდა ბალიში – ანტისტრესი და ბალიში – სპეციალურად სექსისთვის...

* აზიაში ბალიში, უფრო სწორად – სასთუმალი, საწოლის ყველაზე მისტიკურ ადგილად იყო მიჩნეული. ინდოეთში სწამდათ, რომ ბალიშმა გადაარჩინა ბუდა. როცა მას ღონე წაერთვა, ტომარა ფოთლებით და ყვავილებით გატენა, დადო მასზე თავი და გამოიძინა. გაიღვიძა სრულიად ჯანმრთელმა და ენერგიით სავსემ.

* რომის იმპერატორს, ნერონს, სპეციალური ბალიში ჰქონდა, რომლის შუაგულშიც გველი იყო ამოქარგული. ნერონი ზუსტად ამ დაგრაგნილი გველის შუაში დებდა თავს და ისე იძინებდა – მიაჩნდა, რომ ღამით ბრძნული აზრებით დაიმუხტებოდა მისი ტვინი.

* იმპერატორმა ოქტავიანემ საგანგებოდ შეიძინა ველებში ჩაფლული რომაელის ბალიში. ის ფიქრობდა: თუკი ამდენი მოვალის შემყურეს ასე მშვიდად სძინავს ამ ბალიშზე, მე, მით უმეტეს, ტკბილად დამეძინებაო.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მკვლელი სცენაზე

## დეივ კიტონი

ბარეტ რიჩარდი ერთ-ერთი უნიჭიერესი მსახიობი იყო ჩიკაგოში. მაშინ კრიტიკოსად ჯერ არ ვიყავი ჩამოყალიბებული და ჟურნალისტად ვმუშაობდი „ჩიკაგო ნიუსში“. შექსპირი მაშინ განსაკუთრებით მოდაში იყო, მით უფრო – „ჰამლეტი.” ყველა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი მსახიობი ოცნებობდა ამ როლზე.

ბარეტს კაფეში შევხვდი. მშვენიერი მოსაუბრე აღმოჩნდა. საკმაოდ კარგად ერკვეოდა ბევრ საკითხში. მომიყვა „ჰამლეტზე“, როგორც დიდი ინგლისელი ბარდის უნიკალურ შედევრზე. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, ბროდვეი გაეოგნებინა და საზოგადოებისთვის სრულიად ახალი, შოკის მომგვრელი „ჰამლეტი“ შეეთავაზებინა. ვკითხე – დადგმა ხომ სერიოზულ თანხებს მოითხოვს, თქვენ სად იშოვით საჭირო ფინანსებს-მეთქი. „ქველმოქმედება, – მიპასუხა, – თხუთმეტი წელია, მივდივარ ამისკენ. უამრავი გაჭირვება გადავიტანე... სიღარიბეში ვცხოვრობდი, აყროლებულ, ბინძურ სასტუმროებში და, იაფფასიან ჰამბურგერების ჭამით კუჭი დავიზიანე, მაგრამ, ეს ყველაფერი მსხვერპლად ღირდა. ახლა გვერდით მიდგას ადამიანი, რომელიც მზად არის, ჩემი სპექტაკლი დააფინანსოს. ეს ადამიანი მისის მაკალოა. მაგნატისა და მილიონერის, მისტერ მაკალოს ქვრივი...“

ცოტა გამიკვირდა, მაგრამ, ველარაფერი ვკითხე. სწორედ ამ დროს, ჩვენს მაგიდას მაღალი, გრძელფეხება ქალიშვილი მოუახლოვდა. ეს რომ მისის მაკალო არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაშინვე მივხვდი. საოცრად ლამაზი იყო. ძალიან მოკლე კაბა ეცვა და, როცა ილიმებოდა, ზედა ტუჩის ქვეშიდან ოქროს კბილი უელავდა. მართლა გამაოცა მისმა სილამაზემ. მაშინვე ვერ ვიცანი, მაგრამ, როგორც კი დაილაპარაკა, მაშინვე მივხვდი, ვინც იყო – ჩიკაგოს კრიმინალურ სამყაროში კარგად ცნობილი გოლდი კონორსი. გამიკვირდა, რა საერთო შეიძლებოდა ჰქონოდა გოლდის წესიერ მსახიობთან? ქალიშვილის საქციელიდან გამომდინარე – იმაზე გაცილებით მჭიდრო, ვიდრე შეიძლებოდა წარმომედგინა.

– გაიცანით, ეს გოლდია, – აშკარად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბარეტი.

ქალიშვილმა მხოლოდ თავი დამიქნია მისალმების ნიშნად და მსახიობთან დავა განაგრძო:

– შენ მე დამპირდი მთავარ როლს შენს სპექტაკლში! ოფელიას გათამაშებო, მგონი, ასე მითხარი. სად არის კონტრაქტი?

– იქნება, ოღონდ, ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის. ვერ ხედავ, ჟურნალისტს ინტერვიუს ვაძლევ?!

– ფეხებზე მკიდია. თუ ამაში ის ბებერი ძროხაა ჩარეული, იცოდე, ძალიან განანებ.

მივხვდი, რომ უნდა ავმდგარიყავი და იქაურობას გავცლოდი. საკმარისი მასალა მქონდა, კარგი სტატია რომ დამეწერა და, მართლაც, ტირაჟი თავბრუდამხვევი სისწრაფით გაიყიდა. რედაქტორი ერთობ კმაყოფილი დარჩა და ბარეტთან კიდევ ერთი ინტერვიუს ჩასაწერად გამგზავნა. მისამართი ადვილად გავიგე. პატარა, ღარიბულ კერძო სასტუმროში ცხოვრობდა.

როგორც კი შმორისა და იაფფასიანი საკვებით აქოთებული სასტუმროს დერეფანში შევდგი ფეხი და მეორე სართულზე ავედი, მაშინვე გავიგონე ბარეტის გაღიზიანებული ხმა:

– გოლდი, რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ისტერიკებს ვერ ვიტან, ამით ვერაფერს მიაღწევ!

– მართლა? ერთ კვირაში პრემიერაა. სად არის ჩემი როლი? გინდა, „მომტეხო,“ ხომ? იმ ბებერი ძროხის გამო მექცევი ასე? წევხარ ხომ მასთან? მიპასუხე, წევხარ? მილიარდების გამო რას აღარ იზამ, არა?!

– გოლდი, მისის მაკალოს თავი დაანებე და ამ ამბავში ნუ რევ.

– ჰო?!

– ჰო. მსახიობობას ცოტა ნიჭი და კიდევ რაღაც მონაცემები უნდა. ამდენი წელია, ველოდები ტრიუმფს, რომელიც ამ სპექტაკლმა უნდა მომიტანოს. ვერ გავრისკავ.

– მართლა?! მაშინ, მე განახვებ, რისი მონაცემები მაქვს. შენ თეატრის ნაცრისფერი თაგუნია ხომ არ გგონივარ? იცი, რას ვიზამ? ჯერ იმ ძროხასთან მივალ და ჩვენზე ყველაფერს მოვუყვები, ძალიან რომ ცდილობ, ჩემ შესახებ არ შეიტყოს. მერე ბიჭებს ისე ვაცემინებ შენს თავს, ბროდვეიზე კი არა, საკუთარ ოჯახშიც ვერ გიცნობენ. ჩემი მიგდება ადვილი არ იქნება, არ გამოგივა ეს ამბავი!

– გოლდი, – აშკარად მოლბა ბარეტი, – თანახმა ვარ, მიიღებ როლს. თანაც ისეთს, რომ შენ შესახებ ყველა გაზეთში დაწერენ. გპირდები.

– გაფრთხილებ, არ გაბედო ჩემი მოტყუება, თორემ, ეგრევე შეგისრულებ დანაპირებს.

– არა, სულელო, როგორ მოგატყუებ...

მივხვდი, რომ ვერანაირ ინტერვიუს ვერ ჩავწერდი და წამოვედი...

ორი თვე გავიდა. ბარეტმა სპექტაკლი დადგა და ტრიუმფითაც მიდიოდა პრემიერები... რა თქმა უნდა, იმ უბადრუკი სასტუმროდან გადავიდა და სწორედ მაშინ მოხდა გამაოგნებელი ამბავი... მეორე დღეს, როცა ბარეტმა თავისი ოთახი ჩააბარა, დიასახლისმა საშინელი სუნი იგრძნო. შევიდა ოთახში და მიხვდა, რომ ეს საზიზღარი, მყრალი სუნი დიდი სკივრიდან მოდიოდა, რომელიც სამსახიობო და თეატრალური რეკვიზიტებისთვის იყო განკუთვნილი. ქალმა საკეტი გატეხა, შიგ ჩაიხედა და გამაყრუებელი კივილით მთელი სასტუმრო ფეხზე დააყენა. პოლიციის კომისარმა, რომელთანაც დიდი ნაცნობობა მაკავშირებდა, მაშინვე დამირეკა და იქ ერთად მივედით. ჩემი ჟურნალისტური პრაქტიკის განმავლობაში ბევრი საშინელება მენახა, მაგრამ, უთავო გვამის დანახვამ მაინც ძალიან ამაღელვა. გულისრევა ძლივს შევიკავე და კომისარს ვუთხარი:

– ეს მისი გაკეთებულია, ბარეტის. თუ გინდა, გეტყვი, უთავო სხეული ვის ეკუთვნის – ეს გოლდია, გოლდი კონორსი... და... – ინსპექტორ ემეტს იმ საუბრის შესახებ მოვუყევი, რომლის მოწმეც ორი თვის წინ უნებლიეთ გავხდი.

– ნუთუ ამაზე წავიდა? ასეთი სულელია?

– არა, სულელი არ არის, ამბიციურია და ვერ დაუშვებდა, რომ მისი ტრიუმფი რამეს დაეჩრდილა. დარწმუნებული ვარ, მან მოკლა გოლდი და თავიც მოაჭრა.

– ჰმ!.. ჰოდა, თავის გარეშე როგორ გინდა დაუმტკიცო, რომ დანაშაული მან ჩაიდინა? თუ თავს ვერ ვიპოვით, ჩათვალე, რომ არც ერთი სასამართლო მას დამნაშავედ არ ცნობს.

– და, ასე იჯდებით? არ დააკავებთ?

– წავიდეთ. მგონი, დღეს თავის ჰამლეტს მილოუვში თამაშობს, – მითხრა ემეტმა.

მთელი გზა მოკვეთილ თავზე ვფიქრობდი. ბარეტის ცბიერება მართლაც იმსახურებდა აღფრთოვანებას, მაგრამ, ის უნდა დასჯილიყო.

ღამის ათ საათზე უკვე თეატრში ვიყავით. კულისებში შევედით და იქიდან ვადევნებდით თვალს ფინალურ სცენას. ბარეტი შეუდარებელი იყო. ის არ თამაშობდა, ის თავად იყო დანიის პრინცი... თვალებანთებული და ეშმაკით შეპყრობილი... მოქმედება სასაფლაოზე ხდებოდა. ჰამლეტი, ცეცხლით თვალებში და აწითლებული ღაწვებით, ჰორაციოს ელაპარაკებოდა, ხელში თავის ქალა ეჭირა...

– შეხედე, ჰორაციო... შეხედე... საბრალო იორკი... ის ცოტა ხნის წინ ცოცხალი იყო და მე ვიცნობდი მას...

ამ დროს ჩირაღდნის შუქი თავის ქალას დაეცა და მოულოდნელობისგან ლამის შევყვირე – ზედა ყბაზე ერთადერთმა ოქროს კბილმა მაცდურად იელვა და, მე მივხვდი, სად უნდა გვეძებნა გოლდის სხეულისგან მოშორებული თავი...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მხოლოდ ქალებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №48-51(677)

ანუკამ მაცივრიდან ხილი და ნაყინი გამოიღო, კარადიდან – საკონდიტროდან ამოტანილი ნამცხვარი და მაგიდაზე დააწყო. მერე სიგარეტი შემოიტანა თავისი ატრიბუტებით და ყავის მოდუღებას შეუდგა.

– აბა, ქალბატონო, მომიყევი ქალაქის ჭორები, – ანუკა ყავას ასხამდა ფინჯნებში და თან გამომცდელად უყურებდა დეიდაშვილს. მის თვალს არ გამოჰპარვია, რომ მარი აფორიაქებული იყო, – იცოდე, არაფერი დამიმალო, ხომ იცი, მაინც ვერ გამაცურებ. მოხდა რამე?



– მგონი, კი, – გაწითლდა მარი.

– შენ, მოსწავლე რომ იყავი, ასე მაშინ არ წითლდებოდი. ეტყობა, სერიოზულადაა საქმე.

– მგონი, კი, – ისევ გაიმეორა მარიმ.

– მდაა... – ანუკა მარის წინ, სკამზე ჩამოჯდა და თვალებში ჩახედა:

– ანუ, შეგიყვარდა?

– მგონი, კი... – მესამედ გაიმეორა მარიმ აკვიატებული სიტყვები, – იმასაც ვუყვარვარ. დღეს ხელი მთხოვა და მოვიფიქრებ-მეთქი. ორშაბათამდე მომცა ვადა. ორშაბათს პასუხი უნდა ვუთხრა. მაგრამ, მინდა, მანამდე შენ გაგაცნო.

– როცა გინდა და სადაც გინდა. უფრო სწორად, აქ მოიყვანე ხვალ ან ზეგ საღამოს. ხომ იცი, უცხო ოჯახში, თანაც, შეყვარებულის ნათესავთან მიყვანილი კაცი უფრო ადვილად იშიფრება. ძალიანაც რომ არ უნდოდეს, რაც რამე ნაკლი და კომპლექსი აქვს, ყველაფერი „ამოტივტივდება“. შევთანხმდით?

– შევთანხმდით, – გაუხარდა მარის, – შენ თუ არ მოგეწონა, არ გავყვები.

– კარგი, ნუ გაყვები, – გაეცინა ანუკას.

ამასობაში ლელუკა და ანდროც მოვიდნენ და, მარი რომ დაინახეს, კინაღამ გადაირივნენ სიხარულით.

– დე, თუ გინდა, მთელი ღამით დარჩი შენს დაქალებთან, ჩვენ აქ არ მოვიწყენთ, პირობას გაძლევთ, – უთხრა ლელამ ანუკას და უკვე წასასვლელად გამზადებულს მზრუნველად გაუსწორა კულული, შემდეგ მოჭუტული თვალებით აათვალიერ-ჩაათვალიერა და მოწონების ნიშნად მარჯვენა ხელის ცერი თითი ასწია: რაც მართალია, მართალია, მაგარი ხარ, – და აკოცა.

ანუკა წავიდა. ტაქსის გამოძახება და ლოდინი დაეზარა და თავისი მანქანა გამოიყვანა ავტოფარეხიდან.

რვის ხუთ წუთზე „მარიოტში“ იყო და გაუკვირდა, რომ ყველა მისული დახვდა. მართლაც ისე გამოპრანჭულიყვნენ გოგოები, იქაურობას ანათებდნენ. ანუკას მხიარული ოვაციებით შეხვდნენ, მაგრამ, მათი, განსაკუთრებით კი იუბილარის წივილ-კივილი რამდენიმე დეციბალით მას შემდეგ გაიზარდა, როცა ანუკამ საჩუქრად ნაყიდი მობილური გადასცა.

– ვაიმეე!.. ვაიმეე!.. – გაჰკიოდა ანი და სულ დაავიწყდა, რომ გარშემო ხალხი ისხდა. ყველა მას შესცქეროდა, ის კი არავის აქცევდა ყურადღებას და აღფრთოვანებით გაჰკიოდა: დედაა!... ვაიმეეე!..

ბოლოს, როგორც იქნა, დაშოშმინდა, მობილური თეფშის წინ დაიდო და აღფრთოვანებით შეხედა.

ანუკას სასიამოვნოდ გაუკვირდა, როდესაც „მარადქალწული“ ელენე, როგორც მას დაქალები ეძახდნენ, ძალიან გემოვნებით, მაგრამ, ცოტა თამამად ჩაცმული და დამაკიაჟებული ნახა.

– სხვანაირ ფორმაში აღარ დაგვენახვო, თორემ, ხმას აღარასოდეს გაგცემ. რა ლამაზი ყოფილხარ, გოგო, ვის ემალებოდი? – უთხრა ანუკამ და თბილად გადაეხვია.

დარბაზში ულამაზესი ბლუზი ჟღერდა. ანუკა და მისი მეგობრები რამდენჯერმე გაიწვიეს მამაკაცებმა საცეკვაოდ, მაგრამ, არც ერთმა არ მოისურვა უცხო კაცთან ერთად შუა დარბაზში უაზროდ რწევა. ისინიც შეეშვნენ და თავიანთ სუფრას მიუბრუნდნენ, თუმცა, თვალი მაინც ამ ლამაზი ქალებისკენ გაურბოდათ და ცდილობდნენ, მათი ყურადღება მიექციათ, მაგრამ, არაფერი გამოსდიოდათ.

– გოგოებო, ანის გაუმარჯოს, დღევანდელ იუბილარს და ჩვენი სადაქალოს სულსა და გულს! – თქვა ანუკამ და შამპანურით სავსე ფუჟერი ასწია, – სულ ასეთი ლამაზი, ხალისიანი და ენერგიული იყოს, როგორიც დღეს არის!

– გაუმარჯოს! – მეგობრებმა ერთმანეთს მიუჭახუნეს ფუჟერები და შუშხუნა სითხე ბოლომდე გამოცალეს.

მერე რიგრიგობით ადღეგრძელეს ერთმანეთი, შუალედებში კი ათასი რამე და ვინმე გაიხსენეს: თბილისური ჭორები, შვილები, საერთო ნაცნობები, ყოფილი ქმრები, სტუდენტობის წლები; მსუბუქად პოლიტიკასაც გადასწვდნენ, მოდასაც და, ბოლოს, ანიმ მოითხოვა სადღეგრძელოს უფლება:

– გოგოებო, მინდა, ქალი ვადღეგრძელო. ქართველი ქალი კი არა, საერთოდ, ქალი. იცით, რატომ შექმნა ღმერთმა ქალი? მე ბევრი ვიფიქრე ამაზე და ერთ დასკვნამდე მივედი: მკრეხელობად არ ჩამითვალოს უფალმა და, ბიბლიაში რომ წერია, ადამი მარტო იყო სამოთხეში, მოიწყინა, ღმერთს შეეცოდა და მისი ნეკნისგან მისნაირივე არსება – მეორე ადამიანი შექმნა, რომ ადამს მეგობარი ჰყოლოდაო, – არ მჯერა. ჩემი აზრით, ღმერთი ადამს კარგა ხანს აკვირდებოდა და, როცა მიხვდა, რომ მისი ეს პირველი ქმნილება სრულყოფილი არ აღმოჩნდა, შექმნა ევა – ადამის გაუმჯობესებული ვარიანტი. უფალი ადამით აღფრთოვანებული რომ ყოფილიყო, თუ მაინცდამაინც შეეცოდა, მეორე



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.......................................

მარიკა 599 24 28 31

ადამიანსაც ზუსტად მისნაირს გააკეთებდა. მაგრამ, არა, გენაცვალე, თავის მეორე ქმნილებას ადამის მსგავსი მხოლოდ ის გაუკეთა, რაც თავის პირველ ქმნილებაში მოსწონდა, ხოლო, რაც არ მოეწონა, ანუ, ნაკლად ჩაუთვალა, ის გამოასწორა, გააუმჯობესა და შექმნა ევა.

– მაგრამ, ევამ არ აცდუნა ადამი, აკრძალული ხის ნაყოფი რომ შეაჭამა? – დაიცვა თიკამ პირველი მამაკაცი..

– აცდუნა?! თვითონაც უნდოდა იმ ვაშლის მირთმევა და ესეც ევას დაბრალდა. და, თუ არ უნდოდა და ევამ მოატყუა, მაშინ, ან შტერი ყოფილა, ან, უბრალოდ, ურჩობამ, ზედმეტმა ცნობისმოყვარეობამ ან სიწუწკემ ღმერთი დაავიწყა და იფიქრა, რადგან ინიციატივა ევასგან მოდის, უფალი მას დასჯის და არა მეო, ანუ, „მშრალად“ უნდოდა გამოსვლა, – ისეთი ტონით თქვა ანიმ, თითქოს თავად იყო მაშინ სამოთხის ბაღში, ადამი რომ აკრძალულ ხილს მიირთმევდა.

– ისე, არც ეგ შენი ევა იყო ფრთიანი ანგელოზი, – გაეცინა ელენეს.

– ანგელოზი იყო-მეთქი, არ მითქვამს, მე ვამბობ, რომ ადამზე სრულყოფილი არსება იყო – უფრო ჭკვიანი, უფრო ამტანი...

– დღემდე კაცები იმ ერთ ვაშლს აყვედრიან ადამს – იმას რომ ის ვაშლი არც ეჭამა, ვიცხოვრებდით ლაღად სამოთხეში, არც მუშაობა დაგვჭირდებოდა და არც ცოლ-შვილის რჩენაო, – სერიოზული სახით თქვა ანიმ, მაგრამ, უცებ სიცილი აუტყდა: იმას კი აღარ ფიქრობენ ეს დებილები, ვაშლი რომ არ ეჭამა იმ საცოდავ ადამს, თვითონ როგორ მოევლინებოდნენ ქვეყანას? ან, განა რამდენი მათგანი მუშაობს? მუშაობაც ცოლებს არ „შესტენეს“, ისევე, როგორც ვაშლის დაძალება?

– დაძალება კი არა, ცდუნება. თანაც, თქვენ ყველას დაგავიწყდათ, რა როლი შეასრულა ამ ყველაფერში გველმა. ასე რომ, ადამი, ევასთან შედარებით, გაცილებით ნაკლებად ცოდვილია, – ისევ დაიცვა თიკამ პირველი მამაკაცი.

– მე კი ვფიქრობ, უკვე ადამში ჩანდა ალფონსობისკენ მიდრეკილება და, საერთოდ, ძალიან ზარმაცი ტიპი იყო, – სიცილით დაასკვნა ანიმ. – ჰოდა, იმიტომაც ვადღეგრძელებ ყველა ქალს ევას თამადობით, – დაუბრუნდა თავის სადღეგრძელოს ანი, – რომ ევამ გააშიშვლა პირველი მამაკაცი ყველანაირი გაგებით.

– ბრავო! გაუმარჯოს ევას! გაუმარჯოს ქალს! – მეგობრებმა სიცილით აიტაცეს სადღეგრძელო.

– გოგოებო, ამ პატარა სუფრასთან ევას ოთხი შთამომავალი ზის – ოთხი ქალი, ოთხი მეგობარი და ოთხივეს სხვადასხვა ბედი არგუნა განგებამ: მე, – ანუკამ საჩვენებელი თითი გულზე მიიდო, თვალები დახუჭა და ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, – ქმარმა მიმატოვა და სხვასთან წავიდა... – გელას წასვლის შემდეგ ანუკა პირველად ალაპარაკდა ასე ხმამაღლა მისთვის ყველაზე მტკივნეულ თემაზე და მისი ამ საქციელით გაოცებული მეგობრები უხერხულად გაჩუმდნენ. ანუკას აშკარად მოეკიდა სასმელი და ეს თუ აძლევდა სითამამეს, – თიკა ახალგაზრდობაშივე დაქვრივდა და მას მერე არ თუ ვერ იპოვა ნამდვილი სიყვარული; ელენე ყველა ნორმალური კაცის ოცნება უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ამხელა თბილისში ერთი ნორმალური მამაკაციც არ აღმოჩნდა, რომ თვითონ – ეს ქალი გაეთბო, ამ ქალით კი – საკუთარი კერა; ანი თავად წამოვიდა ქმრის ოჯახიდან და სწორადაც მოიქცა, იმიტომ, რომ იქ დარჩენა მართლაც შეუძლებელი იყო, რადგან, ალკოჰოლიზმი მოურჩენელი დაავადებაა და, არ ღირს, რომ ლოთს, თუნდაც ეს ლოთი შენი ქმარი იყოს, საკუთარი თავი და, მით უმეტეს, შვილი შესწირო. ასეთ დროს, ჩემი აზრით, ოჯახის შენარჩუნების თუ „გადარჩენის“ მიზნით გამოჩენილი ერთგულება, სისულელეა. ანი, შეიძლება, ჩემს აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ შენ სწორად მოიქეცი, რადგან, ამ ნაბიჯით შენი შვილის ფსიქიკა და, შესაბამისად, მისი მომავალი გადაარჩინე. არ ვიცი, სხვა როგორ ფიქრობს, მაგრამ, თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ლოთის გამოსწორება უფრო შეუძლებელია, ვიდრე ნარკომანის. და, აი, ეს ვართ ჩვენ – ოთხი მეგობარი, ოთხი უმამაკაცოდ დარჩენილი ქალი. ეს დიდი უბედურებაა, მაგრამ, უფრო დიდი უბედურება იცით, რა არის?! ის, რომ 37 წლის ასაკში არც ერთ ჩვენგანს მამაკაცი აღარ უნდა. აღარ სწამს მისი და იმიტომ აღარ უნდა. ამ შემთხვევაში მამაკაცში მარტო სექსს არ ვგულისხმობ. იმდენად გვაქვს ეგრეთ წოდებული ძლიერი სქესის მიმართ რწმენა და ინტერესი დაკარგული, რომ, აქ, რესტორანში გასართობად მოსულებს, ელემენტარული გაკეკლუცების სურვილიც კი არ გაგვჩენია; უფრო მეტიც – მათთან ერთად ცეკვაზეც კი უარი ვთქვით.



– შენ რა, ფემინისტი გახდი? – წარბები აზიდა ანიმ.

– ყველა ფემინისტის დედაც ვატირე! ფემინისტი კი არ გავხდი, ღმერთმა ქალად რომ გამაჩინა, მე კი ქალობა რომ დავივიწყე და კაცად ვიქეცი, იმას ვტირი. ჭირს წაუღია ემანსიპაცია და ყურით მოთრეული ყველანაირი თანასწორობა! ქალობა მომენატრა, გესმით?! მაინცდამაინც კაცთან ერთად ლოგინში კოტრიალი კი არა, თავზე ხელის გადასმა, გულში ჩახუტება, ალერსიანი მზერა, ზრუნვა, იმის განცდა, რომ მელოდებიან, ჩემზე ფიქრობენ და ვენატრები და, კიდევ რაღაც-რაღაცეები... მე ოთხივეს სახელით იმიტომ დავიწყე ამ თემაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ ერთმანეთის ყველაფერი ვიცით და, რა დასამალია, რომ, მთავარი ბედნიერება – იყო სასურველი და საყვარელი ქალი – პრაქტიკულად, არც ერთს არ განგვიცდია და, საუბედუროდ, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ არ ვართ იშვიათი გამონაკლისი. ჩვენი მდგომარეობა უკვე ნორმაა, თუმცა, გარკვეული მოსაზრებით, მდედრობითი სქესის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით, ბევრი უპირატესობა გაგვაჩნია: არ გვშია, არ გვწყურია, არ გვცივა და ასე შემდეგ. თუმცა, ერთერთი მთავარი რამ, ყველას გვაკლია, განსაკუთრებით კი ქართველ ქალებს – ოთხმოცდაათი პროცენტი ჩვენნაირ და ჩვენზე უარეს მდგომარეობაშია. თუ რომელიმე თქვენგანი არ მეთანხმება, მაშინ, მე დაგისვამთ ერთ კითხვას და ნუ გეწყინებათ: რამდენი ხანია, მამაკაცი არ მოგფერებიათ? რამდენი ხანია, თქვენზე, როგორც ქალზე, არავის უზრუნია? წეღან ვთქვი, ეს არ არის მთავარი-მეთქი, მაგრამ არცთუ მეორეხარისხოვანი უნდა იყოს. ამიტომ, მაინც გკითხავთ: რამდენი ხანია, სექსი აღარ გქონიათ? ერთი თვე? ერთი წელი? ხუთი წელი? მეტი? და, ამის შემდეგ, რომელიმე ჩვენგანს ნორმალური ქალი ჰქვია? იქნებ, რომელიმე თქვენგანი არ მეთანხმება? მაშინ, ადგეს და მითხრას, რომ არა ვარ მართალი; დამარწმუნოს, რომ ვცდები და გავჩუმდები! უფრო მეტიც – ხმამაღლა მოვიხდი ბოდიშს.

ანი, თიკა და ელენე გაჩუმდნენ და თავი ჩაღუნეს. ანუკა მიხვდა, რომ ერთი აბღავლება ქვეყანას ერჩივნათ მის დაქალებს და არც თვითონ იტყოდა ამაზე უარს, მაგრამ, მაინც გადაწყვიტა, სათქმელი ბოლომდე მიეყვანა:

– თქვენ რა გგონიათ, ამდენი წლის განმავლობაში რატომ არ გავთხოვდი ან მეგობარი არ გავიჩინე?! მხოლოდ ჩემი „მორალური მდგრადობის“ გამო?! ცხადია, ესეც იყო მიზეზი, მაგრამ, ფიზიოლოგია თავისას მოითხოვს და, ამიტომ, ერთ დღეს, ქმართან გაყრის შემდეგ ორჯერ მწარე იმედგაცრუებისა და დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ, მივაფურთხე ეშმაკს და გადავწყვი-



ტე, მეღალატა ჩემი პრინციპებისთვის, ანუ, პაემანზე წავსულიყავი. არცთუ მცირე რაოდენობის თაყვანისმცემელთაგან, ჩემი აზრით, ყველაზე ნორმალური გამოვარჩიე და შეხვედრაზე დავთანხმდი. მაგრამ, კავალერი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მეპადხოდებოდა და ლამის ჩემს ნაფეხურებს ჰკოცნიდა, უკვე წასვლას აპირებდა დათქმული ადგილიდან, რადგან, ზუსტად ხუთი წუთი დამაგვიანდა. მოკლედ, სულზე მივუსწარი. ოდნავ ცივი, თუმცა, თავშეკავებული საყვედურის შემდეგ, ერთ პატარა რესტორანში შემიყვანა და საკმაოდ მწირი შეკვეთა მისცა. გადახდის დროს დანახარჯი ხელსახოცზე დაიანგარიშა და ხურდის დაბრუნებისას, 50 თეთრის დაკლების გამო, მიმტან გოგონას შავი დღე აყარა. სხვათა შორის, მერე, ლაპარაკში გაირკვა, რომ დათქმულ ადგილზე ჩემთან შეხვედრამდე კარგა ხნით ადრე მისულა, ახლომახლო რესტორნები ჩამოუვლია და გაუგია, რომელში როგორი ფასები იყო და ამის გათვალისწინებით შეარჩია ის კონკრეტული რესტორანი, რომელშიც დამპატიჟა. სახლში გაცილებისას კი, ერთი საათის ლოდინის შემდეგ, „მარშრუტკაში" ჩამსვა და ხელი კმაყოფილმა დამიქნია – ხვალამდეო. არადა, იქიდან ჩემს სახლამდე ტაქსი, მაქსიმუმ ორ ლარს გამოართმევდა.

– იქნებ, ფული არ ჰქონდა ადამიანს, უფრო სწორად, რესტორანში გადახდის შემდეგ აღარ დარჩა?! – სცადა გამოსარჩლება ელენემ.

– იცი, ელენე, ეგ მეც ვიფიქრე. უფრო სწორად, გამიხარდებოდა, ასე რომ ყოფილიყო. მინდოდა, გამემართლებინა და, ამიტომ, ნაცნობ-მეგობრების მეშვეობით გავარკვიე, რომ ის ჩემი „რაინდი" ისეთ ფირმაში მუშაობს საკმაოდ სერიოზულ თანამდებობაზე, რომ თვეში ათას ხუთასი დოლარი აქვს ხელფასი, პლუს პრემიები და ბონუსები და მხოლოდ მოხუცი დედა ჰყავს სარჩენი, სხვა არავინ. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ სულაც არ არის გაჭირვებული. თანაც, ჩემო კარგო, ასეთ სიტუაციაში თვით ყველაზე უფულო, მაგრამ, თავმოყვარე ქართველი მამაკაცი ფულს ისესხებდა და ქალთან თავს არ შეირცხვენდა. მინდა, ისიც გითხრა, რომ მანქანაც ჰყოლია, თანაც, ორი – სამსახურის და საკუთარი, მაგრამ, რატომღაც, მაინც საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსულა პაემანზე – ეს თვითონ მითხრა საუბარში, ალბათ, ბენზინი დაზოგა.

– მერე, შეარჩინე? – დაინტერესდა თიკა.

– რა თქმა უნდა, არა! – თქვა ანუკამ და ხმაზე შეეტყო, რომ სევდამ გაუარა და ბავშვური ანცობის ხასიათზე დადგა.

– ეჩხუბე?

– არა, უარესი გავუკეთე.

– რა? შენი ამბავი რომ ვიცი, საშინელებას იზამდი! გვითხარი დროზე, თორემ, ინტერესისგან ლამის გავგიჟდეთ! – მიაყარეს გოგოებმა და სმენად იქცნენ.

– მეორე საღამოს იმავე ადგილას, იმავე საათზე დავუთქვი პაემანი. ტელეფონში ჩემი ხმა რომ გაიგონა, კინაღამ შეიშალა სიხარულისგან. ყურებს არ ვუჯერებო, – მითხრა.

– მერე?

– ამჯერად ათი წუთით ადრე მივედი.

– შენი მანქანით?

– არა, უმანქანოდ. იქ რომ დავხვდი, შეცბა, საათზე დაიხედა და თავის მართლება დაიწყო – არ დამიგვიანიაო. მე დავაწყნარე – როცა ადამიანი გიყვარს, მთელი ცხოვრებაც რომ ელოდო, ღირს-მეთქი. შეიფერა იმ დებილმა. მერე მკითხა, ახლა რა უნდა ვქნათო. წარმოგიდგენიათ?! მე მკითხა, რა უნდა ვქნათო. მაგრამ, არ შევიმჩნიე და ვუპასუხე, რომ ახლა ყველაზე ძვირიან და ყველაზე მოდურ რესტორანში წაგიყვან-მეთქი. რა საჭიროა ზედმეტი ხარჯი, კაფეში შევიდეთო, – ალბათ ეგონა, ფულს გადავახდევინებდი. ნუ გეშინია, მე ვიხდი-მეთქი, – ვანუგეშე. მართლაც, მაშინვე დაწყნარდა. გზაში ყოველგვარი მიკიბვა-მოკიბვის გარეშე ვკითხე, რომელი კერძები და რომელი სასმელი გიყვარს-მეთქი. ყოველგვარი დამორცხვების გარეშე ჩამომითვალა, რაც უყვარდა – კარგა გრძელი სია იყო.

რესტორანში საუკეთესო ადგილზე ვისხედით. ფიზიკურად მართლაც წარმოსადეგი მამაკაცია, მახინჯი მეც არ ვარ, ერთი სიტყვით, კარგი წყვილი ვიყავით და მთელი რესტორანი ჩვენ გვიყურებდა.

ყველა ის კერძი და სასმელი მოვატანინე, რაც გზაში ჩამომითვალა. გემრიელად შეექცა, მხოლოდ ერთხელ ჩაფიქრდა წამიერად და ვითომ სხვათა შორის თქვა, ძალიან ძვირი ღირება ეს ყველაფერიო. მე ვიხდი-მეთქი, – გავუმეორე და მეტად აღარ ამოუღია ხმა – ისევ ჭამა განაგრძო. საუბარიც მე მიმყავდა. მუსიკა რომ დაუკრეს, ვიცეკვოთ-მეთქი, შევთავაზე. უარი მითხრა – ვინმე ნაცნობი იქნება და დამინახავსო – სოფლელი ქალწულივით გაინაზა. ჭამა-სმა რომ მოათავა, სასაუბრო თემაც გამოგველია და, წავიდეთ-მეთქი, – ვუთხარი. დაახლოებით ნახევარი კილომეტრი ფეხით გავიარეთ. ძალიან კმაყოფილი იყო და ათას სისულელეს როშავდა. „ერთი სული მაქვს, როდის გიხილავ ჩემი ოჯახის დიასახლისად", – ერთი სამჯერ მაინც გაიმეორა რომელიღაც სერიალში გაგონილი თუ ბულვარულ რომანში წაკითხული ეს ტუტუცური ფრაზა. ეტყობა, იფიქრა, ასე თან რომ მყვება, ჩემი სიყვარულით იწვისო. ის კი დაავიწყდა, ცოტა ხნის წინ იმის რომ შეეშინდა, ვინმეს არ დაენახა ჩემთან ერთად. თუმცა, მე არაფერ შუაში ვარ, ამავეს ეტყოდა ნებისმიერ სხვა ქალს... – ანუკამ ღრმად ამოისუნთქა და ცოტა ხანს გაჩუმდა.

– მერე? – ლამის კივილით იკითხეს გოგოებმა. ძალიან აინტერესებდათ, რით დამთავრდა ეს პაემანი.

– მერე, როცა მივხვდი, რომ ჩემი მოთმინების ფიალა ივსებოდა და მალე ლანძღვა-გინების კორიანტელს დავაყენებდი, ვუთხარი, უკვე მეჩქარება და სახლამდე მიგიყვან-მეთქი. არ მინდა, მე თვითონ მივალო, – გამენაზა. მე გამოგიყვანე სახლიდან და მე უნდა მიგიყვანო-მეთქი. დავდექით ტროტუარის ნაპირას ტაქსის გასაჩერებლად. ერთი ათმა მანქანამ მაინც ჩაიარა, მაგრამ, ხელი მანამდე არ ავწიე, სანამ ტაქსად „ქცეულმა", კარგად მოვლილმა, შავმა „ბეემვემ" არ გამოიარა. მანქანა რომ გაჩერდა, უცერემონიოდ მიადგა წინა კარს, გამოაღო და მძღოლის გვერდით მოკალათდა. კინაღამ გადავირიე. კარის მიხურვა არ ვაცალე – თუ შეიძლება, გადმოდი-მეთქი. გაოცებულმა შემომხედა, მაგრამ, მაინც გადმოვიდა. მე წინა კარი მივხურე და უკანა გამოვაღე – აქ დაბრძანდი-მეთქი. დამემორჩილა, თუმცა, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. მე მეორე მხრიდან შემოვუარე მანქანას, ჩემს „რაინდს" გვერდით მივუჯექი და არცთუ ჩუმად ვუთხარი:

– როცა მამაკაცი ქალთან ერთად მგზავრობს მანქანით, მით უმეტეს, თუ ის კა-

**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

ცი ამ ქალს ეტრფის, ჯერ ქალი უნდა დასვას უკანა სავარძელზე, თვითონ კი გვერდით მიუჯდეს. თქვენთვის ეს არავის უსწავლებია?

საკმაოდ დაიბნა, გაწითლდა და თავის გასამართლებლად რაღაც წაიბურტყუნა. ორიოდე წუთის შემდეგ კი ყველაფერმა გაუარა და, ჩემი სიჩუმით გათამამებულმა, კმაყოფილი ღიმილით გადამხვია ხელი. ისე გადავირიე, კინაღამ სახეში გავულაწუნე. საკმაოდ უხეშად მოვიშორე მისი ხელი, მერე ბლოკნოტიდან ფურცელი ამოვხიე, რამდენიმე სიტყვა მივაჯღაბნე და წინასწარ მომზადებულ კონვერტში ჩავდე.

– რას წერ, ძვირფასო? – არ გაიტეხა იხტიბარი.

– შენ გწერ. ოღონდ, პირობა უნდა მომცე, მხოლოდ მაშინ წაიკითხავ, როცა დასაძინებლად დაწოლას დააპირებ, ისე ეფექტი არ ექნება.

– სიტყვას გაძლევ, – მითხრა, ფურცელი გამომართვა და სათუთად შეინახა გულის ჯიბეში.

ათიოდე წუთში ტაქსი ნუცუბიძის ქუჩაზე, აგურით ნაშენ ლამაზ ორსართულიან სახლთან გაჩერდა. მე გადმოვედი, კარი გავუღე და გადმოსვლა ვაცადე.

– იმედია, სახლის კარამდე მიცილება აუცილებელი არ არის. პირობა არ დაგვაიწყდეს, – ვუთხარი ცივად, ხელზე საამბოროდ გამზადებულს ზურგი შევაქციე, მძღოლის გვერდით მოვკალათდი და ჩემი წუწურაქი რაინდი გაღიმებული დავტოვე საკუთარი სახლის ჭიშკართან.

– სახლში ასვლა არ შემოგთავაზა?

– მსგავსი არაფერი მომხდარა.

– როგორ დასრულდა ეს ისტორია?

– არც არანაირად. ამის შემდეგ აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. ერთადერთხელ დავინახე ქუჩაში, „თიბისი“ ბანკთან და თვალი ამარიდა.

– იმ ფურცელზე რაღა დაუწერე, რომელიც კონვერტით მიეცი? – ჩაეძია ანი, რადგან, მიხვდა, რომ სწორედ იმ წერილში იყო ძაღლის თავი დამარხული.

– სულ ოთხი წინადადება: „აი, ასე უნდა მოიქცე ქალთან. სიძუნწე დაგღუპავს. ყურადღებით წაიკითხე წიგნი „ყოფაქცევის ესთეტიკის“ თანამედროვე გამოცემა. სულ კარგად ბრძანდებოდე“. მაგრამ, წერილის გარდა, იმ კონვერტში მეორე ბომბიც ჩავდე, თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ იმ მეორე „ბომბის“ დანახვა ჩემს გობსეკს გაუხარდებოდა კიდეც.

– რა ბომბი?

– ის 19 ლარი და 50 თეთრი – ზუსტად იმდენი, რამდენიც პირველი შეხვედრის დროს რესტორანში დახარჯა.

– 19 ლარი და 50 თეთრი ჩაუდე კონვერტში?! – გადაირივნენ გოგოები.

– არა, ოცლარიანი და კუპიურაზევე მივაწერე – ხურდა საჭირო არ არის-მეთქი.

გოგოები კიოდნენ, სულს ძლივს ითქვამდნენ სიცილისგან.

– უკაცრავი პასუხია, მაგრამ, თავზე გიქნია იმ უბედურისთვის და ვერ მიმხვდარხარ, – ამოიხვალა თიკამ.



– მე კი მივხვდი, მაგრამ, მგონი, თვითონ ვერ მიხვდა და სულ ტყუილად ვიჩალიჩე ამდენი, – გაეცინა ანუკას, – ჰოდა, ამხელა ისტორიაც იმიტომ მოგიყევით ასე დაწვრილებით, რომ ერთი რამ მეთქვა: არასდროს არ უნდა უღალატო საკუთარ პრინციპებს, თუ არ გინდა, რომ კიდევ ერთხელ დარჩე გაწბილებული. აბა, როგორ ფიქრობთ, ამ ისტორიის შემდეგ კიდევ გამიჩნდებოდა მამაკაცთან პაემანზე წასვლის სურვილი?!

სევდიანი განწყობა მალე გაიფანტა და მეგობრების სუფრასთან ისევ მხიარულებამ დაისადგურა. თერთმეტი საათისთვის კი წამოიშალნენ. და რესტორნიდან გამოსვლისას მთელი დარბაზის გაოცებული მზერა გამოიყოლეს.

ანუკამ მანქანით ჩამოარიგა გოგოები სახლებში და 12 საათი ხდებოდა, თავის სადარბაზოს რომ მიადგა. ავტოფარეხთან უცნობი მამაკაცის სილუეტი დალანდა და, ცოტა არ იყოს, შეეშინდა, მაგრამ, სანამ მანქანა დააყენა, უცნობი აღარ ჩანდა. ყოველი შემთხვევისთვის, მობილურით მარის დაურეკა, მოვედი და გადმოიხედეთო. ეს უფრო გულის დასამშვიდებლად მოიმოქმედა, თორემ, რამე რომ მომხდარიყო, ფანჯრიდან ვინ რას უშველიდა.

***

მეორე დღეს, დილით, სანამ სამსახურში წავიდოდა, ანუკას უცნობმა მამაკაცმა დაურეკა და შეხვედრა სთხოვა.

– ვინ ბრძანდებით ან ჩემი ტელეფონის ნომერი ვინ მოგცათ?

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ძალიან გთხოვთ, ქალბატონო ანუკა, იქნებ, როგორმე მოიცალოთ და თხუთმეტი წუთი დამითმოთ. მხოლოდ თქვენ თუ მიშველით! – მამაკაცის ხმაში ვედრება ისმოდა.

– ახლა სად იმყოფებით? – ანუკამ გადაწყვიტა, სამსახურში დაებარებინა და იქ გაერკვია, რა უნდოდა უცნობს.

– თქვენი სახლის წინ ვდგავარ და მობილურით გირეკავთ.

„მისამართიც გაუგია, ტელეფონის ნომერიც. ეტყობა, რაღაც სერიოზული ამბავია“, – გაიფიქრა ქალმა, მაგრამ, ვერაფრით მიხვდა, მისგან რას ითხოვდნენ, ან, რით შეეძლო, დახმარებოდა უცნობ მამაკაცს.

– ხუთ წუთში ჩამოვალ, დამელოდეთ! – ჩასძახა ყურმილში, ჩანთას და ქურთუკს წამოავლო ხელი და კიბეები ჩაირბინა. სადარბაზოდან რომ გავიდა, მოშორებით მდგარი ორმოცდაათიოდე წლის სიმპათიური მამაკაცი შენიშნა. თითქოს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, მაგრამ, რაღაცნაირი სევდიანი და დაჩაგრული იერი დაჰკრავდა.

„ახლა ეს რაღაც არაკებს მოიგონებს და ფულს მთხოვს“, – გაიფიქრა ანუკამ, თუმცა, ალღოთი იგრძნო, რომ უცნობი ფულისთვის არ იყო მისული.

ანუკამ მანქანა გამოიყვანა და მამაკაცის წინ გააჩერა:

– დაბრძანდით. სამსახურში მაგვიანდება და გზაში მითხარით სათქმელი, დროს მოვიგებთ.

მამაკაცი ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი კარი გამოაღო და ანუკას გვერდით დაჯდა.

– გამარჯობა. მე გიგა მქვია. თქვენ მე არ მიცნობთ და, ალბათ, ვერც ვერასდროს გამიცნობდით, რომ არა თქვენი მეუღლე...

– მე მეუღლე არ მყავს, – ანუკას ხმაში გაღიზიანება დაეტყო.

– უკაცრავად, რომ არა თქვენი ყოფილი მეუღლე... – ახალგაცნობილი მამაკაცი აშკარად თავს ვერ უყრიდა სათქმელს.

– მე მასთან არანაირი კავშირი არ მაქვს. წლებია, არც მინახავს და არც დავლაპარაკებივარ. ასე რომ, ვფიქრობ, ვერაფერში დაგეხმარებით.

– არა, თქვენ ვერ გამიგეთ. მე ახლა ძალიან ვღელავ და, მიჭირს, დალაგებით გითხრათ ჩემი სათქმელი. ისიც ვიცი, რომ არამამაკაცურია ჩემი საქციელი – თქვენთვის არ უნდა მომემართა, მაგრამ, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე...

ანუკამ იგრძნო, რომ ახლა ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან საშინელი რამ უნდა გაეგო. მანქანა ბორდიურთან მიაყენა, ძრავა გამორთო და დაბნეულ მამაკაცს მიუბრუნდა:

– გისმენთ. მამაკაცურია თუ არამამაკაცური, რაკი ეს ნაბიჯი გადადგით, ესე იგი, რაღაც ძალიან გიჭირთ. რადგან დაიწყეთ, ბოლომდე თქვით სათქმელი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №12-51(677)

### შეთქმულების თეორია

სახლში დაბრუნებულ ქეთას ძიძა შეშფოთებული დაუხვდა. ქალი ისე მიეგება სახლის კართან და ისეთი დამფრთხალი სახე ჰქონდა, რომ მისი მღელვარება ქეთისაც გადაედო.

– ნანა, რა ხდება? ბავშვს ხომ არაფერი უჭირს? სიცხე აქვს? ახველებს? სად არის? – სხაპასხუპით მიაყარა შეკითხვები.

– ბავშვი კარგად არის, ოთახშია და თამაშობს. ახლახან ვაჭამე.

– უჰ, მომეშვა. აბა, შენ რა გჭირს? ოჯახში ხომ მშვიდობა გაქვს?

– მე კი მაქვს ოჯახში მშვიდობა, მაგრამ, ვახომ დარეკა.

ქეთი პალტოს კიდებდა. ამ სიტყვების გაგონებაზე შემობრუნდა:

– მართლა? როდის?

– ეს წუთია, მაგრამ, წელანაც დარეკა და ორი საათის წინაც.

– მერე, რა უნდოდა, მოვენატრეთ? – ჩაიცინა ირონიულად.

– ქეთი, ძალიან გაბრაზებული იყო.

– ჰმ, ეგ ჩემი პრობლემა არ არის.

– ქეთი... შენი პრობლემაა. ძალიან გაბრაზებული იყო-მეთქი. შენზე იყო გაბრაზებული. სულ დაწვრილებით გამომკითხა, სახლში როდის მოდიხარ, ვინმეს თუ ხვდები, აქ თუ გაკითხავს ვინმე... ერთი სიტყვით, ნამდვილი დაკითხვა მომიწყო.

– მთვრალი იქნებოდა ვაჟბატონი და გაილვიძა მასში მესაკუთრემ, – მხრები აიჩეჩა ქეთიმ, – სიმართლე რომ გითხრა, ეს ამბავი ძალიან ნაკლებად მაღელვებს.

ნანამ თვალები აახამხამა და შეყოყმანდა.

– რა მოხდა? რისი თქმა გინდა? რომ ჩემი ეგოისტი ქმრის უნდა მეშინოდეს და, რადგან მას აღარ ვჭირდები, მონაზონივით უნდა ვიცხოვრო? – გაცხარდა ქეთი, – რა მაგისი საქმეა, სად დავდივარ, ვისთან და რატომ? შენც, ალბათ, იდექი და პასუხობდი... ვერ დაუკიდე ყურმილი?

ნანა შეწუხდა:

– ასეთ სიტყვებს არ ვიმსახურებ შენგან. როგორ უნდა დამეკიდა ყურმილი, რა წესია? თანაც, აშკარად ძალიან ცუდ გუნებაზე იყო. საშინელზე. რაღაც წამოსცდა – ეგ, თურმე, მომენტს არ უშვებს ხელიდანო... რა ჩემი საქმეა, მაგრამ, მგონი, ვიღაცამ რაღაც ძალიან ცუდი უთხრა. ხმაც არ უკანკალებდა ბრაზისგან და არც მთვრალს ჰგავდა. შენ იცი, თუმცა, მე მაინც მგონია და გეტყვი, რომ თქვენი ამბავი ძალიან გამწვავდა.

– მერე, ვინ არის ამაში დამნაშავე? კარი თვითონ არ გაიჯახუნა და გავარდა? – აყვირდა ქეთი, – კიდევ მე უნდა ვიზრუნო მის გუნება-განწყობაზე? გაბრაზებული ყოფილა ბიჭი!

– ქეთი, უნდა დალაპარაკებოდი. ხომ ხედავ, საქმე სადამდე მივიდა, – გულწრფელი სინანულით ჩაილაპარაკა ნანამ.

– მე დავლაპარაკებოდი? სახლიდან ხომ ის გაიქცა?.. მოკლედ, მომეშვას და თავის ცხოვრებას მიხედოს, მე ჩემსას მივხედავ.

ქეთიმ ჩექმები გაიძრო, დაუდევრად მიყარა კუთხეში და ოთახში ბუზღუნით შევიდა. ნანა უკან მიჰყვა.

– რა ვქნა ახლა მე, წავიდე? – ჰკითხა დაბნეულმა.

– რა ვიცი, წადი. შენი სამუშაო დრო დამთავრდა.

– მარტო დაგტოვო? რომ მოვიდეს?

– ვინ, ვახო? ჰმ, მერე რა, მოვიდეს, გგონია, მაგის მეშინია?

– რა ვიცი, აბა... სკანდალი არ მოგიწყოს, არაფერი მოხდეს... ხომ არ დავრჩე შენთან?!

– არა, რისთვის? ხომ გითხარი, არ მეშინია-მეთქი. ეგეთი ვაჟკაციც არ არის, რომ მობრძანდეს. საინტერესოა, რა პრეტენზია უნდა წამომიყენოს, რას ვაშავებ?

ნანა შეყოყმანდა.

– ქეთი, მართლა ხვდები ვინმეს? – ჰკითხა მორიდებით.

ქეთიმ ხელი ხელს შემოჰკრა:

– მოკლედ, გამაოგნებელი ამბავია. რატომ გაინტერესებთ ასე ყველას ჩემი პირადი ცხოვრება? ზრდასრული, სრულწლოვანი ადამიანი ვარ. ჩემს ცხოვრებას ისე მოვექცევი, როგორც საჭიროდ მივიჩნევ. არ მაქვს უფლება?

– უფლება როგორ არ გაქვს, მაგრამ...

– ჰოდა, მომეშვით... ყველამ თავი დამანებეთ... ჩემზე არავინ ფიქრობს, და, საერთოდაც, გეყოფათ, ნუ მტანჯავთ ამ სულელური რჩევა-დარიგებებით.

– კარგი, აღარ შეგაწუხებ. მე, უბრალოდ, ვალდებული ვიყავი, მეთქვა, რაც მოხდა. ხვალ მოვალ... დილით...

ქეთი მარტო დარჩა. ბავშვთან გავიდა და ჩაეხუტა. საშინელ სიცარიელეს გრძნობდა. იტირებდა, მაგრამ, შვილი შეებრალა. პატარა ისე შესციცინებდა, რომ გული შეეკუმშა... „დებილი ვარ, მართლა რატომ მივიყვანე საქმე იქამდე, რომ ვახოსთან ლაპარაკს ველარ ვახერხებ? რისთვის მჭირდებოდა ეს ყველაფერი, რატომ გავუშვი? ახლა კი სისულელეს სისულელეზე ვაკეთებ... რა ვქნა, როგორ მოვიქცე?..“

***

გიგი შეშფოთებული ადევნებდა თვალს ვახოს, რომელიც ჭიქას ჭიქაზე სცლიდა...

– გეყოფა, რა, უკვე მთვრალი ხარ, ცუდად არ გახდე.

– ცუდად გავხდე, რა, თხუთმეტი წლის თინეიჯერი ვარ?! შენ ხომ მითხარი, ცოტა ალკოჰოლი არ გაწყენსო. ჰოდა, ახლა ჭკუას ნუღარ მარიგებ.

– ცოტა არ ნიშნავს ნახევარ ბოთლს. აღარ დალიო...

ვახომ გამეტებით დაარტყა ხელი მაგიდის ზედაპირს:

– მართალი ხარ, აღარ დავლევ. ახლა ავდგები და ჩემს ცოლს ვესტუმრები.

გიგის გული გადაუქანდა:

– აუჰ, ესლა გვაკლდა. რა გინდა ჩემგან, ტო... ვნანობ, რომ ვთქვი და დაგანახვე ქეთი. სად არის შენი კეთილგონიერება? ამაზე დიდ სისულელეს ვერ გააკეთებ... ახლა ცოტა დამშვიდდი, დაიძინე და ხვალ დაელაპარაკე. დამიჯერე, რა!

– არა, ახლავე უნდა წავიდე. მომეცი მანქანის გასაღები!

– რომელი მანქანის? – ვითომ ვერ მიხვდა გიგი.

– შენი მანქანის და ეგრე ნუ მიყურებ, მაინც ვერ გადამათქმევინებ. რადგან ვთქვი, წავალ კიდეც.

– მთვრალი უნდა დაჯდე საჭესთან? თანაც, ჩემს მანქანაზე?

– ჰო. პირველად ხომ არ ვჯდები შენი მანქანის საჭესთან, მთელი საღამო მე არ ვიჯექი?

– მაშინ ნასვამი არ იყავი, ახლა კი მაგარი მთვრალი ხარ.

– გიგი, არ ვაპირებ შენთან დებატებს. მომეცი გასაღები!



– ვახო, მორჩი ამ სისულელეს...
– მომეცი გასაღები...
გოგიმ სასოწარკვეთით დააცეცა თვალები.
– დამიმტვრევ მანქანას. მანქანას ვინ ჩივის, შენ რამე არ დაგემართოს... მერე, ვინ იქნება პასუხისმგებელი?
– მე. სრულწლოვანი ვარ. მანქანას თუ დაგიმტვრევ, მევე გაგიკეთებ. შენ არ იდარდო მაგაზე. მომეცი გასაღები..
– ქეთისთანაც გააფუჭებ ყველაფერს.
– ეგ შენი საქმე არ არის.
– ვერაფრით გადაგაფიქრებინებ?
– ვერა. მომეცი გასაღები. გოგი, ისე ნუ იზამ, რომ ძალით წაგართვა. იცი, თუ მოვანდომებ, შევძლებ ამას.
– მე წაგიყვან, – ნაწილობრივ დათმობაზე წავიდა გოგი.
– არა, მარტო წავალ. ჩემს ცოლთან მოწმეები არაფერში მჭირდება.
– ქვემოთ დაგელოდები, საერთოდ არ ამოვალ ზემოთ.
– გოგი, ნერვებს ნუ მიშლი, გასაღები მომეცი!
გოგიმ ამოიოხრა და გასაღები გაუწოდა. ვახომ ქურთუკს სტაცა ხელი და გავარდა. გოგიმ თავზე იტაცა ხელები. ყველაფერს ნანობდა: იმასაც, რომ ვახოს თავისთან ცხოვრება შესთავაზა; იმასაც, რომ ქეთი და თავისი კავალერი მეგობარს დაანახვა... ნინისთან თავის დაშორებასაც... თუმცა, გულის სიღრმეში მეგობარს მაინც ეთანხმებოდა და იმასაც ხვდებოდა, რომ მის ადგილას თვითონაც ზუსტად ასე მოიქცეოდა.

***

ლიზამ მძინარე ქმარს ლოყაზე აკოცა. მობილური აიღო და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.
– ალო, ნინი, შენ ხარ? რა ხმა გაქვს, ხომ არ გაგაღვიძე? უი, არ ვიცოდი, ასე ადრე თუ იძინებდი... რა განერვიულებს... ყველაფერი კარგად არის... დაგირეკა თომამ? ჰო? მერე, რაო? არა უშავს. მაგარი ამბავი მაქვს შენთვის... დილამდე? არა, ვერ მოვიცდი. ჩემმა ქმარმა ივენთის მოწყობა გადაწყვიტა – თავისი კაფე უნდა გააპიაროს, მთხოვა, შენი მეგობრები და ნაცნობები დაპატიჟეო. თანამშრომლებიც, რა თქმა უნდა. იცი, კიდევ ვის ეპატიჟება? გადაირევი, რომ გაიგებ. გოგი რომ მუშაობს, იმ კომპანიას.
– ლიზა, შენ ხომ არ გაგიჟდი, ეს არის მაგარი ამბავი? ამისთვის გამაღვიძე შუაღამისას? ან, ფიქრობ, რომ მე მოვალ მაგ ივენთზე? თუ ღმერთი გწამს, მომეშვი, ფეხის დამდგმელი არ ვარ მაგ წვეულებაზე. არც იოცნებო! – გაისმა ნინის გაღიზიანებული ხმა.
– პირიქით, პირიქით, სულელო. აუცილებლად უნდა მოხვიდე, ოღონდ, ძალიან მაგარ ფორმაში და თომასთან ერთად. გასკდება გოგი ბოღმისგან. თან, იმასაც მიხვდება, რომ შენთან შანსი აღარ აქვს, – ხმადაბლა ატიტინდა ლიზი.
– მორჩა, მაგ თემაზე ლაპარაკს აღარ ვაპირებ. ტყუილად თავი აღარ შეიწუხო და აღარ დამირეკო. არც ხვალ მითხრა



რამე სამსახურში, თორემ, გადავირევი.
– აუ, ნინი, მოიცა, რა... არაჩვეულებრივად გავერთობით. ძალიან მაგარი იქნება. ქეთისაც დავპატიჟებ და...
– ისევ ქეთი! – შეჰყვირა ნინიმ, – მორჩა! არაფრის გაგონება აღარ მინდა, მომეშვი და დაიძინე...
ლიზამ ტუჩები გაბუსხა: „რა უცნაური გოგოა ეს ნინი... სულ მაგისთვის ვცდილობ, ეს კიდევ ჭირვეულობს და გაუგებარ რაღაცეებზე ნერვიულობს. მაინც დავითანხმებ."
– ლიზა, სად ხარ? – საძინებლის ზღურბლზე ნამძინარევი ლევანი გამოჩნდა, – რა ხდება?
– არაფერი, საყვარელო... წყალი მომინდა და ავდექი.
– მომეჩვენა, რომ ვიღაცას ელაპარაკებოდი, – კაცმა დაეჭვებით დახედა სავარძელზე მიგდებულ ცოლის მობილურს.
– მე? არა... მხოლოდ წყალი დავლიე, – იუარა ლიზამ. ქმართან მივიდა და მიეხუტა, – ჩემი ეჭვიანი მეუღლე... რა ჩერჩეტი მყავხარ, ამ შუაღამისას ვის უნდა ველაპარაკებოდე?
– რა ვიცი, მეც ეგ გამიკვირდა.
– წყალი დავლიე. სულ ეს იყო. წავიდეთ, დავიძინოთ, ხვალიდან შენი წვეულებისთვის მზადებას შევუდგები. ცოტა მუცელი შემეტყო და, მინდა, ისეთი კაბა ვიყიდო, რომელშიც ძველებურად მომხიბვლელი ვიქნები.
– ფული რამდენიც გინდა, აიღე, ჩემს ბარათს მოგცემ, – ლევანმა კიდევ ერთხელ გაიხედა მობილურისკენ, ლიზამ გაიცინა და ქმარს მთელი სხეულით უფრო მაგრად მიეკრა. კაცს მაშინვე გადაავიწყდა თავისი ეჭვები...

***

ქეთის ზარის ხმა ძილში ჩაესმა. იფიქრა, მომეჩვენებოდაო და გვერდი იცვალა. მერე, როცა ზარს კარზე ფეხების ბრახუნიც მოჰყვა, იკადრა ადგომა. ხალათი ნაჩქარევად შემოიცვა და, შეშინებული, ფეხაკრეფით მიუახლოვდა კარს. ბრახუნი განმეორდა.
– ვინ არის? ვინ ხარ?
– კარი გააღე, ვახო ვარ! – მოესმა გარედან.
ქალმა ქმრის ხმა ვერ იცნო.
– შენ ვახო არ ხარ. ახლავე მოსცილდი კარს, თორემ, პოლიციაში დავრეკავ!
– ქეთი, ვახო ვარ. თუ არ გჯერა, სათვალთვალოში გამოიხედე და დარწმუნდები.
ქეთიმ ფრთხილად გაიხედა სათვალთვალოში. კართან მართლაც ვახო იდგა და ბარბაცებდა. ცოტა იყოყმანა და ურდული გახსნა. ვახო სახეარეული შემოვიდა ბინაში და ცოლს ამღვრეული მზერა მიაპყრო.
– მშვენივრად გამოიყურები... რა იყო, სხვას ხომ არ ელოდი? რაღაც, ძალიან გაოცებული მიყურებ...
– ვახო... რა გინდა, რისთვის მოხვედი? თუ საჩხუბრად, ცუდი დრო შეგირჩევია, ძალიან დაღლილი ვარ და მეძინება... თანაც, არ მინდა, ამ შუაღამისას აქ სკანდალი მომიწყო და სამეზობლო ფეხზე დააყენო. მთვრალი ხარ და არც საუბარი გამოგვივა, – ქეთი ცდილობდა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა.
– საჩხუბრად არ მოვსულვარ, – თავი გადააქნია ვახომ, თან ცოლს მზერას არ აშორებდა.
– აბა, რისთვის მოხვედი?
– აი, ამისთვის, – მოულოდნელად ვახო ცოლს სწვდა, ხელში აიტაცა და საძინებლისკენ გააქანა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**დიდი საახალწლო ფასდაკლება სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი – 2010-ში"**
ერთ საატესტატო საგანში მომზადება – 23 ლარიდან; ერთი საგანი ეროვნული გამოცდებისთვის – 60 ლარიდან!
მოემზადე სასწავლო ცენტრ **„პროფესიონალი – 2010-ში"** და გახდი სტუდენტი – ჩვენი გამოცდილება და პროფესიონალიზმი თქვენი წარმატების საწინდარია!
**მისამართი: ჭოველიძის ქუჩა №5, (რუსთაველის მეტროსთან); დიღმის მასივი, როგაქიძის ქუჩა №7.**
**ტელეფონის ნომრები:**
**555-63-48-01; 2-30-71-13.**

# ქურდული ცხოვრება

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-51 (677)

ოთხი თვის შემდეგ, სექტემბრის მიწურულს, კვლავ თბილისში მომიწია ჩამოსვლა – ერთი ქურდი გარდაიცვალა და მის დასაფლავებას უნდა დავსწრებოდი. ქელეხიდან ადრე წამოვედი და რუსთაველზე ფეხით გავიარე. სასიამოვნო, თბილი საღამო იყო და ნელნელა დავუყევი ჩემს უსაყვარლეს გამზირს. ლაღიძის წყლებთან რომ მივედი, ჩემ წინ „ვოლგა“ გაჩერდა. იქიდან გადმოსული კაცისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და გზა უნდა გამეგრძელებინა. მან კი მკლავზე მომკიდა ხელი და მითხრა:

– კობრა, ჩემო კარგო, როგორ ხარ?

შევხედე და ძევიატკა არ შემრჩა ხელში?! გავუღიმე, ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი:

– არა მიშავს, თავად როგორ გიკითხო?

ძევიატკა გაახალგაზრდავებული ჩანდა და კარგად ჩაცმულიც იყო. მან „ვოლგისკენ“ გაიშვირა ხელი და მითხრა.

– შენი წყალობით, კარგად ვარ. აი, „ვოლგაც“ ვიყიდე ორი კვირის წინ და, საერთოდ, კარგა ხანია, დაგეძებ, რომ მადლობა გადაგიხადო. შენ რომ არა, წელი მომწყდებოდა მაროჟნის თრევით და ისევ ისე მათხოვრულად ვიქნებოდი. ახლა კი დღეში სამოცდოლარიანი ვარ და წინსვლის პერსპექტივაც მაქვს. შენი ჭირიმე, შენ შემოგევლე, გაიხარე, გამრავლდი და ღმერთი გფარავდეს! შენ გამო ვულკანში გადავეშვები. ოღონდ შენ მითხარი და არაფერზე დაგზარდები.

– გაიხარე. კარგად იყავი. ბოდიში, მაგრამ, მეჩქარება. რის მადლობა, – ვუთხარი ძევიატკას, მაგრად ჩამოვართვი ხელი და გზა განვაგრძე.

ერთი შეხედვით, ძევიატკასთვის ხელი არ უნდა გამემართა და მავანმა შეიძლება, ისიც კი თქვას, ქურდული კანონი დაარღვიაო. მაგრამ, ეს ერთი შეხედვით ჩანს ასე და მხოლოდ მარტივი გონების ადამიანს შეუძლია ასეთი მსჯელობა. მე ხელი მილიციელს კი არ გავუმართე, არამედ, ხანში შესულ, გაჭირვებულ ადამიანს და, სწორედაც რომ, ქურდული საქციელია გაჭირვებულის დახმარება, თუნდაც ის ყოფილი მილიციელი იყოს. მით უმეტეს, რომ ძევიატკა რიგითი უბნის ინსპექტორი იყო, ცხოვრებაში ერთი კაციც კი არ ჰყავდა დაჭერილი, მხოლოდ და მხოლოდ მალალეტკებს დასდევდა, რომ არ მოეწიათ და წვრილმანი ქურდობა არ ჩაედინათ. ყველაზე დიდი, რაც ძევიატკას შეიძლებოდა, დაეშავებინა, ის იყო, რომ რომელიმე ჩვენგანს „შობელძაღლოს“ ეტყოდა და ყურის ძირში წამოარტყამდა მსუბუქად. ჩვენ კი ამასაც ვერ გვიბედავდა და როგორც უკვე ვთქვი, გვემალებოდა კიდეც. ერთხელ ხუჭუჭამ აიჩემა, ძევიატკას რამე შტუკა მოვუწყოთ და მასზე ვიკაიფოთო. მე და ყბედალო წინააღმდეგები ვიყავით, მაგრამ, ხუჭუჭა რის ხუჭუჭა იყო, რომ თავისი არ გაეტანა და დაგვითანხმა.

– მაინც, რას უპირებ ამ საცოდავს? – ჰკითხა ხუჭუჭას ყბედალომ.

– უნდა დავშოკო.

– როგორ? – ვკითხე მე.

ხუჭუჭამ ჯერ თქმა დააპირა. შემდეგ კი გადაიფიქრა და მითხრა:

– ეს თქვენთვისაც სიურპრიზი იქნება და, წინასწარ რომ გითხრათ, უეფექტო გამოვა.

ხუჭუჭას კარგად ვიცნობდი და მივხვდი, რიჟას ბაზრობდა. მას რაღაც საშინელება ჰქონდა ჩაფიქრებული და წინასწარ იმიტომ არ გაგვიმხილა, რომ მისი ჩანაფიქრი არ ჩაგვეშალა. ამიტომ, გავაფრთხილე:

– რაღაცას იტყუები და, იცოდე, ისეთი რამ არ ქნა, რომ ცუდი შედეგები მოჰყვეს.

– რა ცუდი შედეგები, პროსტო ძევიატკას მინდა ჩავაფსმევინო, შეიძლება, ჩავასვრევინო კიდეც, – მიპასუხა ხუჭუჭამ.

– რაში გჭირდება ეს? – არ მოვეშვი მე.

– ხომ გითხარი, პროსტო.

– ამ პროსტოობაში კაცს რამე არ დამართო და მერე სანანებელი არ გაგიხდეს, – გავაფრთხილე ხუჭუჭა, მან კი სიცილით მომიგო:

– ნამდვილად არ ვინანებ, თუკი ძევიატკა ჩაიფსამს ან ჩაისვრის. პირიქით, კეთილი, ტკბილი მოგონება და გასახსენებელი ამბავი გვექნება ვზროსლობაში.

– მაგარი სიკეთე და სიტკბოა, თუკი ადამიანს ჩაასვრევინებ....

– კაროჩე, ხვალ, თორმეტ საათზე „მუსორტრესტის“ ასასვლელთან დადექით და არ ინანებთ, – გვითხრა ხუჭუჭამ და წავიდა.

მეორე დღეს მე და ყბედალო მესამე გაკვეთილის შემდეგ ექიმს გავეთავისუფლეთ და „მუსორტრესტის“ ასახვევთან დავდექით, სადაც ფუნიკულიორის ტყე იწყება. ხუჭუჭა და ჯემო საერთოდ არ ყოფილან სკოლაში და, მივხვდით, რომ ჯემო დაიხმარა. თორმეტს ორი წუთი გადასცდა, როდესაც ქოშინ-ქოშინით მორბენალი ძევიატკა დავინახეთ. სხვა დროს აქვე ავორთქლდებოდით, მაგრამ, ვიცოდით, რომ ხუჭუჭა მას რაღაცას უპირებდა და ადგილიდან ფეხიც არ მოგვიცვლია. მან კი შემოგვხედა, ხელში ფურცელი აიფრიალა და ტყეში შევარდა.

– ყბედალო, ეტყობა, ხუჭუჭამ რაღაც საშინელი საზიზღრობა მოიფიქრა. წავედით, გავეკიდოთ, – ვუთხარი ყბედალოს და წინ გავიჭერი, თან, ძევიატკას მივაძახე:

– ძია შაქრო, ძია შაქრო, მოიცადე, თქვი, რა მოხდა!

ძევიატკა შეჩერდა, შემობრუნდა და კვლავ ფურცელი აიფრიალა ხელში. შემდეგ ფურცელი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ მისი აღება არც კი უცდია, ისე შეტრიალდა და სწრაფი სირბილით აუყვა ციცაბო ტყეს. ფურცელს პირველი მე დავწვდი, ამასობაში ყბედალომაც მოირბინა და კითხვას შევუდექით. ხუჭუჭას ლამაზი ასოებით დაეწერა:

„ჩვენი უბნის ინსპექტორი ძია შაქრო, იგივე ძევიატკა, ძალიან მავიწროებს და ისეთ დეპრესიაში ჩავვარდი, რომ თავი უნდა მოვიკლა. თავს ვიკლავ ხვალ, ზუსტად დღის თორმეტ საათზე, ფუნიკულიორის ტყეში და ჩემს სიკვდილში ვადანაშაულებ ძევიატკას. ზურაბ ყიფიანი“.

– რა ჩათლახია ხუჭუჭა, ეს რა მოუფიქრებია, – თქვა ყბედალომ, – წამოდი, კობრა, მართლა რამე უბედურება არ მოხდეს.

მე და ყბედალომ ორმოცდაათიოდე მეტრი გავიარეთ, ჩვენს ბირჟაზე მივედით და თვალწინ ასეთი სურათი გადაგვეშალა: ფიჭვის მსხვილ ტოტზე ბაწარგამობმული ხუჭუჭა ეკიდა. მას ენა ჰქონდა გადმოვარდნილი და, იფიქრებდით, მართლა თავი ჩამოუხრჩვიაო. სინამდვილეში კი ის წელზე გამობმული თოკით იყო ხეზე ჩამოკიდებული, რაც არა ერთხელ უჩვენებია ჩვენთვის. მივხვდით, რომ იქვე ქურთი ჯემოც უნდა ყოფილიყო, რადგან ხუჭუჭა მარტო ვერ შეძლებდა ასეთი ტრიუკის დადგმას. ჯემო, ალბათ, რომელიმე ხეს იყო ამოფარებული. საცოდავი ძევიატკა კი „ჩამოხრჩობილიდან“ ხუთიოდე მეტრის დაშორებით იდგა და თვალებგაშტერებული მისჩერებოდა ენაგადმოგდებულ ხუჭუჭას. მე ძევიატკასთან მივედი და ვუთხარი:

– ძია შაქრო, ნუ გეშინია, ხუჭუჭა იტყუე-



ბა.

ძევიატკა მკვეთრად შემობრუნდა ჩემკენ და ისე უცნაურად შემომხედა, აშკარა იყო, იფიქრა, ძმაკაცის თვითმკვლელობამ ჭკუიდან გადააცდინაო. შემდეგ მკერდზე თავი მომადო, მწარედ აქვითინდა და თან იმეორებდა:

– რა დავუშავე ამ უბედურს, რა!.. როდის იყო, რომ მისთვის უბატონოდ ხმა გამეცეს? პირიქით, დამცინოდა და ისეთ დღეში მაგდებდა, რომ მასთან შეხვედრას გავურბოდი.

– ძია შაქრო, მომისმინე, ხუჭუჭა ცოცხალია, არ მომკვდარა, – ახლა უკვე ყბედალომ უთხრა ძევიატკას.

ძევიატკამ ყბედალოსაც უცნაური მზერა მიაპყრო და მასზეც იფიქრა, ჭკუაზე შეიშალაო. შემდეგ მუხლებზე დადგა, თავზე ხელები მოიჭირა, მიწაზე დაემხო და აქვითინდა... ხუჭუჭა ზემოდან უყურებდა ამ შოუს და თავისი „შედევრით" ტკბებოდა. მე უზარმაზარ ტოტს დავწვდი, ხუჭუჭასთან მივიჭრი და ფეხებზე შემოვარტყი. მოქვითინე ძევიატკამ თავი ასწია, ფეხზე წამოხტა და მემუდარებოდა:

– გოგია, შვილო, დააგდე ჯოხი, ვის გაუგონია მკვდრის ცემა, მაგას თავისი უბედურებაც ეყოფა...

– მკვდარი კი არა, ცოცხალია, – მარცხნიდან დასჭექა ყბედალომ, რომელიც შემომიერთდა და მეორე მსხვილი ჯოხი შემოსცხო ხუჭუჭას ფეხებში.

– ბიჭებო, ბიჭებო, დამშვიდდით, ეგ უკვე მკვდარია და არაფერი ეშველება. იქნებ, თქვენ მიანც გადაურჩეთ გაგიჟებას! – ყვიროდა ძევიატკა, თუმცა, ახლოს მოსვლას რატომღაც ვერ ბედავდა.

ხუჭუჭას კი ერთიც არ დაუკვნესია, ცემას იტანდა და კვლავ ენაგადმოგდებული ეკიდა ხეზე. სწორედ ამის გამო ეგონა ძევიატკას ის მკვდარი და ჩვენს გაჩერებას ცდილობდა. ბოლოს, როგორც იქნა გაბედა ძევიატკამ, ჯოხები გადაგვაყრევინა და გვითხრა:

– კარგი, ბიჭებო, გეყოფათ. ღმერთმა აცხონოს ხუჭუჭას სული. მკვდარია და აღარაფერი ეშველება. წერილი სადაა, მომეცით. მილიცია და პროკურატურა უნდა გამოვიძახო, რომ მოკვლევა დაიწყონ. ღმერთმა აცხონოს ხუჭუჭა...

– ღმე-რთმა ა-ცხო-ნოს! – დამარცვლით ჩამოსძახა ძევიატკას ხუჭუჭამ და თოკი გადაჭრა, შაქრო ინსპექტორის წინ მარჯვედ დახტა და დაამატა, – რა დროს ჩემი ცხონებაა, ძია შაქრო, მანამდე ჯერ კიდევ შორსაა...

„გაცოცხლებული" ხუჭუჭას დანახვაზე შაქროს ჯერ გაეღიმა, შემდეგ გულზე მოიკიდა ხელი და იქვე ჩაიკეცა...

– ძია შაქრო, რა გჭირს?! – შეუძახა ძევიატკას ხუჭუჭამ, რომელსაც შეეშინდა, არ მოკვდესო და გაფითრებული უბნის გულწასულ ინსპექტორს თვალს არ აშორებდა.

– რა სჭირს და, მგონი, გული გაუსკდა და მოკვდა, – უთხრა ყბედალომ ხუჭუჭას, რომელიც უფრო გაფითრდა და მიუგო:

– გიჟი ხომ არ ხარ, რა მოკვდა?!

– რა მოკვდა და მოკვდა, – ვთქვი მე, – ვერ ხედავ, რომ გული გაუსკდა?

– რა მოკვდა... – ენა დაება ხუჭუჭას, – თქვენ რა, გაგიჟდით?

– არა, შენსავით აფერისტობს, ვერ ხედავ, ვერ სუნთქავს... მოკვდა, ბიჭო, მოკვდა! – ვთქვი მე.

ამასობაში ჯემომ ჩამოირბინა, რომელიც მანამდე ხეებს იყო ამოფარებული და შეშფოთებულმა იკითხა:

– რა მოხდა, ძმებო, ძევიატკას რა სჭირს?

– მე შენ გიჩვენებ ძევიატკას, შე ჩათლახო შენა... – აღმოხდა ძევიატკას, რომელსაც გონება დაუბრუნდა, მაგრამ, ისევ გაფითრებული იყო და დაამატა: წერილი რომ მომიტანე და შემაშინე, ვერ მითხარი, გატყუებსო?

ჯემო ადგილზე შეხტა. შემდეგ ადგილს მოსწყდა და ტყეში თავქუდმოგლეჯილი დაეშვა. ხუჭუჭამ შვებით ამოისუნთქა, სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. ძევიატკა მიწაზე წამოჯდა და ჯერ მე და ყბედალო შეგვათვალიერა, შემდეგ წამოდგა, ტანსაცმელი გაიბერტყა, ფორმა გაისწორა და ნელ-ნელა დაუყვა ტყეს. ყბედალო ქვაზე მჯდარ ხუჭუჭას მიუახლოვდა, ტაში შემოჰკრა და უთხრა:

– სალოლ, ძმაო, მაგარი ბიჭი ხარ. ისეთი დიდებული საქმე გააკეთე, რომ ტელევიზიით გაჩვენებენ.

– მივქარე, ვალიარებ, – თქვა ხუჭუჭამ, სიგარეტი ლოდს დაასრისა და უხმოდ დაუყვა ტყეს.

მე და ყბედალო ბირჟაზე შევყოვნდით, თითო ღერი გავაბოლეთ, თან ხუჭუჭას საქციელს ვარჩევდით.

– ყველაზე საოცარი, იცი, რა არის? – ვუთხარი ყბედალოს.

– რა?

– რა და, ხუჭუჭამ თავისი შეცდომა აღიარა.

– მართალი ხარ, – დამეთანხმა ყბედალო, – რაც ხუჭუჭას ვიცნობ, ასეთი რამ პირველად ქნა. ეტყობა, შეეშინდა.

– შეშინებულს ნამდვილად არ ჰგავდა ბოლოს. უბრალოდ, მიხვდა, რომ არაადამიანურად მოიქცა და გადაამლაშა.

– საცოდავი ძევიატკა, მართლა რამე რომ მოსვლოდა, რა უნდა გვექნა?

– არც არაფერი.

– ეგ როგორ?

– რა როგორ? მე და შენ ხომ არ ჩავუშვებდით ხუჭუჭას, ძევიატკას წერილი მისწერაო? ამას არც ჯემო იზამდა, რადგან, ის თანამონაწილე იყო. ამიტომ, ამ საცოდავს გულგახეთქილს იპოვიდნენ, ექსპერტი დაწერდა, ინფარქტმა დაარტყაო და ყველაფერი ამით დასრულდებოდა.

– რომ გაბაზრებულიყო წერილის ამბავი?

– მაშინ, ხუჭუჭას მამა, ვახო იჩალიჩებდა.

– მართალი ხარ, – თავი გააქნია ყბედალომ – მერე, სწორია ასეთი რამ?

– რა თქმა უნდა, არასწორია, მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი ასე დასრულდა და ძევიატკა გადარჩა. წავედით, – ვუთხარი ყბედალოს და ჩვენც ქვევით დავეშვით.

ხუჭუჭა რომ არაორდინარული პიროვნება იყო და მის აზრებს ბოლომდე ვერ ჩასწვდებოდი, ჩვენთვის ბავშვობიდანვე იყო ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წლის განმავლობაში თითქმის ოცდაოთხი საათი ერთად ვიყავით ხოლმე, ვერასოდეს მიხვდებოდი, თუ რა ედო გულში და მეორე წუთში რას ჩაიდენდა. ნათელი იყო მხოლოდ ის, რომ თავისზე წინ არავის გაუშვებდა, თავზე არავის დაიჯენდა და თუკი ასეთ რამეს დაუპირებდა ვინმე, მაშინ, ვაი იმის დღეს... ხუჭუჭა, როგორც კარიერული მწვერვალისკენ მიმავალი ყველა ინტელექტუალი, თავის მოქმედებას გარკვეულ გეგმას უდებდა საფუძვლად და აბსოლუტურად ზუსტად ახორციელებდა მას. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ასე გეგმაზომიერად გაიკაფა მან გზა საკმაოდ მაღალი თანამდებობისკენ და მისმა ჩახლართულმა და მახვილგონივრულმა გეგმებმა, ჯერ საბჭოთა კავშირის დროს, შემდეგ კი მისი დაშლის მერე, დიდი წარმატება მოუტანა იმ საქმეს, რომე:ლსაც ის ემსახურებოდა. ძევიატკას მიმართ ჩადენილი საქციელი კი ლამის ერთადერთი უაზრო გამოხტომა იყო ხუჭუჭას ცხოვრებაში. თუმცა, არც ეს საქციელი იყო მთლად უაზრობა და ეს ბოროტი ხუმრობა მან ასე ახსნა:



– მაინტერესებდა, რამდენს გაუძლებდა მილიციელის გული, ნერვები და თავმოყვარეობა.

– და, რა დასკვნა გამოიტანე? – ვკითხე ხუჭუჭას.

– ძალიან სუსტი ყოფილა ძევიატკა. არც ნერვები უვარგა, არც გული და თავმოყვარეობითაც ვერ დაიკვეხნის.

– არ ხარ მართალი, – მივუგე ხუჭუჭას, – დღეიდან ძევიატკაზე უკეთესობისკენ შემეცვალა აზრი. გულიანიც ყოფილა და მაგარი ნერვებიც ჰქონია, რადგან ეგონა, რომ მე და ყბედალო გავგიჟდით და ჩვენს დამშვიდებას ცდილობდა. რაც შეეხება თავმოყვარეობასა



და ღირსებას, სწორედაც რომ ღირსეულად მოიქცა, როდესაც ადგა და უხმოდ გაგვეცალა.

– „ძაღლების" დამცველი როდიდან გახდი?

– რა, მართალს არ ვამბობ? ძევიატკას შენ სწორედ მოექეცი?

– მართალი ხარ. ძევიატკასთან არასწორი ვიყავი, – მეორედ აღიარა თავისი შეცდომა ხუჭუჭამ, – შეცდომა დავუშვი და მე თვითონ გამოვასწორებ.

– როგორ, ბოდიშს მოუხდი?

– ეგ მე ვიცი, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა ხუჭუჭამ, – ისეთ სიურპრიზებს გავუკეთებ, რომ ყველაფერს გადაფარავს.

– რა სიურპრიზებს?

– სიურპრიზი იმისაა, რომ მოულოდნელად შეიტყო და წინასწარ არ ითქმის.

– მაშინაც ასე ამბობდი.

– მაშინ სულ სხვა იყო, – კვლავ მრავალმნიშვნელოვნად თქვა ხუჭუჭამ და ამაყად დაამატა, – ჯერ კიდევ შემიძლია რაღაც-რაღაცები და სულ მალე შეიტყობთ.

ხუჭუჭა არ ტყუოდა. სულ რაღაც ორი კვირის შემდეგ, ბესარიონ აბრალავამ, ხუჭუჭას თხოვნით, ძევიატკას უფროსი ლეიტენანტის ჩინი რიგგარეშე მიანიჭა და ათასი მანეთი ფულადი პრემია მისცა. მეორე დღეს კი ძევიატკას ქუჩაში ხუჭუჭა შეხვდა და უთხრა:

– გამარჯობა, ბატონო შაქრო!

– გაგიმარჯოს, – მიუგო ხუჭუჭას ძევიატკამ და წასვლა დააპირა, მაგრამ ხუჭუჭამ უთხრა:

– ბატონო შაქრო, რიგგარეშე ჩინს გილოცავთ და ბოდიშს გიხდით ჩემი ცუდი საქციელისთვის.

ძევიატკამ ჯერ ეჭვით შეხედა ხუჭუჭას, შემდეგ გაუღიმა და მიუგო:

– მოლოცვისთვის მადლობა. ცუდი კი ჯანდაბას წაუღია, რაც იყო იყო. აბა, კარგად იყავი, მეჩქარება.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – თქვა ხუჭუჭამ, შეტრიალდა და წავიდა. ძევიატკაც ადგილიდან დაიძრა, მაგრამ უცებ რაღაცამ დაჰკრა თავში, მიმავალი ხუჭუჭასკენ მიტრიალდა და დაუძახა:

– ხუჭუჭ, მოიცა!

ხუჭუჭა გაჩერდა და შეტრიალდა. ძევიატკამ მასთან მიირბინა და ჰკითხა:

– შენ რა იცი, რომ რიგგარეშე ჩინი მომანიჭეს, ამხანაგმა ბესარიონმა გუშინ შემატყობინა ეს ამბავი და ჯერ ბრძანებაც არ დაუწერიათ.

– ბრძანებაც უკვე მზადაა, ათასი მანეთიც გამოწერილია. შეგიძლიათ, სალაროში მიხვიდეთ და აიღოთ, – უთხრა ხუჭუჭამ ძევიატკას.

– მართლა? – სახე გაუბრწყინდა ძევიატკას.

– მართლა, ბატონო შაქრო.

– მაიცა, მაიცა, – კოპები შეკრა ძევიატკამ, – ეს ყველაფერი შენ ხომ არ იჩალიჩე? ამხანაგი ბესარიონი ხომ შენი ნათლიაა.

– ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა და კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს ჩემი არასწორი საქციელისთვის. კარგად ბრძანდებოდეთ.

– კარგად იყავი. მადლობელი ვარ, – მიუგო ხუჭუჭას ძევიატკამ და სახეწამოწითლებული დაუყვა დაღმართს.

იმ დღის შემდეგ ხუჭუჭას ძევიატკასთვის შეურაცხყოფა აღარ მიუყენებია. შაქროს დაწინაურებიდან ერთი კვირის თავზე კი ხუჭუჭამ მე და ყბედალო თავის სახლში შეგვკრიბა და გვითხრა:

– ერთ წელიწადში სკოლას ვამთავრებთ და, დროა, ჩვენს მომავალზე დავფიქრდეთ. აქ იმიტომ შეგკრიბეთ, რომ ყველამ თავისი თქვას.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ხუჭუჭას ყბედალომ.

– რას ვგულისხმობ და, უნდა ვთქვათ, რა გზას დავადგებით სკოლის დამთავრების მერე.

– მე ჩემი გზა უკვე ავირჩიე და ვდგავარ კიდეც, – მიუგო ხუჭუჭას ყბედალომ.

– კი, ბატონო, მაგრამ, ახლა სამივემ ვთქვათ აქ, მერე გაუგებრობა რომ არ მოხდეს.

– რა გაუგებრობა უნდა მოხდეს? – მხრები აიჩეჩა ყბედალომ და, უნდა ეთქვა ქურდობა მინდაო, მაგრამ, სიტყვა გავაწყვეტინე და ხუჭუჭას ვუთხარი:

– ჩვენ რომ გვეკითხები, შენ თქვი, რას აპირებ.

– მე ქურდობა მინდა, – მტკიცედ თქვა ხუჭუჭამ.

– მეც ქურდობა მინდა, – თქვა ყბედალომ.

– შენ რას იტყვი? – მკითხა ხუჭუჭამ.

– რა უნდა ვთქვა, მეც ქურდობა მინდა, – ვთქვი მშვიდად.

– ჰო და, ძალიან კარგი, – თქვა ხუჭუჭამ, – რადგან სამივეს ქურდობა გვინდა, მაშინ, ქურდების ბანდა უნდა შევქმნათ და ისე ვიმოქმედოთ. რას იტყვით, ცუდი აზრ-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლ | | მ | | შ | ი | ნ | | ა | | ს | | ა | ნ | | პ |
| ი | ბ | ა | ს | ა | ყ | | ბ | რ | ი | ტ | ა | ნ | ე | თ | ი |
| რ | | ზ | | კ | ა | ლ | ო | ე | ვ | ი | | ი | ტ | ე | კ |
| ი | ს | ი | მ | ო | ლ | | კ | ვ | ა | ლ | ი | | ო | ბ | ი |
| კ | | ნ | | | თ | ა | ვ | ა | ნ | ი | | ვ | | ე | |
| ა | დ | ა | ჟ | ი | ო | | ე | | | | ს | ი | დ | რ | ი |
| | | | | | | ი | რ | გ | ა | მ | ა | ს | | დ | |
| | | | | | ბ | | ი | | ბ | | გ | ი | რ | ა | ო |
| | | | | | უ | კ | | ყ | ა | ნ | ა | | ე | | ს |
| | | | | | | ო | ს | ა | კ | ა | | ი | ტ | ა | პ |
| | | | | | უ | რ | | უ | | ბ | უ | ნ | ი | კ | ი |
| | | | | | | ნ | ო | რ | ი | ო | | ი | | უ | |
| | | | | | ძ | ე | | მ | | ბ | უ | ხ | უ | ტ | ი |
| | ლ | | რ | | ვ | ი | ტ | ა | მ | ი | ნ | ი | | ა | |
| ჩ | ი | ვ | ა | ძ | ე | | უ | | ა | | გ | რ | ი | გ | ი |
| | გ | | დ | | ლ | ი | მ | ო | ნ | ა | | | თ | ა | ნ |
| მ | ა | რ | ა | გ | ი | | ბ | ი | ჭ | ი | | ხ | ე | ვ | ი |
| ა | | უ | | ო | | მ | ო | ს | ვ | ა | | ო | კ | ა | კ |
| მ | ი | ტ | ა | რ | ბ | ი | | ნ | ა | ზ | ი | რ | ი | | ა |
| ა | | ი | ს | ი | ა | მ | | ა | | მ | ს | ა | ჯ | ი | |
| მ | ე | ნ | ი | ს | კ | ი | | მ | ხ | ა | ტ | ვ | ა | რ | ი |
| ზ | | ა | ლ | ი | მ | | ო | ა | ბ | | ი | ა | ტ | ა | კ |
| ე | | | ა | | ა | ზ | გ | | ო | | კ | | | დ | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 1 | 5 | 7 | 2 | 6 | 9 | 8 | 4 |
| 9 | 7 | 8 | 5 | 4 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 2 | 6 | 4 | 8 | 1 | 9 | 7 | 3 | 5 |
| 6 | 8 | 1 | 2 | 9 | 7 | 4 | 5 | 3 |
| 4 | 5 | 9 | 3 | 6 | 1 | 2 | 7 | 8 |
| 7 | 2 | 3 | 4 | 5 | 8 | 6 | 1 | 9 |
| 5 | 9 | 2 | 1 | 8 | 4 | 3 | 6 | 7 |
| 8 | 4 | 7 | 6 | 3 | 2 | 5 | 9 | 1 |
| 1 | 3 | 6 | 9 | 7 | 5 | 8 | 4 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 3 | 8 | 5 | 9 | 4 | 2 | 7 |
| 5 | 7 | 2 | 4 | 6 | 1 | 8 | 3 | 9 |
| 4 | 8 | 9 | 3 | 7 | 2 | 6 | 5 | 1 |
| 3 | 9 | 4 | 7 | 1 | 6 | 5 | 8 | 2 |
| 7 | 5 | 6 | 2 | 8 | 3 | 1 | 9 | 4 |
| 8 | 2 | 1 | 9 | 4 | 5 | 7 | 6 | 3 |
| 9 | 1 | 5 | 6 | 2 | 4 | 3 | 7 | 8 |
| 2 | 4 | 7 | 5 | 3 | 8 | 9 | 1 | 6 |
| 6 | 3 | 8 | 1 | 9 | 7 | 2 | 4 | 5 |

**„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები:** **1. ქალაქის ჭიშკარი. 2. გრენლანდიის. 3. „ადიდასის" ფირმის სპორტულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე. 4. გრინვიჩი – ნულოვანი მერიდიანი. 5. შებრუნდა. ზურგში სროლა კი ჯენტლმენისთვის შეუფერებელ, მდაბალ საქციელად ითვლებოდა. 6. ისააკ ნიუტონის დაბადების. 7. მამაკაცებისას – მოიწვიეს ქალები. 8. ლუი პასტერმა. 9. პირველად, ახლომხედველთათვის – გამადიდებელი შუშა, მეორედ – შორსმხედველთათვის. 10. პუდელი.**

ია?

– კარგია, – თქვა ყბედალომ, მე კი დავამატე:

– რატომ, ცუდი აზრი არაა. შენი ამბავი რომ ვიცი, რამე გეგმა გექნება შემუშავებული.

– გეგმა მარტივია და გენიალური. შევადგენთ „ფაშისტების“ სიას და მათი ბაითების დაბომბვას დავიწყებთ. შემოსავლის ათ-ათ პროცენტს ჩვენთვის ვიტოვებთ. ოცდაათ პროცენტს ხელშეუხებელ მარაგში ვდებთ, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოვიყენებთ, ორმოც პროცენტს კი ქურდულ ობშჩიაკში შევიტანთ. რას იტყვით?

– მე რომ ჯიბგირი ვარ? – თქვა ყბედალომ, – თქვენთან ერთად როგორ ვიჩალიჩებ?

– ნუ გეშინია, მოგიძებნით ადგილს, – უთხრა ხუჭუჭამ ყბედალოს და თვალი ჩამიკრა, – ისევე, როგორც ჩვენ დაგეხმარებით ჯიბგირობაში და „სტენკას“ მაინც გაგიკეთებთ. მთავარია, ერთად ვიყოთ და ყველაფერი გამოგვივა.

ხუჭუჭამ მართლაც შეადგინა თბილისელი „მაყუთიანების“ ათკაციანი სია და მე და ყბედალოს გვითხრა:

– აი, ძმებო, „ფაშისტების“ სია. ახლა ისღა დაგვრჩა, რომ მათი ბაითების დაბომბვას შევუდგეთ.

ხუჭუჭას შედგენილი სიიდან მხოლოდ ორი ბინის გაქურდვა მოვახერხეთ და ისე მოხდა, რომ მთელი ფული ქურდულ ობშჩიაკში შევატანინეთ ბერძნებს, რადგან, იმ პერიოდში ათ ქართველ ქურდს გაციმბირებას უპირებდნენ და ისინი ჩვენმა ძალისხმევამ გადაარჩინა ამისგან. წლების შემდეგ, როდესაც თავად მე გამაციმბირეს და რუსეთის ციხეების მთელი სიმძიმე საკუთარ თავზე გამოვცადე, ღრმად გავაანალიზე ჩვენი საქციელი და ერთმნიშვნელოვნად დავასკვენი, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჯერ კიდევ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ქურდების მხრიდან კომფორტისკენ სწრაფვას. მაშინ კი ბავშვები ვიყავით და ვერ გავიაზრეთ, რომ გასაციმბირებელი ქურდები თავს არიდებდნენ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო კლება, ვარდნა ქართველი ქურდების ავტორიტეტმა და ამის გამო ხშირად დიდი კონფლიქტებიც კი ხდებოდა.

– ქართველი ქურდი ქურდია პირველ ბოძამდე, – ამბობდნენ მავანნი და ამას ასე ხსნიდნენ: პირველ ბოძამდე იმიტომ, რომ როდესაც ისინი რუსეთში ხვდებიან, მათ ჩვენ არაქურდული საქციელისთვის ამ ბოძზევე ჩამოვახრჩობთ!..

ეს ფრაზა ისე გავრცელდა და ისეთი უარყოფითი შინაარსი შეიძინა, რომ ქურდულ სამყაროში ქართველი ქურდი არაქურდის სინონიმად გადაიქცა და მთელ ქართულ ქურდულ სამყაროს მოეცხო ლაფი. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მორდოვიის ერთ ქურდულ ზონაში საშინელება დატრიალდა და, საქმეში თავად ვასია ბრილიანტი და ზურა რომ არ ჩარეულიყვნენ, ყველაფერი გამოუსწორებელი კატასტროფით დასრულდებოდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ზონაში ახალგაზრდა ქართველი ქურდი – მიხო მიიყვანეს. მიხო ახალი ნაკურთხი იყო ქურდად, თანაც, მოსკოვის ციხეში და, ისე სწრაფად გაუშვეს ეტაპით, რომ ზონაში მისი ქურდობის ამბავი არ იცოდნენ. ზონას „შატიკი“ უყურებდა, რომელიც საკმაოდ ავტორიტეტული ქურდი იყო და თავისი ფიცხი ხასიათით გამოირჩეოდა. მას თექვსმეტი წელი გამოუსვლელად ჰქონდა ნაჯდომი, რადგან, სხვადასხვა კონფლიქტის გამო სროკი ოთხჯერ ჰქონდა დამატებული, თანაც, ტუბერკულოზი სჭირდა და ცხოვრებაზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული. შატიკს საკმაოდ ძლიერი მასა ჰყავდა ირგვლივ შემოკრებილი და მათთვის მისი სიტყვა კანონი იყო. ყველაფერ ამას ისიც ერთვოდა, რომ ქართველები ფარულად სძულდა და შანსს არ უშვებდა ხელიდან, რომ ეს სიძულვილი საქმედ ექცია. მიხომ, შედგა თუ არა ფეხი ზონაში, მაშინვე ქურდული ბარაკისკენ აიღო გეზი, შევიდა და ხმამაღლა თქვა:

– გამარჯობა, ქურდებო!

შატიკმა, რომელიც შეშის ღუმლის გვერდით, თბილად იყო მოწყობილი, რა თქმა უნდა, მაშინვე შეიცნო ახალმოსულში ქართველი, ალმაცერად გახედა და, საპასუხო სალმის მაგივრად, ჰკითხა:

– ვინ ხარ?

– ჯერ გამარჯობა, შატიკო, – გაიმეორა სალამი მიხომ და დაამატა: მიხო ვარ, თქვენი ძმა!

– საიდან იცი, რომ შატიკი ვარ? – ირონიულად ჰკითხა მიხოს ქართველების მოძულე ქურდმა, მიხომ კი მშვიდად მიუგო:

– ქურდს ქურდის ცნობა არ უნდა გაუჭირდეს.

– ქურდი ხარ?

– ქურდი ვარ!

– შენ გინდა თქვა, რომ მე შემეშალა და შენში ქურდი ვერ შევიცანი? – მტრულად უთხრა შატიკმა მიხოს.

– ზოგჯერ ქსივების გავრცელება ბრკოლდება ხოლმე და ჩემზე ქსივა აქ არ მოსულა. ორი დღეა, რაც მოსკოვში მაკურთხეს და თვითმფრინავით გამომიშვეს. ქსივას გამოვასწარი და სულ ესაა.

– შენი თქმით, გაუგებრობა მოხდა?

– ჩემი თქმით, ქურდი ვარ, ქურდებთან მოვედი და ჩემს ძმებთან ვაპირებ ყოფნას, რა, არ მაქვს ამის უფლება?

– დაიკავე შენი ადგილი, მაგრამ, აქ ყველა ადგილი დაკავებულია და, რა უნდა ქნა, არ ვიცი, – უთხრა შატიკმა მიხოს, რომელმაც მშვიდად მიუგო:

– კოიკას დავამატებინებ და როგორმე მოვეწყობი.

– ჩემი ადგილი ხომ არ დაგითმო?

– ყველას თავისი ადგილი აქვს, მათ შორის, მეც. შენი ადგილი კი არ მინდა, მე ჩემიც მეყოფა.

– იცი რა, მიხეილ...

– მიხო, – შეუსწორა შატიკს მიხომ.



– იცი რა, მიხო, აქ ადრე ერთიც ამბობდა, ქურდი ვარ, ჩემი ადგილი მაქვსო, მაგრამ, ის მხოლოდ პირველ ბოძამდე იყო ქურდი და ბოძზე ჩამოახრჩვეს, – კბილებში გამოცრა შატიკმა და მიხოს გამომცდელად შეხედა.

– შატიკო, შენი შეურაცხმყოფელი სიტყვები შენვე შეურაცხგყოფს და სხოდკის მოწვევას მოვითხოვ. დე, სამართლიანმა ქურდულმა სხოდკამ განსაჯოს შენი სიტყვები და ტყუილიც და მართალიც იქ გაირკვეს.

შატიკის გათვლა მარტივი იყო, რაც არაერთხელ გაუკეთებია. მას ეგონა, რომ მიხო ხელს დაარტყამდა, რაც ქართველის სრული კრახით დასრულდებოდა, რადგან მას ბარაკშივე გაუსწორდებოდნენ, მიხომ კი სხოდკაზე საქმის გარჩევა მოითხოვა, ეს კი შატიკს აღარ აწყობდა. ამიტომ, შატიკამ მასის პროვოკაციებით სცადა მიხოს დათრგუნვა და მთელი ბარაკის გასაგონად თქვა:

– ძმებო! ეს უცნობი ჯერ არ მოსულა, უკვე პრავებს გვიკაჩავებს, თავს ქურდად ასაღებს და ბარაკში ადგილს თხოულობს. რას იტყვით, მივუჩინოთ მას კუთვნილი ადგილი?

ბარაკში ყველა შატიკისნაირი იყო, რადგან, მას დიდი გავლენა ჰქონდა. ამიტომ, ოცდაათამა კაცმა ერთდროულად იხუვლა და მიხოსკენ წაიწია, რომელიც მშვიდად, უხმოდ იდგა ერთ ადგილზე. ეგზალტირებულ მასას ერთი ახალგაზრდა პატიმარი გამოეყო, მიხოს წინ აღიმართა და დამცინავად თქვა.

– მივუჩინოთ, შატიკო, მივუჩინოთ, საქათმეში მოულოდნელად ელოდებიან შევსებას.

პატიოსანი პატიმრის, მით უმეტეს – ქურდის, ქათმად მოხსენიება სასიკვდილო ცოდვაა და აუცილებლად პასუხი უნდა გაეცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეურაცხყოფილი ობიექტი ავტომატურად ეწერება „ქათმების“ სიაში. ამიტომ, მიხოს სხვა არაფერი დარჩენოდა შეურაცხმყოფელზე თავდასხმის გარდა, ეს კი სიკვდილის ტოლფასი იყო და გადარჩენის შანსი თითქმის არ არსებობდა. სწორედ ეს უნდოდა შატიკს, ამიტომ მოაწყო პროვოკაცია და მიხოს განადგურების მოლოდინში სადისტურად იცინოდა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ამ პიროვნების გარშემო მუდმივად ბევრი ადამიანი იყრის თავს, რადგან ნებისმიერ სიტუაციაში მასთან ურთიერთობა ძალიან საინტერესო და სასიამოვნოა. იმდენი რამ აქვს მოსაყოლი, თან, ისე საინტერესოდ, იუმორში ყვება ამბებს, დრო ისე გადის, ვერც იგებ... წლების განმავლობაში მოზარდ მაყურებელთა თეატრს ხელმძღვანელობდა. მისი რეჟისურით არაერთი წარმოდგენა დაიდგა, ფილმებშიც აქვს სხვადასხვა როლი ნათამაშები და, რაც მთავარია, 30 წელზე მეტია, თეატრალურ უნივერსიტეტში გია კიტია, სტუდენტებს რეჟისურას ასწავლის. სპექტაკლების ძალიან კარგი მაყურებელია, გახსნილი... როცა მას მოსწონს, ესე იგი, მაყურებელსაც აუცილებლად მოეწონება. თუმცა, მკაცრიც არის, რადგან როგორც თავად ამბობს: „თუ რაღაც არ მომწონს, მირჩევნია, პირდაპირ ვუთხრა. ვცდილობ, მოვძებნო გამოსავალი: რა უნდა გააკეთოს, რომ უკეთესი იყოს, ვიდრე, უბრალოდ, ცუდი".**

# როგორ ათამაშა გია კიტიამ თავის წინასადიპლომო სპექტაკლში ნიკულინი და რა ილეთები დარჩა ცეკვა „ქართულში," რომელიც პირველად მსახიობის დედამ შეასრულა

## მოზარდ მაყურებელთა თეატრი

დიდხანს ვმუშაობდი მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სერიოზული თეატრი გვქონდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ჩვენი სპექტაკლი წარადგინეს „ასიტეჟეს გენერალურ ასამბლეაზე". ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, სადაც მსოფლიოს ყველა თეატრია გაერთიანებული. 5 წელიწადში ერთხელ გენერალურ ასამბლეაზე იწვევენ პრეზიდენტს, გენერალურ მდივანს, ტარდება ფესტივალი, სადაც ბოლო 5 წლის განმავლობაში, რაც კი საუკეთესო სპექტაკლი დაიდგა, იქიდან არჩევენ ხუთ საუკეთესოს, პრინციპით: 5 კონტინენტიდან – 5 სპექტაკლი. ჩვენი თეატრი წარმოადგენდა ევროპას. ასე რომ, ჩვენი თეატრი მართლაც შესანიშნავი იყო – არა მხოლოდ დასით, მთელი კოლექტივი ისე იყო აწყობილი, რომ აბსოლუტურად უნიკალური სპეციალისტები მუშაობდნენ. მათ შეეძლოთ გაეკეთებინათ ისეთი რეკვიზიტი, მსოფლიოში სხვა რომ ვერ გააკეთებდა. ეს კი ბევრი რამის საშუალებას გვაძლევდა. მაგალითად, „საშობაო ზღაპარში" ასეთი სცენა იყო: პატარა თვითმფრინავი გააკეთეს, დასხდნენ და გაფრინდნენ. სათქმელად კარგია, მაგრამ, აბა, სცენაზე სათამაშო თვითმფრინავი ააწყვე, დაჯექი და გაფრინდი. წარმოიდგინე და, მართლა ხდებოდა ასეთი რამ, მიფრინავდნენ მსახიობები და ამაზე ბავშვები გიჟდებოდნენ. საოცარი ხალხი მუშაობდა, ამიტომაც, ადამიანები ერთ სპექტაკლზე რამდენჯერმე მოდიოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ 1990 წლიდან არც ერთი თეთრი არ მოუცია სახელმწიფოს სპექტაკლის დასადგმელად, არც ერთი სპონსორი არ გვყოლია, ყველა სპექტაკლს არაფრისგან ვაკეთებდით და იყო სრულყოფილი, ლამაზი გაფორმებით. ჩვენ ბილეთის ფასიც არასდროს გაგვიზრდია და არც ახლა მოვუმატებდით. გული მწყდება, რომ დღეს ბავშვებისთვის სერიოზული არაფერი კეთდება, მიტოვებულები არიან კომპიუტერისა და ტელევიზორის ანაბარა. თოჯინების თეატრიც საშინელ მდგომარეობაშია. ბავშვების ასე მიტოვება არ შეიძლება, ცუდ შედეგს მივიღებთ. თეატრმა უნდა აღზარდოს ჯანსაღი თაობა და თუ ბავშვი ბავშვობაში არ დარწმუნდა, რომ არსებობს სიყვარული, ერთმანეთის გატანა, სამშობლო, რომ გაიზრდება მერე, მიხვდება: ეს ყველაფერი არ არსებობს და არსებობს მხოლოდ ფული, ერთმანეთის გადაგდება...



**სკოლაში ბოლო გამოცდა ჩავაბარე თუ არა, გავიპარე მოსკოვში და იქიდან დავურეკე: არ ინერვიულოთ, „გიტიში" ჩავაბარე-მეთქი**

## „გიტიში" სწავლის პერიოდი

დედა – ჯულიეტა ბერიძე, მოცეკვავე იყო და იმდენად კარგი, რომ ცეკვა „ქართულში" ხელის მოძრაობასთან დაკავშირებით რამდენიმე ილეთი დედის შემოტანილია. მან შეასრულა ასე პირველად და შემდეგ დარჩა კლასიკურ ქართულში. მერე ცეკვას თავი დაანება და დრო ჩემს აღზრდას დაუთმო. მამა იმდენად გავლენიანი პიროვნება იყო ხელოვნების დარგში, რომ არ დარჩენილა სფერო, სადაც მისი სერიოზული გავლენა არ იგრძნობდა. ეს ჩემთვის საკმაოდ მძიმე პასუხისმგებლობაც იყო. ამიტომაც გავიპარე მოსკოვში, იქ ჩავაბარე, რადგან საქართველოში ტაშისკვრით მიმიღებდნენ, როგორც მამაჩემის შვილს და ასევე, ტაშისკვრით გამაცილებდნენ. სკოლაში ბოლო გამოცდა ჩავაბარე თუ არა, გავიპარე მოსკოვში და იქიდან დავურეკე: არ ინერვიულოთ, „გიტიში" ჩავაბარე-მეთქი. „გიტიში" დიდხანს მომიწია სწავლა. ერთხელ რომ დავამთავრე, წითელი დიპლომის მოცემას აპირებდნენ, მივხვდი: ჯერ არაფერი მისწავლია-მეთქი და ხელმეორედ დავუბრუნდი რეჟისურას. ჯარშიც მოსკოვში ვიყავი, უცნაურ ჯარში – საბჭოთა არმიის თეატრში. ჩემი ჯარისკაცობა იმაში გამოიხატებოდა, რომ იქ ვიყავი როგორც რეჟისორი, ასევე, მსახიობი, რეკვიზიტორი, სცენის მუშა. „გიტიში" რომ ვაბარებდი, საკმაოდ დიდი კონკურსი იყო: ერთ ადგილზე 200 ადამიანი მოდიოდა. თან, სარეჟისოროზე, როგორც წესი, არ აჰყავთ ახალგაზრდები. თეატრის 100 წლის ისტორიის განმავლობაში 25 წლის ქვემოთ ამ ფაკულტეტზე არავინ მიუღიათ. თან, უნდა გქონოდა ორწლიანი სამუშაო სტაჟი და, პლუს, უმაღლესი დამთავრებული. მე კი 16 წლის ვიყავი, სკოლიდან წავედი პირდაპირ – არც მომზადებული ვიყავი, არც არაფერი. არადა სხვადასხვა ტური უნდა გამევლო. ბოდიში მოვიხადე და პირდაპირ გამოცდაზე მივედი. ყველას გაუკვირდა: ასეთი რამ აქამდე არავის გაუკეთებიაო. გულუბრყვილობამ მომგებიან სიტუაციაში ჩამაგდო, გვერდი ვერ ამიარეს. მერე მოხდა საინტერესო რამ: ანდრეი გონჩაროვს აჰყავდა ჯგუფი. გასაუბრებაზე ჩემსა და გონჩაროვს შორის შელაპარაკება მოხდა. რაღაცეებს მეკითხებოდა, მე სცენის მუშები ვახსენე და გონჩაროვმა მითხრა: სცენის მუშები როგორ გიყვარს, არაფრის გამკეთებლები, ლოთები არიანო. მე რუსთაველის თეატრის სცენის მუშებს ვიცნობდი, რომლებთან ერთადაც გავიზარდე და არც ერთი არ იყო ასეთი. პირიქით, თავის საქმესაც მშვენივრად აკეთებდნენ, სპექტაკლს კულისებიდან უყურებდნენ, რომ დამთავრდებოდა, მერე სცენებს თამაშობდნენ. მოკლედ, არც ერთმა არ დავუთმეთ. ბოლოს ვუთხარი: ალბათ, როგორიც თქვენ ხართ, ისეთია თქვენი თეატრიც და სცენის მუშებიც-მეთქი. ჩვენ სხვანაირი თეატრი, სხვანაირი სცენის მუშები გვყავს, მე ჩემი სცენის მუშები მიყვარს და არა თქვენი-მეთქი. გამოვიჯახუნე კარი და გამოვედი გაბრაზებული. გონჩაროვს კი დაურტყამს მაგიდაზე ხელი: ამას ავიყვანო. არა, ჯერ პატარაა, 16 წლისო. არა, უნდა ავიყვანოო. მოკლედ ამიყვანა. მაგრამ მე გადავწყვიტე, მასთან არ წავსულიყავი: არ მინდოდა, 5 წელი მესწავლა იმ ადამიანთან, რომელსაც ჩემი არ ესმოდა. არ მსიამოვნებდა ამ ადამიანთან ურთიერთობა. მოკლედ, წამოვედი და უცებ „გიტის" კართან დავინახე განცხადება: პირველად მსოფლიოში აჰყავთ ცირკის რეჟისორები, ანუ, მუსიკალური თეატრის ფაკულტეტზე ოპერის რეჟისორებს ზრდიან, რომლებიც იქნებიან ცირკის, ესტრადისა და მასობრივი წარმოდგენების რეჟისორები. გადავწყვიტე, მათ გამოცდებზე გავსულიყავი. შესანიშნავი პედაგოგი იყო, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, მარკ მესტიჩკინი – „ცვეტნოი ბულვარის" ცირკის მთავარი რეჟისორი, რომლის მოწაფეც გახლდათ ნიკულინი, „კარანდაში". ბევრ ცნობილ ადამიანთან მუშაობდა, ძალიან საინტერესო პიროვნება იყო. ისიც სახტად დარჩა, როდესაც მნახა. როგორც წესი, ცირკის რეჟისურაზე აბარებს ის, ვინც დინასტიით ცირკის მსახიობია, ყველა ერთმანეთს კარგად იცნობდა და უცებ 16 წლის ბიჭი მოვიდა არსაიდან. იქაც, ალბათ, ერთი რამ დამეხმარა – მარკ მესტიჩკინი ახალგაზრდობაში კოტე მარჯანიშვილთან ერთად მუშაობდა და ძალიან უყვარდა. თქვა: ერთი გვყავდეს თეატრიდან, მეც თეატრიდან ვარ, კოტეც თეატრიდან იყო და შესანიშნავ წარმოდგენებს აკეთებდა ცირკშიო. მოკლედ, ამიყვანა. ძალიან კარგი სკოლა გავიარე, ბევრი საინტერესო რამ ვისწავლე. მაგარი ჯგუფი იყო. ახლაც ჩემი ყოფილი ჯგუფელები მოწინავე პოზიციებს იკავებენ ცირკში, ესტრადაზე. მთელი 4 წლის განმავლობაში, რაც ცირკთან მაკავშირებდა, ყველა პროგრამას ერთად ვაკეთებდით. ჩემს წინასადიპლომო სპექტაკლში, „ბრემენელი მუსიკოსები", ნიკულინი თამაშობდა მასხარას როლს – იმ როლს, რომელიც შემდეგ მოზარდ მაყურებელთა თეატრში დავდგი და მე ვთამაშობდი. წარმოდგენებში, რომლებიც მაშინ „ცვეტნოი ბულვარზე" კეთდებოდა, ყველანი ვმონაწილეობდით. ნიკულინისა და შუიტინის საიუბილეო სპექტკალიც ჩვენი გაკეთებული იყო, ასევე, „კარანდაშის" საიუბილეო სპექტაკლი. მეხუთე კურსზე გადავწყვიტე, უკან, დრამაში დავბრუნებულიყავი ყველაზე საინტერესო, სადაც შეიძლება მივსულიყავი, ეს იყო ბება თუმანიშვილის ჯგუფი. როგორც კი დავიწყე სწავლა, სერიოზული დატვირთვაც დამეწყო, რადგან მომიწია ბევრი საორგანიზაციო საკითხის საკუთარ თავზე აღება. ძალიან საინტერესო ჯგუფი იყო, პრაქტიკებიც კი გვქონდა პარიზში. იქ ისეთი რაღაცეები ვნახეთ, საბჭოთა კავშირში ამას ვერავინ ნახავდა. უფრო მეტიც, მოსკოვის ოლიმპიადის გაკეთება რომ დაიწყეს, რამდენიმეს მოგვმართა ბებამ და მისი ასისტენტები ვიყავით. როგორი უნდა ყოფილიყო პროექტი, პირველ ექსპლიკაციას მე ვაკეთებდი, ჩემი მეუღლე კი ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ბალეტმეისტერი იყო. როგორ უნდა გაფრენილიყო დათუნია, ტროსებზე დაჭიმული საჰაერო ბუშტები სად უნდა წასულიყო... პახმუტოვას როგორი სიმღერა უნდა დაეწერა და რა ტექსტით – ყველაფერში ვიყავით ჩართულები. ბება სეროზულად და დემოკრატიულად მუშაობდა, უაღრესად ნიჭიერი და საინტერესო რეჟისორი იყო, დიდ თეატრში მასიურ წარმოდგენებში ბადალი არ ჰყავდა. ყველა მასობრივ სპექტაკლში, რასაც ის უშვებდა, ჩვენ ვიყავით ასისტენტები და სერიოზული დატვირთვა გვქონდა. პარიზში დიდი პროგრამით ვიყავით, 9 უზარმაზარი სცენა ავაშენეთ, 10 ათასი მაყურებელი ეტეოდა დარბაზში. სამი თვის განმავლობაში ყველა ბილეთი გაყიდული იყო. სამასი მსახიობი მონაწილეობდა და ყველას ჩვენ ვხელმძღვანელობდით. თან, მთელი ჯგუ-

# როგორ იძია შური ყაჩაღმა „მგელმა“ ორსული ცოლის სიკვდილის გამო

„ეგეთი მეომარი ყველა ოჯახში რომ იზრდებოდეს, საქართველო სამყაროს არსებობამდე იარსებებსო,“ – უთქვამს ერეკლე მეორეს ერთ ქიზიყელ კაცზე.

გაგი დედაბრიშვილის სიკვდილზე მეტად ეშინოდათ თურმე ლეკებს. ბევრჯერ გადაულახავს ალაზანი თანასოფლელ ბიჭებთან ერთად და უკან გამოუტაცებია ქართველებისთვის წართმეული ნაალაფარი. ამბის მიმტანს არ უშვებდა სახლში, რამდენი კაციც არ უნდა დახვედროდა ალაზანგაღმა. დამსახურებისთვის თავადმა გიორგი ანდრონიკაშვილმა საყარაულო კოშკი ჩააბარა თურმე და თავისი საყვარელი დურბინდიც აჩუქა. როდესაც გაგი სოფელში იყო, ერთი ლეკიც კი ვერ ბედავდა საყაჩაღოდ გადმოსვლას.

ზარბაზანი არ ჰქონდა გიორგი ანდრონიკაშვილს, თორემ, იმასაც გაისროდაო, ასე ამბობდნენ ქიზიყელები, ისე გაჰხარებია თავადს ხუთი გოგოს შემდეგ მეექვსე ბიჭის დაბადება. თავისი სახელიც დაარქვა და, თავს ევლებოდა, მთელი საგვარეულო და ამალა, ცივ ნიავს არ აკარებდნენ მემკვიდრეს.

ერთ საღამოსაც, გალავანს გარეთ, წარაფში ასეირნებდა გადია ოთხი წლის გიორგის. მოსაღამოვდა და თავადს ბიჭი მოუკითხავს. გადაუტრიალებიათ ახლომახლო ტყეები და ბუჩქები, მაგრამ, ვერსად უპოვიათ. მეორე დღეს ერთ იმ სოფლელ გლეხს უთქვამს, ალაზნის ჭალიდან ქალის კივილი ისმოდა გუშინ, მაგრამ, სოფელში რომ სიმშვიდე იყო, ტურის კივილი მეგონაო. გადაუჩხრეკიათ მთელი ჭალა და დამხრჩვალი ქალი უპოვიათ – პატარა გიორგის გამზრდელი. ასეთ რამეს ლეკების გარდა ვერავინ გაბედავდა კახეთში და გიორგი ანდრონიკაშვილს რაზმი შეუკრებია. იმ დღესვე მეფე ერეკლეს ეახლა და სთხოვა – შევესევი ბელაქანს და მიწასთან გავასწორებო. ერეკლეს უთქვამს: ლეკებთან ზავი გვაქვს დადებული; თანაც, ბელაქანი რომ გადაწვა, იქნებ კახშია ბავშვი გატაცებული ან ნუხის სახანოშიო. დავიცადოთ, გავიგოთ, ვინ გაიტაცა და მერე დავიხსნათო. გიორგი გამწარებული დაბრუნებულა ქიზიყში. გაგიჟებას ცოტაღა უკლდა თავადს – დაავლებდა თოფს ხელს და ყოველ წუთას ალაზნისკენ იწევდა, თურმე. ამ დროს გამოჩენილა გაგი დედაბრიშვილი, თავადისათვის სამი დღე უთხოვია და ბავშვის დაბრუნებას შეჰპირებია. იმავე ღამით გადაუცურავს ალაზანი, საიდუმლოდ უნახავს გალეკებული ქართველი და ბავშვის ადგილსამყოფელი გაურკვევია: „ბელაქანში ნაჯაფ ბეგ უშალს ჰყავს



თავის სასახლეშიო; ანდრონიკაშვილთან რომ ზავი დადო, მაშინ მოსწონებია ბიჭი და იმან მოატაცებინა ლეკებსო. თვითონ სულ გოგოები ჰყავს შვილები და, ალბათ, მემკვიდრედ უნდაო.“

ნაჯაფ ბეგის სასახლის ახლოს ყარაჯალის პატარა მთიდან მგელი აყმუვლებულა იმ ღამით; მთელი ღამე ყმუოდა, სანამ ბეგი მოთმინ-

**როდესაც გაგი სოფელში იყო, ერთი ლეკიც კი ვერ ბედავდა საყაჩაღოდ გადმოსვლას**

ებიდან არ გამოვიდა და თავისი ამალით მთისკენ არ დაიძრა მგლის მოსაკლავად. ამასობაში გაგი გალავანზე გადამძვრალა და სახლიდან პატარა გოგია მოუტაცებია. მთელი ღამე ტყე-ტყე უვლიათ და დილას ანდრონიკაშვილისთვის მემკვიდრე მიუყვანია. გაგიჟებულა თავადი ამ გაუგონარი ვაჟკაობის შემხედვარე და გაგისთვის დიდძალი წყალობა მიუცია. ვაჟკაცობა კი დაუფასდა, მაგრამ, სახელი დაუკარგავს გაგის – მას შემდეგ მთელი მხარე „მგელს“ ეძახდა და შერჩა ეს სახელი. მას შემდეგ ბეგების, ხანებისა და სულთნების მემკვიდრეების მოტაცება ხელობად უქცევია „მგელს.“ წელიწადი არ გავიდოდა, სადმე, ალაზანგაღმა არ აყმუვლებულიყო და ვინმე დიდგვაროვანი ყმაწვილი არ მიერთმია ანდრონიკაშვილისთვის. როგორც წესი, მემკვიდრის გათავისუფლების სანაცვლოდ, ლეკი დიდებულები დიდძალ გამოსასყიდს იხდიდნენ ხოლმე. იქიდან აღებულ წილს „მგელი“ სოფლის ობლებსა და ღარიბებს ურიგებდა ხოლმე. ერთხელაც, დანიელ ბეგის მემკვიდრე ბაჰადური მოუტაცებია და დიდძალი გამოსასყიდიც მოუთხოვია. დანიელ ბეგი ანდრონიკაშვილს შეხვედრია და უთქვამს: რაც გადასახდელი მაქვს, ათჯერ იმდენს პირადად შენ გადაგიხდი, ოღონდ, „მგელი“ სახალხოდ დასაჯე რამე მიზეზითო. ფულს დახარბებია უმადური თავადი, გაგისთვის ქურდობა დაუდია ბრალად, სახალხოდ გაუშიშვლებია და ასი მათრახი დაურტყამს თავისი ხელით. დასისხლიანებული ქმრის დანახვაზე, გაგის ორსულ ცოლს გული გახეთქვია და ადგილზე მომკვდარა.

გაგი სამ თვეში წამომდგარა ფეხზე, დანიელ ბეგს ხლებია და ყმობა უთხოვია. სულთანი „მგლის“ ერთგულებაში დარწმუნებულა და ოცი კაცი მიუცია საყაჩაღოდ. რისხვად მოვლენია მგელი მთელ კახეთს, მისი შიშით ძრწოდნენ თურმე დიდებულები. ერეკლე მეფეს შეუთვლია, მგელო, მგლობას მოეშვი, თორემ, დაგიჭერ და სახალხოდ გაგატყავებო. მგელს შემოუთვლია: მე მგლობას თავს მაშინ დავანებებ, როდესაც ჩემს მოსისხლეს – გიორგი ანდრონიკაშვილს წიხლის ცემით მოვკლავო. გიორგი ანდრონიკაშვილი მშიშარა კაცი არ იყო, მაგრამ, „მგლის“ მუქარას ძალიან შეუშინებია. ღამე წამოხტებოდა და მგლის ყმუილი ესმოდა თითქოს.

ორი წლის შემდეგ ქალიშვილი გაუთხოვებია გიორგის, დიდი ქორწილი გადაუხდია და შემთვრალ სტუმარ-მასპინძლებს გალავანს გარეთ გაუსეირნიათ ცხენებით. უცებ საიდანღაც ლეკების პატარა რაზმი გამომხტარა და თავს დასხმია მაყრიონს. თვითონ თავადი ქამანდის სროლით ჩამოუგდიათ ცხენიდან, მისი მხლებლები კი დაუწიოკებიათ და სასახლისკენ გაუყრიათ. გაუტაცებიათ პატარძალი, რომელიც იმ ღამესვე ჩაიყვანეს ნუხის სახანოში დანიელ ბეგთან. იმ დღის შემდეგ მგლის ყმუილი აღარავის გაუგია კახეთში. თვითონ თავადი კი იმავე ადგილას უპოვიათ – არც ერთი ჭრილობა არ ჰქონია თურმე, წიხლის ცემით იყო მკვდარი.

**აკაკი სინჯიკაშვილი**

---

ფი არ გამოუშვეს, ზოგი დაბლოკეს. წასვლამდე 16 კაცი ამოგვარჩიეს და გამოგვიძახეს რექტორის კაბინეტში. დაგვისვეს წინაპირობა: ყველანი უნდა შემოხვიდეთ პარტიაში ან ვერ წახვალთო. ძალიან არ მინდოდა პარტიაში შესვლა, მაგრამ პარიზშიც მინდოდა. მოკლედ, რექტორის კაბინეტში ბოლოს შევედი. ერთი „კაგებეშნიკი” იყო და იმას ვკითხე: ახლა, პარიზში რომ ჩავალ, ალბათ, ჩვენთან მოვლენ კორესპონდენტები, ინტერვიუებს აიღებენ-მეთქი. კიო, – მიპასუხა. ალბათ, რაღაც პროვოკაციულ შეკითხვებსაც დაგვისვამენ. კიო. ალბათ გვკითხავენ: როგორია თქვენთან ნაციონალური, ეკონომიკური პოლიტიკა და მე უნდა ვუპასუხო, რომ შესანიშნავია-მეთქი. კიო, ხომ იცი, რომ ასეაო. შემდეგ ვუთხარი: ერთი შეკითხვა მაქვს, ამ ყველაფერს როდის უფრო დამიჯერებენ, პარტბილეთი რომ მედება ჯიბეში, თუ უპარტიო რომ ვიქნები-მეთქი. შემომხედა და თქვა: ეს ჩვენი კაციაო. ასე გადავრჩი პარტიაში შესვლას.

### „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”

მაშინ 5 წლის ვიყავი. პლეხანოველი ვარ, კრილოვის ქუჩაზე ვცხოვრობდი, მაგრამ საკმაოდ შორს, კინოსტუდიასთან ვბირჟაობდი. იქ მსახიობები იკრიბებოდნენ და მაინტერესებდა მათ სიახლოვეს ყოფნა. ერთ დღესაც წავედი საბირჟაოდ, ბუტილკა, ძალიან ვიწრო შარვალი მეცვა, ლაკის მაკასინები და „ნაჩოსის” პალტო. უცებ ვიღაცამ კინოსტუდიის ეზოში, კოლონასთან ფეხი დამიდო. კინაღამ დავეცი. „ვზროსლი ბიძია“ იყო, შევაგინე. დამავლო ხელი, სადღაც ოთახში ამიყვანა – ამას ფოტოები გადაუღეთო. გადამიღეს ფოტოები პროფილში, ანფასში, მივხვდი: დამიჭირეს, პოლიციაში ვარ. რა გქვია, რა გვარი ხარო, – ცოცხალი თავით არ ვეუბნები არაფერს. უცებ გამახსენდა, ბებიაჩემის დაქალი, შურა, იქვე ახლოს მუშაობდა. ვიღაც გოგო მეფერებოდა: აბა, თქვი, ვინ არის დედაშენი, მამაშენიო. ვიფიქრე: ამას მოვატყუებ-მეთქი და ვთხოვე, საპირფარეშოში გასვლა, თან, გაქცევის გეგმებს ვაწყობდი. როგორც კი შურას ოთახს მივუახლოვდი, გავიქეცი. შურამ დამინახა და დაიძახა: გიაო და მოკლედ, ყველაფერი თქვა ჩემზე. კინაღამ გული გამისკდა, მაგრამ, მალევე გავიგე, რომ მილიციონრები არ იყვნენ. კინოსინჯები ყოფილა და ის კაცი, რომელმაც ფეხი დამიდო, თურმე თენგიზ აბულაძე იყო. ასე, გინების დახმარებით მოვხვდი კინოში. ფილმში დეპეშა რომ მიმაქვს, სინამდვილეში, ბევრი კადრი გადაგვიღეს, სხვადასხვა კოსტიუმი მეცვა. საკმაოდ სერიოზულად შემომხედეს, რადგან, გარდა იმისა, რომ შემეძლო დღისით და ღამით მუშაობა, არასდროს ვწუწუნებდი. თვითონვე ვახმოვანებდი ფილმს, რაც მაშინ ძალიან რთული იყო, ამისთვის არსებობდნენ სხვა ადამიანები. ამის გამო ბავშვობაში ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი მსახიობი გავხდი. ჩემი პირველი რამდენიმე ფილმიდან აღებული ფულით, მშობლებმა „სპალნა“ და „სასადილო“ იყიდეს. მოგვიანებით, თავი დავანებე კინოს. ამის შემდეგ თუ კინოში მოვხვედრილვარ, ეს, ძირითადად, შემთხვევითობა ყოფილა ან კურიოზთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო იყო სერიალი „ყავა და ლუდი“, სადაც შემთხვევით მოვხვდი და მანიაკის როლი ვითამაშე. მაგრამ, ამას კიდევ უფრო საინტერესო გაგრძელება ჰქონდა. ერთ დღესაც ჩემმა მოწაფემ დამირეკა ამერიკიდან: რა უნდა შენს სურათს ქართულ „ფლეიბოიში“, თან, ვიღაც უკრაინელ ქალთან ერთადო. გავიხსენე ყველა ქალი, ვისაც ვიცნობდი, მაგრამ უკრაინელი ვერავინ ვიპოვე. აღმოჩნდა, რომ ამ სერიალიდან იყო კადრი ქართულ „ფლეიბოიში“. ასე რომ, როდესაც თქვენი ფოტოგრაფი გადამიღებს ფოტოებს, უნდა იცოდეს: „ფლეიბოის“ ვარსკვლავთან აქვს საქმე.

**ნათია უტიაშვილი**

**სულ ცოტა ხნის წინ „ბესტ მოდელის“ 21 წლის მოდელი და ფეხბურთელი ბექა ჩიტაია „ბესტ მოდელ ოფ ჯორჯიას“ გამარჯვებული გახდა და ბულგარეთში საერთაშირისო კონკურსზეც იმყოფებოდა. სალი დავითაშვილი, რომელიც ასევე „ბესტ მოდელის“ მოდელია, ჯერ მხოლოდ 15 წლისაა, თუმცა, უკვე აქვს შემოთავაზებები და ერთ-ერთ სერიალში ეპიზოდური როლიც შეასრულა.**

# როდის უწესებს მკაცრ აკრძალვებს გოგონას „მისტერ სექსუალურობა“ და „ბესტ მოდელი“ ბექა ჩიტაია და რა არის სალი დავითაშვილისთვის მამაკაცის მხრიდან მიუღებელი

**ბექა ჩიტაია**: ფეხბურთელი ვარ და ბელგიის გუნდში ვირიცხები. 5 წლიდან დავიწყე ფეხბურთის თამაში და 13 წლამდე საქართველოში ვთამაშობდი. შემდეგ უკრაინაში გადავედი სათამაშოდ, დაახლოებით სამი წელი ვიყავი იქ და ისევ საქართველოში დავბრუნდი. შემდეგ თურქეთში ვითამაშე ორი წელი, ერთი წელიც – ჰოლანდიაში და ახლა უკვე ბელგიაში ვთამაშობ. ამ ყველაფერში მამაჩემსაც დიდი დამსახურება მიუძღვის. ისიც ფეხბურთელია და დღემდე ბელგიაში თამაშობს. მე ჯერ ოფიციალური კონტრაქტი არ მაქვს, მაგრამ, გუნდში ვირიცხები – სინჯები გავიარე და ამიყვანეს. ჩემი გუნდი მესამე დივიზიონს მიეკუთვნება, „ა-კლასია,“ ანუ, პერსპექტიული გუნდია; არც ცუდია, არც ძალიან კარგი, საშუალო დონის არის. ბევრ გუნდს სჯობია, მით უმეტეს – საქართველოში.

**– რა პოზიციაზე თამაშობ?**

– ცენტრალური თავდამსხმელი ვარ. ჩემი საყვარელი გუნდია მადრიდის „რეალი” და, ძალიან მინდა, ოდესმე ამ გუნდში ვითამაშო.

**– რატომ გადაწყვიტე მოდელობა?**

– „ბესტ მოდელის“ ხელმძღვანელის, კახი ხაბეიშვილის შემოთავაზების შემდეგ დამაინტერესა ამ სფერომ. როცა საქართველოში ვარ, მაშინ „ვხდები” მოდელი, მაგრამ, ბელგიაში მხოლოდ ფეხბურთით ვიქნები დაკავებული. კახის წყალობით, ბევრ კონკურსში მაქვს მონაწილეობა მიღებული. ამ კუთხით ჩემი პირველი წარმატება იყო „მისტერ ვალენტინზე“ ნომინაცია „მისტერ სექსუალურობის“ აღება. ამის შემდეგ ვმონაწილეობდი კონკურსში „ბესტ მოდელ ოფ ჯორჯია“, რომლის ეროვნული დირექტორი საქართველოში არის ეკა მგალობლიშვილი. ის სისტემატურად ატარებს ამ კონკურსს და შემდეგ უკვე გამარჯვებული გოგოც და ბიჭიც გაემგზავრნენ უცხოეთში, საერთაშორისო კონკურსზე, რომელიც 19 ნოემბერს გაიმართა. კონკურსში სხვადასხვა სააგენტო მონაწილეობს. შესარჩევ კონკურსზე ჟიურიმ 20 მონაწილე აგვარჩია: 10 გოგონა და 10 ბიჭი. ამის მერე ნახევარფინალში გადავედი და ჟიურის გადაწყვეტილებით გავხდი „ბესტ მოდელ საქართველო“. 1 დეკემბერს გავემგზავრე ბულგარეთში, ქალაქ სოფიაში. კონკურსში დაახლოებით 80 ქვეყნიდან იყვნენ კონკურსანტები და მე ოცეულში მოვხვდი. გავიმარჯვე ნომინაციაში „საუკეთესო ნაციონალური კოსტიუმი“ და ამით გავხდი ჟიურის რჩეული. ოთხი დღე გვქონდა რეპეტიციები, ცნობილი ქორეოგრაფი გვამეცადინებდა. ფაქტობრივად, ორი დღე და ღამე არ გვძინებია, გამოუძინებელი დავდიოდი. 5 დეკემბერს ჩატარდა ფინალი: ჯერ გამოვედით საცურაო კოსტიუმებში. თავიდან ჩემთვის პრობლემა იყო საცურაო კოსტიუმით გამოსვლა, მაგრამ, სხვა გზა არ მქონდა. ჯერ თბილისში გადამალახინა კახიმ ეს პრობლემა და იქ მერე უფრო გამიადვილდა. 5-6 ბიჭი აგვარჩიეს და ჩაგვაცვეს თავისი ბრენდების შარვალ-კოსტიუმები. მეორე დღეს გვეცვა ნაციონალური სამოსი. მე, რა თქმა უნდა, ჩოხა მეცვა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ზოგადად, კონკურსზე საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო და გამიხარდა, რომ ოცეულში მოვხვდი.



**ბექა: „გოგონებთან უფრო „დასტოინი“, მშვიდი ვარ. როცა გოგონა მომწონს, ვერ ვიტყვი, რომ მის გასაცნობად სერიოზულ ინიციატივას ვიჩენ. არ მინდა, ქაჯივით მოვიქცე“**

**– სალი, შენ შესახებაც მომიყევი.**

**სალი**: სკოლაში დავდივარ. მოდელობა ორი თვის წინ დავიწყე. მცირე პერიოდის მიუხედავად, სხვადასხვა კონკურსში მივიღე მონაწილეობა. ასევე, იყო ბატონი გია ჯაჯანიძის პროექტი „მშვიდობის წრე“, სადაც წარმოდგენილი იყო ევროპის 12 ქვეყნის ეროვნული სამოსი. მე წარვადგენდი ბელორუსიას. ასევე, გასვიანის სტუდიაში, ჩემს კოლეგასთან და დეფილეს პედაგოგთან, კრისტი ყიფშიძესთან ერთად გადავიღე ფოტოები. ვმონაწილეობდი კონკურსში „ბესტ მოდელ ოფ ჯორჯია“, მაგრამ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ველარ გავაგრძელე მეორე ტურში მონაწილეობა. ზოგადად, მოდელობა ძალიან მომწონს. „ბესტ მოდელში“ არის მოდელების დიდი ბაზა, რომელსაც სხვადასხვა გადაღებისთვის, პროექტებისთვის, კასტინგებისთვის იყენებენ. პედაგოგოგებიც ცნობილი ადამიანები არიან, თავიანთი საქმის პროფესიონალები. ასევე „რუსთავი 2-ის“ სერიალში „ნათია და ნათია“ მე და ერთი მოდელი პატარა ეპიზოდში გადაგვიღეს – მაცდური გოგონები ვიყავით, რომლებიც მთავარ გმირს ესიზმრებოდა. კიდევ არის შემოთავაზება, რომ გავხდე ცნობილი ქართველი დიზაინერის პროდუქციის სახე.

**– რას აკეთებ თავისუფალ დროს?**

– ტანსაცმლის დიზაინერობა მინდა, ვხატავ ტანსაცმლის ესკიზებს. ჯერ ჩემთვის არაფერი შემიკერავს, არც მიცდია, მაგრამ, აუცილებლად ვცდი და, ვფიქრობ, გამომივა.

**– ერთმანეთის გემოვნებაში თუ „ჯდებით”? ბექა, როგორი გოგონები მოგწონს?**

**ბექა**: თავისთავად, მაღალი უნდა იყოს, თავისებური ეშხი უნდა ჰქონდეს, თუმცა, უფრო მეტად „ბლანდინკა“ გოგონები მიზიდავს. შეიძლება, მოდელი არ იყოს, მაგრამ, ისეთი აღნაგობა ჰქონდეს, რომ მოდელს სჯობდეს. რა თქმა უნდა, სალიც მომწონს, ძალიან კარგი, ლამაზი გოგონაა.

**– ამ სფეროში როგორი „თავმდამსხმელი” ხარ?**

– „დასტოინი“, უფრო მშვიდი. როცა გოგონა მომწონს, ვერ ვიტყვი, რომ მის გასაცნობად სერიოზულ ინიციატივას ვიჩენ. არ მინდა, ქაჯივით მოვიქცე.

**სალი**: როცა ბიჭი ინიციატივას იჩენს, ეს ნამდვილად არ არის ქაჯობა, უბრალოდ, ზღვარი უნდა იცოდე ქაჯობასა და ნორმალურ მოქცევას შორის. რომ ელოდები და ის კი არ იჩენს ინიციატივას, ეს, მისი მხრიდან, დიდი სისულელეა.

**ბექა**: როცა მისი მხრიდან არაფერი მოდის, ამ დროს არ არის ინიციატივის გამოჩენა საჭირო. მაგრამ, როცა ატყობ, რომ თვითონაც დაინტერესებულია, მერე უნდა გააქტიურდე, სხვანაირად უნდა მოიქცე, უფრო მეტად უნდა გამოიჩინო ყურადღება. ისე, ანუ, თუ მისგან არაფერს ვგრძნობ, როგორი მაგარი გოგონაც არ უნდა იყოს, მის მიმართ ინიციატივის ან ყურადღების გამოჩენის სურვილი საერთოდ არ მიჩნდება.

**– როგორები ხართ, როცა გიყვართ?**

– როცა გოგონა გიყვარს, მასთან ხარ ურთიერთობაში, ყველაზე მნიშვნელოვანია, რამდენად იჩენ ყურადღებას მის მიმართ – ეს მამაკაცის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა. ხშირად მინახავს, როგორ ჩხუბობენ შეყვარებულები. მე არ ვარ ასეთი. დამთმობიც ვარ ბევრ რამეში, ბევრ რამეში – არა. რა თქმა უნდა, ისიც უნდა იყოს დამთმობი. საჩუქრები, სიურპრიზები არ მიყვარს არც ჩემი მხრიდან, არც გოგონას მხრიდან. უბრალო ურთიერთობა უფრო მომწონს, ვიდრე გადატვირთული. რაც შეეხება გოგოს ხასიათს, არც გიჟი უნდა იყოს და არც მუდო, ნორმალური ხასიათის უნდა იყოს, მოსაუბრე, ჩემთან აქტიური, სხვასთან – არა. ყურადღებიანიც უნდა იყოს, რადგან, მე თვითონ ძალიან ყურადღებიანი ვარ. მაგრამ, არ მიყვარს, როცა ძალიან გამომწვევად აცვია, შენ გვერდით არის და ვიღაც სხვანაირად უყურებს. ასეთ დროს ცუდად ვიქცევი ხოლმე. ამიტომაც, ვცდილობ, ძალიან გამომწვევად არ ჩავაცვა ჩემს გვერდით მყოფ გოგონას. უპირველეს ყოვლისა, გავაფრთხილებ, თუ არ დამიჯერებს, მერე ძალიან მკაცრი ვიქნები და ყვირილს დავიწყებ – ქართული მენტალიტეტი მაინც თავისას შვრება.

**სალი**: იდეალი არ მყავს, არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ქერა ან შავგვრემანი იყოს, არც მის პროფესიას ვანიჭებ დიდ ყურადღებას.

**– ბექამ თქვა, ჩემს შეყვარებულს რაღაცეებს ავუკრძალავო. როგორი რეაქცია გექნება შენ ასეთ რამეზე?**

– სასიამოვნოა, როცა ბიჭი ყურადღებას იჩენს და გეუბნება: ეს არ ჩაიცვა ან ეს. როცა რაღაცას გთხოვს, ეს შენც უნდა გაითვალისწინო, ძალიან არ უნდა გაიგიჟო თავი, უნდა დაუჯერო, მაგრამ კატეგორიული ტონი მიუღებელია. ზომიერად მკაცრი ბიჭები მომწონს. მიყვარს, როდესაც ყურადღებას მაქცევენ.

**ტატა დევდარიანი**

# ვინ არის პირველი ქართველი ლიცენზირებული პარაშუტისტი გოგონა

*გინახავთ, როგორ ცეკვავენ ცაში „ხორუმს"?.. მე ვნახე... ჰო, ვნახე... ამას იმიტომ ვამბობ, რომ ცეკვა „ხორუმის" გარდა, სხვას ვერაფერს შევადარე 4 კილომეტრის სიმაღლიდან, თვითმფრინავიდან გადმომხტარი ხელიხელჩაჭიდებული პარაშუტისტები. მათ შორის ერთ-ერთი, პირველი ქართველი ლიცენზირებული პარაშუტისტი – ნათია მამაიაშვილი გახლდათ. ბევრი რამ შემიძლია, გითხრათ ნათიაზე, როგორც ხელოვანზე, სპორტსმენზე, მოდელზე, უბრალოდ, განათლებულ ადამიანზე, მაგრამ დამეთანხმებით, ჯობია, ყველაფერი თავად გვიამბოს.*

**ნათია მამაიაშვილი:** უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ვმოღვაწეობდი ნიუ-იორკში. დავამთავრე ნიუ-იორკის მანჰეტენის მუსიკალური სკოლა (ათწლედი), ასევე აკადემიური სკოლა. ამის შემდეგ ჩავაბარე და დავამთავრე პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი (ბაკალავრი) ნიუ-იორკის უნივერსიტეტში.

**– საინტერესო მონაცემები გაქვს, შთამბეჭდავი იქნებოდა ნებისმიერი ინსტანციისთვის შენი სივი. მაგრამ, მე ყველაფერი სულ თავიდან მაინტერესებს. მიამბე, იმ პერიოდიდან, როცა დებ მამაიაშვილებს ბებია სკოლასა და ვისრალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში დაგყვებოდათ და თქვენი აღზრდით აქტიურად იყო დაკავებული.**

– ეს მართლაც ასე იყო. ბებია იყო თავიდანბოლომდე ჩემი და ნინის აღზრდით დაკავებული. ის მართლა ჩვენი ცხოვრებით ცხოვრობდა. ჩვენი თითოეული კონცერტი, თუ კონკურსში გამარჯვება ბებიას დიდი სიხარული და ჩვენთვის – სტიმული იყო. ასევე, რა თქმა უნდა, მშობლებისთვისაც, რომლებიც იმ პერიოდში ნიუ-იორკში ცხოვრობდნენ. ასეთმა ყოველდღიურმა შრომამ, მეცადინეობამ წლების შემდეგ თავისი შედეგი გამოიღო და საფუძველი დაუდო ჩვენს მომავალს. 13 წლის ვიყავი, ნიუ-იორკში, მშობლებთან რომ გადავედი საცხოვრებლად. სკოლაც და მუსიკალური სასწავლებელიც იქ დავამთავრე.

**– პროფესიად რას აირჩევდი, როდის გადაწყვიტე? ცოტა უცხოა ჩემთვის მუსიკოსის, უცებ საერთაშორისო ურთიერთობებზე რომ აკეთებს აქცენტს. ალბათ, ბევრი ფიქრობდა, რომ ხელოვნებას გაჰყვებოდი.**

– მართალია, კონსერვატორიაში არ ჩამიბარებია, მაგრამ ყოველთვის მქონდა კონცერტები. კონკურსში გავიმარჯვე, რის შემდეგაც „კარნეგი ჰოლში" მიმიწვიეს გამარჯვებულთა კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. ასევე, კონცერტები მქონდა ბევრ სხვადასხვა ცნობილ საკონცერტო დარბაზში.

ამის შემდეგ მონაწილეობა მივიღე ნიუ-იორკის რამდენიმე ფეშენ-შოუში, როგორც მოდელმა. რაც შეეხება ჩემს პროფესიულ არჩევანს, საერთაშორისო ურთიერთობები იმიტომ ავირჩიე, რომ ძალიან მიყვარს მრავალფეროვნება და მოგზაურობა. მიმაჩნდა, რომ ეს პროფესია მომცემდა იმის შანსს, ამესრულებინა ოცნება, მემოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში და შეძლებისდაგვარად, ჩემი ქვეყნის კულტურა ტრადიციები და ისტორია გამეცნო მსოფლიოსთვის. მათთვისაც შემეყვარებინა საქართველო ისე, როგორც მე მიყვარს. ამას გარდა, საქართველოში იმის პერსპექტივას ვერ ვხედავდი, რომ ხელოვნებით შეიძლებოდა უზრუნველყოფილი ვყოფილიყავი. ვფიქრობ, ყოველთვის კარგია, გქონდეს რამდენიმე არჩევანი. მე ამისთვის ბევრი ვიშრომე.



**– ნათია, მე შენი კიდევ ერთი გატაცების შესახებ ვიცი. უფრო მეტიც, შენ ხარ პირველი ქართველი ლიცენზირებული პარაშუტისტი. მოგზაურობა მიყვარსო და აქაც მოგზაურობ, ხელოვნებიდან – პოლიტიკურ მეცნიერებაში, იქიდან – სპორტში. ამაზეც მიამბე.**

– პირველად 13 წლის ჩავჯექი თვითმფრინავში. ფრენა ძალიან მომეწონა. მივხვდი, რომ მომავალში რაღაცას ისეთს გავაკეთებდი, რაც ფრენას დაუკავშირდებოდა. ნიუ-იორკში იმდენად მკაცრი რეჟიმი მქონდა: ფორტეპიანოზე მეცადინეობა, რომელიც დღეში მინიმუმ 3 საათი მაინც გრძელდებოდა; ასევე მიწევდა არაერთი საგნის მომზადება. ასეთ მომენტებში ჩემთვის თავისუფლება რატომღაც ფრენასთან ასოცირდებოდა. ამასთან, ბავშვობიდანვე ვიყავი ძალიან სპორტული და აქტიური. სულ ვეძებდი სპორტის ისეთ სახეობას, სადაც საკუთარ თავს ვიპოვიდი და შიგ ჩავტევდი ჩემს აქტიურობას, ენერგიულობას, კონცენტრაციას, ფოკუსს.... მართლაც, ზუსტად ის ვიპოვე პარაშუტისტობაში, რაც მინდოდა.

2011 წელს, მარტო წავედი, რომ პირველად გადმოვმხტარიყავი თვითმფრინავიდან.

**– მარტო?**

– არა, ამას ტანდემი ჰქვია, როცა პროფესიონალთან ერთად ხტები. ჯერ ისევ ჰაერში ვიყავი, როცა მივხვდი, რასაც ვეძებდი ამდენი წელი, ზუსტად ეს იყო. საოცარი გრძნობა დამეუფლა. ამ სპორტის სილამაზემ მაშინვე მომხიბლა. მიწაზე რომ დავდგი ფეხი, უკვე ვიცოდი: მე სპორტის ამ სახეობას პროფესიონალურ დონეზე უნდა დავუფლებოდი.

**– რა გააკეთე ამისთვის?**

– მივედი სპეციალურ სასწავლებელში. ჩავაბარე ბევრი გამოცდა, რომელიც თითოეულ დონეზე უფრო და უფრო რთულდება. ამ სპორტმა ბევრი გამოცდილება და თავდაჯერებულობა შემმატა. ყოველი გადმოხტომა, თითქოს ახალი ცხოვრების დასაწყისია. სამწუხაროა, რომ სპორტის ეს სახეობა საქართველოში არ არის განვითარებული.

**– რა სიმაღლიდან ხტები?**

– ჩვენ ვხტებით 14 ათასი ფუტიდან, ეს დაახლოებით 4 კილომეტრია. გვყავდა პილოტი, რომელსაც ხანდახან 15 ათას ფუტზე ავყავდით, რაც იმას ნიშნავს, 10 წამით მეტი თავისუფალი ვარდნის დრო გვექნებოდა.

**– ესე იგი, როგორ გამოდის? ამ 4 კილომეტრს რამდენ ხანში ფარავთ?**

– 55-60 წამის განმავლობაში გრძელდება თავისუფალი ვარდნა და შემდეგ დაახლოებით 7-12 წუთი მიწაზე პარაშუტით ვეშვებით.

**– რა მოგწონს ყველაზე მეტად ამ სპორტში?**

– ის, რომ ძალიან განსხვავებულია. ალბათ, ძალიან იღბლიანი ვარ, რადგან შემიძლია შევიგრძნო ყველაზე ლამაზი, ენით აუწერელი მომენტები. განსაკუთრებით მიყვარს მეგობრებთან ერთად ფრენა, როცა ერთად შევიგრძნობთ ამ სილამაზეს და ერთმანეთს თვალებითა და ღიმილით ვუზიარებთ ამ ბედნიერებას. ასევე, მიყვარს მზის ჩასვლის დროს გადმოხტომა. ამ დროს ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ყველაზე ახლოს ხარ მზესთან.



## „დამოუკიდებელი ჰოსპიტალთა ასოციაცია" – ახალი სიტყვა ქართულ სამედიცინო სივრცეში

15 დეკემბერს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" მედიასთან პირველი ოფიციალური ბრიფინგი გამართა „დამოუკიდებელ ჰოსპიტალთა ასოციაციამ", რომელიც, იმავდროულად, ორგანიზაციის პრეზენტაციაც გახლდათ. ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ: იაგო კალანდაძემ და დამფუძნებელთა საბჭოს წევრებმა ისაუბრეს კლინიკათა გაერთიანების მიზეზებსა და მის სამოქმედო სტრატეგიაზე.

„მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი", „ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი", „ჩაჩავას კლინიკა", „თბილისის მ. გურამიშვილის სახელობის პედიატრიული კლინიკა", „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა", „ჩაფიძის გულის ცენტრი – ქართულ-გერმანული ჰოსპიტალი", „ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური", „ნიუ ჰოსპიტალს" და „აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი" – 10 წამყვანი კლინიკა, რომლებიც იმ მიზნით გაერთიანდნენ, რომ სწორედ კოორდინაცია აქციონ მოქმედების ამოსავალ წერტილად და ასოციაციის უნარიანი კოორდინირებით სამედიცინო სფეროს სამ ძირითად კომპონენტს: ჯანდაცვის სამინისტროს, სადაზღვევოსა და საავადმყოფოებს შორის, პაციენტს გაცილებით უკეთესი პირობები შეუქმნან. „ქვეყანამ აირჩია ევროპული კურსი და თავისთავად ცხადია, სამედიცინო მიმართულებაც მას უნდა პასუხობდეს. ევროპაში კი სწორედ ასეთი ასოციაციებია პრიორიტეტული, რაც საერთო სამედიცინო დონის სწრაფ ზრდას უწყობს ხელს," – აღნიშნა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრის" ხელმძღვანელმა, ბატონმა გოჩა ინგოროყვამ.

## ART აქცია „მშვიდობის წრე" საქართველოდან დაიწყო და მთელ მსოფლიოს მოიცავს



14 დეკემბერს ჩატარდა ART აქცია – „მშვიდობის წრე", რომლის იდეის ავტორი და ორგანიზატორი გახლდათ გიორგი ჯაჯანიძე. საქართველოში მოწვეული მხატვრები მსოფლიოს 12 ქვეყნიდან ერთ წრეზე მთელი დღის განმავლობაში ქმნიდნენ ნამუშევრებს მშვიდობის თემაზე, საღამოს კი მოეწყო ნახატების გამოფენა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თორმეტმა ქართველმა დიზაინერმა, ჩამოსული სტუმრებისა და მათი ქვეყნების პატივსაცემად, შექმნა ულამაზესი თანამედროვე კაბები, თითოეული ქვეყნის ნაციონალური დეტალების გათვალისწინებით. აქციის ორგანიზატორებმა დააარსეს ფონდი „პროსპერი", სადაც თავს მოიყრის პროექტის მონაწილე ყველა მხატვრის ნამუშევარი. გარდა ამისა, ფონდი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ხელოვანების თავიანთი ნიჭის გამოვლენასა და გზის გაკვალვაში.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

**გიორგი მეთერთმეტე საქართველოს ისტორიაში იმ ტრაგიკულ ფიგურათაგანია, რომლის მსგავსიც, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად გვხვდება. იგი გამეფებისთანავე იძულებული შეიქნა, მიეღო მუსლიმანობა, თუმცა, ფორმალურად, რადგან, ცნობილია, რომ გიორგი XI სიკვდილამდე გულზე ჯვარს ატარებდა. სხვადასხვა წლებში ჯერ ქართლის მეფე იყო, შემდეგ ირანში გადაიხვეწა, ხანაც კვლავ ქართლში მეფობდა, ბოლოს შორეულ ავღანეთში გაგზავნეს გარკვეული მისიით, სადაც ტრაგიკულად დაიღუპა ყანდაარის მახლობლად. ჩვენი რესპონდენტი, ისტორიკოსი ვაჟა კიკნაძე სწორედ გიორგი მეთერთმეტის ცხოვრების შესახებ გვესაუბრება.**

# რისთვის უბოძა ირანის შაჰმა გიორგი მეთერთმეტეს 500 თუმანი, ხალათი და ოქროთი შეკაზმული ცხენი

– გიორგი დაიბადა ვახტანგ მეხუთის (შაჰნავაზის) მრავალშვილიან ოჯახში. გიორგის ძმები იყვნენ: არჩილი, ალექსანდრე, ლევანი, ლუარსაბი და სოლომონი, ჰყავდა ორი დაც – ანუკა და თამარი. გიორგის დედა, როდამი, ყაფლან ბარათაშვილის ასული იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ მრავალშვილიან ოჯახში დედინაცვალი, მარიამ დადიანი (ლევან დადიანის და) შემოვიდა.

**– როგორ შეეწყო დედინაცვალი გერებს?**

– მარიამი არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. სპარსოფილი ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ, თითქოსდა გრძნეულ მკითხავს ერჩიოს გიორგი მეფისთვის – თუ გინდა, მძიმედ ავადმყოფი ცოლი გადაარჩინო, შენი გარდაცვლილი და დასაფლავებული დედინაცვლის მარიამის გვამს თავი მოჰკვეთე და მეუღლეს გვერდით დაუდეო. ფარსადანის სიტყვით, გიორგი მეფე ისე მოქცეულა, როგორც გრძნეულმა ურჩია, თუმცა მის მეუღლეს ამან ვერაფერი უშველაო, – დასძენს იგი.

**– თქვენ, როგორც ისტორიკოსს, დამაჯერებლად მიგაჩნიათ ეს ისტორია?**

– ძნელად დასაჯერებელია. ეს ისტორია რომ შეთხზულია, იქიდანაც ჩანს, რომ სპარსეთის მოყვარული ფარსადანი გვიამბობს, თითქოს შაჰი სულეიმანი ამის გამო ძალზე გამწყრალა და უთქვამს: „გურგინ ხანი" (გიორგი მეფე) მართლმორწმუნე (ესე იგი, მაჰმადიანი) მეგონა, ის კი ისევ ურწმუნო დარჩენილა, თორემ, მუსლიმანი ისეთი კარგი ქალის გვამს, როგორიც მარიამი იყო, ამგვარ შეურაცხყოფას არ მიაყენებდაო.

**– როდის ავიდა გიორგი ტახტზე?**

– 1675 წელს ვახტანგ მეხუთე ისპაჰანში გამოიძახეს, მაგრამ, ის გზაში გარდაიცვალა. შაჰის ბრძანებით, გარდაცვლილი მუსლიმთა წმიდა ქალაქ ყუმში, მამობილის, როსტომ ხანის გვერდით დაკრძალეს. ამის შემდეგ ქართლის ახალი მეფის დამტკიცების საკითხი დადგა. ვახტანგის უფროსი ძე, არჩილი, შაჰს პროთურქულად განწყობილად მიაჩნდა, ამიტომ, არჩევანი გიორგიზე შეაჩერა. გიორგი იძულებული გახდა, მუსლიმანობა მიეღო და შაჰნავაზ მეორის სახელით ქართლში მეფობას შესდგომოდა (1677-1688).

გიორგის გამეფებიდან ძალიან მალევე, შაჰი მიხვდა, რომ მისი მთავარი მიზანი ქართლისა და მთლიანად საქართველოს დამოუკიდებლობა იყო. ამ ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ 1679 წლიდან გიორგი მეფემ რომის პაპთან გააბა ურთიერთობა. ცხადია, რომ მას სურდა, რომის პაპიც და კათოლიციზმიც საქართველოს სასიკეთოდ გამოეყენებინა. პაპმა ინოკენტიმ მას კეთილგანწყობის გამომხატველი წერილი მისწერა და ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი გამოუგზავნა. კათოლიკე მისიონერთა ცნობით, 1686 წელს გიორგის კათოლიკობა მიუღია. გიორგი მეფე კახელებს განჯის ხანის – სელიმის განდევნაშიც დახმარებია. ყოველივე ეს, ცხადია, არ მოეწონებოდა შაჰს. მან კატეგორიულად მოსთხოვა გიორგის, მძევლად თავისი ძმა – ლევანი (ვახტანგ მეექვსის მამა) და ერთადერთი ვაჟი – ბაგრატი გაეგზავნა ირანში. გიორგი იძულებული გახდა, შაჰის ბრძანება შეესრულებინა.



**თუ გინდა, რომ მძიმედ ავადმყოფი ცოლი გადაარჩინო, შენი გარდაცვლილი და დასაფლავებული დედინაცვლის, მარიამის გვამს თავი მოჰკვეთე და მეუღლეს გვერდით დაუდეო. ფარსადანის სიტყვით, გიორგი მეფე ისე მოქცეულა, როგორც გრძნეულმა ურჩია**

**– რა ბედი ეწიათ მძევლებს?**

– შაჰმა ისინი ჰერათის ციხეში გამოკეტა, სპარსეთში მყოფი მისი ძმა კი ქერმანში გაისტუმრა. შაჰმა სულეიმანმა ესეც არ იკმარა და გიორგი ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა. 1688 წელს მან თბილისის ტახტზე თეიმურაზ მეფის შვილიშვილი – ერეკლე პირველი გამოგზავნა. ყოველივე ამის შემდეგ, გიორგი შაჰს არ დაემორჩილა და ისპაჰანში არ გამოცხადდა. მან თავი იმერეთს შეაფარა და იქიდან ადევნებდა თვალს მოვლენების მსვლელობას. ამგვარად, ქართლის ტახტზე ერეკლე პირველი (ნაზარალიხანი) აღმოჩნდა. იგი ვერ მართავდა ქართლს და ვერც მოსახლეობაში სარგებლობდა ნდობით. გიორგი კი იმერეთში აქტიურობდა. იქ მას რუსეთიდან ჩამოსული ძმა – არჩილიც შეუერთდა. თუმცა, ფათერაკებით სავსე ცხოვრება გიორგი მეფისა არ დაწყნარებულა, ამჯერად, ტახტის ამდენმა მემკვიდრემ იმერეთი ვეღარ გაიყო. იმერთა მეფე ალექსანდრე იძულებული გახდა, გორში გაქცეულიყო. აქ მას ერეკლე პირველი ეხმარებოდა. არჩილი ცდილობდა გორის ციხის აღებას და ალექსანდრეს განდევნას, მაგრამ, ვერ მოახერხა.

**– გიორგის ცხოვრება როგორ გრძელდება?**

– გიორგი იმერეთშიც ვერ გაჩერდა დიდხანს. შაჰმა ოსმალთა სულთანს შეუთვალა, ჩემი ყმა დამიბრუნეო. სულთანს არ სურდა სპარსეთთან საქმის გართულება, თან, გიორგისიც ეშინოდა, ამიტომ, არჩია, თავიდან მოეშორებინა ის და ბრძანება გასცა, გიორგი შაჰს გადაეცითო. თუმცა, სულთნის გასაკვირად, მისმა იანიჩარებმა გიორგი შაჰს არ გადასცეს. გიორგიმ მომხრეები შემოიკრიბა და ქართლში შეიჭრა. ადვილად აიღო რუისი, ჭალა, თიანეთი, ლილო. იქიდან გიორგიმ კახელებთან გამართა მოლაპარაკება, მაგრამ, კახელებმა მას უღალატეს და ნინოწმინდასთან გიორგის მომხრეებს დაესხნენ თავს. გიორგი დიდგორში გამაგრდა, ერეკლე და სპარსელები კი – თრიალეთში. საბოლოოდ, ბრძოლა არ შედგა.

ამასობაში იცვლება პოლიტიკური სიტუაცია: ირანის შაჰი სულეიმანი გარდაიცვალა და ტახტი მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა – ჰუსეინმა დაიკავა.

**– როგორი პოლიტიკით განაგრძო მან ქართველებთან ურთიერთობა?**

– ახალმა შაჰმა გიორგისა და მისი ძმების მიმართ პოლიტიკა თანდათან შეცვალა. თავის მხრივ, გიორგისაც ურჩიეს – ტახტის დაბრუნება თუ გინდა, ახალ შაჰს შეურიგდიო. მართლაც, გიორგი მეთერთმეტემ ჰუსეინთან გამოცხადება გადაწყვიტა. შაჰმა ასეთი დაუმორჩილებელი მეფის ნახვით ძალიან გაიხარა. გზად მიმავალ გიორგის ერევანში 500 თუმანი, ხალათი და ოქროთი შეკაზმული ცხენი გაუგზავნა.

მართლაც, 1697 წლის მარტში გიორგი ისპაჰანში ჩავიდა და შაჰთან გამოცხადდა. იქ მას ძმები და ძმისშვილი დახვდნენ. შაჰმა, დიდი წყალობის ნიშნად, მეფეს საკუთარი ხელით მიართვა ღვინო. ამასთან, ერეკლეს უბრძანა: გიორგი ქართლში დააბრუნე, შენ კი სამართავად კახეთში დარჩიო. ცხადია, ცბიერი შაჰი ამას გულკეთილობის გამო არ სჩადიოდა. ახალგაზრდობის მიუხედავად, მან კარგად დაინახა, რომ, იმ ძლიერ საფრთხეს, რასაც ავღანელთა აჯანყება ერქვა, ვერავინ გაუმკლავდებოდა მამაცი ქართველი მეფის გარდა, ამიტომ, შაჰმა 1704 წელს გიორგის ქართლის მეფობა დაუბრუნა, თუმცა, ის სპარსეთში დატოვა. ქართლში კი მეფის მოადგილედ (ჯანიშინად) გიორგის ძმისშვილი – ვახტანგ ლევანის ძე გაგზავნა.

**– გიორგის რა ბედი ეწია?**

– შაჰმა ჯერ ქერმანში გამოსცადა გიორგი და ლევანი, იქაურობა მოაწესრიგებინა. შემდეგ კი გიორგის ავღანეთში, პირდაპირ ყანდაარში უკრა თავი. 1704 წელს გიორგი მეთერთმეტე 20-ათასიანი ლაშქრით, რომელთა შორის 4 ათასი ქართველი იყო, მიუვალ ციხე-ქალაქ ყანდაარისკენ გაემართა. ქართველი მეფის ჩასვლის შემდეგ ყანდაარი საშიშად მიყუჩდა. გარეგნულად „გურგინ ხანს" არავინ უპირისპირდებოდა, მაგრამ, სპარსელთა გურჯი სარდლის წინააღმდეგ ფარულად მზადდებოდა შეთქმულება. შეთქმულთა სათავეში გაქნილი და გამოცდილი ღილზაის ტომის ბელადი – მირვეისი იდგა. გიორგის ზურგს უკან მირვეისმა შაჰთან ფარული საჩივარი გააგზავნა. წერილში ის გურგინ ხანის დაუნდობლობასა და დესპოტიზმს „ამხელდა". როდესაც გიორგიმ ეს ამბავი შეიტყო, მირვეისი იძულებითი წესით გაგზავნა ისპაჰანში, შაჰს კი აუწყა, რომ მირვეისი საშიში პიროვნებაა და სპარსეთის დიდი მტერიო. ევროპელი ავტორების ცნობით, მირვეისმა 300 ათასი თუმანი ქრთამად გაიღო და შაჰის კარი მთლიანად მოისყიდა. შაჰმა ის პირადად მიიღო და ადრე ჩადენილი ყველა დანაშაული აპატია. თავის მხრივ, მირვეისი არწმუნებდა შაჰს, რომ გიორგი საშიში და ვერაგი პიროვნებაა და მისი ნდობა არ შეიძლებაო.

ამ პერიოდში ისპაჰანში ჩადის რუსეთის იმპერატორის, პეტრე პირველის ელჩობა სომხური წარმოშობის ისრელ ორის მეთაურობით. იგი გამომწვევად და მედიდურად იქცეოდა სპარსეთის შაჰის კარზე, რამაც ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მირვეისმა შაჰს მოახსენა: რუსები და სომხები შენთვის უდიდეს საფრთ-

**(გაგრძელება 74-ე გვერდზე)**

**„დღეს საქართველო 75 პროცენტით ენერგეტიკულად დამოკიდებულია ჩვენს მეზობელ ქვეყნებზე. თუმცა, საქართველოს ნამდვილად აქვს იმის შესაძლებლობა, ბუნებრივი რესურსების საშუალებით ენერგოდამოუკიდებელი იყოს. დამეთანხმებით, რომ ენერგოდამოუკიდებლობა არის თითქმის ქვეყნის დამოუკიდებლობის ტოლფასი და ამიტომ, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის რესურსები, რაც ქვეყანას გააჩნია," – განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.**

**სახელმწიფოს მხრიდან ხუდონჰესი ამ ეტაპზე, ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოების ერთადერთ საშუალებად განიხილება. ექსპერტები, რომლებიც ამ პროექტში ჯერ კიდევ წლების წინ იყვნენ ჩართულნი, აცხადებენ, რომ ხუდონჰესი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკის გაძლიერებისთვის.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ზურაბ გედენიძე „გურია ნიუსთან" საუბრისას ექსკლუზიურად აცხადებს, რომ გაპრემიერების შემდეგ, თავად ზურაბ ჟვანიამაც კი, აქტიურად დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობის ლობირება.**

**დღეს გარემოსდამცველები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ განვითარებულ ქვეყნებში დიდი ჰესები აღარ შენდება, რაც რეალობისგან შორს დგას. 2013 წლის დასაწყისის მონაცემებით, მსოფლიოში 60 მეტრზე მაღალი 271 კაშხალი შენდება.**

# „ჟვანიამ გვითხრა, სიტყვას გაძლევთ, ჩემი პრემიერობისას ხუდონჰესი აშენდებაო"

**– გარემოსდამცველები მუდმივად ალტერნატიულ ვარიანტებზე საუბრობენ, თქვენ როგორც ამ დარგის სპეციალისტი, როგორ ფიქრობთ, არსებობს რაიმე ალტერნატივა, რომელიც დიდ ჰესს ჩაანაცვლებს?**

– თუ თბოელექტროსადგურების მშენებლობაზეა ლაპარაკი, ისიც უნდა იცოდნენ, რომ ეს ეკოლოგიას მთლიანად ანადგურებს. გარდა ამისა, იქმნება სათბურის ეფექტი, ღრუბელივით იკრიბება მაღლა და გამოყოფს ორთქლს. ფაქტია, რომ ჩვენ სხვა ალტერნატივა არ გვაქვს, ან უნდა ავაშენოთ დიდი ჰესი, თუ არადა, რჩება ატომური ელექტროსადგური, რომელსაც გაცილებით მეტი რისკ-ფაქტორი ახლავს.

ერთი აკადემიკოსი იყო ასეთი, გივი სვანიძე, რომელიც გარდაიცვალა და ის ამბობდა სულ ასეთ ფრაზას: როგორც 20 ერთი წლის ბავშვი ვერ გააკეთებს ერთი ოცი წლის ბიჭის საქმეს, ისე 20 მცირე ჰესი ვერ გააკეთებს ერთი დიდი ჰესის საქმესო.

მშენებლობის პერიოდში, ენგურზე 18 წელი ვიარე და მეგონა, რომ ანაკლიაში გარეცხვები უფრო მეტი იქნებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არაფერი დიდი გარეცხვები არაა. ინტენსიური გარეცხვები რომ ყოფილიყო, არც პორტის მშენებლობას დაიწყებდნენ და არც ბანაკისას. ენგური 271-მეტრიანი კაშხალია და ამას გავუძელით, ხუდონში რატომ უნდა იყოს საფრთხე? ხუდონი, პირიქით, გაუზრდის ნალექის ხანგრძლივობას ენგურს და უკეთესი იქნება.

**– ბატონო ზურაბ, თქვენ როგორც ამ ჰესის მშენებლობაში აქტიურად ჩართული ადამიანი, რას იტყვით, რატომ შეწყვიტა რუსეთმა ხუდონჰესის მშენებლობა 1989 წელს? ამბობენ, რომ ეს სულაც არ უკავშირდებოდა მაშინ აგორებულ ეროვნულ მოძრაობას...**

– რუსეთმა იმ პერიოდში იგრძნო, რომ საბჭოთა კავშირი იშლებოდა. ეს საშიშროება რომ არ ყოფილიყო, გამორიცხულია, რუსეთს ხუდონჰესის მშენებლობა გაეჩერებინა. ტურბინა-გენერატორები უკვე გამზადებული იყო და როსტოვში შემოდიოდა დასამონტაჟებლად. როცა რუსეთი მიხვდა, რომ საბჭოთა კავშირი დაშლას აპირებდა, 11 უდიდესი მშენებლობა გააჩერა სხვა რესპუბლიკებშიც და მათ შორის მოხვდა ხუდონიც.

**– ანუ, ერთის მხრივ არ დახარჯეს ფული და მეორეს მხრივ, „იზრუნეს" იმაზე, რომ ჩვენ არ გავმხდარიყავით ენერგოდამოუკიდებლები?**

– დიახ, სწორედ ასეა, რადგან იცოდნენ, რომ ჩვენი საკუთარი სახსრებით დიდ ჰიდროელექტროსადგურს ვერ ავაშენებდით.

**– ბატონო ზურაბ, როგორც ამბობ-**



**ენ, გაპრემიერების შემდეგ ზურაბ ჟვანია სულაც არ იყო ხუდონჰესის აშენების წინააღმდეგი, პირიქით, მას სურდა ამ პროექტის განხორციელება. იმ პერიოდში იმართებოდა გარკვეული შეხვედრებიც ამ საკითხზე. თქვენთვის თუ არის ამის შესახებ ცნობილი?**

– დიახ, უნდოდა ზურა ჟვანიას ხუდონჰესის აშენება და ახლა მე მაგას გეტყვით დეტალურად. ვარდების რევოლუციის შემდეგ, სწორედ იმ ოთახში, სადაც სააკაშვილმა შევარდნაძის ჩაი დალია, იქ გვქონდა შეხვედრა ენერგეტიკოსებს ზურაბ ჟვანიასთან. ბევრი მათგანი გარდაიცვალა, მაგრამ ამის მოწმე ცოცხალი ადამიანებიც არიან: მაგალითად ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ელიზბარ ერისთავი, ნოდარ ჭითანავა, ზურაბ მინდელი, მე აგერ ცოცხალი ვარ...

სანამ თავად ზურაბ ჟვანია გამოვიდოდა სიტყვით, მანამდე გამოიყვანა ანზორ ჭითანავა, რომელმაც ისაუბრა ხუდონთან დაკავშირებით. ამის შემდეგ, სიტყვით გამოვიდა ზურაბ ჟვანია და თქვა: თქვენ ჰიდროელექტრიკოსები მე მაბრალებთ ხუდონის გაჩერებას, მაგრამ კაცურ სიტყვას გაძლევთ, ვიდრე პრემიერ-მინისტრი ვიქნები, ხუდონჰესის მშენებლობას დავამთავრებო.

კიდევ ერთსაც გეტყვით, გარდა ამისა, მე და ელდარ შენგელაია ერთად ვმოღვაწეობდით ერთ-ერთ ფირმაში. ელდარი ძალიან ახლოს იყო ზურაბ ჟვანიასთან და მიყვებოდა: რამდენი დაბადების დღეს ვულოცავ ზურას, იმდენი ხუდონჰესს ვახსენებ და ყოველთვის მპასუხობს, რა გამიჭირეთ საქმე, მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და შემეშალა და კონსულტანტებიც არ გვყავდა მაინცდამაინც კარგიო.

ასე რომ, როცა სახელმწიფოებრივი პრობლემები დააწვა ზურგზე პრემიერ-მინისტრს, მაშინ იგრძნო, რომ ენერგეტიკა საჭიროა...

**– ანუ ჟვანია რომ ცოცხალი ყოფილიყო, ხუდონი აშენდებოდა?**

– იმ შეხვედრას, სადაც ჟვანიამ სიტყვასიტყვით თქვა: ვიდრე პრემიერ-მინისტრი ვიქნები, ხუდონჰესის მშენებლობას დავამთავრებო, ჩემს გარდა სხვებიც ესწრებოდნენ. მაშინ, როცა ეს შეხვედრა შედგა, ის დაახლოებით სამი კვირის დანიშნული იყო პრემიერად.

**მომღერალმა ქეთი ორჯონიკიძემ საახალწლო მზადება, როგორც თავად ამბობს, სამი თვის წინ დაიწყო. როგორც ჩანს, ცხენის წელიწადს ის საკმაოდ ოპტიმისტური და ამაღლებული განწყობით ელოდება. მართალია, გასული წელი მის ცხოვრებაში დიდი ცვლილებების მოტანი არ ყოფილა, მაგრამ იმედია, მომავალი წელი, მისთვის გაცილებით იღბლიანი აღმოჩნდება. თუ სად აპირებს ის ახალი წლის შეხვედრას, რას გეგმავს ახალი წლის დღეებში და ვისთვის ამზადებს თოვლის ბაბუის ფორმას, ამაზე თავად მოგიყვებათ.**

# რას ინახავს ახალი წლის ღამეს საიდუმლო სეიფში ქეთი ორჯონიკიძე და რატომ იცვლის ის სქესს წელიწადში ერთხელ



წვერს წელიწადში ერთელ ვირგებ და ამით სხვებს ვახარებ

**ქეთი ორჯონიკიძე:** გვლის წელი, განსაკუთრებულად გამორჩეული, ნამდვილად არ ყოფილა ჩემთვის. ვერ მოგატყუებთ და ვერ გეტყვით, ჩემთვის საუკეთესო იყო, თან სიყვარულით დატვირთული-მეთქი. არც რაიმე ცვლილება მომხდარა ჩემს ცხოვრებაში, თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ცუდი იყო. აი, ცხენის წელიწადისგან კი უფრო მეტ დადებითს ველი. ჩემი მუსტანგი, იმედია, შოორს გამაქანებს *(იცინის).* ახალი წლის დახვედრა სახლში მიყვარს და წელსაც ასე ვგეგმავ. წელს განსაკუთრებით მიხარია ახალი წლის მოსვლა. არ დამიჯერებთ და, სამი თვით ადრე, ჯერ კიდევ თბილოდა, საახალწლო მზადება რომ დავიწყე. ვცდილობ, ამ დღეს გამორჩეულად ამაღლებული განწყობით შევხვდე.

**– ანუ, როგორც გავიგე, სამი თვით ადრე უკვე საახალწლო განწყობა გქონდა?**

– დიახ, სამი თვით ადრე მქონდა საახალწლო ემოცია *(იცინის).* ანუ, სამი თვის წინ, გავიღვიძე, დამეუფლა ახალი წლის განწყობა და მას მერე ასე ვარ. ნაძვის ხეც ადრე დავდგი და სახლიც ნაადრევად მოვრთე. ახლაც ამაღლებული განწობა მაქვს. არ დამავიწყდება, მე და ჩემი მეგობრები ყოველთვის ვწერდით ფურცელზე სურვილებს, წლები რომ გავიდოდა ვხსნიდით და ვკითხულობდით. თან, ვაანალიზებდით, ვის რა სურვილი აუხდა.

**– და გიხდებოდა ეს ჩათქმული და ფურცელზე დაწერილი სურვილები წლების შემდეგ?**

– სხვათა შორის, ერთ-ერთი ასეთი სურვილების ფურცლები, რომელიც დაახლოვებით ექვსი წლის წინ შევავსეთ სამი წლის წინ, ახალი წლის ღამეს ისევ შევიკრიბეთ, გავხსენით და, სხვებისგან განსხვავებით, ყველა სურვილი ახდენილი მქონდა, რაც იქ მეწერა.

**– ვისთან ინახებოდა ეს სურვილების საიდუმლო სეიფი?**

– ეს სურვილები, ანუ სურვილების საიდუმლო სეიფი, ინახებოდა ჩემი მეგობრის, გიგას სახლში. ისე იყო დაბეჭდილი ეს სკივრი, რომ ვერავის გაეხსნა.

**– რაიმე რიტუალი თუ გაქვს, რომელსაც ყოველი ახალი წლის ღამეს, 12 საათის დადგომამდე ასრულებ?**

– არა, ასეთი რიტუალი არ მაქვს. ახალ წელს სახლში შევხვდები, მერე კი ჩავიცვამ

## სამი თვით ადრე, ჯერ კიდევ თბილოდა, რომ დავიწყე საახალწლო მზადება

ჩემს თოვლის ბაბუის ფორმას, გავიკეთებ თეთრ წვერს, მოვიგდებ პატარ-პატარა საჩუქრებით დატვირთულ ხურჯინს და გავალ ქუჩაში. ვინც შემხვდება, დავასაჩუქრებ პატარა საჩუქრებით და მერე მეგობრებს დავუვლი. ეს ყოველ ახალ წელს, 12 საათის მერე ხდება და ერთგვარი საახალწლო რიტუალია ჩემთვის.

**– ასე გამოწყობილს ქუჩაში ვერ გცნობენ?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, ვერ მცნობენ. იმხელა თეთრი წვერი მაქვს, ისე ვარ შებუდნული წითელ ლაბადაში და ისე მაქვს ქუდი ჩამოფხატული, თვალის ფერით რას მიხვდებიან, რომ ქეთი ვარ *(იცინის).* მთავარია, ხალხი რომ მხედავს, უხარიათ. მთავარი ესაა. ასე რომ, წვერებს წელიწადში ერთელ ვირგებ და ამით სხვებს ვახარებ.

**– ესე იგი, თოვლის ბაბუა თავად ხარ და შენთან ის არ მოდის საჩუქრებით?**

– კი, როგორ არა. ჩემი მეგობრები არიან ჩემი თოვლის ბაბუები. ისინი მოდიან საჩუქრებით ჩემთან. ასე რომ, ოთხი თოვლის ბაბუა მოდის ახალ წელს ჩემთან *(იცინის).* ისე, რომ გითხრათ, დიდად არც ბავშვობაში მჯეროდა თოვლის ბაბუის არსებობა, თუმცა ცოტა ეჭვები კი მქონდა *(იცინის).*

**– ყველაზე განსაკუთრებული რომელი ახალი წელი იყო შენთვის, ისეთი, არასდროს რომ არ დაგავიწყდება?**

– განსაკუთრებული ახალი წელი იყო – ორი წლის წინ, რაჭაში. ბენდთან ერთად ვიყავი ამბროლაურის რაიონში. იქ გვქონდა დაგეგმილი კონცერტი. არ დამავიწყდება, საოცრად ყინდავდა. მიკროფონი ხელზე მიმეყინა და ვერ მომაგლიჯეს *(იცინის).* საწყალ ბენდის ბიჭებს კი, ყინვისგან კანი დაუსკდათ და დასისხლიანდნენ. იმწუთას, კი გავიყინეთ, მაგრამ, აი, რომ გავლღვით, მერე წავიდა კარგი ქეიფი. საოცარი ატმოსფერო იყო, არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ, ძალიან ვისიამოვნეთ და იქაურებიც ვასიამოვნეთ.

**– თუ დაკვირვებიხარ, როგორი მეკვლე ხარ, ღირს შენი ბედობაზე მოპატიჟება?**

– არ გირჩევთ *(იცინის).* საოცრად ცუდი ფეხი მაქვს. ასე რომ ვუყურებ ჩემს ფეხებს, მომწონს, მაგრამ აი, საბედოდ ნამდვილად არ ვარგა *(იცინის).* ვხუმრობ: თუ არ გინდათ, რომ გათხოვდეთ, წარმატებული იყოთ და ბევრი ფული გქონდეთ, მე დამპატიჟეთ მეკვლეთ-მეთქი *(იცინის).* რა ვიცი, თუ მაინც დამპატიჟებთ, მოვალ, მაგრამ გარისკვას არ გირჩევთ *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

(72-ე გვერდიდან)

ხეს წარმოადგენენ, მაგრამ, ისინი ვერაფერს გახდებიან, თუ მათ შორის მცხოვრები ქართველები არ მიემხრნენო. გიორგის ბედი გადაწყვეტილი იყო, ის კი ვერაფერს მიხვდა... პირიქით, მირვეისს ქალიშვილი მოსთხოვა თავისი ჰარამხანისთვის. ამ მოთხოვნამ მირვეისიც და ავღანელი ბელადებიც აღაშფოთა, თუმცა, გარკვეულ დრომდე არაფერი შეიმჩნიეს. მირვეისი თითქმის ყოველდღე ხვდებოდა გიორგის და თავის ერთგულებაში არწმუნებდა. თავისი ქალიშვილის ნაცვლად კი მას სხვა ქალი გაუგზავნა.

მალე შეთქმულებმა ერთ-ერთი ავღანური ტომი – ტირინები ააჯანყეს და სპარსეთისთვის გადასახდის გადახდაზე უარი ათქმევინეს.

გიორგიმ ჯარის დიდი ნაწილი აჯანყებულთა დასასჯელად გაამგზავრა. სწორედ ამას

# რისთვის უზოძა ირანის შაჰმა გიორგი მეთერთმეტეს 500 თუმანი, ხალათი და ოქროთი შეკაზმული ცხენი

ელოდა მირვეისი. მან გიორგი დიდ ნადიმზე მიიწვია, რომელიც ყანდაარიდან ოთხ-ხუთ კილომეტრში, სპეციალურად აშენებულ კარვებში უნდა გამართულიყო. ყველაფერი მზად ჰქონდათ გიორგის მოსაკლავად. ქართველი მეფე ვერაფერს მიუხვდა ცბიერ მტერს, სიამოვნებით გაემართა ნადიმზე და ღვინოც ბლომად შესვა. რის შემდეგაც, ზოგიერთი ევროპელი ავტორის ცნობით, გიორგი შუბით შეიარაღებულმა ორმოცდაათმა პირმა მძინარე მოკლა. ქართველი მემატიანეების, სეხნია ჩხეიძისა და ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით კი, როდესაც შეთქმულები მეფეს მიეჭრნენ, მეფე ბოლო ისრამდე ესროდა მათ, მერე კი ხმლით იცავდა თავს. მეფე გიორგი 1709 წლის 21 აპრილს გამოასალმეს სიცოცხლეს.

შურისძიების მიზნით, 1710 წელს სპარსეთის შაჰმა ყანდაარში ქაიხოსრო ლევანის ძე და 1 500 ქართველი გაგზავნა სპარსელებთან ერთად. ქაიხოსროს ქართველები ღალატობდნენ, ამიტომ, მან ვერ შეძლო მირვეისის დამარცხება; ერთს კი მიაღწია – გიორგისა და მისი ამალის წევრების გვამები გამოიხსნა, თუმცა, სანაცვლოდ, თვითონ შეეწირა ამ უთანასწორო და ვერაგულ ომს.

**ეკა სალაღაია**

**„ახალი ხმის“ ენერგიული, ნიჭიერი მონაწილე, მომღერალი და მსახიობი თიკო მოსემღვდლიშვილი, შეიძლება ითქვას, მაიას გუნდის ერთ-ერთი ფავორიტია. ის წინა ლაივზე ესემეს-ლიდერი გახდა, თუმცა მას წინ კიდევ ერთი ლაივი აქვს ფინალში გადასასვლელად. ასე რომ, ვისაც მოგწონთ ეს ენერგიული და ნიჭიერი მომღერალი, მიეცით ხმა ნომერზე: 0 903-200-218.**

# რატომ იყო თანახმა საკუთარი სახლიდან გაქცევაზე თიკო მოსემღვდლიშვილი და რა ასწავლა მას წლების წინ ცხოვრებამ

**თიკო მოსემღვდლიშვილი**: ბავშვობაში დავიწყე სიმღერა, მიმიყვანეს პედაგოგთან და ნელ-ნელა გავყევი ამ საქმეს. სკოლაში მე და ჩემი და გამორჩეულები ვიყავით, თან, დედა სასწავლო ნაწილის გამგე იყო – კულტურას კურირებდა და ჩვენც მაქსიმალურად ვიყავით ჩართულები. შემდეგ გადავწყვიტე, ჩამებარებინა საესტრადო სასწავლებელში, სადაც ორი წელი ვისწავლე. იქ მსახიობის ოსტატობასაც მასწავლიდნენ და ერთ-ერთმა რეჟისორმა თავის კერძო მოზარდ მაყურებელთა თეატრში მიმიწვია. 15 წლის ასაკში, როგორც მსახიობი, დავდექი სცენაზე. საშინლად ვნერვიულობდი, მაგრამ, ძალიან დამეხმარა თავად რეჟისორი, თენგიზ ავალიშვილი. ამის შემდეგ გადავწყვიტე, აუცილებლად გამეგრძელებინა მსახიობის კარიერა, თან მემღერა. ამიტომ, თეატრალურ უნივერსიტეტში ჩავაბარე დრამისა და მუსიკის ფაკულტეტზე. მაგრამ, მეორე კურსზე გავთხოვდი, ოჯახი შევქმენი და წელი გამიცდა. რადგან მომდევნო წელს აღარ იყო იგივე ფაკულტეტი, დრამისა და კინოს ფაკულტეტზე ჩავაბარე.

**– შენი მეუღლეც მსახიობია?**

– არა, შემთხვევით გავიცანი. რამდენიმე დღის გაცნობილი მყავდა, როცა ცოლად გავყევი. გიორგობას, ანუ, 23 ნოემბერს გავიცანი და 9 დეკემბერს გავთხოვდი. ოღონდ, ამ პერიოდის განმავლობაში სულ შვიდჯერ მყავდა ნანახი. მეშვიდე შეხვედრაზე მითხრა, გამომყევიო და გავყევი. ეს ყველასთვის შოკი იყო, მიუხედავად იმისა, რომ წინა დღეს ამოვიდა ჩემთან. დედაჩემმა თქვა: რა დროს შენი გათხოვებაა, ახლა ჭკუაზე არ გადამიყვანოო. მოკლედ, სახლიდან არ მიშვებდნენ, ერთი ამბავი იყო. სამი წელი ვიყავით ერთად. ახლა ჩემი შვილი 5 წლის არის. ერთ დღესაც, გადავწყვიტე, მორჩა-მეთქი და ამის შემდეგ მართლაც დამთავრდა ყველაფერი – მოვკიდე ხელი ჩემს შვილს და წამოვედი. ჩვენს ხასიათში, მიზნებში ძალიან დიდი განსხვავება იყო, ეს კი ძალიან რთულია. ამ ყველაფერმა გადამღალა და მივხვდი, ცოტა განტვირთვა მჭირდებოდა. დღეს ამით ბედნიერი ვარ.

**– ოჯახის დანგრევის ერთ-ერთი მიზეზი გათხოვების ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო?**

– მანდ დავუშვი ყველაზე დიდი შეცდომა. იმ დროს ამას ვერ ვხვდებოდი. თან, არ მქონდა თავისუფალი ბავშვობა, გოგონებმა რომ იციან: იქ წავალ, დავრჩები მეგობრებთან, იმას გავაკეთებ, ამას გავაკეთებ; ერთად რომ ათენებენ, ქეიფობენ... 10 საათზე დაარტყამდნენ ხელს და სახლში უნდა ვყოფილიყავი. მამა არ მყავს, მაგრამ, სამაგიეროდ, ბებია მყავდა ძალიან მკაცრი. ამიტომ სახლიდან გაქცევაზე ვიყავი. ნამდვილად ვიცი, რომ ბავშვს ზომიერად უნდა მისცე თავისუფლება, ბევრი რამ უნდა ანახო, მასთან მეგობრულად იყო და უნდა იცოდე, რას აკეთებს. პირადად მე, თვითონ ცხოვრებამ მასწავლა ცხოვრება, არავინ დამჯდომია და არ უსწავლებია. საერთოდ, თავად ხედავ და თავად განიცდი ყველაფერს.

**– როგორ განვითარდა შენი ცხოვრება მეუღლესთან დაშორების შემდეგ?**

– მოკლედ, დავშორდი ჩემს ქმარს და, ზუსტად ორი დღის შემდეგ, ვდგავარ გაჩერებაზე. უცებ მანქანა გაჩერდა: წამოდი, წაგიყვანოო. ჩემი ძველი ნაცნობი აღმოჩნდა, რომელსაც გათხოვებამდე ვიცნობდი, სკოლელები ვიყავით. იმის მერე სულ ერთად ვართ, უკვე მეხუთე წელი დაიწყო. ძალიან მალე განვითარდა ჩვენი ურთიერთობა. ორ თვეში მივხვდით, ეს არ იყო უბრალოდ მეგობრობა, წაყვანა-წამოყვანა... უფრო სერიოზულად იყო საქმე.

**– რა ეტაპზეა თქვენი ურთიერთობა?**

– თითქმის ცოლ-ქმარი ვართ, უბრალოდ, ჯერ ხელი არ გვაქვს მოწერილი. თან, როცა მე დამირეკეს პროექტიდან, ის იმ დროს ამერიკაში წავიდა, ახლაც იქ არის. მიმაჩნია, რომ მისი სახით ზუსტად ისეთი ადამიანი ვიპოვე, როგორიც მინდოდა: აბსოლუტურად განსხვავებულია, ჩემნაირი გიჟია ისიც. გული მწყდება, რომ ახლა, ზუსტად იმ პერიოდში, როდესაც ყველაზე მეტად მჭირდება, აქ არ არის. თუმცა, 24 საათი სკაიპით ვლაპარაკობთ: დილა გათენდება – ერთად ვართ, დაღამდება – ერთად ვართ. ყველაფერი მაქვს: ვაკეთებ იმ საქმეს, რაც მიყვარს, ბედნიერი ვარ, მაგრამ, ზვიადი რომ ჩემ გვერდით იყოს, კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნები. ჯერ არ აპირებს ჩამოსვლას. რომც ჩამოვიდეს, დროს არ მეტყვის. მისი ჩამოსვლა ყოველთვის სიურპრიზი იყო, მაგრამ, სულ ვხვდებოდი, გული მიგრძნობდა ხოლმე და მთელი ღამე არ ვიძინებდი. მას კი შეეძლო, ღამის სამ საათზე დაერეკა კარზე.



**ყველაფერი მაქვს: ვაკეთებ იმ საქმეს, რაც მიყვარს, ბედნიერი ვარ, მაგრამ, ზვიადი რომ ჩემ გვერდით იყოს, კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი**

**– შენც უწყობ სიურპრიზებს?**

– ძალიან მიყვარს, მაგრამ, რომ გითხრა, ზვიადისთვის სიურპრიზი გამიკეთებია-მეთქი – არა. რაც შეეხება ჩვენს დახურულ, დაფარულ პირად ურთიერთობას, ეს კიდევ სხვა რამეა. მას აქვს იმის საშუალება, სიურპრიზი მომიწყოს და კარგადაც გამოსდის. თან, არასდროს მეუბნება, როდის ჩამოდის, თორემ, მეც გავუკეთებდი რაღაცას. არ მიყვარს ისეთი კაცი, რომელიც ქალზე სუსტია. მე ისეთი ტიპი ვარ, უნდა დავინახო, რომ კაცმა „დამიჭირა,” რადგან, თამამი ვარ, ჩემი ხასიათი მაქვს და, ამ მხრივ, ზვიადი კარგად მთოკავს.

**დავშორდი ჩემს ქმარს და, ზუსტად ორი დღის შემდეგ, ვდგავარ გაჩერებაზე. უცებ მანქანა გაჩერდა: წამოდი, წაგიყვანოო. ჩემი ძველი ნაცნობი აღმოჩნდა, რომელსაც გათხოვებამდე ვიცნობდი, სკოლელები ვიყავით**

**– როგორც ვიცი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მსახიობის კარიერაც გქონდა – სპექტაკლებში თამაშობდი.**

– თეატრალურში რომ ჩავაბარე, პარალელურად, ერთი წლის განმავლობაში მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვიყავი, მაგრამ სწავლაში ხელი მეშლებოდა და თავი დავანებე. შემდეგ იყო საკურსო, მერე – სადიპლომო ნამუშევარი. ჩვენი პირველი სპექტაკლი – „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“ – ძალიან ბევრგან გვქონდა გატანილი, მათ შორის „სარდაფში,” რუსთაველის თეატრში და ასე შემდეგ. რაღაც პერიოდის შემდეგ ისევ დავუბრუნდი მოზარდ მაყურებელთა თეატრს, ბევრი კარგი როლი ვითამაშე. მერე ბებია გახდა ავად, სჭირდებოდა ადამიანი, რომელიც გვერდში დაუდგებოდა. ჩემი და ამერიკაშია, ამიტომ, მე მომიწია მისი დახმარება და თავი დავანებე თეატრს.

**– რატომ გადაწყვიტე „ახალ ხმაში“ მონაწილეობა?**

– ხომ იცი, რაღაც რომ გაწუხებს შინაგანად, ღამით ვერ იძინებ, რადგან, წარმოიდგენ: როგორ მღერი, როგორ გამოდიხარ სცენაზე – ეს არ გასვენებს. იმიტომაც გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება, რომ გამომეყენებინა ეს დრო და მაქსიმალურად გამომემჟღავნებინა საკუთარი შესაძლებლობები. ვფიქრობ, ამ პროექტში გამიმართლა, რადგან, „ბრმა ქასთინგამდე” ბევრი შიდა ტურის გავლა გიწევს და, მადლობა „ახალ ხმას“, რომ დამინახეს და მომცეს „ბრმა ქასთინგზე” გამოსვლის საშუალება. რაც შეეხება მაიას, იმაზე სწორი არჩევანი გავაკეთე, ვიდრე წარმომედგინა, რადგან, იმის გარდა, რომ მაია ძალიან განათლებული მუსიკოსია, არის არაჩვეულებრივი ადამიანი, მეგობარი და მწვრთნელი. ყველაფერი შეთანხმებულად ტარდება ჩვენს გუნდში. მაქსიმალურად ცდილობს კონკურსანტის კომფორტზე, ძალიან შემიყვარდა და აუცილებლად გავაგრძელებ მასთან მეგობრობას. მიხარია, რომ ის გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში და მის გუნდში ვარ დღეს. რომც დავტოვო პროექტი, არ მინდა, ვთქვა, რაღაცის გაკეთება ვერ მოვასწარი-მეთქი. ხალხის კომენტარებს რომ ვკითხულობ, მიხარია, რადგან, ხალხმა დამინახა ზუსტად ისეთი, როგორიც ვარ. დიდი სურვილი მაქვს, ვიდგე ფინალში და, იმედი მაქვს, ხალხი დამიმესიჯებს. ლაივზე არ მეგონა, ესემეს-ლიდერი თუ გავხდებოდი, ამის გამო შოკირებული ვიყავი. თან, პირველმა ლაივმა გამიჩინა იმის იმედი, რომ ხალხი მიმაღწევინებს წარმატებას. ერთი ესემესიც ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს, ამიტომ, ვისაც უნდა, რომ სამშაბათის ლაივიდან ფინალში გავიდე, დამიმესიჯონ ნომერზე: 0 903 200 218. რაც მთავარია, შევეცდები, კარგი შოუ დაიდგას, მინდოდა დრამატული ლაივის შემდეგ უფრო ცეცხლოვანი ნომერი ყოფილიყო. ორივე მიყვარს, ჩემია, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ახლა ამის დროა, ცოტა უნდა გამოვფხიზლდე. თან, საჩემო სიმღერაა, გიჟური და, იმედი მაქვს, მაყურებელი ისე დაინახავს ყველაფერს, როგორც მე მინდა. ჩემთვის ყველა ლაივი ძალიან მნიშვნელოვანია და ხალხის სიყვარულს ვერ გავიგებ ესემესების გარეშე – ამით ხვდები, მოსწონხარ თუ არა მაყურებელს. დიდი მადლობა წინასწარ მათ, ვინც დამიმესიჯებს.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**აბუ ფარჯი**: ვინ შეიძლება ჭკვიან კაცად მივიჩნიოთ? ის, ვინც ისეთი მიზნისკენ მიისწრაფვის, რომლის ასრულებაც შეიძლება.

**გოეთე**: მაღალი მიზნები, თუნდაც შეუსრულებელნი, ჩვენთვის უფრო ძვირფასია, ვიდრე მდაბალი მიზნები, თუნდაც ისინი აღსრულებულნიც იყოს.

**ფრედ ალენი**: იურისპრუდენცია ისე კარგად ვისწავლე, რომ, ხარისხის მოპოვების შემდეგ უნივერსიტეტს ვუჩივლე, საქმე მოვიგე და გადახდილი თანხა დავიბრუნე.

**ფრენკ ზაპა**: თუ სექსი გინდათ, უნივერსიტეტში წადით, თუ სწავლა გინდათ – ბიბლიოთეკაში.

**ფოქსი**: მაგალითი ათჯერ უფრო სასარგებლოა, ვიდრე წესდება.

**როლფსი**: დუმილი ოქროა? ოქრო კახპაა.

**ჩეხოვი**: თუ გსურს, ცოტა დრო გქონდეს, ნურაფერს გააკეთებ.

**ლაბულე**: არაფერი გადადო ხვალისთვის – ეს არის ყველაზე დიდი საიდუმლოება იმ ადამიანისა, ვინც დროის ფასი გაიგო.

**ებნერ ეშენბახი**: პატარა ადამიანთა დიდებას წარმატება ჰქვია.

**ემერსონი**: დიდება იმის დასტურია, რომ ადამიანები ყველაფერს ადვილად იჯერებენ.

**ქეი ქალესი**: შვილებს ისე მოეპყარი, როგორც ამას შენი შვილებისგან მოელი.

**შოუ**: გულწრფელობა კარგი ყოფაქცევის მწვერვალია.

**ისო ზირაქი**: ნუ გაუხსნი შენს გულს ყოველ გამვლელს.

**ლოზბერგერი**: გმირობა არის შეგნებული დაძლევა შიშისა.

**ინგერსოლი**: როდესაც ნებისყოფა დაძლევს შიშს, მოვალეობის შეგნება დაამსხვრევს ბედის მარწუხებს, ღირსების გრძნობა არად ჩააგდებს სიკვდილს – ეს იქნება გმირობა.

**შენიე**: გემოვნება სხვა არაფერია, თუ არა დახვეწილი და ჯანსაღი გონება ადამიანისა.

**ნოვალისი**: ბავშვი ხილულად ქცეული სიყვარულია.

**როზეგერი**: ბავშვი წიგნია, რომელსაც ჩვენ ვკითხულობთ და ჩვენვე უნდა დავწეროთ.

**ტოლსტოი**: აღმზრდელმა ღრმად უნდა იცოდეს ცხოვრება, რათა მისთვის მოამზადოს სხვები.

**შპრანგერი**: აღზრდის მთელი დანიშნულება არის მხოლოდ ხელის შეშველება თვითაღზრდისთვის.

**ვოვენარგი**: უქმად ყოფნა უფრო გვღლის, ვიდრე შრომა.

**ლინგი**: უმეცრება ნებაყოფლობითი უბედურებაა.

**ლაბრუიერი**: უფრო ქებულს ვაქებთ ხოლმე, ვიდრე ქების ღირსს.

**დანინო**: ცინიკოსებს ვუწოდებთ ადამიანებს, რომლებიც ხმამაღლა ამბობენ იმას, რასაც ჩვენ ვფიქრობთ.

**დისტერვეგი**: მცდარი ცოდნა უარესია, ვიდრე არცოდნა.

**მორუა**: ქალები გასაოცარ ოსტატობას იჩენენ ტყუილის თქმაში, საყვარელი მამაკაცის ნათქვამში კი მას წამში ამჩნევენ.

**ჩესტერტონი**: ამქვეყნად სამი რამ არსებობს, რაც ქალებს არ ესმით: თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა.

# თუ გაქვთ იცნობთ

1. ელბიდან ტრიუმფალური დაბრუნების შემდეგ, 1815 წლის მარტში, ნაპოლეონს მომხრეები ხმაურიანი დემონსტრაციით შეხვდნენ. მაგალითად, გრენობლის მუშებმა გადაწყვიტეს, იმპერატორისთვის ქალაქის გასაღები მიერთმიათ, მაგრამ, ვერ იპოვეს და ნაპოლეონს მიართვეს... **რა?**

2. ამ კუნძულის პირველ საფოსტო მარკებზე გამოსახული იყო თეთრი დათვი და დანიის მეფე. **რომელი კუნძულის?**

3. ადოლფ დასპერმა სიცოცხლე 75 წლის ასაკამდე აქტიურად გაატარა, ამიტომაც ხშირად იყენებდა მას და, თავისი ბრენდიც შექმნა, რომლის ნაწარმიც მსოფლიოს მასშტაბით ბევრს აქვს, ბევრი კი ოცნებობს. **რაზე?**

4. 1675 წელს ინგლისის მეფემ, კარლ მეორემ, გამოსცა ბრძანება, რომ პარკში, მაღალ ადგილას აეგოთ შენობა ასტრონომისა და მისი თანაშემწისთვის. დღეს ეს საყოველთაოდ ცნობილი ადგილია, რადგან 1884 წელს, ნიუ-იორკში, ის ათვლის წერტილად დაადგინეს. **რა ერქვა პარკს?**

5. ჯორჯ ვაშინგტონი ყოველთვის გვერდში ედგა თავის ჯარისკაცებს და მათ ბედს იზიარებდა. ერთხელ ბრიტანელმა ეგერმა მიზანში ამოიღო და, ალბათ, ისტორიის მსვლელობა შეიცვლებოდა, რომ ვაშინგტონი ისე არ მოქცეულიყო, რის გამოც ინგლისელმა, ღირსება რომ არ შელახვოდა, აღარ ესროლა. **რა ქნა ვაშინგტონმა?**

6. 1942 წელს **რის აღსანიშნავ** 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოუშვეს ინგლისში მარკა, რომელზეც გამოსახული იყო წითელი ვაშლი?

7. წყალქვეშა ნავის – „K-137-ის" შექმნის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სარაკეტო მაღაროების ჰერმეტულობა. ამისთვის კი საჭირო იყო ზედმიწევნით მაღალი სიზუსტე შედუღების დროს და განსაკუთრებული ყურადღება. რატომღაც ამ სამუშაოს შესასრულებლად მიიწვიეს ისინი, ვისი კოორდინაცია და სისწრაფეც მეცნიერთა აზრით, გაცილებით ჩამორჩება მათ მონაცემებს. **დაასახელეთ, ვისას.**

8. როდესაც ეს მეცნიერი დუელში გაიწვიეს, მან იარაღის არჩევის უფლებით ისარგებლა და მოწინააღმდეგეს შესთავაზა, ორი კოლბიდან ერთ-ერთი აერჩია – ერთში სუფთა წყალი იყო, მეორეში ყვავილის ბაქტერიები. **რომელმა მეცნიერმა აიცილა ამგვარად დუელი?**

9. **რატომ გამოიგონეს** მხედველობის კორექციის სათვალე ორჯერ, ამასთან, მეორე – მხოლოდ 300 წლის შემდეგ?

10. პირველად ის 1555 წელს კონრად გერსონმა აღწერა და, რადგან გაწუწულს მიამსგავსა, „წყლის ძაღლი" უწოდა. ის დღეს ბევრისთვის საყვარელი ცხოველია და მისი „ვარცხნილობის" სტილი ძირითადად ლომის მსგავსია. **რა ჯიშის ძაღლი აღწერა გერსონმა?**

***პასუხები იხილეთ მე-66 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* არსებობს ამერიკული ინფრაბგერითი იარაღი, რომლის მიერ გამოტყორცნილი ჰაერის სიხშირე 120 დეციჰერცია. იარაღით შესაძლებელია ადამიანზე ნერვულ-პარალიტიკური ზემოქმედების მოხდენა და მათი ზომბირებაც კი.

* ინდოეთში, ბენგალის შტატში, წელიწადში 300 ადამიანი ხდება ვეფხვის მსხვერპლი.

* ელინელმა მოსამართლეებმა, რადგან ოლიმპიადის მიმდინარეობის დროს მშვიდობა დაარღვია, სპარტა ოლიმპიურ თამაშებს ჩამოაშორეს.

* ინგლისის დედოფლის, ვიქტორიას სახელი ჰქვია აფრიკის როგორც უდიდეს ჩანჩქერს, ასევე, უდიდეს ტბას.

* 1999 წელს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შეწყდა ურთიერთობა მორზეს ანბანის საშუალებით, რადგან, უკვე სავსებით საკმარისი იყო რადიო-სატელეფონო კავშირი გემებსა და საზღვაო პორტებს შორის.

* მსოფლიოს ქვეყნების მესამედში საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების ძაბვა 220 ვოლტის ნაცვლად 127 ვოლტია.

* დედამიწაზე პირველი მილიარდერი, ვისი ქონებაც 1 მილიარდ დოლარზე მეტი იყო, გახლდათ ნავთობმაგნატი ჯონ როკფელერი.

* ლონდონის გეოლოგიურ მუზეუმში სპეციალური პლატფორმაა. მასზე მდგარ დამთვალიერებლებს მიწისძვრის ეფექტის შეგრძნება შეუძლიათ.

* საქართველოში პირველი რკინიგზა აშენდა 1871-72 წლებში. ეს იყო მონაკვეთი ფოთი-ყვირილა (ზესტაფონი).

* კატებს კნავილი მხოლოდ ადამიანებთან ურთიერთობისთვის სჭირდებათ, საკუთარ „ძმებს" სხვაგვარად „ესაუბრებიან".

* შოკოლადის ერთი ფილით ადამიანი 616 კილოკალორიას იღებს. ამ ენერგიის დასახარჯავად მას 2 საათისა და 28 წუთის განმავლობაში „ვალსის" ცეკვა ან 6 საათისა და 11 წუთის განმავლობაში... კოცნა დასჭირდება.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლd3-d1!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ოცდაათს გადასცდით და ჯერ ცხოვრებაში არაფრისთვის მიგილწევიათ? ესე იგი, თქვენ წესიერი და პატიოსანი ადამიანი ხართ!

***

– ექიმო, უკვე სამი წელია, ერთად ვცხოვრობთ, ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, თითქოს




არაფერი გვაკლია, მაგრამ შვილი არ გვიჩნდება. იმიტომ ხომ არა, რომ მე ქერა ვარ და ეს კიდევ – შავკანიანი?

– არა, ორივე ბიჭი რომ ხართ, იმიტომ...

***

– მინდა, ჩემი შვილი, ვანუა, იდიოტი გამოვიდეს?

– რათა, კაცო?

– რა ვი, ჯო... კარგ სახლ დაინახამენ, იძახიან, რა სახლი აქვს ამ იდიოტსო... კარგი მანქანა ჩაივლის – რა მანქანა დაურტყამს ამ იდიოტსო...

***

ხელფასი ნარკოტიკია:

– ხელფასის გაცემის დღეს განწყობა მაღლდება;

– თუ ხელფასი ერთხელ მაინც აიღეთ, იწვევს დამოკიდებულებას – უკვე ველარ გაძლებთ უხელფასოდ;

– თუ ხელფასი იგვიანებს, განწყობა გიფუჭდებათ, მთელი ქვეყანა მუქ ფერებში გეჩვენებათ;

– თუ რაიმე მიზეზის გამო ხელფასის „დოზა“ გაიზარდა, ეიფორია ძლიერდება;

– ხელფასის ხანგრძლივი მოხმარების შემთხვევაში, ჩნდება მისი დოზის რეგულარულად გაზრდის მოთხოვნილება...

***

ზოგიერთი ქალის სახეზე, მხოლოდ ერთი რამე შეიძლება წაიკითხოთ: „ფრთხილად, შელებილია!“

***

– ბავშვებო, დღეს ჩვენ ვისწავლით ზმნის უღლებას. მაგალითად, სანდრო, დავუშვათ, შენ მღერი. რას იტყვი, რას შვრები?

– მე ვმღერი.

– სწორია. თუ შენი და მღერის, მაშინ, რას იტყვი?

– ხმა ჩაიწყვიტე, გოგო!

***

ქმარი აფთიაქში პრეზერვატივების საყიდლად შედის.

– ორი პიპეტიც გამოაყოლე, – დაიბარა ცოლმა.

დაბრუნდა ქმარი სულ გაწითლებული, გაბრაზებული.

– არასდროს აღარ შევალ ამ აფთიაქში – პრეზერვატივები მოვითხოვე, არა გვაქვსო, მერე ორი პიპეტი მომეცით-მეთქი და... ისეთი სიცილი დამაყარეს.

***

– მასწ... გუშინ სახლში ოთხი მკვდარი ბუზი ვიპოვე – ორი მამალი, ორიც დედალი.

– და როგორ გაარკვიე მათი სქესი?

– ორი ლუდის ბოთლზე იყო მიკრული, ორი – სარკეზე.

***

– აბა, ბავშვებო, მითხარით, რა მოგწონთ ჩემი და გეტყვით, ვინ რა გამოხვალთ...

– მე თქვენი თმა მომწონს, მასწ...

– ესე იგი, პარიკმახერი გამოხვალ.

– მე თქვენი სახის კანი...

– ესე იგი, კოსმეტოლოგი იქნები.

– მე ყველაზე მეტად თქვენი კბილები მომწონს...

– შენთანაც ყველაფერი გარკვეულია, სტომატოლოგი იქნები. სანდრო, შენ რატომ არ იღებ ხმას?

– გასაგებია, მასწ... მე მწველავი გამოვალ...

***

ლიფტში ახალგაზრდა მამაკაცი მახინჯ ქალთან ერთად მოხვდა.




– თუ კოცნას დააპირებ, იცოდე, ვიკივლებ... – აფრთხილებს ქალი.

– მეც...

***

ტურისტის ესემესი ეგზოტიკური ქვეყნიდან:

„ყველაფერი ნორმალურად მიდის: ზღვაში ზვიგენებია, ხმელეთზე – ნიანგები. ვსხედვართ ხეებზე. ერთი ეს არის, მგონი, მაიმუნები არიან ატეხილები“...

***

ორი მამაკაცი სვამს. უცბად ერთი გულახდილობის ხასიათზე დადგა:

– გახსოვს წინა კვარტალში საყვედური რომ გამოგიცხადეს?

– მახსოვს.

– ეს მე ჩავაწვეთე...

– პრემიაც რომ ყველას მისცეს და შენ არა, გახსოვს...

– კი...

– მაშინაც მე ჩავაწვეთე...

– სექტემბრის თვიდან რომ ხელფასი დაგიაკლეს?

– ეგეც მახსოვს...

– ეგეც მე ჩავაწვეთე...

– შენ თუ გახსოვს, ორი წლის წინ შენმა ცოლმა ბიჭი რომ გააჩინა?! ის მე ჩავაწვეთე...

***

მიხო და მარო ქალაქიდან ბრუნდებიან. გზად რესტორანს ჩაუარეს.

– ხომ არ შევსულიყავით, სოფელში დავიქადნებ, ქმარმა რესტორანში დამპატიჟა-მეთქი,




მაყვალაი გულ გავუხეთქამ, – შეეხვეწა მარო.

შევიდნენ, ისადილეს... განაგრძეს გზა. სოფელში უნდა შევიდნენ და...

– ვაი, მამიკვდეს თავი, რესტორანში აჩკები დამრჩა! მოატრიალე...

– უჰ, შე სკლეროზიანო ქათამო, შენი... – მოაყოლა მიხომ ხუთსართულიანი გინებები... რესტორნამდე არ გაჩუმებულა, ალბომიდან არც ერთი ნათესავი არ გამორჩენია... გადავიდა მარო მანქანიდან, რესტორნის კარში უნდა შევიდეს და მიხო ეძახის:

– რახან მანდა ხარ, ბარემ ჩემი ქუდი და ბლოკნოტიც წამააყოლე...

***

მიხო კვდება. მოიხმო ცოლი და ეუბნება.

– მარო, შემისრულებ უკანასკნელ თხოვნას?

– მა, რას ვიზამ, მიხო...

– შემპირდი, რომა წლისთავ რო გადამიხდიან, მიტუას გაჰყვები ცოლადა...

– შენ არ ამბობდი, მიტუა შავი დღესავით მეჯავრებაო...

– მეჯავრება და მერე როგორა...

***

– შალიკია, ბოშო, ვერაფერი გევიგე, რა გონია ამ ნაზიკიას, ამ ქალაქის ბინაში ბოსტანი მაქ თუ... წუხელ შუაღამისას ღამისპერანგისამარა შემოვიდა ცხრაჯერ – ხან ხახვი უნდოდა, ხან კარტოფილი, ხან მწვანილი...

***

კარგი დედა ბავშვს კრემს აალოკინებს, ძალიან კარგი კი – ჯერ მიქსერს გამორთავს.

***

ხანშიშესული ცოლ-ქმარი. ხედავს ცოლი, კაცმა ვიაგრის ტაბლეტს მეოთხედი მოატეხა და პირში ჩაიდო.

– რას აკეთებ, მთლიანად უნდა დალიო...

– იქნებ მე მხოლოდ კოცნა მინდა?!

# რატომ დაარქვეს მეგრელებმა ბავშვს „დენ ტრაურა“

თენგიზ ჩანტლაძის თეატრში მოღვაწეობის დროს (მსახიობი გახლდით) ჩემმა კოლეგამ და მეგობარმა ნუგზარ ტიბუამ სამეგრელოში წამიყვანა 80 წელს გადაცილებული მეზობლის, გვანჯი თოდუას გასვენებაში.

ახლებური წესის მიხედვით, ქელეხი მიცვალებულის ბოლო სამყოფელში „დაბინავების“ შემდეგ გაშლილ სეფაში გამართეს. მეგრელების სტუმარმასპინძლობა მსოფლიოშია ცნობილი, ლხინისა თუ ჭირის სუფრა ხომ – სანიმუშო და სანაქებო.

ამ შემთხვევაშიც ასე იყო.

გარბის და გამორბის დიდი და პატარა. სუფრას მომსახურება უნდა, მილეთის ხალხია თავმოყრილი.

„ასაბიაზე“ (მოუპატიჟებლად, მოპატიჟებულთა მომყოლ ხალხს ჰქვია) მოსული გასათხოვარი გოგოებიც მორცხვად კეკლუცობენ შიგადაშიგ. ერთი, წარმოსადეგი, მაღალ-მაღალი, 70 წელს მიტანებული ბერბიჭა კაციც მარჯვედ გარბი-გამორბის, სუფრას ემსახურება. აედევნა ამ კაცს პატარა ბიჭი, ასე 6-7 წლის და უყვირის.

– ტაურა ბიძია! ტაურა ბიძია! შარვლის ზმეიკა გაქ შეხსნილი!

ტაურას არ სცალია ბავშვისთვის, გულმოდგინედ და პატიოსნად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ, ბიჭი არ ეშვება, იქიდან აქეთ გამოქცეულს ეწევა და:

– დეტაურა ბიძია, დეტაურა ბიძია, შარვლის ზმეიკა გაქ შეხსნილი!




„ასაბიაზე“ მოსულმა წამჭკნარმა საპატარძლოებმა ყურები ცქვიტეს ბავშვის ამ გულუბრყვილოდ წამოსროლილ ფრაზებზე.

– დეტაურა ბიძია... შარვალი!

ჩვენ კი ვდგავართ და სიგარეტს ვაბოლებთ. უნდა მიგვიწვიონ, ისე ხომ არ ვეცემით მაგიდას, მერე რა, რომ გვშია და შორიდან ჩამოვედით. ვაბოლებთ და ვართ... მშვიდად ვათვალიერებ იქაურობას და ცალი ყური (ძალიან მაკვარანცხი პროფესიის ვარ) იქით მაქვს. არც შევმცდარვარ.

მოულოდნელად, ერთმა დაინტერესებულმა „წინანდლის ოდნავ შემჭკნარმა ვარდმა“ ბიჭი ხელით გააჩერა:

– ბიჭო, ბიჭო, ეს დეტაურა ბიძია ცოლიანია?

– ახლა არა, მეექვსე ცოლი მოუკვდა მაგას, იზოლდა ბიცოლა, – თავი ჩაღუნა ბავშვმა.

ცნობისმოყვარეობა მეც მახრჩობს. ჩემი დამპატიჟებელი ნუგზარ ტიბუაც მომიახლოვდა, მკლავში ხელი გამომდო და მაგიდისკენ მივყავარ.

– ნუგზარ, – ვეკითხები, – რომ გადარია ეს ქალები ამ დეტაურა კაცმა, ამიხსენი ერთი, რატომ დაარქვეს ასეთი სახელი, რა, კაზანოვაა თუ ექვსი ცოლის გამსტუმრებელი მაჩო?

– რა და, – მიხსნის ნუგზარი, – სტალინი რომ გარდაიცვალა, იმ დღეს დაიბადა ეგ უტვინო და, მეგრელების ამბავი არ იცი? სახელად დაარქვეს „დენ ტრაურა“. მერე გაცვდა, სიტყვა და, ახლა „დენ ტრაურას“ მაგივრად „დეტაურას,“ ხან კი – ტაურას ეძახიან. ზარმაცები ვართ ქართველები, ყველაფრის გაიოლება გვიყვარს...

ვინ შეუკრავდა „ზმეიკას“ დეტაურა ბიძიას?!

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

# ჰქონდა თუ არა რომანი პატრიცია კაასთან კახა ბაკურაძეს და როგორ ურთიერთობაშია ის ჟერარ დეპარდიესთან

*„თეატრებს, სადაც მოძრაობის ენაზე ჰყვებიან ისტორიებს, არა აქვს წარსული და მომავალი, რადგან ჩვეულებრივი თეატრებისგან განსხვავებით, არასოდეს შემოდიან და გადიან, მოდიდან," – ჟან კოკტო.*

*მსახიობსა და რეჟისორს, კახა ბაკურაძეს მაყურებელი სერიალ „ცხელი ძაღლიდან", კოშკას როლით იცნობს. ის „მოძრაობის თეატრის" დამფუძნებელი და დირექტორია, რომელიც დრამის, მიმოდრამის, მოძრაობისა და ფიზიკური თეატრის ჟანრს, საბალეტო, საბრძოლო და საცირკო ხელოვნებას წარმოადგენს. „მოძრაობის თეატრი" მაყურებელს არ ელის, ის თავად მიდის მასთან. თუ გინდა, შენს საყვარელ ადამიანს ან შენს ქუჩას ზეიმი მოუწყო, გადაიხადე და ზეიმიც იქნება," – ამბობს კახა.*

*ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ კახა ბაკურაძის „მოძრაობის თეატრი" წლევანდელ „ნიჭიერში" იღებდა მონაწილეობას. ყვითელი ფერის კოსტიუმებში გამოწყობილი მსახიობების ყოფილი სასტუმრო „აჭარის" სახურავიდან, დაახლოებით 76 მეტრის სიმაღლიდან ორიგინალურად დაშვება, მართლაც რომ შთამბეჭდავი სანახაობა იყო.*

**– კახა, გვიამბეთ როგორ დაიბადა ამ თეატრის შექმნის იდეა და როგორ შენდებოდა ის?**

– ეს არის თვითმფრინავის ფარეხი, ეგრეთ წოდებული ანგარი. მაშინ, როდესაც ამას ვაკეთებდით, ჩვენი ფინანსური მდგომარეობა იყო ნული. რასაც აქ ხედავთ, ყველაფერი წლების განმავლობაში ნაგროვები ნივთებია. ზოგიც გვაჩუქეს, ზოგი გვათხოვეს და მერე აღარ გამოგვართვეს, ზოგი კი ჯართში ვიპოვეთ. ამ ადგილას ხეივანი იყო, რომელიც დიდი ხნის წინ გახმა. პროექტით შევედით მერიის არქიტექტურულ სამსახურში და ეს ადგილი გამოგვიყვეს, რა თქმა უნდა, არენდით. მუშტაიდის პარკში არ შეიძლება კაპიტალური მშენებლობა, ამიტომ დავდგით რკინამინის მსუბუქი კონსტრუქცია. მსუბუქი კონსტრუქცია კი, როგორც უკვე გითხარით, ჯართიდან, სანაგვიდან წამოვიღეთ. დეკორაციის აწყობა და დაშლაც ვიცით, ამიტომ ამ საქმეს მარტივად მივუდექით, ავაწყვეთ დიდი დეკორაცია, რომელზეც ვითამაშებდით დანარჩენ ყველაფერს, რასაც კი მოვიფიქრებდით. ჩემთვის, ეს არის დიდი ხარაჩო, რომელზეც შემიძლია, ვითამაშო ყველანაირი სპექტაკლი – დრამატული თუ მიუზიკლები, მნიშვნელობა არ აქვს. ჩემი აზრით, ყველაფერს უნდა მოერგო, რასაც ცხოვრება გთავაზობს, შენ არავინ მოგერგება, თავიდან ქუჩის თეატრი გავხსენით. თუ შექსპირს დავუჯერებთ, ეს ცხოვრებაც თეატრია. ნებისმიერ ადგილას შეგიძლია, ითამაშო და თუ შენ არ მოდიხარ თეატრში, თეატრი მოვა შენთან.

**– ჩვენს ქვეყანაში ეს კულტურა – ქუჩის თეატრი არ არსებობს. მხოლოდ ტურისტს არ გაუკვირდება ასეთი სანახაობა, ქართველებს კი, ყველაფერი, რაც ჯერ არ არის ჩვენთან დამკვიდრებული, გვიკვირს და იოლად ვერ ვეგუებით. როგორ გხვდებოდნენ?**

– იყო ცინიკური დამოკიდებულებაც, აგრესიულიც. მახსოვს იკითხეს: უცხოელები არიანო, არა, ქართველებიო, უპასუხა მეორემ. ა, ქართველები თუ არიან, ესე იგი მათხოვრები არიანო... ნეტა, ამათ საქმე არ აქვთო... და ასეთი ლაპარაკი იყო. მაშინ არ გვქონდა შენობა, ახლა გვაქვს. თუმცა, მაინც ვატარებთ ხოლმე ქუჩაშიც წარმოდგენებს, რადგან ეს არის ჩვენი შემოსავლის წყარო. თვითონ თუ არ შევცვალეთ ჩვენი ცხოვრება, სხვანაირად არაფერი გამოვა.

**– როგორც ვიცი, დიდი ხანი არ ცხოვრობდით საქართველოში. გერმანიაში გქონდათ თქვენი „მიმოდრამის" თეატრი. რატომ დაბრუნდით, აქ ხომ ბევრად რთულია ხელოვანი ადამიანის ცხოვრება?**

– დიახ, დიდი ხანი ვცხოვრობდი გერმანიაში. რამდენიმე მეგობარი გამოვეყავით და წავედით გასტროლებზე. ამ გასტროლმა ათი წელი გასტანა. მერე, თვალის ტრამვა მივიღე სერიოზული, გადაღებებზე შემემთხვა. ერთი წელი არ შეიძლებოდა მუშაობა, როგორც გერმანელმა ექიმებმა მითხრეს. ტყუილად ხომ არ გავჩერდებოდი ვიღაცის კისერზე, იძულებული გავხდი, ჩამოვსულიყავი. რომ ჩამოვედი, აღარ წავედი. უბრალოდ, მივხვდი, რომ სახლში უფრო მეტი საშუალება მექნებოდა, ვიდრე იქ მქონდა. თუმცა, არც იქ იყო ნაკლები საშუალებები. მე თეატრალური მაქვს დამთავრებული – სარეჟისორო, სამხატრო აკადემიაც დავამთავრე – დიზაინი-გამოყენებითი ხელოვნება. რაღაც მომენტში მივხვდი, რომ რეჟისორებს არ სცალიათ ჩვენთვის და თვითონ უნდა გავმხდარიყავი რეჟისორი. ერთი პერიოდი პარიზშიც ვსწავლობდი პანტომიმაზე. ერთი წლის მერე მივხვდი, რომ საკუთარი თეატრი უნდა გამეხსნა და დავიწყე ამაზე მუშაობა. აგერ უკვე 13 წელი გავიდა. ყველგან კარგია, მაგრამ სახლში ჯობია. ბავშობიდან ვოცნებობდი ამაზე. მეგობრები დამიდგნენ მხარში.



თუ შექსპირს დავუჯერებთ, ეს ცხოვრებაც თეატრია

**– თქვენი მსახიობები სულ ახლახან „ნიჭიერში" გამოვიდნენ და მართლაც ძალიან ლამაზი სანახაობა მოგვიწყეს. როგორ ემზადებოდით ამისთვის?**

– გავაკეთე სპექტაკლი, რომელშიც ყველაფერი ცოცვაზე იყო აგებული და მანდ მივხვდი, რომ მჭირდებოდა მეკლდეური-ექსტრემალი, რომელიც ამას გვასწავლიდა. ბევრი ვეძებე თუ ცოტა, ვიპოვნე გიორგი კომახიძე – ექსტრემალური ჯგუფ „კ 2-ის" პრეზიდენტი. ჩვენ უკვე ცამეტი წელია, ვთანამშრომლობთ და ვმეგობრობთ. გიორგიმ შემომთავაზა „ნიჭიერში" მიგვეღო მონაწილეობა. ამაზე იყო ჭიდაობა: არ მინდოდა, მაგრამ გიორგიმ გაიმარჯვა. ეს არ არის სპონტანურად გაკეთებული შოუ, ბევრი წლის შედეგია. ამას ბევრი მუშაობა, გამბედაობა, ნიჭი და მერე გიორგი კომახიძე სჭირდება. სიამლლის შიში იმდენად არ არსებობს, მთავარია, ზუსტად, ყურადღებით იყო, იცოდე, რას აკეთებ. გიორგიმ ზუსტად იცის, კვანძები სად უნდა იყოს, როგორ უნდა გაკეთდეს, რა სიმძიმე შეიძლება დაიკიდოს, ვინ უნდა დაუდგეს დაზღვევაზე და ასე შემდეგ. ჩვენ გარშემო იმდენი მთებია, სადაც გინდა აძვერი და ჩამოძვერი, მთავარია, სწორად გააკეთო, თორემ მოწყვეტილებიც ბევრი გვინახავს. ეს ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს, მაგრამ ხომ იცით – ვინც არ რისკავს, შამპანურსაც არ სვამსო.

**– დაშვების დროს, დარწმუნებული ვარ, ყველას თავბრუ ეხვეოდა.**

– ერთი მსახიობი ცუდად გამიხდა, ერთი თოკზე გაითიშა. წნევის ცვალებადობა სულ არის, მერე, უნდა იცოდე, რა ჭამო. სასურველია, გასვლის წინ საერთოდ არაფერი მიირთვა, მძიმე არ უნდა იყო, თორემ მერე ხელს შეგიშლის მოძრაობაში. ერთი ნაჭამი არ იყო, თან ღამენათევიც და ეს დამალა. რომ ჩამოვიდა, ფეხზე ვერ დადგა, დაეცა, მაგრამ დროულად ვუშველეთ... გამოსვლის წინ სულ ვიცავთ ამ პირობებს.

**– ყვითელი კოსტიუმები ვინ მოიფიქრა?**

– გვყავს მსახიობი, მხატვარი, რომელიც დეკორაციაზეც ზრუნავს. როგორც კი დადგა საკითხი, რას ჩაიცვამდნენ მსახიობები, მას მივანდე ეს საქმე. თან, გამოცდის მომენტიც იყო, რამდენად ლამაზი და პრაქტიკული იქნებოდა კოსტიუმები და მგონი, წარმატებით ჩააბარა მან ეს გამოცდა.

**– ვიცი, უამრავ ქვეყანაში ხართ ნამყოფი, ბევრი ცნობილი ვარსკვლავიც გაიცანით, მაგალითად პატრიცია კაასი, ჟერარ დეპარდიე, დევიდ კოპერფილდი. მოგვიყევით ამაზეც.**

– ვთამაშობდი იმ სცენებზე, რომელზეც ისინი გამოდიოდნენ. რამდენჯერმე გვქონდა კიდეც ბედნიერება, მოვხვედრილიყავით იმ „ტუსოვკებზე", სადაც მათ ჰქონიათ საღამოები. ჟერარ დეპარდიესთან უფრო მეტი შეხება მქონდა, ვიდრე სხვებთან. მის თეატრში რამდენიმე სანახაობა დავდგი. უნიჭიერესი ადამიანია, მაგრამ ლოთი, სუფთა კომუნისტი. ბოლო წლებში იმდენი შეცდომა აქვს დაშვებული... ერთხელ ისე დათვრა, რომ სტიუარდესას ტუალეტში ექაჩებოდა, კაცური აღვირახსნილობის მაგალითია. ქართველ კაცებს ეგ არ გაუკვირდებათ. ალკოჰოლი რომ დაიპყრობს, მერე ჭკუა აღარ მოეკითხება. გერმანულმა წარმომადგენლობამ „პეჟოს" რეკლამა გააკეთა სამჯერ, ჩვენ „მიმოდრამის" თეატრი მიგვიწვია სარეკლამო რგოლში გადასაღებად და მაშინ შევხვდით პატრიციას, იქ მღეროდა. მერე, პარიზში შევხვდით – ერთხელ კონცერტზე დაგვპატიჟეს და კიდევ სადღაც, ზუსტად აღარ მახსოვს. რომანი არ მქონია მასთან. იცით, რა მომენტია, რომ ამით ამაყი არ ვარ. არ არის საჭირო ტრაბახი, გარშემო ისედაც საკმარისად გვყავს „ტრიპაჩები."

**– თქვენს ადგილას, ალბათ, ბევრი ისარგებლებდა ამ შემთხვევით და ჟერარ დეპარდიეს დაუმეგობრდებოდა. ისე, როგორი ტიპია ურთიერთობაში?**

– სულ თავის მამულშია, თავისი ვენახები აქვს, ღვინოს თვითონ წურავს, სუფრაც სულ გაშლილი აქვს. ეს ვარსკვლავები თითქმის ყოველდღე მასთან არიან, ჩვეულებრივად მეგობრობენ. ჩვენც, შეიძლება ითქვას, ვმეგობრობთ. რომ დამირეკავენ, ჩავდივარ. ჩემგან რაც უნდა, იმას ვაკეთებ, მერე თავისუფალი დრო რომ გვაქვს, ვქეიფობთ და უკან ვბრუნდებით. მე ვარ ის კაცი, ვისი ნამუშევრებიც მას მოსწონს.

**– არ გიცდიათ მასთან ერთად გემუშავათ, რაღაც გაგეკეთებინათ?**

– ძალიან ძნელია, დეპარდიეს რამე უკარნახო, ის თვითონ უკვეთავს „მუსიკას". მე თუ რამეს გავაკეთებ, ჩემებთან ერთად გავაკეთებ. ჩაფიქრებული მაქვს, ერთი წრე კიდევ დავარტყა ამ პლანეტას, ვაპირებ ნიუ-იორკში წავიდე საგასტროლოდ, ლონდონში, პარიზში, მოსკოვში, ვნახოთ.

**ეკა პატარაია**



გვ. 47

რატომ არ უნდოდა მიხეილ წულუკიძეს „ფეისობა“



გვ. 68

როგორ ათამაშა გია კიტიამ თავის წინასადიპლომო სპექტაკლში ნიკულინი და რა ილეთები დარჩა ცეკვა „ქართულში,“ რომლებიც პირველად მსახიობის დედამ შეასრულა



როდის უწესებს მკაცრ აკრძალვებს გოგონას „მისტერ სექსუალურობა“ და „ბესტ მოდელი“ ბექა ჩიტაია და რა არის სალი დავითაშვილისთვის მამაკაცის მხრიდან მიუღებელი

გვ. 70

ISSN 1987-569X
9 771987 569002

# თბილისელები®

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ტალახში

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №52 (677) * 23 – 29 დეკემბერი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge